კვირის პალიტრა

ოჯახური გაზეთი

№ 25 (385) ◆ 24 – 30 ივნისი. 2002 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.

„ისინი ძალიან დაუნდობლები არიან, უბრალოდ, მოგკლავენ!..“

ვის დარჩება საქართველოში იარაღის უკანონო ბიზნესი?!

ვინ არის შაქრო კალაშოვი?

მას საშიშ და სახიფათო პიროვნებად მიიჩნევენ. შაქრო კალაშოვი საქართველოში ჩამოდის. მან უსაფრთხოების გარანტია თავად შს მაშინდელი მინისტრისგან, კახა თარგამაძისგან მიიღო. გვ.5

ვინ დგას დათო შენგელაის უკან?

„რაზე უნდა დამაღანაშაულონ, გავყიდე თუ რა. ვიყიდე, მჭირდებოდა. პირველად კი არ მაქვს ნაყიდი, რატო მეათედ არ ვიყიდე.“

სკანდალი ახლა იწყება?

მოულოდნელად სამხედრო პროკურორს, გია ჯიქიას ამ ხმაურიან საქმეს ართმევენ, რის შემდეგაც იგი უკვე ღიად უპირისპირდება კობა ნარჩემაშვილს და მის თანამშრომლებს პატიმრების წამებასა და კონკრეტული საქმით დაინტერესებაში ადანაშაულებს. ის აკეთებს საკმაოდ სკანდალურ განცხადებებს, რასაც ამ კვირაში აუცილებლად მოჰყვება გაგრძელება.

დაკავებულ არსენალში აღმოჩენილი Фагот-ები და Шмель-ები, ისევე, როგორც მაყუჩიანი „მაკაროვი“, პირდაპირ მისწრებაა დიდი მასშტაბის ტერორისტული აქტის განსახორციელებლად...

რა ღირს სინამდვილეში ნატახტართან დაკავებული იარაღი? 7.000 თუ 300.000?

...ეს მართლაც რომ ძალზე ეფექტური იარაღი ქართული სამხედრო ძალების შეიარაღებაში ძალიან ცოტაა...

ერთ დღეს შეიძლება საქართველო ვარძიის გარეშე დარჩეს

სამწუხაროდ, კლდის სამივე შრის შლის პროცესი დღესაც გრძელდება. შუა ფენაში, კლდის დანაპრალების შედეგად წარმოქმნილია უზარმაზარი განმხოლოებული მასივები, ისინი ძირითადად დახრის კუთხისა და ხახუნის ძალით არიან გაჩერებულები, მაგრამ ნაპრალები ყოველწლიურად იზრდება... გვ.6,11

ეს ის შემთხვევაა, როცა არ შეიძლება ვინმემ თქვას, – ამ გაჭირვების ჟამს, ვის სცალია ვარძიისთვისო?

ბატონებო! თქვენ და ჩვენ ვაარსებთ მკითხველის პრემიას გვ.35

ქართველ ხელისუფალთათვის საშოგლო იწყება ფულიდან, მათი თავი და საჯდომი არ განსხვავდება ერთმანეთისგან

ჩვენს ქვეყანაში ცოტას ჭურდობისთვის ისჯები, მაგრამ თუ ძალიან ბევრი მოიპარე – ხელშეუხებელი ხარ!

ჩვენს ხელისუფლებას ამით უდგას სული, ამით არის დაკავებული და ხალხი ფეხებზე ჰკიდია. ეს ალიაქოთი კი იმართება სახელმწიფოს უმაღლესი ეშელონებიდან და არც იმის თქმას მოვერიდები, რომ ამას მართავს პრეზიდენტი. მაგალითად, ვინ არის ლევან მამალაძე? არარაობაა, მაგრამ მამალაძის მსგავსი ხალხი სჭირდებათ. თუ მამალაძე ზომაზე მეტად წამოყელყელავდა, თავში ჩაარტყამენ, ჩააჩუმებენ და ახალ მამალაძეს გამოუშვებენ ასპარეზზე და გრძელდება ასე! გვ.3

რაუბრიკის პრემიერა ყველაფერზე, რაც გაინტერესებთ გვ.30

ეკონომიკა ბიზნესი: გვ.27 საგადასახადო ინსპექტორის უნდა ეშინოდეთ

ნუცა – ქართველი „პიაფი“

პიაფივით ხულიგანი და გიჟი, მას საშოგლოზე კარგად საზღვარგარეთ იცნობენ

...ფრენკ სინატრას დაკრძალვის დღეს რისკავს და ნიუ-იორკის ერთ-ერთ დიდ საკონცერტო დარბაზში მღერის სინატრასავე „ნიუ-იორკ-ნიუ-იორკს“... საბედნიეროდ, რისკი ამართლებს და აუდიტორია ოვაციას უმართავს...

...აღფრთოვანებას ვერ მალავს მისი მოსმენის შემდეგ ელენა ობრაზცოვა, ხელიდან 22 ბრილიანტით დამშვენებულ ოქროს ბეჭედს იხსნის და ახალგაზრდა მომღერალს უძღვნის... გვ.22

სისხლიანი ჯაჭვანყება სოხუმის ციხეში

შტურმი ... ნამს გაგრძელდა...

სოხუმის პლაჟზე მონებივრე ათასობით დამსვენებელს ელექტროშოკივით დაუარა ინფორმაციამ იმის შესახებ, რომ პლაჟიდან რამდენიმე ასეული მეტრის მოშორებით მდებარე ციხეში დაიწყო შეიარაღებული აჯობოხი. გვ.10

თქვენ გემრიელები მასხვილი ბრძანდებით!

რუსები აფხაზების შევიწროებას არავის აპატიებენ(!)

რუსეთის დუმის დადგენილებას აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის მოსახლეობისთვის რუსეთის მოქალაქეობის გამარტივებული წესით მინიჭების შესახებ, რუსმა დეპუტატებმა მუქარათა კორიანტელიც მოაყოლეს და განაცხადეს, აფხაზეთის მოსახლეობის იზოლაციაში მოქცევისა და მათი შევიწროების უფლებას არავის მივცემთო! ოფიციალური თბილისი კი რუსეთის დუმას კვლავ საერთაშორისო ორგანიზაციებში ჩივილით ემუქრება და გაიძახის, რუსეთი ფარულ აგრესიას ახორციელებს საქართველოს წინააღმდეგო. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს რუსეთსა და უცხოეთის ქვეყნებში გაგზავნილ საპროტესტო ნოტებზე დღემდე არ მიუღია პასუხი...

ამასობაში, თბილისში გავრცელდა ინფორმაცია, რომ თითქოს აჭარა აფხაზეთს საბჭოთა პასპორტებით ამარაგებს (სწორედ ამ პასპორტებითაა შესაძლებელი რუსეთის მოქალაქეობის მიღება), რასაც აბსურდს უწოდებენ ბათუმში. მოსკოვში მყოფმა პრეზიდენტ შევარდნაძის წარმომადგენელმა აფხაზეთის საკითხებზე მოლაპარაკებებში ასლან აბაშიძემ მკვეთრად უარყოფითი შეფასება მისცა მსგავს ბრალდებებს სააგენტო „ინტერ-ფაქსში“ გამართულ პრესკონფერენციაზე და განაცხადა, რომ ამას გარკვეული პოლიტიკური ძალების შეკვეთით ავრცელებენ. აბაშიძემ ისიც ბრძანა, აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარება რუსეთის გარეშე წარმოუდგენელიაო...

დეზერტირები „ნებით“ დაბრუნდნენ

სამაჩაბლოში რუსეთის სამშვიდობო ძალების კბილებამდე შეიარაღებული რვა ჯარისკაცი „გავიდა“ დეზერტირად, რასაც ადგილობრივი ქართული მოსახლეობის შეშფოთება მოჰყვა. დეზერტირების მოსაძებნად ფეხზე დადგნენ სამშვიდობო ძალების ქართული, რუსული და ოსური ბატალიონები... მოგვიანებით ყველა დეზერტირი „საკუთარი ფეხით“ დაუბრუნდა ნაწილს და რუსეთის მასმედიამ დიდის ამბით გვაუწყა, რომ ჯარისკაცებს ტყეში გზა აებნათ(!), თუმცა მოსახლეობა ირწმუნება, რომ გაქცეული ჯარისკაცები მათ საჭმელს სთხოვდნენ და ნაწილში გამეფებულ „დედოვშჩინაზე“ ლაპარაკობდნენ. რამდენიმე მათგანი ნაცემ-ნაწამებიც იყო...

დეზერტირების ძებნასა და ნაწილში დაბრუნებას, საბედნიეროდ, მხოლოდ ხუთი დღე დასჭირდა და ამასთან ისე, რომ ერთი ტყვიაც არ გავარდნილა. რუსი სარდლობა დეზერტირობის ფაქტის შერბილებას ცდილობს, თუმცა თავად გაქცეულნი დაჟინებით იმეორებენ, იმიტომ გავიქეცით, რომ ფიზიკურად შეურაცხგვყოფდნენო. გაქცეულები, ძირითადად, კონტრაქტით მომსახურე უმცროსი სერჟანტები იყვნენ, ანუ დღევანდელი რუსული არმიის ის კატეგორია, რომელიც დიდი დისციპლინით არ გამოირჩევა. მათგან ყოველ წუთს არის მოსალოდნელი ახალი ინციდენტი, რომელიც ასე მშვიდობიანად შეიძლება აღარ დასრულდეს.

აფეთქებამ 20 კაცი დაასახიჩრა

ოჩამჩირის რაიონს აფეთქებების ტალღამ გადაუარა. ჯერ წინასწარ დამონტაჟებული ნაღმი ოჩამჩირის ადმინისტრაციის შენობაში აფეთქდა და დაანგრია, მეორე ნაღმმა კი საპარიკმახეროს შენობა აიტანა ჰაერში... დაიჭრა და დასახიჩრდა 20-მდე ადამიანი, თუმცა დაღუპულთა შესახებ სოხუმის რეჟიმი ინფორმაციას არ ავრცელებს და მომხდარში ქართველ პარტიზანებს ადანაშაულებს. იმავდროულად, სეპარატისტებმა და რუსებმა კელასურში დამატებით სამხედრო ძალებს მოუყარეს თავი! ქართველი პარტიზანები კი ირწმუნებიან, რომ ისინი იცავენ მორატორიუმს 1-ელ აგვისტომდე საბრძოლო მოქმედებების არგანახლების შესახებ და რომ მომხდარი ტერაქტები თავად აფხაზურ კლანებს შორის მიმდინარე ბრძოლის შედეგია! თბილისში კი აცხადებენ, რომ ოპერატიული ინფორმაციის თანახმად, თვის ბოლოს სოხუმში გადასროლილი იქნება რუსეთის დამატებითი ძალები, რომლებიც ივლისში ტყვარჩელში, ხოლო შემდეგ კოდორის ხეობაში განლაგდებიან ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ სპეცოპერაციების ჩასატარებლად...

ამ მოვლენების ფონზე პრეზიდენტ პუტინის წარმომადგენელმა აფხაზეთის საკითხებზე მოლაპარაკებებში ვალერი ლოშჩინინმა საგანგებო განცხადება გააკეთა და ბრძანა, რომ რუსული მხარე გუდაუთის ბაზის შემოწმების კატეგორიული წინააღმდეგია...

რა შედეგი მოჰყვება უპრეცედენტო განცხადებას?

თამაზ ნადარეიშვილმა და ლტოლვილებმა ხელისუფლებას დანაპირები აუსრულეს და პარლამენტთან საპროტესტო აქციები გამართეს საქართველოს კონსტიტუციაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დაფიქსირების მოთხოვნით... პარლამენტმა ეს საქმე შემოდგომისთვის გადადო და არცთუ უსაფუძვლოდ: პარასკევს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა 1992 წლიდან, ანუ აფხაზეთის კონფლიქტის დაწყებიდან დღემდე პირველად გააკეთა ოფიციალური განცხადება აფხაზეთის შესახებ. მასში კატეგორიულადაა დაფიქსირებული, რომ რუსეთის სამშვიდობო ძალებს აუცილებლად კიდევ ექვსი თვით უნდა გაუგრძელდეს კონფლიქტის ზონაში ყოფნის მანდატი, რომ სოხუმი და თბილისი დაუყოვნებლივ უნდა შეუდგნენ აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრის შესახებ მოლაპარაკებებს და ამით დააჩქარონ პრობლემის მშვიდობიანი გადაწყვეტის პროცესი! ექსპერტებმა, ვაშინგტონის ეს განცხადება სეპარატისტთა გაფრთხილებად მიიჩნიეს! რა შედეგი მოჰყვება ვაშინგტონის ამ უპრეცედენტო განცხადებას, ამას უახლოესი მომავალი გვიჩვენებს.

ძირს „შავი ფულის“ ტრიალი!

თბილისში გაიმართა დსთ-ის ქვეყნების მაკონტროლებელ სტრუქტურათა სესია, რომლის ძირითადი მიზანი „შავი ფულის“ გათეთრებისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხების განხილვა იყო. სესიას თავმჯდომარეობდა საქართველოს კონტროლის პალატის ხელმძღვანელი სულხან მოლაშვილი, რომელიც იმავდროულად აირჩიეს დსთ-ის ქვეყნების ფინანსური კონტროლის ორგანიზაციის თავმჯდომარედ. საქართველო ამ ორგანიზაციას ერთი წლის მანძილზე უხელმძღვანელებს.

რუსეთის სააღრიცხვო პალატის თავმჯდომარემ სერგეი სტეპაშინმა სესიაზე გამოსვლისას განაცხადა, რომ „დროა დსთ-ის ქვეყნების ფინანსური კონტროლის უწყებები დეკლარაციებიდან კონკრეტულ საქმეზე გადავიდნენ და აღკვეთონ საეჭვო წარმოშობის დიდი ფულის ბრუნვა დსთ-ის სივრცეში და რომ ამა თუ იმ ქვეყნიდან „შავი ფულის“ გადინება მხოლოდ ერთი რომელიმე სახელმწიფოს პრობლემა არ არის. ამიტომ ყველა ქვეყანამ უნდა მიიღოს ისეთი კანონმდებლობა, რომელიც „შავი ფულის“ მოძრაობას ხელს შეუშლის. ამასთან, ბევრია დამოკიდებული სახელმწიფოებს შორის ინფორმაციის გაცვლაზე“. სესიის გახსნაზე სიტყვით გამოვიდა პრეზიდენტი შევარდნაძეც, რომელიც მიესალმა დსთ-ის ქვეყნების მთავარი ფინანსური მაკონტროლებლების ძალისხმევას... ებრძოლონ კორუფციას და „შავი ფულის“ ტრიალს!

ადვოკატები დაუმორჩილებლობით იმუქრებოდნენ

პარლამენტში განიხილეს და მეორე მოსმენით მიიღეს კანონი ადვოკატურის შესახებ. ფრაქცია „აღორძინების“ მიერ შემუშავებული ამ კანონპროექტის წინააღმდეგ გაილაშქრა ანტიკორუფციულმა საბჭომ, რომელმაც ოფიციალურად მისწერა ნინო ბურჯანაძეს, რომ ამ სახის კანონი კორუფციის გაძლიერებას შეუწყობს ხელს ამ სფეროში. „აღორძინების“ კანონპროექტს „ახალი მემარჯვენეებიც“ დაუპირისპირდნენ, რომლებიც ყველა ადვოკატის თანაბარ პირობებში მოქცევასა და მათთვის გამოცდების დაწესებას მოითხოვდნენ. „აღორძინების“ კანონპროექტით კი გამოცდებს მხოლოდ ახალდამთავრებული იურისტები ჩააბარებენ.

დავით გამყრელიძემ განაცხადა, რომ დაუშვებელია ადვოკატთა სტიქიური, ველური ბაზრის ჩამოყალიბება, სადაც ვისაც რა უნდა, იმას გააკეთებსო. ამ განცხადებით მოთმინებადაკარგულმა ვალერი გელბახიანმა კი ჰკითხა გამყრელიძეს — როცა ბიზნესს იწყებდი, ჩააბარე გამოცდაო?! ამ კითხვას მემარჯვენეებმა ველარაფერი უპასუხეს, პარლამენტსგარეთ მყოფი ქართლოს ღარიბაშვილი და მისი უამრავი კოლეგა კი საპროტესტო აქციას მართავდნენ და იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტი დააკანონებდა ადვოკატებისთვის გამოცდების ჩაბარებას... დაუმორჩილებლობით იმუქრებოდნენ(!).

ვმუშაობთ, ბატონო, „ამ მიმართულებით!“

ამერიკელმა ფინანსისტმა და ფილანთროპმა ჯორჯ სოროსმა, რომლის დაფინანსებითაც შეიქმნა საქართველოს ანტიკორუფციული საბჭო და შემუშავდა ანტიკორუფციული პროგრამა, მძაფრად გააკრიტიკა საქართველოს ხელისუფლება უსუსურობისა და უმოქმედობისთვის და განაცხადა, რომ საქართველოში კორუფციის წინააღმდეგ საბრძოლველად აბსოლუტურად არაფერი კეთდება და რომ კორუფციაშია ჩაძირული მთელი ხელისუფლება! ჯორჯ სოროსი საქართველოში შექმნილი უმძიმესი ვითარებიდან გამოსავალს თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნების ჩატარებასა და ხელისუფლების შეცვლაში ხედავს. შევარდნაძე და ჯორბენაძე კი კვლავ ირწმუნებიან — ამ მიმართულებით „ვმუშაობთ“ და ყველა საფუძველი მზადდება კორუფციის წინააღმდეგ საბრძოლველადო(!).

კარის აჭედვა ისევ მოდაშია

აბაშაში ხალხი აჯანყდა და გამგებლის კაბინეტის კარი აჭედა. ამის მიზეზი გახდა ის, რომ გუბერნატორმა ბონდო ჯიქიამ გამგებლის პოსტზე დასამტკიცებლად პრეზიდენტს კვლავ წარუდგინა ძველი გამგებლის, ბორის ბასალიშვილის კანდიდატურა, აბაშელები კი არჩევნებში გამარჯვებული ცოტნე ჭანტურიას დამტკიცებას ითხოვენ, რომელმაც კონკურენტს 2200 ხმით გაუსწრო. თუ პრეზიდენტი არ მიიღებს სამართლიან გადაწყვეტილებას, აბაშელები მასობრივი გამოსვლებით იმუქრებიან!

დათვლამ შესაძლოა სხვა სურათი მოგვცეს

თბილისის ახალარჩეული საკრებულოს მუშაობის დაწყების საქმე ჩავარდა... საოლქო სასამართლომ „ნაციონალური მოძრაობის“ სარჩელი დააკმაყოფილა და ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ბიულეტენების ხელახალი დათვლა მოსთხოვა. ნაციონალები აცხადებენ, რომ ბიულეტენების ხელახალი გადათვლა გამოავლენს კონკრეტულ დამნაშავე პირებს, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ არჩევნების და მისი შედეგების გაყალბებაში. ექსპერტები არ გამორიცხავენ, რომ ბიულეტენების ხელახალმა დათვლამ თბილისის საკრებულოში პოლიტიკურ ძალთა განლაგების სრულიად ახალი სურათი მოგვცეს ან საერთოდ ბათილად გამოცხადდეს თბილისის საკრებულოს არჩევნების შედეგები!

ჩემპიონატმა პარლამენტი „გააუქმა“

ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებმა პარლამენტის მუშაობის პარალიზება გამოიწვია. სხდომების გახსნა ვერ ხერხდებოდა იმის გამო, რომ დარბაზში, როგორც წესი, 40-50 ფეხბურთის „მოძულე“ დეპუტატი იკრიბებოდა, დანარჩენი „ფანები“ კი ზოგი საკუთარ კაბინეტსა და ფრაქციათა აპარტამენტებში, ზოგიც საკუთარ ვილაში გულშემატკივრობდა „საყვარელ გუნდს“. პარლამენტის სპიკერის, ქალბატონ ნინო ბურჯანაძის მდგომარეობა კი ნამდვილად არ იყო შესაშური... პარლამენტარმა „ფანებმა“ ის სხდომაც კი გააცდინეს, სადაც საკონსტიტუციო ცვლილებების საკითხები უნდა განხილულიყო(!).

მსოფლიო ბანკის მოთმინების ფიალა აივსო

მსოფლიო ბანკმა საქართველოსთვის გამოყოფილი 60-მილიონიანი პროგრამის შეჩერების შესახებ გამოაცხადა და შესაბამისი წერილებითაც აუწყა ეს სახელმწიფო კანცელარიას!

მსოფლიო ბანკიდან საქართველოს ფინანსთა მინისტრმაც მიიღო ბარათი-შეტყობინება, სადაც მეორე, ამჯერად 3,4-მილიონიანი კრედიტის გამოყოფის შეჩერებას იუწყებიან. არადა ეს კრედიტები უკვე გაწერილია 2002 წლის ბიუჯეტში და მათი მიუღებლობა ავტომატურად იწვევს ჰოლანდიის მთავრობის მიერ გამოყოფილი გრანტების შეჩერებას. ეროვნულ ბანკში დღემდე ამაოდ ელიან ჰოლანდიიდან 8 მილიონ გულდენს, რის გამოც ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი ვერ სრულდება... სახელისუფლებო კულუარებსა და პარლამენტში მსოფლიო ბანკის მიერ განხორციელებულ ამ ნაბიჯებს, მთავრობის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობასთან ერთად, უკავშირებენ ამას წინათ თბილისში ბოლო ვიზიტით მყოფი მსოფლიო ბანკის ყოფილი რეგიონალური დირექტორის ჯუდი ო' კონორის მიმართ ავთანდილ ჯორბენაძის მიერ გამოხატულ აგრესიულ პოზიციას და რომ სახელმწიფო მინისტრის ულტიმატუმები იყო ბოლო წვეთი, რამაც მოთმინება დააკარგვინა მსოფლიო ბანკს...

ეჭვმიტანილთა წრე ფართოვდება

სამხედრო პროკურატურამ ვაზიანის ბაზიდან ტანკების ტყვიამფრქვევებისა და რადიოგადამცემთა ქურდობის საქმეზე მე-11 ბრიგადის კიდევ ერთი ოფიცერი ლევან პაპაშვილი დააპატიმრა. იგი სატანკო ბატალიონის ასმეთაურია და ახლახან ამავე საქმეზე დაკავებულ მაიორ ვაჟა გუტაშვილთან ერთად პასუხს აგებს ჯავშანტექნიკის მდგომარეობაზე! გამოძიების მტკიცებით, მე-11 ბრიგადიდან შეიარაღება და აღჭურვილობა წლების მანძილზე იკარგებოდა. თავდაცვის სამინისტრო თავის რიგებში წმენდის დაწყებას გეგმავს! ეჭვმიტანილთა წრე სულ უფრო ფართოვდება და გამოძიების თქმით, მე-11 ბრიგადის ოფიცრებთან ერთად სახმელეთო ჯარების სარდლობის მაღალჩინოსნებსაც ამხელენ და დააკავებენ!

ისევ უგაზობა გველოდება(?!)

თბილისს კვლავ დაემუქრა რუსეთიდან ბუნებრივი გაზის მოწოდების შეწყვეტა, რისი მიზეზიც ამჯერად გახდა 1-ლი ივნისისთვის დაგროვილი 7-მილიონიანი დავალიანება. „საქგაზის“ გენერალური დირექტორი ლეონიდ დეიკალო აცხადებს, რომ „თბილგაზმა“ ჯერ კიდევ ვერ წარადგინა საბანკო გარანტიები გაზის საფასურის წინასწარი გადახდის შესახებ. იმავდროულად, არ არის შესრულებული შეთანხმება ძველი ვალების რესტრუქტურიზაციის თაობაზე. დეიკალომ წარმოადგინა „თბილგაზის“ და თბილისის მერიის მიმართვის ტექსტი „საქგაზისადმი“, სადაც ქართული მხარე სთხოვს „იტერას“, გაითვალისწინოს საქართველოს რთული ეკონომიკური მდგომარეობა და თბილისს გაზის მოწოდება არ შეუწყვიტოს(!). „საქგაზსა“ და „იტერას“ კი სასაცილოდ აღარ ჰყოფნით მსგავსი თხოვნა და უკან დახევას არ აპირებენ...

სტიქიამ სოფელი გარესამყაროს მოსწყვიტა

სენაკთან მდებარე სოფელ საგუჩიოს მოსახლეობა წყალდიდობამ გარესამყაროს მოსწყვიტა. სოფელი ორ მდინარეს — რიონსა და ცივს შორის მოექცა და ყველა მცდელობა, კატარღებით მაინც გამოეყვანათ ხალხი, უშედეგოდ დამთავრდა. წყლის ძლიერმა დინებამ კატარღები გაიტაცა. მოგვიანებით, საქმეში შვეულმფრენები ჩართეს და დროულადაც, რადგან წყლის დონე მატულობდა. სოფლის მოსახლეობა, ძირითადად, მოხუცები, ბავშვები და ქალები სამშვიდობოს გაიყვანეს.

ირიბარენს მანქანით №1-ლი ლეიბორისტი გააცილებს

საკონსტიტუციო სასამართლომ, როგორც იქნა, მიიღო დადგენილება შალვა ნათელაშვილის სარჩელის განხილვის დაწყების შესახებ, სადაც ლეიბორისტთა ლიდერი „ეი-ი-ეს თელასს“ უჩივის და ამ ამერიკულ კომპანიასა და სახელმწიფოს შორის 1998 წელს გაფორმებული ხელშეკრულების გაუქმებას მოითხოვს. ლეიბორისტები ოვაციით შეხვდნენ სასამართლოს გადაწყვეტილებას, შალვა ნათელაშვილმა კი მიულოცა საქართველოს „ახალი მერცხლის მოფრენა, რითაც დაიწყება ბრძოლა უცხოელი ენერგოოკუპანტების საქართველოდან გასარეკად!“ ნათელაშვილმა ისიც თქვა, რომ თუ ამ სასამართლო პროცესს მოიგებს, პირადი ავტომანქანით გააცილებს აეროპორტამდე ირიბარენს და „ეი-ი-ეს თელასის“ სხვა ოკუპანტებს...

„საქართველო ბედნიერია!..“

ბუდაპეშტში გამართულ საზეიმო ცერემონიალზე ზურაბ ჟვანია და მიხეილ სააკაშვილი ჯორჯ სოროსმა პრემიებით დააჯილდოვა და განაცხადა, რომ ამ პრემიით ის პოლიტიკური მოღვაწეები ჯილდოვდებიან, ვინც წარსულში თავიანთი საქმიანობით დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი. „საქართველო ბედნიერია, რომ მას ჰყავს ჟვანიასა და სააკაშვილის მსგავსი ფიგურები!“ — განაცხადა ცნობილმა ფილანთროპმა.

დაჯილდოებულებმა მადლობა გადაუხადეს დამსწრე საზოგადოებას და განაცხადეს, რომ მათთვის დიდი პატივია თანამედროვეობის უდიდეს ადამიანებთან ერთად ამ ცერემონიალში მონაწილეობა და მათგან ჯილდოს მიღება!

კრიმინალური ქრონიკა

სამტრედიის დიაგნოსტიკური ცენტრის დირექტორს ელგუჯა წოწორიას ორი ნიღბიანი და შეიარაღებული ბანდიტი დაესხა თავს გაძარცვის მიზნით, მაგრამ მოხდა იშვიათი რამ: ელგუჯა წოწორიამ ერთ-ერთ თავდამსხმელს იარაღი გამოსტაცა და ორივე ბანდიტი დაჭრა, თვითონ შეხლა-შემოხლისას კი მსუბუქი ტრავმა მიიღო... დაჭრილი ბანდიტები პოლიციამ საავადმყოფოში მიაბრძანა!

სულთმოფენობის ბრწყინვალე დღესასწაულისთვის

სულთმოფენობის ბრწყინვალე დღესასწაულის დღისთვის საქართველოს საპატრიარქოს მოწვევით თბილისში ჩამობრძანდა ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის პატრიარქი პეტრე VII, რომელსაც პაპის ტიტულიც აქვს! საქართველოს პატრიარქ ილია II-სთან გამართული შეხვედრისას, ორმა უმაღლესმა სასულიერო პირმა ქვეყნებს შორის თანამშრომლობისა და მართლმადიდებელ ეკლესიებს შორის ურთიერთობის გაღრმავებაზე ისაუბრეს. შემდეგ ილია II-მ და პეტრე VII-მ სიონის საკათედრო ტაძარში ერთობლივი საზეიმო ლოცვა აღავლინეს. ილია II-მ ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის პატრიარქის ვიზიტს საქართველოში ისტორიული უწოდა. პეტრე VII-მ კი ბრძანა, რომ ის ყოველთვის ლოცულობს საქართველოსთვის და დარწმუნებულია, რომ ამ ქვეყანაში დამყარდება მშვიდობა და კეთილდღეობა!

სულთმოფენობის დღესასწაულზე კი ილია II-მ, პეტრე VII-მ და მცხეთა-თბილისის სამღვდელოებამ სვეტიცხოველში საზეიმო ლოცვა აღავლინეს!

დამანგრეველი მიწისძვრა ირანში

შაბათს, გამთენიისას დამანგრეველი ექვსბალიანი მიწისძვრა მოხდა ირანის ჩრდილოეთ პროვინციებში.

წინასწარი მონაცემებით, 700-მდე კაცი დაიღუპა, ათასობით დაშავდა. მიწისძვრამ დაანგრია და დააზიანა უამრავი შენობა და ათასობით ადამიანი უსახლკაროდ დარჩა.

ირანს უკვე მიაშურეს მაშველმა ძალებმა რუსეთიდან და ევროპის სხვა ქვეყნებიდან. ქვეყანაში შევიდა ჰუმანიტარული დახმარების პირველი პარტიებიც.

თვითმკვლელობა სომხეთში

ერევანში, საკუთარ ბინაში თავი მოიკლა სომხეთის ყოფილმა გენერალურმა პროკურორმა ვლადიმირ ნაზარიანმა. იგი ჩამოხრჩობილი იპოვეს. თვითმკვლელობის მოტივი ჯერჯერობით უცნობია, თუმცა გავრცელებული ხმებით ის დაკავშირებული უნდა იყოს 1999 წლის ოქტომბერში სომხეთის პარლამენტში დატრიალებული სისხლიანი ტრაგედიის გარემოებებსა და გამოძიებასთან...

„მოძულე ადამიანებზე ამბობენ, ისინი არასრულყოფილების კომპლექსით აღბეჭდილნი არიანო. უფრო იმას ვიტყოდი, რომ მათ სხვაგვარი კომპლექსი აქვთ. ისინი მიიჩნევენ, რომ მათ საბედისწეროდ არ აფასებენ სათანადოდ. არ არსებობს განსხვავება ინდივიდუალურ და ჯგუფურ სიძულვილს შორის. მას, ვისაც სძულს ცალკეული ადამიანი, ყოველთვის ძალუძს აჰყვეს ჯგუფურ სიძულვილს, ან გაავრცელოს ეს სიძულვილი. ჯგუფური სიძულვილი — რელიგიური, იდეოლოგიური, სოციალური, ეროვნული — არის თავისებური ძაბრი, რომელიც ითრევს ყველას, ვინც განწყობილია ინდივიდუალური სიძულვილისთვის“...

ვაცლავ ჰაველი

ძნელია თქმა, რომ დღევანდელი ქართველი წინასწარ არის განწყობილი სიძულვილისთვის, მაგრამ ის, რაც ჩვენ ირგვლივ ხდება ჩვენივე მონაწილეობით და რასაც ვხედავთ, გვიჩვენებს, რომ, საუბედუროდ, ჩვენი საზოგადოებისა და ისტებლიშმენტის უმრავლესობა სწორედაც რომ განწყობილია საამისოდ. ქართველთა შორის მძვინვარე ეს სიძულვილი კი, ჰაველისა არ იყოს, ერთი ძაბრიდან მიედინება უზარმაზარ კასრში, ივსება, იღვრება, ხანდახან სკდება კიდეც და წალეკვით ემუქრება ხალხსაც და ქვეყანასაც... ერთ დროს ურთიერთსიყვარულით გამსჭვალული და ძმობა-მეგობრობაზე გადაგებული ქართველობა დამოუკიდებელ სამშობლოში დაემსგავსა მშიერი მგლების ხროვას, რომელიც მზადაა დაგლიჯოს და გამოხრას კიდეც ჯერ კიდევ ცოცხალი თვისტომის ძვლებიც კი. ამ სიძულვილს დასასრული არ უჩანს და თუ ასე გაგრძელდა, დიდ საშიშროებას გვიქადის. ალბათ ესეცაა ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმისა, რომ სიტყვა „სამშობლო“ გადაქცეულია რაღაც მეათხარისხოვან ცნებად. შესაბამისად, ქართველმა კაცმა აღარ იცის, თუ რუს პოეტს ნათქვამს დავესესხები, „საიდან იწყება სამშობლო“ და მხოლოდ ინსტინქტურადღა აღიქვამს იმ ტერიტორიას, რასაც რუკაზე საქართველო ჰქვია! ამ საკითხებზე მოსაზრებების გამოთქმა ვთხოვე ბატონ **ვახუშტი კოტეტიშვილს:**

— ჩემთვის სამშობლო სხვა ცნებაა, სახელმწიფო — სხვა. შეიძლება სახელმწიფო არ გქონდეს, მაგრამ სამშობლო მუდამ არსებობდეს. ასე ვიყავით რუსეთის იმპერიისა და კომუნისტების ეპოქაში, როცა სამშობლო გვქონდა, მაგრამ საქართველო სახელმწიფო არ იყო. იდეალური რეალობა მაშინ არის, როცა შენი სამშობლო იმავდროულად ნორმალური სახელმწიფოა. ჩვენ ვიმყოფებით სტადიაში, როცა სამშობლო გვაქვს და გვინდა, რომ იგი სახელმწიფოდ ვაქციოთ, მაგრამ ჯერჯერობით, ეს მიზანი შორეულ პერსპექტივად რჩება... დიახ, ყველაზე დაბალი ინტელექტის მქონე ხალხისთვის ალბათ გარკვეული ტერიტორიის არსებობით შემოიფარგლება სამშობლოს ცნება. მაგრამ თავისი ტერიტორიის ასეთი აღქმა და სიყვარული ცხოველსაც აქვს და სხვათა შორის, მგლები და ძაღლები უფრო კარგად იცავენ თავიანთ ტერიტორიას, ვიდრე ჩვენ ვიცავთ და ვუვლით საკუთარ სამშობლოს. სამშობლოს შეგნებული სიყვარული და შეგნებული პატრიოტიზმი კი აუცილებლად მომდინარეობს სულიერებიდან. ნუ ეწყინებათ მრეწველებს, რადგან მრეწველობა კი არ გადაარჩენს საქართველოს, რაც რა თქმა უნდა, სასურველია განვითარდეს და აყვავდეს, არამედ საქართველოს გადაარჩენს სულიერება. სულიერებაში არ ვგულისხმობ მხოლოდ რელიგიას და რელიგიურობას, მხედველობაში მაქვს ხელოვნება, კულტურა და ის სულიერი ფასეულობები, რაც შეუქმნიათ თავისი არსებობის მანძილზე ქართველებს და რაც თაობიდან თაობას გადაეცემა დაწერილი, თუ დაუწერებლი კანონებით. ამას უნდა მოფრთხილება. თუ ქართველმა საკუთარი მენტალიტეტი დაკარგა, ეს უკვე საქართველო აღარ იქნება!

კომუნისტების დროს მეც და სხვებიც აღშფოთებულნი ვიყავით იმით, რომ წარწერები იყო ქართულ და რუსულ ენებზე. დღეს უმრავლეს შემთხვევებში მხოლოდ ინგლისურენოვანი წარწერებია. რასაკვირველია, ეს სხვა ქაჯობა და გოიმობაა. არც უცხოური მუსიკის წინააღმდეგი არ ვარ, ახალგაზრდობაში ჯაზით ვიყავით გატაცებულნი და ლუი არმსტრონგი და ელა ფიტცჯერალდიც ძალიან გვიყვარდა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავდა, რომ „წინწყარო“, „მუმლი მუხასა“ და „მრავალჟამიერი“ დაგვევიწყებინა. დღეს კი იქმნება „ქართული სიმღერები“ ქართული სულისთვის სრულიად უცხო რიტმებზე, რომელშიც ვერ თავსდება ქართული სიტყვები და აზრი ვერ გამომაქვს, რას და რაზე მღერიან. ბოლოს და ბოლოს, ისეთი რა გაგვიჭირდა მუსიკალურად უმდიდრეს ერს, რომ ამ უმსგავსობას ვამკვიდრებთ?! საუბედუროდ, ქართველობისთვის უცხო და სრულიად მიუღებელი სხვა ტენდენციებიც გამოიკვეთა. მახსოვს, ჩემს ბავშვობასა და ახალგაზრდობაში მთავარი იყო ბიჭობა. რა თქმა უნდა, იყვნენ ე.წ. დედიკოს ბიჭებიც, მაგრამ ისინიც კი ცდილობდნენ ვაჟკაცური იერი ჰქონოდათ ცხოვრებაშიც და საქმიანობაშიც. დღეს კი, უკნიდან რომ შეხედავ, ვერ გაიგებ, ბიჭი მიდის თუ გოგო. ე.ი. მოძრაობა, მანერები, ვარცხნილობა თითქმის ერთნაირი აქვთ. იმავე ქართულ ესტრადაზე დგანან ბეხლეწი ბიჭები და ქალურად წრიპინებენ და კატებივით კნავიან! ეს უკვე საშიში ტენდენციებია, ვინაიდან სულიერი გადაგვარების დასაწყისს ვხედავ უკვე!

— **დაუმატოთ ამას ელემენტარული ყოფითი კულტურის უმდაბლესი დონე ყველგან, დედის გინება გამარჯობა-გაგიმარჯოსავით. შუა ქუჩაში მანქანების გაჩერება და მოძრაობის შეფერხება და დავსვათ კითხვა — საიდან იწყება დღევანდელი ქართველისთვის სამშობლო?!**

— სამშობლო სადარბაზოდან და ქუჩიდან არ იწყება, იწყება შენგან, შენი შინაგანი არსებიდან, რომელშიც ჩადებულია წინა თაობების კოდი და მენტალიტეტი. კულტურული მემკვიდრეობა არ უნდა გაძლევდეს უფლებას, რომ იქცე პირუტყვად. ქართველი ვარ — ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ქართულ ენაზე ვმეტყველებ, არც იმას, რომ ამ გეოგრაფიულ გარემოში დავიბადე და აქაური მთა-ბარი მომწონს. ქართველობა არის შინაგანი ერთობლიობა იმ სულიერებისა და მსოფლმხედველობისა, რისი მატარებელიც ვარ. შუა ქუჩაში რომ ორი მანქანა გაჩერდება და მათი პატრონები ერთმანეთს ელაზღანდარებიან, მოძრაობა კი ჩერდება, რა არის ეს?! უკულტურობა, პირუტყვობა, მაპატიეთ და, სხვათა ადამიანური ღირსების ფეხებზე დაკიდება. არადა ქართველისთვის არ იყო მსგავსი რამ დამახასიათებელი. როდესაც ადამიანი სულიერებას კარგავს, ნელ-ნელა ცხოველური ინსტინქტები იღვიძებს მასში და მტაცებლური მენტალიტეტიც უყალიბდება. დოსტოევსკის შეგონება — თუ ერთი ბავშვის თვალზეც კი ცრემლია, როგორ შეიძლება ბედნიერი ვიყო — რა თქმა უნდა, მათი გონებისთვის მიუწვდომელია. დოსტოევსკიზე გამახსენდა. ამას წინათ ერთი ცნობილი პიროვნების ნათქვამი „ჩვენ ყველანი დოსტოევსკის „დეგენერატიდან“ მოვდივართო“. დოსტოევსკის „დეგენერატიდან“ კი არ მოდიან, უბრალოდ, დეგენერატები არიან!

ქართველ ხელისუფალთათვის სამშობლო იწყება ფულიდან, მათი თავი და საჯდომი არ განსხვავდება ერთმანეთისგან

საღვაძორ დალის ეკუთვნის ფრაზა: „ყველაფერი, რასაც ტრადიცია არ უდევს საფუძვლად, პლაგიატიაო“. ჩვენ კი არ ვუფრთხილდებით უმდიდრეს ტრადიციებს და უბადრუკ პლაგიატორებად მოვჩანვართ.

— **ხელისუფლების ქმედებას და პასუხისმგებლობასაც შევეხოთ, ბოლოს და ბოლოს, ისინიც ქართველები არიან, ჩვენი საზოგადოებიდან გამოსულნი, როგორც უმრავლესობისათვის, როგორც დრომ გვიჩვენა, როგორც ჩანს, „სამშობლო“ იწყება ფულიდან და მთავრდება კვლავ ფულით, თანაც ბინძური ფულით...**

— მე და თქვენ მაღაზიიდან რომ პური მოგვეპარა, ციხეში ჩაგვსვამდნენ. როგორც ჩანს, ჩვენს ქვეყანაში ცოტას ქურდობისთვის ისჯები, მაგრამ თუ ძალიან ბევრი მოიპარე — ხელშეუხებელი ხარ! ასეთი საზოგადოება შექმნა ჩვენმა ხელისუფლებამ. ამიტომ, ყველა დამნაშავეა, ვისაც კი რაიმე მოეკითხებოდა და დღესაც მოეკითხება ამ ქვეყანაში. არა ვარ ის კაცი, რომ ამ ჩინოვნიკ-ქურდების დასჯით გავიხარო, მაგრამ მათ უნდა ჩამოერთვას ნაქურდალი ფული და დაუბრუნდეს ხალხს! ქართველ ხელისუფალთათვის სამშობლო იწყება ფულიდან, სკამიდან და მაპატიეთ, საკუთარი საჯდომიდან. მეტიც, მათი თავი და საჯდომი არ განსხვავდება ერთმანეთისგან.

70-იან წლებში ინტელიგენციის წარმომადგენლები დაგვიბარეს ცეკაში და გვკითხეს — რა ვქნათ, რით ვუშველოთ ჯავახეთსო?! მე ვუთხარი და სხვებიც ამყვნენ: კარგი იქნება, თუ ახალქალაქში რომელიმე დიდ საწარმოს გადაიტანთ, რომელსაც გაჰყვებიან ოსტატები, ინჟინრები, მუშახელი ადგილობრივი იქნება და დასაქმდება-მეთქი. მაგრამ ყველაზე კარგი იქნება, თუ ვთქვათ, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს გადავიტანთ ახალქალაქში, შევქმნით იქ საუნივერსიტეტო ქალაქს. წავა იქ პროფესურა, ახალგაზრდობა, მათი ნაწილი დასახლდება და ქართული გარემო შეიქმნება-მეთქი, მაგრამ, არა. მაშინაც ფეხებზე ეკიდათ სამშობლო. არადა კომუნისტებს გაუჭირდებოდათ ამის გაკეთება? როცა ფერეიდნელები ჩამოასახლეს და გაფანტეს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, ვითომ უკეთესად მოხდებოდა მათი ადაპტაცია, დიდი შეცდომა გახლდათ. ჯერ იყო და ფერეიდნელებს ალაგ-ალაგ თათრებსაც ეძახდნენ დაბალი ინტელექტუალური დონის ქართველები, რითაც ძალიან ატკინეს მათ გული. სიმწრით ამბობდნენ: „რა თათარი, რის თათარი კაცო, სამი-ოთხი საუკუნე გამიძლია სპარსეთში, ქართული ენა შემინარჩუნებია, პურს რომ ვაცხობ, ჯვარს ვასვამ და ამის ღირსნი ვართ?!“ ჩემი ფერეიდნელი სტუდენტი ცხონებული რეზო მიქელაძე მეუბნებოდა თავის დროზე: ჩვენ უნდა დავესახლებინეთ ჯავახეთში, რადგან ეს რეგიონი კლიმატური და ბუნებრივი პირობებით ძალიან ჰგავს ფერეიდანს. კახეთიდან კი გადაგვასახლეს, მაგრამ ფერეიდანში ვაზი არ ხარობს და დაგვავიწყდა მევენახეობა. გავხდით მესაქონლეები და ჯავახეთში რომ კომპაქტურად ჩაგვასახლონ, ჯერ ერთი, საიმედო ზღუდე ვიქნებით საქართველოს სამხრეთი საზღვრისა და მეორეც, მთელ საქართველოს ხორცითა და რძის პროდუქტებით უზრუნველყოფთო! კაციშვილმა არ მიუგდო ყური ამ ჭკვიან კაცს! შეცდომას შეცდომაზე უშვებდა ხელისუფლება და ასეა დღესაც!

— **და მაინც, რატომ სძულთ ქართველებს ერთმანეთი? ესეც „ქვეტკიცურ კოდში“ გვაქვს ჩადებული?**

— დღეს ბოროტების და სიძულვილის ზეობის ხანაა. შინაგანად ჩვენ ამ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ღირსნი არ აღმოვჩნდით, არ დაგვიმსახურებია ეს. საქართველო პოლიტიკურად დაემსგავსა უმწყემსოდ და უძაღლოდ დარჩენილ და ნაპირებშემოძენძილ ცხვრის ფარას. ასე შემოგვეძენძა აფხაზეთი, სამაჩაბლო. დიახ, ინდივიდუალისტები ვართ, მაგრამ იმავდროულად თანადგომის კოდი დევს ჩვენში. ჩვენ რომ მეგობრობა და ურთიერთგაგება ვიცით, ესეც იშვიათია. არ არის დამახასიათებელი ქართველი კაცისთვის გულღრძოობა და ბოროტება. უბრალოდ, ეს მოიტანა უმძიმესმა სოციალურ-ეკონომიკურმა პირობებმა. თუ ადამიანს გამოაცალე ყველაფერი, რაც ადამიანურობასთან არის დაკავშირებული და მათხოვრისა და პირუტყვის მდგომარეობაში ჩააყენე, ის ცხოველად გადაიქცევა და მისგან დანდობას ნურავინ ელის. მოვა არჩევნები და იქნებ მაშინ მაინც გავიხსენოთ ყველამ, რომ ვართ მოქალაქეები და არა გაურკვეველი დანიშნულების მქონე ცოცხალი არსებები. ავირჩიოთ ნორმალური ადამიანები და ნორმალური ხელისუფლება.

— **გადარჩენამდე მისვლას „ლოკომოტივი“ სჭირდება. თუ ადრე ერის წინამძღოლის ფუნქციას მწერლობა, ინტელიგენცია ასრულებდა, დღეს ეს ფენაც გახლეჩილია უამრავ დაჯგუფებად და მათ შორისაც წრეგადასული სიძულვილი მძვინვარებს...**

— მამაჩემი და კონსტანტინე გამსახურდია ძმადნაფიცი „შავჩოხოსნები“ გახლდნენ და მაშინდელ გაზეთში „ქართული სიტყვა“ ისეთი უმძაფრესი პოლემიკა იყო გაჩაღებული აღმოსავლური და დასავლური კულტურების შესახებ, ვახტანგ კოტეტიშვილსა და კონსტანტინე გამსახურდიას შორის, დღეს რომ რაიმე თემაზე მსგავსი კამათი გაიმართოს, მოსისხლე მტრები გახდებიან. მაშინ კი ნამდვილ მეგობრებად რჩებოდნენ. მაგალითად, მამაჩემი პრესაში მიხეილ ზანდუკელს ეკამათებოდა ალექსანდრე ყაზბეგის ავტორობის თაობაზე. თურმე, მთელი ღამე გაგრძელდა დასკვნითი პოლემიკა რუსთაველის თეატრში და გათენებისას დაიშალა ხალხი. დავა იყო იმაზე, დიმიტრი ყაზბეგს ეკუთვნოდა ეს ნაწარმოებები თუ ალექსანდრე ყაზბეგს (დიმიტრი ალექსანდრეს ბიძაშვილი გახლდათ). მამაჩემმა დაამტკიცა, რომ ალექსანდრე იყო ავტორი. არადა მამაჩემს რომ არ დაესაბუთებინა ეს, დღეს „ელგუჯასა“ და სხვა ნაწარმოებთა ავტორად დიმიტრი ყაზბეგი გვეყოლებოდა! ამას იმიტომ ვამბობ, რომ კორექტულობის ზღვარს არ გასცდენია პოლემიკა. დღეს კი რა ხდება? საშინელებაა, როცა მწერალთა კავშირის ზოგიერთი ბოლას ნაწერებს კითხულობ. ეს არის უკულტუროობა და უმდაბლესი დონე. როგორც ჩანს, ხელისუფლებას სჭირდება ასეთი მყეფარნი, რათა მიუსიოს სხვებს. ჩვენს ხელისუფლებას ამით უდგას სული, ამით არის დაკავებული და ხალხი ფეხებზე ჰკიდია. ეს ალიაქოთი კი იმართება სახელმწიფოს უმაღლესი ეშელონებიდან და არც იმის თქმას მოვერიდები, რომ ამას მართავს პრეზიდენტი. მაგალითად, ვინ არის ლევან მამალაძე? არარაობაა, მაგრამ მამალაძის მსგავსი ხალხი სჭირდებათ. თუ მამალაძე ზომაზე მეტად წამოყეყლეავდა თავში ჩაარტყამენ, ჩააჩუმებენ და ახალ მამალაძეს გამოუშვებენ ასპარეზზე და გრძელდება ასე! ამ დროს კი ქართველ ხალხს სული ხდება, ქართული კულტურა თითქმის მოკვდა და უნდა გაგვიკვირდეს, როცა ვიღაც ნიჭიერი გამოჩნდება ხოლმე... მწერალთა კავშირი ჯერ კიდევ კომუნისტების დროს დავბოვე, როცა მუხრან მაჭავარიანი იყო თავმჯდომარე. ჩემი პროტესტი განპირობებული იყო იმით, რომ მთარგმნელობითი კოლეგიის თავმჯდომარეს ოთარ ნოდიას საზიზღრად ექცეოდა მწერალთა კავშირი, რომელიც ამ ამბებს გადაჰყვა და გარდაიცვალა. ოთარ ნოდიას ხსინდნენ თავის მიერვე დაარსებული მთარგმნელობითი კოლეგიის თავმჯდომარის პოსტიდან. ჩემთან ერთად მწერალთა კავშირი დატოვეს მიშა ქვლივიძემ, ნაირა გელაშვილმა, ზურაბ კიკნაძემ და ცხონებულმა იურა ბაქანიძემ. უკვე დაწყებული იყო საბჭოთა კავშირის რღვევა და უნდოდათ, თავისი კაცი დაენიშნათ კოლეგიის თავმჯდომარედ, რომელთანაც ადვილად მოაგვარებდნენ საქმეს და თბილისის მერიის გვერდით მდებარე კოლეგიის შენობას მიჰყიდდნენ კერძო ბანკს... მოგვიანებით მიჰყიდეს კიდეც. გარდა ამისა, სურდათ სმირნოვის მიერ კოლეგიისთვის დატოვებული ბინის და უნიკალური სამუზეუმო ნივთების ხელში ჩაგდება, რათა გაეყიდათ ისევე, როგორც გაიყიდა მწერალთა კავშირის სარაჯიშვილისეული ავეჯი, ლარნაკები, ნივთები და მხოლოდ ღომისა და ვეფხვის ორი გაქუცული ფიტულიღა დარჩა.

კაცი რომ დაგიწერს: „ვახუშტი კოტეტიშვილი კრუხივით ზის ტელეეკრანზე და ვერ გაიგებ, ხმა საიდან ამოსდისო“, ანუ კაცი რომ დაგცინებს — ნაოპერაციები ხარ, მილი გაქვს ყელში ჩადგმული და ძლივს ღაპარაკობო — რაღაზე უნდა ველაპარაკო. არც მიკადრია წივწივაძისთვის პასუხის გაცემა, ოღონდ შევუთვალე — მოდი, ყური მომადე და გაიგებ, საიდან რა ხმა ამომდის-მეთქი. ამ კაცმა იმდენ ხალხს მიაყენა შეურაცხყოფა, ღამის მთელი ქვეყანა ჰყავს გალანძღული. ზურაბ კიკნაძეს „დასცინის“, როგორც მკვდარი ენების სპეციალისტს(!). ე.ი. შუმერული, აქადური, ძველებრაული და ძველბერძნული ენები რომ იცის ზურაბ კიკნაძემ, „ოდისეა“ რომ თარგმნა ორიგინალიდან, თურმე ეს ყოფილა დასაცინი. ხოლო, როცა არც ერთი უცხო ენა არ იცის, მეტიც, ქართულიც არ იცის ხერხიანად და კვახჭირულ (სოფელი კვახჭირი) დიალექტზე მეტყველებს, ეს ყოფილა ქართული და საქმე!

ზურაბ მჭედლიშვილი

ვის შოუს ემსხვერპლა პიტერ შოუ?!

საქართველოში გრძელდება კრიმინალების მიერ ადამიანთა გატაცება. შს მინისტრი კობა ნარჩემაშვილი დღემდე ვერ იძლევა გარანტიას, რომ „აგრობიზნესბანკის“ გენერალურ დირექტორს პიტერ შოუს უახლოეს დღეებში გაათავისუფლებენ. გავლენიანმა ინგლისურმა გაზეთებმა თბილისი კორუფციისა და განგსტერების ქალაქად გამოაცხადეს...

საქართველო საერთაშორისო სკანდალში ეხვევა. ორცეცხლშუა ჩავარდნილი ქვეყნის პრეზიდენტი, ერთი მხრივ, ევროკომისიაში სინანულის წერილს აგზავნის, მეორე მხრივ კი, მთელ პასუხისმგებლობას ქართველ ძალოვნებს აკისრებს და, საქმის გაუხსნელობის შემთხვევაში, მათ თანამდებობებიდან მოხსნით ემუქრება.

საქართველოში პიტერ შოუ დაახლოებით ექვსი წლის წინ ჩამოვიდა. სწორედ მის პერიოდში ხდება სკანდალური კრედიტების გადანაწილება, ქართული ბანკების გაკოტრების საქმეები და სასამართლო პროცესები; როგორც ამბობენ, გატაცების მეორე დღეს პიტერ შოუ დიდ ბრიტანეთში აპირებდა გამგზავრებას, ბარგი უკვე გაგზავნილიც ჰქონია.

პიტერ შოუ საქართველოში ჩამოსვლისას ევროკავშირის პროექტს ხელმძღვანელობდა. ერთ წელიწადში იგი ევროკავშირის საპარტნიორო ფონდის თავკაცად ინიშნება და მის ხელში ხვდება საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის გამოყოფილი ინვესტიციების განაწილება.

მის სახელს უკავშირდება ოთხი კომერციული ბანკის გაკოტრება, რასაც მოჰყვა რამდენიმე წლის განმავლობაში ევროკავშირის საპარტნიორო ფონდში სკანდალები, სასამართლო პროცესები „თბილუნივერსალბანკთან“, „მერკურთან“, „ვითასთან“ და ა.შ.

დასახელებული ბანკების გაკოტრებული მმართველები პიტერ შოუს საეჭვო მაქინაციებში ადანაშაულებდნენ. ამის შემდეგ პიტერ შოუს საპარტნიორო ფონდიდან ათავისუფლებენ, თუმცა მიუხედავად ამისა, ის მაინც თბილისში რჩება. ამჯერად იგი „აგრობიზნესბანკის“ მმართველად აგრძელებს მუშაობას.

გენერალური პროკურორი არ გამორიცხავს, რომ შოუს გატაცება უკავშირდება წინა დღეს ბრიუსელში „აგრობიზნესბანკთან“ დაწყებულ მოლაპარაკებას, რომელიც ეხებოდა საქართველოს აგრარული სექტორისათვის 1 მილიონი ევროს გამოყოფას. შესაძლოა, მისი გატაცება ამ ტენდერის ჩაშლისკენაც იყო მიმართული (საბედნიეროდ ტენდერი არ ჩაშლილა).

შს მინისტრის, კობა ნარჩემაშვილის განცხადებით, პიტერ შოუ ბუდაპეშტის ქუჩაზე მდებარე „აგრობიზნესბანკიდან“ თანამშრომელთან ერთად გამოვიდა. მათ მოილაპარაკეს, საღამოს შეხვედროდნენ ერთმანეთს ერთერთ ღამის კლუბში. ამის შემდეგ პიტერ შოუ საკუთარი „შკოდით“ გამსახურდიას გამზირს კვეთს და იოსებიძის ქუჩაზე უხვევს, სადაც მის მანქანას უახლოვდება ავტომანქანა, რომელშიც სამხედრო ფორმაში ჩაცმული სამი პირი ზის. პიტერ შოუს ისინი მანქანიდან გადმოსვლას სთხოვენ, ბრიტანელი ბანკირი მათ წინააღმდეგობას უწევს. შემთხვევის ადგილზე ამ დროს გამოიარა საგზაო პოლიციის პატრულის ჯგუფმა. ისინი შეეცადნენ სიტუაციაში გარკვევას და „კოლეგების“ დახმარებას. თავდამსხმელები დაიბნენ და წამიერად უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. ამასობაში, თავდამსხმელების დამხმარე ძალა, ახალი მანქანაც გამოჩნდა. ოთხი პირი ახალმოსული მანქანიდან გამაფრთხილებელ გასროლას ახდენს და პიტერ შოუს გატაცება მაინც ხერხდება.

„კვირის პალიტრა“ შეეცადა გასაუბრებოდა საგზაო პოლიციელებს, რომლებმაც პოლიციელობა ვერაფერში გამოიყენეს. თუმცა, როგორც გამოძიებამ, ისე პოლიციის შესაბამისმა უწყებამ მათი ვინაობა არ გაგვიმხილეს.

შსს და უშიშროება შოუს მპოვნელს 15 ათას დოლარს ჰპირდება.

რამდენად ვართ განგსტერების ქვეყანა და კორუფციის ბუდე, და თუ არ ვართ, რამდენი გვაკლია ამ „საპატიო“ წოდებამდე? სხვათა შორის, ამის შესახებ განცხადება სოროსის ფონდმაც გააკეთა და მიანიშნა, რომ ქვეყანაში კორუფციას და გრანტებს პრეზიდენტიც კი ვეღარ აკონტროლებს. ერთი სიტყვით, ყველა ჭკუას გვარიგებს(!), მაგრამ ჩვენ მაინც ვჯიუტობთ.

მარინა მამისაშვილი

წმინდა სამების მაძლი გფარავდეთ

„ღირს არს ჭეშმარიტად“

გასული კვირა სულთმოფენობის საუფლო დღესასწაულით გასრულდა, თუმცა არ გასრულებულა მართლმადიდებელ ქრისტიანთა ზეიმი — სულთმოფენობას ხომ სულიწმინდის დღე, სამებობა მოჰყვება. მკითხველს შევახსენებთ, რომ თბილისში, სამების სახელზე ორი მოქმედი ეკლესიაა, ხოლო ამჟამად მშენებარე საკათედრო ტაძარი, თბილისელების გასახარად ქალაქს თავს რომ დაჰყურებს, თავის დღესასწაულს და მრევლს ელის...

ამავე დღეს, ორშაბათს, არის ხსენება ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატისა — „ღირს არს“ („მიწყალე“). ამ ხატის საქვეყნოდ განდიდებას უკავშირდება ერთი საინტერესო ეპიზოდი: ათონის მთაზე, ერთ-ერთი მორჩილი კელიაში ღამისთევის ლოცვას აღასრულებდა. ამ დროს მას ესტუმრა უცნობი მონაზონი და ერთად იწყეს ღვთისმსახურება. როდესაც ღვთისმშობლის ხატის წინ უძველესი საგალობელი — „უპატიოსნესსა ქერუბინთასა“ — დაასრულეს, სტუმარმა ბრძანა: „ჩვენთან ასე არ უგალობენ ღვთისმშობელს, ჯერ ვგალობთ „ღირს არს ჭეშმარიტად, რათა გადიდებდეთ შენ, ღვთისმშობელო, რომელი სანატრელი იქმენ ყოვლად უბიწო და დედად ღვთისა ჩვენისა“ და შემდეგ — დანარჩენს.

სტუმარმა, რომელმაც თავს გაბრიელი უწოდა, ქვაზე გადაიტანა ტექსტი და დაუბარა მორჩილს, გაევრცელებინა ეს გალობა ქრისტიანთა შორის. თავად კი გაუჩინარდა. ამ პერიოდიდან დაკანონდა მთავარანგელოზ გაბრიელის მიერ (სწორედ ის გამოეცხადა მორჩილს) ბოძებული მშვენიერი საგალობელი „ღირს არს“, ხოლო ხატი, რომლის წინაც აღესრულა გალობა, დღესაც ათონის მთის ერთ-ერთ მონასტერშია დაბრძანებული და მრავალ სასწაულს ახდენს.

სულთმოფენობის შემდგომ ოთხშაბათს კი საქართველოს მართლმადიდებელი სამწყსო აღნიშნავს მცხეთის ჯვრის დღესასწაულს.

მცხეთის ჯვრის დღესასწაული ერთ-ერთი უძველესია საქართველოს ეკლესიაში. იგი თითქმის ქართლის მოქცევის თანადროულია, ანუ ქართლის პირველი ქრისტიანი მეფის, მირიანის დროსაა დაწესებული. საბერძნეთიდან მოსულმა მღვდლებმა მირიანს ჯვრის აღმართვა შესთავაზეს. ღამით მეფეს ჩვენებაში ანგელოზმა მიუთითა მცხეთის მახლობლად, არაგვის მეორე ნაპირზე ბორცვი, რომელზეც ჯვარი უნდა აღმართულიყო. ჯვრის აღმართვიდან ცოტა ხნის შემდეგ, სახელდობრ, სულთმოფენობის შემდგომ ოთხშაბათს, დიდი სასწაული იხილეს: ჯვარს დაადგა 12 ანგელოზით გარშემორტყმული და 12 ვარსკვლავისაგან შედგენილი გვირგვინით შემკობილი სვეტი ნათლისა, იხილეს აგრეთვე ცეცხლოვანი ალი, მზეზე სამგზის ბრწყინვალე: ჯვარზე უფლის ანგელოზები ადიოდნენ და ჩამოდიოდნენ.

ქართლის მოქცევაში მცხეთის ჯვრის აღმართვას მრავალი სასწაული უკავშირდება. სწორედ ამ ადგილზე აუგიათ ჩვენს წინაპრებს ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების თვალსაჩინო ძეგლი, ჯვრის მონასტერი.

მაძლობა ყველას, ვინც არ დაიზარა, №23 „კვირის პალიტრაში“ მოთავსებული საკმაოდ ვრცელი ანკეტა შეავსო და გამოგვგზავნა.

თქვენ ამით დიდი დახმარება გაგვიწიეთ და საინტერესო ინფორმაციაც მოგვაწოდეთ ჩვენი მკითხველის (თქვენს) შესახებ.

მაგ., გაირკვა, რომ: მკითხველთა 80%-ს უმაღლესი ან არასრული უმაღლესი განათლება აქვს; დასაქმებულთაგან 45% სახელმწიფო ორგანიზაციებში მუშაობს, 55% კი კერძოში ან თვითდასაქმებულია; ყოველთვიური შემოსავალი მკითხველთა ოჯახების უმრავლესობისთვის 200-დან 700 ლარამდეა; „კვირის პალიტრას“ ძირითადად (90%) ორშაბათობით ყიდულობენ და საშუალოდ ერთ ეგზემპლარს 4 ადამიანი ეცნობა. გამოიკვეთა ის რუბრიკებიც, რომლებიც ყველაზე მეტად გაინტერესებთ. თანაც სასიხარულოა, რომ თუ ადრე ფავორიტებში ძირითადად 4-5 რუბრიკა ფიგურირებდა, ახლა მათმა (თქვენი ფავორიტების) რაოდენობამ ათეულს გადააჭარბა.

და რაც ყველაზე ფასეულია ჩვენთვის — თქვენი რჩევები და სურვილები, რომელთა გათვალისწინებას აუცილებლად ვეცდებით. შესაძლოა „კვირის პალიტრის“ უახლოეს ნომრებში შემოთავაზებულ სიახლეებში თქვენი რჩევების კვალიც ამოიკითხოთ.

„კვირის პალიტრა“

ფაიზალი ვარიანტი

ანუ დღევანდელი „სიბრძნე სიცრუისა“)

ამსოფლიო ჩემპიონატი მთავრდება და თბილისურ ტოტალიზატორებში დღითი დღე კლებულობს მოთამაშეთა რაოდენობა — ბევრმა ხელი ჩაიქნია და ისეთებიღა დარჩნენ, ვინც სათამაშო ფული ბოლომდე გამოიზოგა, ზოგს კი (და ასეთები არცთუ ცოტაა), უბრალოდ წასასვლელი არსად აქვთ.

აი, ზის გაყინული მზერით მოციმციმე ტელეეკრანთან, წინ ნათხოვარი თუ ნამათხოვრალი ცხრილები უდევს და უკვე ერთი საათია ბუტბუტებს: „გერმანია დაიწყებს?.. არა, კანი ყოველთვის მოედანს ირჩევს... რავი, მე ჩემი ბედის დედა... დაწყება — ადინ დევიტ, პირველი გოლი — იასნია, გერმანია შეაგდებს — ადინ პიატ, გოლები მეტი გავა — ერთი და სამოცდახუთი, თუ მეტი გავა, ზნაჩიტ პირველი გოლი ოცდამეათე წუთამდე იქნება — ადინ სემ, კუთხურებიც მეტი — ადინ დევიტ... გაფრთხილება — ამერიკას, მაგრამ რა ვიცი, ვირები არიან ეს გერმანელები, გააქანოს და ხიოს წიხლი იმ იანკერმა ზაშიტნიკს, ხო დამერხა...“ სკოჩით გადაწებებულ ორლარიან კალკულატორს აწრიპინებს ერთხანს... „თხუთმეტი და ერთია... ლარ-ნახევარი მაქვს, ამის დედა ვატირე, ოცდასამ-ნახევარი ლარი გამოდის... არადა, ფაიზაღი ვარიანტია, ერთი თუმანი იყოს ახლა, ასორმოცდაათი ლარი არ გამშლიდა წელში?!“ წამით აღტაცების, ოცნებისა თუ იმედის ნაპერწკალი ენთება თვალებში, აქეთ-იქით იყურება და ვიღაც „ფრაერს“ მიმართავს:

— ძმაკაც, უეჭველი ვარიანტი მაქვს, თხუთმეტკუშიანი, პაპალამ ვითამაშოთ!

— როგორ — პაპალამ?

— თამაში იწყება, ფული დამიგვიანეს... ოცი ლარი დადე, სამასს დავატაკებთ! პა-სტოპიისიატ ავიღოთ. შანსი არ არი, მაგრამ თუ გაიმაზა, მთლიანად გიბრუნებ ოც ლარს, შენი წილიანად — აქა ვარ, ძმაო, არსად არ მივდივარ, მაყუთს მომიტანენ და ერთად ვუყუროთ...

„ფრაერი“ მართლა „ფრაერი“ აღმოჩნდა — ან ძალიან „მწვანე“ იყო, ან „პროფესიონალის“ წინ დაწყობილმა ცხრილებმა და ციფრებით აჭრელებულმა ქაღალდებმა გაჭრა — დათანხმდა! ოცლარიანი ამოიღო სქელი საფულედან და როდესაც „პარტნიორის“ აცახცახებულ ხელში ჩაკუჭული დაინახა და სალაროსკენ მიმავალი თხემით ტერფამდე აათვალიერ-ჩაათვალიერა, „ფრაერი“ კი იყო, მაგრამ ბრმა — არა: მაშინვე მიხვდა, რომ გიჟთან დაიჭირა საქმე.

„აუ, ეს როჟა გამეჩითა ერთი-ორი კვირით ადრე, ხო ავშენდებოდი... სენეგალის გასვლაზე ჩემ გარდა არავინ არ ბაზრობდა... არა უშავს, დარჩენილ თამაშებზეც მოვასწრებთ...“

კომპიუტერთან მჯდარ გოგონას „ნაცნობის“ ხელში ოცლარიანის დანახვა გაუკვირდა:

— მთლიანად დებთ?!

— რა გაგიკვირდა, მეტი არ დამიდია?! — გოგონამ მხრები აიჩეჩა, დაბეჭდილ ქვითარს უხალისოდ მოაწერა ხელი და ამრეზით მიაწოდა კლიენტს.

ოცლარიანით მოპოვებული „ავტორიტეტის“ შელახვა არ უნდოდა და სხვა სარკმელს მიადგა — თავისი ლარ-ნახევარი სრულიად საპირისპირო ვარიანტზე დადო: „რა იცი, რა ხდება... სახლში ფეხითაც მივალ...“

— გაიფიქრა...

— აი, ძმაო, პირველ ტაიმშივე დაჯდება ყველაფერი. ამ ჩემპიონატზე მარტო გერმანიას უნდა ენდო... — გვერდით მიუჯდა და მხიარულად გადაულაპარაკა ახალ პარტნიორს. ტელეეკრანზე უკვე გერმანიის ნაკრები ჩანდა ჰიმნის აკომპანიმენტის ქვეშ.

თამაში გერმანელებმა დაიწყეს და ოცლარიანმაც ჩაილურის წყალი დალია.

— შენ რა თარსი ხელი გქონია, ძმაო! — და „ფრაერის“ არცთუ „არიფულ“ მზერას რომ წააწყდა, შეცბა — სიტყვა სიტყვაა! მაყუთს მოიტანენ და შენს ოც ლარს გიბრუნებ.

— დავაი, რა, ბიჭო!.. არ მინდა ოცი, ათი ლარი მომე დროზე და შემეშვი!

— ჰო, რა... ახლავე...

პირველი აუტი ამერიკელებმა მოაწოდეს, პირველი კუთხურიც, 30 წუთიც მიილია და გოლი არ ჩანს, „პარტნიორმა“ თავისი ბილეთები გამწარებულმა დახია და „ამას“ შეუღრინა:

— ჰა, სად არი შენი მაყუთი... არ გამეპარო!

— მე ის კი არა ვარ... მობილზე დავრეკავ და მოვალ... — სალაროებისკენ წალასლასდა, ზურგზე მწველ მზერას გრძნობდა... ვიღაცას მობილური სთხოვა:

— მარტო ზარს გავუშვებ.

სახლის ნომერი აკრიფა, ისე, მევალის დასანახად. მისგან ზურგით შებრუნდა, ცოტა ხანს ზუმერს უსმინა და ტელეფონი პატრონს დაუბრუნა.

ახალმა ნაცნობმა წამით მოაშორა მზერა და ამან ტიხარს იქით გაუჩინარება მოასწრო, ხალხში გაერია.

„სხვა გასასვლელი მაინც იყოს, ეს მინდოდა ახლა?.. მაგის თარსი დედა ვატირე“ — ახალ „პარტნიორს“ აბრალებდა წაგებას. მეორე ტაიმი უკვე დაწყებულიყო, გერმანელები 1:0-ს იგებდნენ. უცებ თავისი ლარნახევრიანი ბილეთი გაახსენდა, ფართხაფურთხით ამოიღო ჯიბიდან და ისევ კალკულატორი აწრიპინა — ორმოცდაორი ლარი გამოდიოდა, ყველაფერი „გარტყმული“ ჰქონდა, ოღონდ თამაშის ბოლომდე კიდევ ერთ გოლზე მეტი არ უნდა გასულიყო! ამ დროს გაცეცხლებულ „ფრაერს“ მოჰკრა თვალი — აშკარად მას ეძებდა. მაგიდასთან მჯდომი ნაცნობის გვერდით ჩაცუცქდა, ხალხს ამოეფარა.

— რა არი?! — შემოუღრინა ნაცნობმა.

— აი, ნახე, რა ბილეთი მაქვს. ხო ხედავ, რა თამაშია, აქ გოლი აღარ გავა. ოცდაათი ლარი მომეცი, ნახევარ საათში ორმოცდაორს აიღებ. დამირეკეს, მეჩქარება. მე ვერ დაველოდები.

იმან ბილეთი და კალკულატორი გამოართვა და დათვალა.

— ვა, საღოლ! მართლა ორმოცდაორი ლარი გამოდის. რა გინდა — ნახევარი საათი დაელოდე და აიღებ.

— ოც წუთში სხვაგან უნდა ვიყო. მომე ოცდაათი ლარი!

— შემეშვი, რა! ჩემი ბედი რო ვიცი, ამას ვიყიდი და მერე ხუთი გოლი გავა...

— იტოგში, რამდენს მომცემ?

— ოც ლარს.

სხვა კლიენტის მოძებნას აპირებდა, მაგრამ ხალხის მასიდან ნაცნობი ხმა მოესმა: „სად არი ეს ახვარი...“

— ჰო, კარგი, მეჩქარება. მომე ოცი ლარი.

— რამე ნაჩალიჩარი ბილეთი ხო არ არი, ბიჭო!

— არა, ძმაო, პირველად მხედავ?!

ორი ათლარიანი ჯიბეში ჩაიკუჭა და დიდი ტელევიზორის წინ მდგარ მევალეს მხარზე დაადო ხელი:

— სადა ხარ, ძმაო, ნახევარი საათია გეძებ! — ათლარიანები გაუწოდა იმ იმედით, რომ მხოლოდ ერთს აიღებდა.

— შენ რას მეძებ, ბიჭო... — ძალიან ცუდად შეხედა, ორივე გამოართვა და გასასვლელისკენ წავიდა.

...

ოცთეთრიანი „იჩალიჩა“, სახლი მეტროსთან ახლოს იყო.

„არა უშავს, კიდევ დარჩა თამაშები... რაღაც მაყუთს გავჭრი... მერე ლიგა და ინტერტოტოც დაიწყება... ჰმ, ეს კაზიოლი გერმანელები... დაეწყებინებინათ ამერიკელებისთვის...“

...

იატაკი დაჭმუჭნილი ქაღალდებით მოფენილიყო — დამლაგებელი ცოცხით იღებდა ათასთა ჩამქრალ იმედს და ნაგვის ყუთში ყრიდა.

ზვიად გურული

რუბრიკა — ჭორი

პოლიციიდან მივდივარ, მსახიობობა გადავწყვიტე

მომიტინგე ზვიადისტების რისხვა თემურ მღებრიშვილი თურმე სამსახურს ტოვებს. სამარშრუტო ტაქსიში მთელი ხმით მოქაქანე ორი ქალბატონისაგან მოსმენილი ეს ჭორი ალბათ ვისთვის მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნასავით იქნება და ვისთვის კიდევ შვების მომგვრელი. თურმე, თემურ მღებრიშვილს სამსახურიდან წასვლის შესახებ განცხადება დაუწერია და დღე-დღეზე წარუდგენს მინისტრს. საყვარელ საქმესთან გამოთხოვების მიზეზი კი მეტისმეტად სკანდალური ამბავია, წესრიგის მუყაითი დამცველი იარაღით უკანონო ვაჭრობის ბიზნესში ყოფილა გარეული და მერე თანაც როგორ, შსს-ში ახალი მინისტრის მოსვლის შემდეგ მღებრიშვილის „კამანდა“ უცხოური, სრულიად ახალი მოდელის „ჩურჩხელებით“ შეუიარაღებიათ. თემურის რაზმელებს ამ „დუბინკების“ მარტო ცემა-ტყეპისთვის კი არა, ცეცხლსასროლ იარაღად გამოყენებაც შესძლებიათ. ეს საიდუმლო, რომელიც წესით მხოლოდ რამდენიმე დიდჩინოსან პოლიციელსა და „თემურელებს“ უნდა სცოდნოდათ, პანკისელ ტერორისტებსაც გაუგიათ და პირდაპირ თემურ მღებრიშვილს მისდგომიან — ჩვენ შენ ხუთ მილიონ დოლარს გადაგიხდით, შსს-ში შემოსული იარაღის მთელი პარტია მოიტაო. თუ ტაქსიში მოჭორავე ქალებს დავუჯერებთ, მღებრიშვილი ტერორისტებს დათანხმებია, 5 მლნ დოლარი აუღია, მაგრამ იარაღის მიცემა ვეღარ მოუხერხებია. მინისტრს ყველაფერი გაუგია და ძია თემურისთვის უთქვამს, თუ გინდა, ეს ამბავი არ გასკდეს, აქამდე შსს-ს რიგებში შენ თავდადებულ ღვაწლს ვითვალისწინებ, არ დაგსჯი, განცხადება შენი ხელით დაწერე და სამსახურიდან წადიო. სიმართლეს თავად ბატონი თემურისგან მოისმენთ.

— ბატონო თემურ, გავიგეთ თურმე, სამსახურიდან აპირებთ წასვლას.

— თქვენ გენაცვალეთ, რა ხართ ეს ჟურნალისტები, თვალს ვერ გაახელ და დახუჭავ კაცი ისე, თქვენ რომ არ გაიგოთ. ჰო, დავიღალე და მივდივარ. მსახიობობა გადავწყვიტე.

— მსახიობობა რაღამ გადაგაწყვეტინათ?

— ხან ტელესერიალში გადამიღეს, ხან კლიპში, ეტყობა, ნიჭი მაქვს. ახლა ფრანგები ჩამოსულან ქართველებთან ერთად ფილმის გადასაღებად. რომ დამინახეს, გადაირივნენ — ბიჭო, რა მაგარი ტიპაჟიაო. გამაქანეს და პოლიციელის როლში მათამაშეს. ამიტომაც გადავწყვიტე, პროფესია შევიცვალო.

— როგორც თქვენზე გავრცელებული ჭორიდან ჩანს, საქმე არც ისე იოლად არის. თურმე იარაღის უკანონო ბიზნესში გედებათ ბრალი და იძულებული ხართ, სამსახური დატოვოთ. პანკისელ ტერორისტებთან ვაჭრობთ თურმე იარაღით.

— ჰო, როგორ ყველაფერი იცით, კაცო. „ჩურჩხელები“ მივყიდე ტერორისტებს, იხალონ თავში ეგეცა და ქვაცა.

— ეგ „ჩურჩხელები“ ჩვეულებრივი არ ყოფილა.

— ჰოო, რა თქვეს, ტყვიას ისვრისო? მამა უცხონდათ, მეტი საქმე არ აქვთ ამნაირებს, რომ ჭორაობენ. თემურა მღებრიშვილს პოლიციისთვის არც უღალატნია და არც უღალატებს. არც დავღლილვარ კიდევა და არც არსად ვაპირებ წასვლას. ფილმებში თუ გადამიღებენ ხშირად, მაგაში პოლიციელობა ხელს არ შემიშლის. პირიქით, იმიტომაც უფრო გიჟდებიან ჩემზე, პოლიციელი რომ ვარ. ასე რომ, ჩემო ძმისშვილო (ასე ეძახის მოფერებით ჟურნალისტებს. — ე.ლ.), სანამ „სოფო ბაბოსავით“ ამრევ ხალხს არ დავაშოშმინებ, დასვენებასაც კი არ ვაპირებ. აგერ „რუსთაველზე“ გავიარე, წვიმდა, თავსხმა იყო. „იმელის“ წინ ქალები იდგნენ ქოლგებით და კიოდნენ — გადადექით, გადადექითო. ჯერ სიცილი ამიტყდა, მერე კი შემეცოდნენ და ვიფიქრე, ნეტავ ერთი უზარმაზარი ქოლგა მომცა, ახლა ესენი ყველა ერთად რომ წვიმისაგან დავიფარო-მეთქი. სად უნდა წავიდე, კაცო! ცოტაა ასეთი გაჭირვებული? ვჭირდები ხალხსა. თქვენი გაზეთი ორშაბათს არ გამოდის?

— დიახ, რაშია საქმე, ორშაბათამდე რამე მნიშვნელოვანს ხომ არ აპირებთ?

— არა. ანეკდოტს გეტყვით ჩემზე, წაიკითხავს ხალხი და გაუხარდება. მძიმე დღეა ორშაბათი და ცოტას ავამჩატებ: უდაბნოში მიდიან ნარკომანები. დაინახეს, კაცია ჩაფლული მიწაში. მივიდნენ, ნახეს, ვა, თემურაა, მღებრიშვილი. ბატონო თემურ, ეს რა მოგსვლიათო, — გაიკვირვეს. მეც ვუპასუხე, ბასმაჩებმა ჩამფლეს-მეთქი. მერე რა, მიწა დაეწანათო, თქვეს და ბოლომდე დამმარხეს. აი, როგორ ვუყვარვარ მორფინისტებსა...

ეკა ლომიძე

CMYK

„ისინი ძალიან დაუნდობლები არიან, უბრალოდ, მოგკლავენ!..“

ვის დარჩება საქართველოში იარაღის უკანონო ბიზნესი?!

სიმონ მჭედლიძე

კალაშოვის აგარაკი წყნეთში

ამჟამად ტაბუდადებულ თემას — საქართველოში არსებულ იარაღის უკანონო ბიზნესს ნელ-ნელა ფარდა ეხდება. არადა ეს ის სფეროა, რომელშიც ყველგან და ყოველთვის ჩართულია ორი მხარე: ხელისუფლების გარკვეული რგოლი და კრიმინალური სამყარო. ამ ორი პოლუსის მაფიოზური გადაჯაჭვის გარეშე იარაღის უკანონო ბიზნესს პერსპექტივა არა აქვს. თუნდაც იმიტომ, რომ იარაღი ნემსი არ არის და საზღვარზე გავლისას მას უბეში ვერ დამალავ.

გასულ კვირას, დაახლოებით ღამის 12 საათზე, თბილისი-ნატახტარის გზაზე, რესტორან „ხიდაშელთან“ საგზაო პოლიციამ დააკავა „ლენდკრუიზერის“ ტიპის ავტომანქანა, რომელშიც გამოძიების მონაცემებით, 300-400 ათასი დოლარის ღირებულების იარაღი და ნარკოტიკი აღმოჩნდა. იარაღი ცხინვალი-თბილისის მიმართულებით უშიშროების სამინისტროს მაიორს, სიმონ მჭედლიძეს და რუსეთის მოქალაქეს, არტურ ლუდკოვს გადაჰქონდათ. ოფიციალური ინფორმაციით, „ლენდკრუიზერი“, რომელსაც სიმონ მჭედლიძე მართავდა, ე.წ. გავლენიანი კანონიერი ქურდის, შაქრო კალაშოვის საკუთრებაა. როგორც ირკვევა, უშიშროების მაიორი ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში კალაშოვის მძღოლისა და დაცვის მოვალეობასაც ასრულებდა.

სარწმუნო წყაროს ცნობით, ამ ბიზნესში, რომელსაც მოგების თვალსაზრისით მსოფლიოში ნარკოტიკების შემდეგ მეორე ადგილი უჭირავს, სერიოზული დაპირისპირებაა, რასაც გავლენის სფეროს გადანაწილება და ერთ-ერთი მაფიოზური ჯგუფის ჩაძირვა უნდა მოჰყვეს. თუ ეს მართლაც ასეა, ცოტა ხანში სისხლიანი დაპირისპირებების შედეგებს აუცილებლად ვიხილავთ, რადგან ეს არის „ბიზნესი“, სადაც არავინ არავის ინდობს.

ვინ არის შაქრო კალაშოვი?

მასზე ოფიციალურად არავინ საუბრობს. არც გამოძიება, არც პოლიცია, არც შავი სამყარო. თუმცა მაინც მოვიძიეთ ერთ-ერთი სანდო წყარო, რომელმაც ინკოგნიტოდ, მასზე ინფორმაცია მოგვაწოდა.

შაქრო კალაშოვის სახელი მოსკოვში ამოტივტივდა. როგორც ამბობენ, არსენა მიქელაძის მკვლელობის შემდეგ №1 „ავტორიტეტი“ კალაშოვი ხდება. თუმცა, ის მანამდეც ცნობილი იყო. წარმოშობით იეზიდია. ჰყავს მეუღლე და ერთი გოგონა. სერიოზული გავლენა აქვს რუსეთის სხვადასხვა მომგებიან ბიზნესში. მათ შორის სახელდება სათამაშო და ნავთობის ბიზნესი.

მას საშიშ და სახიფათო პიროვნებად მიიჩნევენ. მიუხედავად ამისა, რუსეთში კალაშოვზე განხორციელდა რამდენიმე თავდასხმა, ერთ-ერთის დროს კიდეც დაიჭრა. ამის შემდეგ მისი კვალი მოსკოვში იკარგება და მოგვიანებით ჩნდება ესპანეთში, სადაც თავისი გოგონას სახელზე აუგია ულამაზესი ვილა, თუმცა როგორც ჩანს, ვერც იქ ცხოვრებას დაუდგა გული. 90-იანი წლების ბოლოს მისი გვარი უკვე საქართველოში გაიელვებს. კერძოდ, ამ პერიოდში ქართულ პრესაში (და არა მხოლოდ პრესაში) იწყება გახმაურებული კონფლიქტი ბერძნულ ფირმასა და ნუგზარ შევარდნაძეს შორის, რომელიც ცოტა ხანში შარშანდელი თოვლივით ქრება. ამბობენ, რომ ნუგზარ შევარდნაძემ სწორედ შაქრო კალაშოვი ჩარია საქმეში და ბერძნები მოიშორა. ამის შემდეგ შაქრო კალაშოვი საქართველოში ჩამოდის. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ არაოფიციალურად საწვავის ბიზნესში ნუგზარ შევარდნაძის გვერდით კახა თარგამაძეც სახელდებოდა, გამოდის, რომ მან უსაფრთხოების გარანტია თავად შს მაშინდელი მინისტრისგან, კახა თარგამაძისგან მიიღო. როგორც ჩანს, კალაშოვისთვის საქართველო დღემდე რჩება ყველაზე უსაფრთხო ადგილად. ისევ გადმოცემით, მას წყნეთში სააგარაკოდ აქვს 54-ოთახიანი სახლი, რომელსაც ვერტმფრენის დასაჯდომიც კი ჰქონია. კალაშოვი ახლობლებთან საკმაოდ გულუხვიც ყოფილა, ისიც უთქვამს — ყველა ნათესავი ჩემთან უნდა ვაცხოვროო.

მისი ჯიპიდან გასულ კვირას სამართალდამცველებმა ცხრა ე.წ. „ფაგოტი“ (რუსული სტინგერი) ამოიღეს (იხ. გვ. 8).

სავარაუდოა, რომ კალაშოვს ამდენი იარაღი არაფერში სჭირდებოდა. დასაშვებია ორი ვერსია: იგი ვიღაცისთვის უნდა მიეცა, ან მიეყიდა. დაუჯერებელია, რომ კალაშოვმა არაფერი იცოდა მისი ჯიპით იარაღის შემოტანაზე. ისე კი, თუ მაიორმა მჭედლიძემ „ლენდკრუიზერი“ პატრონის დაუკითხავად გამოიყენა, კალაშოვი ამას ნამდვილად არ აპატიებს.

ფაქტია, რომ იარაღი ცხინვალიდან შემოვიდა. კულუარული ინფორმაციით და სხვათა შორის, სამხედრო პროკურორის გია ჯიქიას მინიშნებით, დაკავებულებმა ყველაფერი დაფქვეს — საიდან წამოიღეს იარაღი, სად მიჰქონდათ, ადრეც იყო თუ არა ასეთი ფაქტები, რომ ოპერაცია კალაშოვის აგარაკზე დაიგეგმა... მაგრამ დაკავებულებმა ადვოკატების აყვანის შემდეგ ყველაფერი გადათქვეს, უფრო მეტიც, მათი განცხადებით, შსს-ს წინასწარი დაკავების იზოლატორში ისინი აწამეს და დენიც შეუერთეს.

ვინ დგას დათო შენგელიას უკან?

ყველასგან მოულოდნელად კონტრაბანდული იარაღის კუთვნილებაზე პრეტენზიას აცხადებს პარტიზანების ლიდერი დათო შენგელია. მისი თქმით, აღნიშნულ იარაღში მან 7800 დოლარი გადაიხადა და თავის აფხაზეთის ომისდროინდელ მეგობარს, სიმონ, იგივე სოსო მჭედლიძეს პირადად სთხოვა, ნაყიდი იარაღი ცხინვალიდან მცხეთამდე ჩამოეტანა. მიუხედავად ამ განცხადებისა, სამხედრო პროკურატურა, რატომღაც, დათო შენგელიას დაკითხვას არ აპირებს, ხოლო ქვეყნის პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე შენგელიასა და დანარჩენი პარტიზანების განცხადებას არასერიოზულ მტკიცებულებას უწოდებს. ელენე თევდორაძეს მიაჩნია, რომ დათო შენგელია ამ განცხადებას ვიღაცის თხოვნით აკეთებს, თუმცა ვისი თხოვნით, ჯერჯერობით გაურკვეველია. არსებობს ვერსია, რომ შენგელია კალაშოვს პირადად არ იცნობს, სამაგიეროდ, მიანიშნებენ გალის მოვლენების შემდეგ კახა თარგამაძისა და შენგელიას ნაცნობობაზე. ასე რომ, გამორიცხული არ არის, შენგელიასთვის თავად თარგამაძეს დაერეკა და კალაშოვის ხათრით ეთხოვა აღნიშნულის თავზე აღება.

ვესაუბრებით **დათო შენგელიას:**

— ბატონო დათო, აცხადებთ, რომ იარაღი თქვენი იყო. იქნებ ჩამოგვითვალოთ, რა იარაღი შეიძინეთ?

— იყო „პტურსის“ 9 ცალი ჭურვი, ყუმბარსატყორცნები, კიდევ „ტეპლავოის“ ქძახიან, რა, ისიც იყო.

— გარდა ამისა, ამბობენ, რომ ნარკოტიკებიც იყო...

— არა. ეს მოგონილია. ხომ იცით, როგორ ხდება, ჩადეს ალბათ, რა.

— დაგკითხეს თუ არა პროკურატურაში?

— არა. ალბათ დამკითხავენ. რა ვიცი მე.

— ბევრს არ სჯერა, რომ იარაღი თქვენ გეკუთვნოდათ...

— ვიცი, მაგრამ თუ რამე არსებობს, ყველაზე წმინდა, იმას გეფიცებით, არ ვიცი, უკვე სხვანაირად როგორ დავაჯერო ეს ხალხი.

— სხვათა შორის, ამბობენ, კახა თარგამაძემ გთხოვათ, რომ თქვენს თავზე აგეღოთ ეს ამბავი.

— კახა თარგამაძე? რა უნდა გამიკეთოს კახამ ისეთი, რომ კახას თხოვნა შევასრულო. ისე, კახამ რომ მთხოვოს, პირიქით რომ მოვიქცევი ვიცი. იმიტომ, რომ არ არის მაგის ღირსი.

— რატომ ხართ მასზე გაბრაზებული?

— 1996 წელში დამიჭირა და იმიტომ.

— ბატონო დათო, იცნობთ თუ არა კალაშოვს?

— არა. ახლა გავიგე.

— მომხდარის შემდეგ თუ დაგიკავშირდათ?

— არა.

— როდესაც მჭედლიძეს იარაღის გადმოტანა სთხოვეთ, იცოდით თუ არა, რომ „ჯიპი“ კალაშოვის კუთვნილება იყო?

— ვიცოდი, რომ ტვილდიანს ეკუთვნოდა ეს „ჯიპი“. რისი კალაშოვი, რა კალაშოვი.

— აბა რატომ მივიდა პროკურატურაში, თუ არაფერ შუაშია?

— მე რა ვიცი კალაშოვს რა აქვს თავში, მაგაზეც მე ვინერვიულო?

— ცხინვალში ვისგან შეიძინეთ იარაღი?

— ვისგან და რუსებისგან.

— ხომ არ ფიქრობთ, რომ უახლოეს ხანებში იარაღის უკანონო ბიზნესში დაგადანაშაულებენ?

— რაზე უნდა დამადანაშაულონ, გავყიდე თუ რა. ვიყიდე, მჭირდებოდა. პირველად კი არ მაქვს ნაყიდი, რატო მეათედ არ ვიყიდე.

სკანდალი ახლა იწყება?

სიმონ მჭედლიძესა და არტურ ლუდკოვს ბრალი წაუყენეს საბრძოლო იარაღის უკანონო შეძენა-გადაზიდვის მუხლით. ისანი-სამგორის რაიონულ სასამართლოში დახურულ პროცესზე მათ სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს. ამის პარალელურად ლუდკოვის ადვოკატმა განაცხადა, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი საერთოდ არ მონაწილეობდა ამ საქმეში: „იგი იყო გორში, თბილისში მოდიოდა, დაუქნია გზაზე ხელი მანქანას, გააჩერა და წამოჰყვა, როგორც ჩვეულებრივი მოქალაქე“. თავად ლუდკოვი დღემდე დუმილის უფლებას იყენებს. მეორე მხრივ, ადვოკატთან გასაუბრების შემდეგ მჭედლიძემ თქვა, რომ იარაღი ტყის ძმებისთვის იყო განკუთვნილი.

მოულოდნელად სამხედრო პროკურორს, გია ჯიქიას ამ ხმაურიან საქმეს ართმევენ, რის შემდეგაც იგი უკვე ღიად უპირისპირდება კობა ნარჩემაშვილს. ჯიქია შს მინისტრს და მის თანამშრომლებს პატიმრების წამებასა და კონკრეტული საქმით დაინტერესებაში ადანაშაულებს. სამხედრო პროკურორი დეტალურად ჰყვება მოვლენების ელვისებურ განვითარებას. ის აკეთებს საკმაოდ სკანდალურ განცხადებებს, რასაც ამ კვირაში აუცილებლად მოჰყვება გაგრძელება.

გია ჯიქია: ჩვენ მრავალი ვერსია განვიხილეთ. ეჭვმიტანილებისგან აღიარებითი ჩვენებაც მივიღეთ. ამის შემდეგ კობა ნარჩემაშვილი, დაკავებულ პირებთან ოპერატიული სამუშაოს ჩატარების მომიზეზებით, დაჟინებით მოითხოვს მათ გადაყვანას შსს-ს წინასწარი დაკავების იზოლატორში და კიდეც გადაჰყავს. მის მოთხოვნას მეც დავეთანხმე. მეორე დღეს, როდესაც გამომძიებელი ადვოკატების თანხლებით მივიდა მჭედლიძესთან, მან ჯერ უარი განაცხადა ჩვენების მიცემაზე, ადვოკატთან მოთათბირების შემდეგ კი რადიკალურად შეცვალა ჩვენება. რაც შეეხება ლუდკოვს, მან კვლავ არჩია დუმილის უფლება. მჭედლიძემ უკვე გადათქვა კალაშოვთან ყოველგვარი ნაცნობობა და კავშირი. ასევე უარყო ყოველგვარი ურთიერთობა ლუდკოვთან. ამის შემდეგ მოვლენები განვითარდა გამომძიებისთვის მეტად მძიმედ. მხედველობაში მაქვს შენგელიას განცხადება. თავისთავად ამ ყველაფერმა დაბადა ეჭვი, რომ გამოჩნდა გარკვეული ძალები და ისინი დაინტერესებულნი არიან, ხელი შეუშალონ გამოძიებას. ჩვენ ამ პირებს მაინც წავუყენეთ ბრალდება ადვოკატების თანდასწრებით. ამის შემდეგ ორივემ განაცხადა, რომ მათზე მოხდა ფიზიკური ზეწოლა და მოითხოვეს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა. მე ეს შუამდგომლობა დავაკმაყოფილე. ამის შემდეგ, დაახლოებით 5-6 საათი იქნებოდა გასული, გენერალურმა პროკურორმა სიტყვიერი მითითება მომცა, რომ საქმე გენერალურ პროკურატურაში ჩამეტანა.

— დაკითხეთ თუ არა კალაშოვი?

— მას შემდეგ, რაც მჭედლიძემ უარყო თავდაპირველი ჩვენებები, სამხედრო პროკურატურაში ჩვენთვის მოულოდნელად მოვიდა კალაშოვი, რომელმაც განაცხადა, რომ სურდა საქმის ირგვლივ ჩვენება მიეცა. მან უარყო ყოველგვარი კავშირი დანაშაულთან, მით უმეტეს, რომ მჭედლიძეს უკვე გადათქმული ჰქონდა. ამის შემდეგ კალაშოვის პასუხისმგებლობის თაობაზე არავითარი სამხილი აღარ დაგვრჩა. შსს პრეტენზიას გვიყენებს, რომ კალაშოვი მათი თანხმობის გარეშე მოვიყვანეთ. ჩემთვის გაუგებარია, რატომ უნდა აგველო თანხმობა შს მინისტრისგან, როცა ამას არ ითვალისწინებს საპროცესო კანონმდებლობა და, გარდა ამისა, კალაშოვი თავისით მოვიდა.

— დაკითხეთ თუ არა დათო შენგელია, რომელიც აცხადებს, რომ იარაღი მისია?

— არ დაგვიკითხავს. თვითონ დაგვირეკა და ვურჩიე, რომ გამოცხადებულიყო პროკურატურაში, მიეცა ჩვენება და არ გამოცხადებულა. ახლა რომც გამოცხადდეს, ჩვენ უკვე წარმოებაში აღარ გვაქვს საქმე.

— თქვენ აცხადებთ, რომ გამოჩნდა გარკვეული ძალები, რომლებიც შეგნებულად უშლიან ხელს გამოძიებას. ვინ არიან ისინი კონკრეტულად?

— რა თქმა უნდა, შსს-ს ვგულისხმობ.

— მართლა სცემეს მჭედლიძე და ლუდკოვი წინასწარი დაკავების იზოლატორში?

— ადვოკატებმა ოფიციალური შუამდგომლობა წარმოადგინეს...

— მართალია, რომ ანონიმური ზარებით გემუქრებიან?

— დიახ. გუშინ უამრავი ზარი იყო. ეს არის ამ საქმით დაინტერესებული ხალხი.

— რატომ მაშინვე არ დაიბარეთ კალაშოვი, როცა მჭედლიძემ აღიარებითი ჩვენება მოგცათ პირველად, სანამ გადათქვამდა?

— როგორ გგონიათ, ასე ადვილი იყო ამ კაცის მოყვანა? გარდა ამისა, დროში შეზღუდული ვიყავით. არც მისი ადგილმდებარეობის დადგენა იყო ჩემთვის იოლი. ისე, როგორც გითხარით, ის მჭედლიძის დაკითხვიდან მეორე დღესვე მოვიდა.

— ბატონო გია, თქვენს მიერ შსს-ს წინააღმდეგ გაკეთებული განცხადების შემდეგ თუ დაგიკავშირდათ შს მინისტრი ან გენერალური პროკურორი?

— არ მქონია ბედნიერება. ქალაქში არ ვიმყოფები ამწუთას. დაბადების დღეზე ვარ. უკაცრავად, კარგად ბრძანდებოდეთ.

„კვირის პალიტრა“ დაუკავშირდა შს მინისტრს, **კობა ნარჩემაშვილს:**

— ბატონო კობა, რა კომენტარს გააკეთებდით სამხედრო პროკურორის, გია ჯიქიას განცხადებასთან დაკავშირებით?

— მისი მონათხრობი სიმართლეს მოკლებულია. ეს არის პროვოკაცია.

— როგორ ფიქრობთ, გია ჯიქია ვინმესგან იმართება თუ მარტო მოქმედებს?

— რა თქმა უნდა, როცა მოულოდნელად, აბსოლუტურად უწყინარ სიტუაციაში ჩნდება საყვედურები, ის უეჭველად ვიღაცისგან იმართება. ამას დრო გამოაჩენს.

— მართალია თუ არა, რომ მჭედლიძე და ლუდკოვი თქვენს უწყებაში სცემეს, რის შემდეგაც მათ ჩვენებები გადათქვეს?

— არა. ბატონ ჯიქიას განცხადებები აბსოლუტურად ალოგიკურია, რადგან მისი წერილით და მოთხოვნით იქნა გადმოყვანილი პატიმრები. ამავე დროს, მათ შსს-ს დროებით იზოლატორში იგივე ჩვენება მისცეს, რაც სამხედრო პროკურატურაში. ეს არის სრული სიცრუე, რისი დამტკიცებაც შესაძლებელია საქმეში ჩახედვიდან ორ წუთში.

— რამდენად დამაჯერებელია თქვენთვის დათო შენგელიას განცხადება?

— სრულიად არადამაჯერებელია.

— რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს?

— მას წარმოდგენაც არ აქვს, რა იარაღია იქ და ხანდახან ტყვიებს უწოდებს რაკეტებს...

— რა შეგიძლიათ თქვათ იარაღის უკანონო ბიზნესზე, ვინ მფარველობს მას?

— არ გვაქვს ამის შესახებ მონაცემები.

— ვინ არის კალაშოვი და დაკავშირებულია თუ არა იგი იარაღის უკანონო ბიზნესთან?

— კრიმინალური ავტორიტეტია... ჯერჯერობით მისი კავშირები არ იკვეთება.

მაშ ასე! როგორც მოვლენები გვიჩვენებს, სკანდალი გრძელდება და საბოლოო წერტილი ჯერ დასმული არ არის. საინტერესოა, ვის გადააყოლებენ ამ კრიმინალს და დასახელდება თუ არა ბოლოს და ბოლოს, იარაღის უკანონო ბიზნესით დაკავებულ მაღალჩინოსანთა გვარები. ისე ცნობისათვის, კულუარებში მათი გვარები კარგად იციან და როდესაც „ზედმეტად“ დავინტერესდით, ერთმა ნაცნობმა პიროვნებამ, რომელიც დიდ ინფორმაციას ფლობს, გულწრფელად მირჩია — გირჩევ, ამ თემაზე ჟურნალისტურ გამოძიებას ნუ ჩაუღრმავდები, თორემ დიდი პრობლემები შეგექმნება. ისინი ძალიან დაუნდობლები არიან, უბრალოდ მოგკლავენ(!).

მარინა მამისაშვილი

ერევნიდან საქართველოში ექსკურსიაზე ჩამოსული ერთ-ერთი საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მოსწავლეები გაფართოებული თვალებით, განცვიფრებულები შეჰყურებდნენ კლდეში გამოკვეთილ საოცრებას ქალაქ-მონასტერს – ვარძიას. ისტორიის მასწავლებელმა პატარებს აცნობა, რომ ეს არქიტექტურული საოცრება ერთ დროს სომხეთის სახელმწიფოს საზღვრებში იმყოფებოდა, მაგრამ ქართა სიავის გამო ვარძია დღეს საქართველოს ტერიტორიაზეა და სომხურ ძეგლს დღეს ქართველები იჩემებენ. ამის გამგონე პატარებს გული სიამაყით აუჩქროლდათ. ალბათ კიდევ ბევრ სისულელეს ეტყოდა მასწავლებელი მოსწავლეებს, რომ მისი სიტყვები იქვე მდგომ სომხური ენის მცოდნე მუზეუმის თანამშრომელს არ გაეგონა. მას ერევნელი ისტორიის მასწავლებელი გეოგრაფიული და ისტორიული ჭეშმარიტების განგებ დამახინჯებისათვის და ბავშვების შეგნებულად შეცდომაში შეყვანის მცდელობის გამო სასტიკად გაულანძღავს.

მერე თვითონ პატარა ერევნელი სტუმრებისთვის მეთორმეტე საუკუნის ქართული ქრისტიანული სახელმწიფოს უდიდესი და უმდიდრესი სავანე უჩვენებია და დაწვრილებით უამბნია, ვინ, რატომ და რისთვის ააშენა, უფრო სწორად, კლდეში გამოკვეთა ვარძია. მუზეუმის თანამშრომელს არც იმ ლეგენდის მოყოლა დავიწყებია, ამ მიდამოებში როგორ დაეკარგა გადაიას საქართველოს მომავალი მეფე თამარი. მთელი სამეფო კარი ეძებდა პატარა თამარს. მას კი თურმე იქვე, ლამაზად აყვავებული ბუჩქის ძირას ჩასძინებოდა. გამოღვიძებულს მსახურთუხუცესის სასოწარკვეთილი ძახილი გაუგონია და შეხმიანებია, — აქ ვარ, ძია, აქ ვარ, ძიაო. სწორედ აქედან ეწოდა აქაურობას ვარძია. „სამწუხაროდ, არცთუ ისე იშვიათად მეზობელი რესპუბლიკიდან ჩამოსულ სტუმრებს სომეხი ექსკურსიამძღოლები უსირცხვილოდ უმტკიცებენ ვარძიის სომხურ წარმომავლობას და ამის ერთ-ერთ დამამტკიცებელ საბუთად იქვე, კერძოდ კი ჯავახეთის ზეგანზე უამრავი სომხური სოფლის არსებობაზე მიუთითებენ, სადაც მხოლოდ თითზე ჩამოსათვლელი ნახევრად ცარიელი ქართული სოფლებია შემორჩენილი. ისინი ღვთისა და კაცისგანაც, აგერ უკვე რამდენიმე ათეული წელია მიტოვებულია და იქაურ მოსახლეობას სულ მალე აქედან გადასახლება აქვს გადაწყვეტილი. მალე ჯავახეთში ქართველი კაცის ჭაჭანება აღარ იქნება. მერე ამტკიცე რამდენიც გინდა, რომ მსოფლიოს მერვე საოცრება თამარ მეფის და ქართველების უშრეტი ფანტაზიის ხორცშესხმული ნაყოფია. რა თქმა უნდა, თუ მანამდე თავზე არ დაგვენგრა უკვე კატასტროფის წინაშე მდგომი მაშინდელი მსოფლიოს ამ ნაწილში ქრისტიანობის ერთადერთი ფორპოსტი — ვარძია“, — გვითხრა ვარძიის მუზეუმ-ნაკრძალის დირექტორმა **ვლადიმერ ზაზაძემ**.

ვარძია შველას ითხოვს

რამდენიმე წელია, სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიაზე მეცნიერებმა შეიმუშავეს პროექტი, რომლის მიხედვით ხერთვისიდან ოლოდამდე ეს ოცდაათკილომეტრიანი, ისტორიული ძეგლებით სავსე მონაკვეთი ნაკრძალად უნდა გამოცხადებულიყო. მაგრამ ამაოდ. რატომღაც ხელისუფლებამ მისი ნაკრძალად გამოცხადება ვერ მოახერხა. ეგ კი არა, დღეს ჩვენივე უნიათობისა და გულგრილობის წყალობით, ყოველივე იმას, რაც წინაპრებმა დაგვიტოვეს, განადგურება ემუქრება. უკვე თითქმის აღარაფერი დარჩა თმოგვის ციხესიმაგრისაგან. მისი ნაშთები რომ შეამჩნიო, კარგი მხედველობა უნდა გქონდეს. რაც შეეხება ვარძიას, ბედის უკუღმართობით მსოფლიოში უდიდესი კლდეში ნაკვეთი ქალაქის გიგანტური ფასადიღა და ლეგენდა შემოგვრჩა ძველ დიდებაზე (ვარძიამ თავდაპირველი სახით ერთი საუკუნე იარსება, 1283 წლის ძლიერმა მიწისძვრამ იგი თითქმის დაანგრია), ხოლო ის, რაც შემოგვრჩა, იმასაც კი ვერ მივაღწიეთ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, კერძოდ, იუნესკოს მსოფლიოს ისტორიულ ძეგლთა ნუსხაში შეეტანა. არადა, ვარძია განსაცდელშია, შველას ითხოვს.

ვარძიის დღევანდელი მდგომარეობის შესახებ ჩვენ კომენტარი ვთხოვეთ ძეგლთა დაცვის ინსტიტუტის არქიტექტორ-რესტავრატორს **თამარ ნიმსაძეს**: „საქმე ის გახლავთ, რომ ვარძია გამოკვეთილია ტუფოგრექჩიების სამფენოვანი კლდის შუა, მოვარდისფრო ფენაში. მესამე ფენა წარმოადგენს განსხვავებული სიმკვრივის, მიწითა და თიხით სუსტად შეწებებულ სხვადასხვა სიდიდის ქვებს. მათ შორის მრავლადაა უზარმაზარი ლოდები. სწორედ კლდის ეს ფენაა დანაპრალებული და არცთუ იშვიათად მას მოსწყდება ხოლმე კლდის მასივი, რომელიც ზემოდან ეცემა კლდის მეორე ფენას, სადაც გამოკვეთილია ვარძია და იწვევს მის ნგრევას. ნაპრალები დღეს უკვე მეორე, ვარდისფერ ფენაშიც შეინიშნება, რაც არანაკლებ საშიშია. ნაპრალები კლდის პირველი საძირკვლის ფენაშიც შეიმჩნევა. განსაკუთრებით სახიფათო მდგომარეობაა ზედა არაერთგვაროვან ფენაზე. ბუნებრივი ატმოსფერული მოვლენების ზემოქმედებით (წვიმა, ქარი, ყინვა) იფიტება კლდე, მცირდება შეჭიდულობა და ხდება როგორც მცირე ზომის ქვების ცვენა, ასევე დიდი ლოდებისა და საერთოდ კლდის შრეების შლა, რაც იწვევს სტიქიურ ნგრევას. უკანასკნელად ვარძიის კომპლექსის დიდ ნგრევას ადგილი ჰქონდა 1998 წელს ცენტრალურ უბანში და 2001 წელს, ანსამბლის დასავლეთით. სამწუხაროდ, კლდის სამივე შრის შლის პროცესი დღესაც გრძელდება. შუა ფენაში, კლდის დანაპრალების შედეგად წარმოქმნილია უზარმაზარი განმხოლოებული მასივები, ისინი ძირითადად დახრის კუთხისა და ხახუნის ძალით არიან გაჩერებულები, მაგრამ ნაპრალები ყოველწლიურად იზრდება ატმოსფერული მოვლენების ზემოქმედების გამო და შეიძლება ერთ დღეს ჩამოინგრეს.

ვარძიის ანსამბლის კლდის ვერტიკალური და ჰორიზონტალური სიბრტყეები დასერილია მრავალრიცხოვანი წვრილი და საშუალო სიგანის ბზარებით, რომლებიც მცენარეთა ფესვებისა და წყლის ზემოქმედებით განივრდება და ღრმავდება. იფიტება და იშლება კლდე როგორც ზევიდან, ასევე ქვევიდან, შრეებად იტკეჩება და ცვივა გამოქვაბულების ჭერის ზედაპირი. ხდება გადახურვის განმხოლოებული ბლოკების ვარდნა თავისივე სიმძიმის ძალით. ვარძიის კლდის ინტენსიურ გამოფიტვას ხელს უწყობს ტემპერატურათა მკვეთრი ცვალებადობაც. კლდეში არსებული მიკროორგანიზმები იწვევს ქანის ეროზიას, რის შედეგადაც ილეება და ქრება არქიტექტურული და კონსტრუქციული ელემენტები: კედლები, ტიხრები, საყრდენები. დანგრევის საფრთხე ემუქრება უსაყრდენოდ დარჩენილ გადახურვებს, ბევრი კი დღეს უკვე დანგრეულიცაა. ამჟამად ვარძიის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილის სოფელ ანანაურის მრავალსართულიანი დასახლების უმეტესი ნაწილი ჩამოწოლილი კლდის მასივებიდან მიწითაა დაფარული. მიწითა და ლოდების ჩახერგილობით დამარხულია ვარძიაზე ადრეული სოფელი, მრავალსართულად განლაგებული კლდეში ნაკვეთი საცხოვრებელი სახლებით. მათი გაწმენდა და გამოვლენა ორჯერ გაზრდის ვარძიის საფასადო მხარეს. აღსანიშნავია, რომ არქეოლოგიურად საერთოდ შეუსწავლელია ვარძიის ტერიტორიის ქვედა ნაწილი მტკვრის ნაპირამდე. აქ კლდის ნანგრევებსა და ჩამონაშალის სქელი ფენის ქვეშ ინახება XII საუკუნის ნივთიერი არქეოლოგიური მასალა, მაგრამ ამისთვის ვის სცალია, როცა განსაკუთრებით ავარიული უბნებისთვის ვერ მიგვიხედავს. ასეთებია: ანანაურის და ლიტანიის ეკლესიები, საპატარძლო, საღხინოს უბანი, გამოქვაბულთა მწკრივი ცენტრალურ და დასავლეთ-ცენტრალურ ნაწილში, გამოქვაბულები სამრეკლოს ქვეშ და სხვ. არადა, ზემოთ ნახსენებ ეკლესიებში უნიკალური ფრესკებია, მარტო თამარ მეფის ფრესკა რად ღირს.“

ვარძიის პრობლემებთან დაკავშირებით ჩვენ გავესაუბრეთ საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის უფროსს **გაგა კუხარეიშვილს**: „მართალი ბრძანდებით. ვარძია მართლაც ძალიან მძიმე მდგომარეობაშია. თუ საჩქაროდ არ ჩატარდა გამაგრებითი სამუშაოები, დანგრევის საფრთხე ემუქრება. საზოგადოდ, საქართველოში არსებული ყველა ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლი ძალზე მძიმე მდგომარეობაშია. განსაკუთრებით საგანგაშო მდგომარეობა აქვს კლდეში ნაკვეთ არქიტექტურას. არა მარტო ვარძიაა ასეთ სავალალო დღეში, ასეთივე მდგომარეობაშია დავითგარეჯიც, უფლისციხეც, ვანის ქვაბები და სხვ. თუმცა ამჟამად უფლისციხეში მსოფლიო ბანკის დაფინანსებით, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდის მეშვეობით მიმდინარეობს გამაგრებითი სამუშაოები. ალბათ უფლისციხეს შევინარჩუნებთ. იქ გამაგრებითი სამუშაოების ტექნოლოგია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო მექანიკის კათედრის პროფესორ-მასწავლებლებმა შეიმუშავეს. მათი ტექნოლოგია შემდგომში მდგომარეობს: იბურღება ჩამოსაქცევად გამზადებული კლდის ნაწილი და იგი ფოლადის ძელაკის მეშვეობით მაგრდება კლდის ძირითად მასივზე. ამ ტექნოლოგიის გამოყენებით უფლისციხეს გავუხანგრძლივებთ სიცოცხლეს, მაგრამ სხვა კლდეში ნაკვეთ ძეგლებს რა ეშველება, ვერაფერს გეტყვით იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ჯერ საამისო სახსრები ვერ გამოვძებნეთ. მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში სარესტავრაციო სამუშაოები არ იბეგრება. თურმე ნუ იტყვით და საერთაშორისო სავალუტო ფონდს მოუთხოვია, რომ ჩვენი სამუშაოებიც ისევე დაბეგრილიყო, როგორც ვთქვათ, კომერციული მშენებლობები. ძვირფასმა პარლამენტარებმა უნდა იცოდნენ, რომ თუ ვთქვათ, ბეთანია დაინგრევა, მის აღდგენას მოვახერხებთ, მაგრამ დავითგარეჯი, ვარძია ან სხვა კლდეში ნაკვეთი ისტორიული ძეგლი თუ დაინგრა, მისი აღდგენა შეუძლებელი იქნება. პარლამენტარები ღია ზღვაში კომფორტულ იახტაზე სემინარებს რომ ატარებენ, იქნებ სჯობდეს პარლამენტის გამსვლელი სესია ერთხელ ვარძიაში ჩაატარონ. ქართველმა ბიზნესმენებმა და პოლიტიკური პარტიების ლიდერებმა ერთხელ მაინც მოიყარონ თავი ვარძიის სანახებში. როცა საკუთარი თვალებით იხილავენ ვარძიის ან დავითგარეჯის ჩამოსაქცევად გამზადებულ კედლებს, დამდნარ ქვის ბოძებს, დანაპრალებულ კედლებს, იქნებ გული მოულბეთ, თავიანთი ქართველობა გაახსენდეთ და ჯიბეზე ხელი გაიკრან. ბოლო დროს, ვისაც სადაც მოესურვება, იქ აშენებს ეკლესიას. იქნებ ცოდვების გამოსასყიდად ის ეკლესიები და მონასტრები გადავარჩინოთ, რომლებიც წინაპრებმა დაგვიტოვეს და ახლის აშენებაზე მერე გვეფიქრა. მაგრამ მე ვინ მეკითხება? ისეთი შემთხვევაც იყო, როცა არაპროფესიონალმა მშენებელმა ჩვენს უკითხავად ზარზმის ეკლესიის რესტავრაციისას მხატვრობა გაანადგურა, ასეთივე ვანდალური ფაქტი ბოლნისის სიონშიც მოხდა. არ შეიძლება არაპროფესიონალმა ისტორიული ძეგლის აღდგენას მოჰკიდოს ხელი. ეს მაღალკვალიფიციურ რესტავრატორებსაც უჭირთ.“

სამწუხაროდ, კლდის სამივე შრის შლის პროცესი დღესაც გრძელდება. შუა ფენაში, კლდის დანაპრალების შედეგად წარმოქმნილია უზარმაზარი განმხოლოებული მასივები, ისინი ძირითადად დახრის კუთხისა და ხახუნის ძალით არიან გაჩერებულები, მაგრამ ნაპრალები ყოველწლიურად იზრდება ატმოსფერული მოვლენების ზემოქმედების გამო და შეიძლება ერთ დღეს ჩამოინგრეს.



ვარძიაში ნგრევის ასეთი შედეგები, საუბედუროდ, იშვიათი აღარ არის

ვარძიაში ჩასულს მუზეუმ-ნაკრძალის დირექტორმა ვლადიმერ ზაზაძემ გამიწია მეგზურობა. მან დაზიანებული, დანგრევის პირას მისული უბნები დამათვალიერებინა. ანანაურის ეკლესიის თავზე კლდე დიაგონალურად, 3-4 მ-ით გადმოკიდებულია, რომლის ზედაპირი დამრეცია და ამ მასივზე ქვევიდან აშკარად შეინიშნება ჰორიზონტალური საკმაო სიდიდის ბზარი. კატასტროფული მდგომარეობაა ე.წ. სახიზარის გვირაბზე. მისი კლდის მასივი ხშირი განიერი ნაპრალებითაა დასერილი, დანაწევრებულია ბლოკებად, მოსალოდნელია მათი დაცურება და გვირაბის განადგურება. ლიტანიის ეკლესიის კლდე დაღარულია ხშირი, სიღრმეში განვითარებული ირიბი, განიერი ნაპრალებით. ეკლესიაში შესასვლელი კლდოვანი კედელი და კუთხე დანაწევრებულია, საყრდენი აღარ აქვს მეორე სართულის დასავლეთის დარბაზის თაღოვან შესასვლელს. ზოგიერთ ადგილას ჩემი თვალით ვნახე, კლდის უზარმაზარი მასივი ნაპრალით რომ დაშორებია ძირითად ქანს. ავარიულ მდგომარეობაშია ვარძიის მიმდებარე ტერიტორიაზე ფეხით მოსიარულეთათვის განკუთვნილი ხის კონსტრუქციის ხიდი. ვარძიის მიმდებარე ტერიტორია დამახინჯებულია აქაური ლანდშაფტისათვის შეუფერებელი არქიტექტურის მქონე ახალშენებით.

ეს ის შემთხვევაა, როცა არ შეიძლება ვინმემ თქვას, — ამ გაჭირვების ჟამს, ვის სცალია ვარძიისთვისო? უნდა მოიცალონ მათ, ვინც დღეს გამალებით იშენებენ სასახლეებს, დღე-დაღამ კაზინოებსა და რესტორნებში ატარებენ დროს, სწორედ მათ უნდა გაიღონ თანხები ჩვენი ეროვნული სიამაყის შესანარჩუნებლად, თორემ მერე გვიან იქნება და პათეტიკური სადღეგრძელოები ვეღარ გვიშველის.

ჯავახეთი ქართველებისაგან იცლება

იმ დღეს, როცა „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტი ვარძიის მუზეუმ-ნაკრძალს ვსტუმრობდი და საკუთარი თვალით ვიხილე, რა საფრთხის წინაშე დგას კლდეში ნაკვეთი ქალაქი, ძნელად წარმოვიდგენდი, კიდევ რამე თუ დამწყვეტდა გულს, მაგრამ, როცა შემთხვევით საქველმოქმედო ასოციაცია „ჯავახეთის“ პრეზიდენტს ომარ გრიგოლაშვილს ვარძიის მიმდებარე ტერიტორიაზე შევხვდი და გავესაუბრე, შემაძრწუნა მისმა ნაამბობმა ჯავახელი ქართველების შესახებ. სწორედ ცხოვრების გაუსაძლისი პირობები აიძულებს ქართულ ოჯახებს ჯავახეთიდან გუდა-ნაბადი აიკრან და სხვაგან დაეფუძნონ. ერთი სიტყვით, მალე ჯავახეთში ქართველი კაცის ჭაჭანება აღარ იქნება. მოდით, ჯერ **ომარ გრიგოლაშვილს** მოვუსმინოთ: „საზოგადოებას კარგად მოეხსენება, 1989-1991 წლებში რა დიდი ძალისხმევა იქნა გაწეული ჯავახეთის მიწაზე ქართველი კაცის დასამკვიდრებლად, ბედუკუღმართობით გაქრობის პირას მისული ქართული სოფლების ასაღორძინებლად; აჭარაში სტიქიისაგან დაზარალებულ თანამემამულეთა ამ კურთხეულ მხარეში ჩასასახლებლად. უკანასკნელი ათი წლის მანძილზე ეს ენთუზიაზმი ჩაქრა, ხელისუფლებამ და საზოგადოებამ საერთოდ დაივიწყა ჯავახელი ქართველები. არადა, სწორედ დღეს უნდა თანადგომა და დახმარება ჯავახეთს, რათა არ ჩაქრეს მამაპაპური კერა და არ მოიშალოს წინაპართა ფუძე. აჭარიდან ქართველების ჩამოსახლებამდე ახალქალაქის და ნინოწმინდის რაიონების სოფლებში თითზე ჩამოსათვლელი იყო ქართული ოჯახები და ქართული სოფლები. ამ რაიონებში აჭარიდან 750 ოჯახის, ანუ თითქმის 3 ათასი კაცის ჩამოსახლებით დემოგრაფიული მდგომარეობა ოდნავ გაუმჯობესდა, მაგრამ დღეს ათი წლის უკან ჩამოსახლებული ქართველები ჯავახეთს ტოვებენ. ჩამოსახლებულთა კვალს ძირძველი მესხი და ჯავახელი ქართველობაც მიჰყვა. სამაგიეროდ, თუ ქართული სოფლები უკაცრიელდება, აყავების ხანა უდგათ ჯავახეთის სომხურ სოფლებს. მათ არასოდეს უგრძნიათ შევარდნაძის ჩინოვნიკებისაგან უყურადღებობა. ყველა პრობლემას დროულად უგვარებენ, ამასთან მეზობელი სომხეთის რესპუბლიკის ხელისუფლება დიდ ყურადღებას აქცევს აქაური სომხების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას. საქართველოს ხელისუფლება კი ათეულობით სომხური სოფლის საარჩევნო ხმების მოსასყიდად, თავს ევლება სომხებს (მარტო ახალქალაქის რაიონში 72 სომხური და 7 ქართული სოფელია, ხოლო ნინოწმინდის რაიონში ორად-ორი ქართული სოფელია შემორჩენილი — ზ.ჩ.) და ამას ქართული სოფლების ხარჯზე აკეთებს. თუ არ დაიზარებთ რამდენიმე კილომეტრის ფეხით გავლას, ჯავახეთის რამდენიმე ქართულ სოფელს გაჩვენებთ და თვითონ დარწმუნდებით ჩემი სიტყვების სიმართლეში.“ რა უნდა მექნა, გრიგოლაშვილის თხოვნა-მუდარას ყური ვათხოვე და ჯავახეთის ქართული სოფლების სანახავად მოვემზადე. ქართულ სოფელ გოგაშენში წაყვანა თავისი „ნივით“ ერთ-ერთმა იქაურმა მკვიდრმა შემოგვთავაზა და ჩვენც დავთანხმდით.

(გაგრძელება იხ. გვ. 11)

შევარდნაძეს სჭირდებოდა კაცი, რომელიც არც არსენიშვილივით ალალი იქნებოდა და არც ლორთქიფანიძესავით პოლიტიზებული...

შეერგოთ... თუ შეერგებათ

დღეს სულ უფრო ხშირად ადარებენ „მოქალაქეთა კავშირს“ მკვდარს, რომელსაც არც მესაფლავე ჰყავდა და არც ჭირისუფალი. ვინც დედაპარტიის „სიკვდილი“ დროზე (ან უფრო ადრე) ირწმუნა, „გაატარეს“, ვინც არა და დღესაც „საპატიო ყარაულში“ დგას. ამ დღეებში ფენიქსივით ფერფლიდან აღსადგომად გამზადებული „მოქკავშირის“ რეანიმატოლოგი სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე გახდა. პარტიული ავანგარდის „ექსმებაირაღე“ — ედუარდ შევარდნაძე კი „ზურგში“, რიგით მოქალაქედ დარჩა.

ჯორბენაძე — ერთ დროს სრულიად „უჩინარი“ მინისტრი, ხელისუფლებაში რიგით მეორე სავარძლის შემდეგ, სმკ-ის თავმჯდომარის პოსტსაც იკავებს. მეტიც, პრეზიდენტმა გასულ კვირას განაცხადა, რომ სანამ ის პრეზიდენტია, ჯორბენაძე სახელმწიფო მინისტრი იქნება.

ჯორბენაძე – როგორც ასეთი...

როგორც საქმეში ჩახედული ხალხი ამბობს, ნოემბრის ეგრეთ წოდებული „ხავერდოვანი რევოლუციის“ შემდეგ, შევარდნაძემ ჯორბენაძეზე არჩევანი მიზეზთა და მიზეზთა გამო შეაჩერა. ფაქტია, რომ არსენიშვილმა პოლიტიკოსად (ე. ი. „ბინძურ“ მოთამაშედ) ვერ ივარგა. მისმა ინტელექტმა და პატიოსნებამ კანცელარიის ხლართებს ალღო არ (ან ვერ) აუღო. ყოფილი სახელმწიფო მინისტრის პიროვნებაში მინიმუმამდე იყო დაყვანილი ის აგრესია, რომელიც პოლიტიკოსს ჩვენს ქვეყანაში აუცილებლად სჭირდება. ამიტომ სტუდენტური ამბოხის შემდეგ, პრეზიდენტის მოკავშირედ არსენიშვილი ვეღარ გამოდგებოდა. შევარდნაძეს სჭირდებოდა კაცი, რომელიც, არც არსენიშვილივით ალალი იქნებოდა და არც მის წინამორბედ ლორთქიფანიძესავით პოლიტიზებული. ჯორბენაძე სწორედ რომ ასეთი იყო. ამასთან, საზოგადოებამ ძალიან ცოტა რამ იცოდა მისი ურთიერთობის შესახებ პრეზიდენტის ოჯახთან; არც ის სამინისტრო იყო ხმაურიან სკანდალებში გახვეული, რომელსაც ჯორბენაძე ედგა სათავეში. ასე იყო თუ ისე, ხალხი ფასიანი სამედიცინო მომსახურების ფაქტსაც შეეგუა. ჯორბენაძე, როგორც პოლიტიკური ინტრიგების ოსტატი, ერთი შეხედვით, მაშინ ჯერ კიდევ მეორეხარისხოვანი ფიგურა გახლდათ. ამდენად, მოსახლეობამ (უფრო სწორად, სტუდენტობამ) იგი მიიღო. ჟვანია-სააკაშვილის გამოწვევის საპასუხოდ, შევარდნაძე ჯორბენაძის მეშვეობით აქტიურ ქმედებას შეუდგა. პრეზიდენტის მაშინდელი ცნობილი ფრაზა — „რა მაქვს ზურიკოსთან გასაყოფიო“, დღეს მხოლოდ ღიმილს იწვევს, — მოქკავშირული ოჯახი გარდაუვალი გაყოფის წინაშე მაინც დადგა.

თავის დროზე, ჯორბენაძესთან ერთად სახელმწიფო მინისტრის პოსტზე ლევან ძნელაძისა და ლევან მამალაძის კანდიდატურებიც განიხილებოდა. ამ სავარძელს დიდად შესტრფოდა „მემარჯვენე“ დავით გამყრელიძეც. მაგრამ „ზურიკოსა და მისი კამანდის“ ახალგაზრდული ამბიციებით ჭკუანასწავლ პრეზიდენტს მათზე არჩევანი არ შეუჩერებია. ამბობენ, ჯორბენაძე სახელმწიფო მინისტრობას მას შემდეგ ელოდა, როცა შევარდნაძეს შინაურებისთვის უთქვამს, მამალაძე და ძნელაძე გამოირიცხნენო. მანამდე კი, ექსჯანდაცვის მინისტრი თავის პორტფელს, ალბათ კარიერის პიკად მიიჩნევდა. ყოველ შემთხვევაში, სულაც არ ესწრაფოდა ხალხთან კონტაქტს და არც ორატორული ნიჭის დახვეწას ცდილობდა.

პარლამენტმა ჯორბენაძე უყოყმანოდ დაამტკიცა, — მისი სამინისტრო ყველაზე მოწინავედ გამოაცხადეს და მის წინააღმდეგ არც ერთი სერიოზული არგუმენტი არ წამოყენებულა. და ჯორბენაძემაც პრეზიდენტის იმედი ზომაზე მეტად გაამართლა. მეტიც, კანცელარიაში ამბობენ, რომ პრეზიდენტი და სახელმწიფო მინისტრი დღეს დამკვეთ-შემსრულებლის როლში კი არ სხედან, არამედ თითქმის თანასწორუფლებიან პირობებში თათბირობენ. კულტურებში სახელმწიფო მინისტრს კანცელარიის „კარდინალიც“ კი შეარქვეს.

შიშველი ხელებით – არჩევნების წინ

რამდენიც უნდა იყვირონ ჟვანია-სააკაშვილმა და სხვებმა, ფაქტი ფაქტად რჩება: ისინი, ყველანი, შევარდნაძის წიაღიდან იშვნენ. ჟვანია, როგორც პოლიტიკოსი, შევარდნაძის ჩრდილქვეშ დაფრთიანდა, სააკაშვილი კი — ვაკის არჩევნებში პრეზიდენტის გვერდით მორცხვი ღიმილით მდგომი, ხალხს დიდხანს ემახსოვრება. დღეს ყველაფერი სხვაგვარადაა და ამას ექსპერტები უმარტივესად ხსნიან, — მოახლოებულია საპრეზიდენტო არჩევნები, პრეტენდენტებისთვის კი მომგებიანია შევარდნაძის ოპოზიციაში ყოფნა; ანუ, ვინც დღეს ყველაზე მეტად აძაგებს პრეზიდენტს, სავარძელზეც მას უჭირავს თვალი. ექსპერტები იმაზეც ლაპარაკობენ, რომ ჟვანია-სააკაშვილის გუნდმა დროსა და პროცესებს რამდენადმე გაუსწრო. მათ შევარდნაძის კრიტიკა (იგულისხმება ინტერვიუები ამერიკულ პრესაში, ჟვანიას წერილი და ა.შ.) უნდა დაეწყოთ საპრეზიდენტო არჩევნებამდე არა 2-2,5 წლით ადრე, არამედ უფრო მოგვიანებით. მათი სულსწრაფობის შედეგი ისაა, რომ „ხურდაც“ არჩევნებამდე დაუბრუნდათ. „ხურდაში“, ბუნებრივია, საპასუხო კრიტიკა ნაკლებად იგულისხმება. მთავარი ისაა, რომ „მსუყე“ სავარძლებს ჩამოაშორეს ხალხი, რომლებიც თავის დროზე, ნაციონალისტებმა და დემოკრატებმა სხვადასხვა სამინისტროს ჩაუყენეს სათავეში. მათი მზადება პრეზიდენტობისთვის ჯორბენაძემ მთავარ „დირიჟორთან“ ერთად, რამდენიმე კვირაში გააცამტვერა. მინისტრები აღარ არიან ნოღაიდელი და ძნელაძე. უფრო ადრე წავიდა მაჭავარიანი, ექსგენპროკურორი მეფარიშვილი კი რეფორმატორებმა მოღალატედ შერაცხეს და სტუდენტურ ამბოხს გადააყოლეს. ეკონომიკური ბლოკი ახლა ერთი — შევარდნაძე-ჯორბენაძისთვის სანდო კაცით — გოგიაშვილით და დემოკრატიული ფუტი შესაძლოა საერთო ამბიციის გამო ძალზე უხეშად გაიხლიჩოს. როგორც მკითხველმა იცის, კარგა ხანია ამბობენ, ორივე მათგანი პრეზიდენტობას უმიზნებსო.

საჯაიას ჯორბენაძე ჩაენაცვლა...

სახელმწიფო მინისტრთან ურთიერთობისას ძალზე კორექტულები არიან ძალოვანი მინისტრები. თავის მხრივ, ჯორბენაძესაც, ჯერჯერობით, ნაკლები პრეტენზიები აქვს მათ მიმართ. როგორც ჩანს, საჯაიას გარდაცვალების შემდეგ, მისი კადრები პრეზიდენტთან დაახლოებულ პირველ კაცად ჯორბენაძეს აღიქვამენ. ამბობენ, რომ სახელმწიფო მინისტრი ამ სისტემას აქტიურად ავსებს თავისი ხალხით. თუმცა, ძალოვნები, ალბათ წინამორბედთა მსგავსი დასასრულის შიშით, ზოგჯერ წინააღმდეგობასაც ახერხებენ. მნიშვნელოვან ცვლილებას ვარაუდობენ შსს-შიც. ამ უწყების პირველი ფინანსისტის, ვასილ დავითაიას წინააღმდეგ, კარგა ხანია, დიდძალი მასალა დევს კონტროლის პალატასა და ანტიკორუფციულ საბჭოში. გარდა ამისა, დავითაიას თარგამაძის კაცად მიიჩნევენ და ამბობენ, დღესაც მის გავლენას განიცდისო. დავითაიას პოსტზე სახელდება რამდენიმე პირი, — სხვათა შორის, ნაკლებად ცნობილები და არაპოლიციური წარსულის მქონენი.

რაკი საჯაიას კადრებზე ჩამოვარდა სიტყვა, მოლაშვილიც ვახსენოთ. ამბობენ, რომ კონტროლის პალატა სახელმწიფო მინისტრის „რჩევებით“ მუშაობს. კონტროლის პალატა ყოველივე ამას, ბუნებრივია, უარყოფს.

სახელისუფლებო კულუარებში დღეს უკვე აღარ მალავენ, რომ ჯორბენაძემ მოხერხებულად შეცვალა კადრების საკითხში საჯაია. რაც შეეხება ხარისხს — ამას დრო აჩვენებს, თუმცა, ხარისხი აქ ალბათ მეორე პლანზე გადაინაცვლებს. მთავარია, სახელმწიფო მინისტრი ენდოს და დაეყრდნოს თავის კადრებს და არა შევარდნაძის „ცუდად აღზრდილებს“. საჯაიას „აღზრდილები“ კი გონივრულად ლავირებენ.



ჯორბენაძის ეპოქა პარლამენტშიც დაიწყო

კანცელარიიდან გამოსული ინფორმაციის თანახმად, სმკ-ის რეიტინგის ასაწევად რამდენიმე მილიონია აკუმულირებული. მთავარ იმიჯმეიკერად კი, ანუ პარტიის თავმჯდომარედ, სახელმწიფო მინისტრი „აკურთხეს“. დღეს მასთან მეტ-ნაკლები ინტენსივობით და გულწრფელობით, მოლაპარაკებას თითქმის ყველა საპარლამენტო ძალა აწარმოებს. ცნობილია, რომ სმკ-თან ოფიციალურ ალიანსში იქნებიან „თანადგომა“ და მამალაძის ფრთა, ვარაუდობენ „ახლებსაც“. ოპოზიციად უკვე ჩამოყალიბდნენ ნაციონალისტები და დემოკრატები. ექსპოზიცია „აღორძინება“ კი საკმაოდ დაბნეული ჩანს. მათი ოპოზიციური სულისკვეთება დღემდე მხოლოდ ჟვანიასთან წინააღმდეგობით ვლინდება. პრეზიდენტის მიმართ ზეკრიტიკულები ისინი არასოდეს ყოფილან და ალბათ არც შემდგომში მოიკლავენ თავს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, აბაშიძე და შევარდნაძე ზედმიწევნით კორექტულები არიან ერთმანეთთან ურთიერთობაში. არ უნდა დაგვავიწყდეს ლორთქიფანიძის ფრაქცია „ახალი აფხაზეთი“ და არც ლომინაძის „აფხაზეთი“, რომლებიც უდავოდ, პრეზიდენტის გუნდრუკის მკმეველები იქნებიან.

ასე რომ, პრეზიდენტმა მხარდამჭერთა საკმაოდ წარმომადგენლობითი ფრთა პარლამენტში მაინც შექმნა და თავი ქუდში აქვს. შეგახსენებთ, როცა უკრაინის ლიდერი კუჩმა საქართველოში ჩამობრძანდა, პრეზიდენტმა მას ღამის მიუსამძიმრა იმის გამო, რომ კუჩმას საკანონმდებლო ხელისუფლებაში ძლიერი დასაყრდენი არ ჰქონდა. ჩემს კანონებს კი პრობლემა არ ექმნებაო, — თავს იწონებდა შევარდნაძე...

ახალი საპარლამენტო ალიანსი როდის ჩამოყალიბდება, ჯერ უცნობია. სამაგიეროდ, ცნობილია, რომ ამ ალიანსის თავკაცებმა ერთად ჭიქაც ასწიეს და მომავალიც დალოცეს. შეერგოთ... თუ შეერგებათ!

ქეთი ბერეკაშვილი

სწორედ მეფარიშვილი და თარგამაძე არიან შეკრულები „Газета.ru-სთან“

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე, რომლის საკითხის განხილვა გასულ კვირას უკვე მერამდენედ გადაიდო, ამჯერად მორიგ საინფორმაციო სკანდალში ეხვევა — „Ãàçåòà.ru“-ს ინტერნეტსაიტით ვრცელდება საკმაოდ „საინტერესო“ ინფორმაციები საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური ბატალიებისა და ინტრიგების შესახებ. რუსული პრესა გვთავაზობს პოლიტანალიზს და „მიდის დასკვნამდე“, რომ სააკაშვილისა და ჟვანიას გარდა საპრეზიდენტო სკამისთვის კიდევ ორი მანდილოსანი — ნინო ბურჯანაძე და ელენე თევდორაძე იბრძოლებენ. ეს უკანასკნელი სტატიაში მონსტრად არის გამოყვანილი. წერენ, თითქოს თევდორაძეს პარლამენტის ამჟამინდელი სპიკერი მაინცდამაინც თვალში არ მოსდის და ყველანაირად ცდილობს, ძირი გამოუთხაროს. უფრო მეტიც, თურმე ქალბატონი თევდორაძე საერთაშორისო მასშტაბით გეგმავს ბურჯანაძის დისკრედიტაციას. სტატიის საკმაოდ მოზრდილი ნაწილი დათმობილი აქვს ქალბატონი ელენე თევდორაძის დანაშაულებრივი კავშირების „გამომზეურებას“ ჩეჩენ ბოევიკებთან, პატარკაციშვილ-ბერეზოვსკისთან, ბალტიის რესპუბლიკების დეპუტაციასთან და ა.შ.

— ქალბატონო ელენე, გასულ კვირას თქვენს შვილთან დაკავშირებით, რა უსიამოვნება შეგემთხვათ?...

„კვირის პალიტრასთან“ საუბარში **ელენე თევდორაძე** საკმაოდ საინტერესო განცხადებებს აკეთებს და ამბობს, რომ მისთვის ცნობილია, ვინ დგას ამ სტატიების უკან როგორც რუსეთში, ისე საქართველოში...

— მე ვიცი, ვინ არის ამ სტატიების და, საერთოდ, ამ ჭუჭყიანი კამპანიის ავტორი რუსეთში. ვიცი, ვისგანაც წამოვიდა ბრალდებების ეს ნიაღვარი ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ. ჩემთან მოვიდა „ნოვაია გაზეტას“ ჟურნალისტი, რომელიც სპეციალურად იყო საქართველოში ჩამოსული და დამისვა სამადლამი შეკითხვა — რა ურთიერთობა მქონდა ბერეზოვსკისთან, გელაევთან და ლანდსბერგისთან. მაშინვე მივხვდი, ვის დაკვეთასაც ასრულებდა ეს რუსი ჟურნალისტი.

— უფრო კონკრეტულად, ვის დაკვეთას ასრულებდა?

— ორი პიროვნების! ესენი არიან რუსეთის დუმის დეპუტატები დიმიტრი როგოზინი და სერგეი კოვალიოვი. ორივე პარალელურად არის ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წევრი. სხვათა შორის, კოვალიოვი „ფეესბეს“ ყოფილი შეფი გახლავთ. სწორედ ამ ორმა პიროვნებამ დაიწყო ჩემი დისკრედიტაცია რამდენიმე ხნის წინ და დღემდე აგრძელებენ.

— რამე დაუშავეთ?

— ეს ყველაფერი დაიწყო მაშინ, როცა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სესიაზე მზადდებოდა სპეციალური დასკვნა რუსეთის მიერ ევროსაბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე. დასკვნაში პრაქტიკულად ნათქვამი იყო, რომ თურმე რუსეთს დემოკრატიის ზენიტისთვის მიუღწევია. ამ დროს მე გამოვედი და სიტყვა ვითხოვე. დავიწყე რუსეთის მიერ შატილის დაბომბვით და ვთქვი, როდის იყო დემოკრატიული ქვეყანა სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიას ბომბავდა-მეთქი. ამას გარდა, რუსეთის მთავრობა გავაკრიტიკე სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის გამო „ნტვ“-სა და „ტვ-6“-თან მიმართებაში და ა.შ. ჩემმა გამოსვლამ სიტუაცია რადიკალურად შეცვალა. ბატონი როგოზინი იმის შემდეგ საერთოდ აღარც კი მესალმება. რაც შეეხება კოვალიოვს, სხდომის დამთავრებისთანავე ჩემთან მოვიდა და მითხრა — თქვენ გავიწყდებათ, რომ თქვენმა პრეზიდენტმა გელაევს კულტურული და განათლებული კაცი უწოდაო. მე ვუთხარი — ედუარდ შევარდნაძეს ეს სიტყვები ჩვენ თვითონვე არ ვაპატიეთ, მაგრამ თქვენ ნამდვილად არ მოგცემთ უფლებას, საქართველოსა და ჩვენს პრეზიდენტზე ილაპარაკოთ ისე, როგორც ლაპარაკობთ და მოგვექცეთ ისე, როგორც გვექცევითმეთქი. მაშინ მან მიპასუხა — თქვენ ევროპაში საკმაოდ ცნობილი პიროვნება ბრძანდებით, როგორც ადამიანის უფლებათა დამცველი, მაგრამ იცოდეთ, არც ჩვენ დავსხდებით გულხელდაკრეფილიო. როგორც ხედავთ, ისინი ამ მუქარას პერმანენტულად ასრულებენ.

— დარწმუნებული ხართ, რომ ეს სწორედ მათი ხელწერაა?

— მტერი ბევრი მყავს, მაგრამ ეს სწორედ მათი ხელწერაა, იმიტომ, რომ ამ სხდომიდან რამდენიმე დღეში, რუსულ პრესაში უკვე ჩნდება ინფორმაცია, თითქოს ჩემი მითითებით გაჟლიტეს 14 სომეხი. შემდეგ ასევე რუსულ გაზეთში წერენ, თითქოს მე მაქვს რაღაც კავშირები ბერეზოვსკისთან, რომ იგი მე მაფინანსებს, რომ ელენე თევდორაძე არის „ბარიგა“, პანკისიდან ჩამოაქვს ნარკოტიკები და ასაღებს და ა.შ. მინდა გითხრათ, რომ „Ãàçåòà.ru“ რუსეთის ყველაზე რეაქციული საიტია ინტერნეტში, ამიტომაც ჩემმა მოწინააღმდეგეებმა ამ ბინძური კამპანიის საწარმოებლად სწორედ მას მიმართეს.

— ხომ არ ეჭვობთ, რომ მათ მოკავშირეები საქართველოშიც ჰყავთ?

— დიახ, რასაკვირველია! ამ ბინძურ ინფორმაციებს ისინი სწორედ საქართველოდან იღებენ.

— კონკრეტულად ვისგან?

— ვისგან და... კახა თარგამაძისა და გია მეფარიშვილისგან.

— დიდი ხანია, თარგამაძე და მეფარიშვილი არაფერში დაგიდანაშაულებიათ_ რატომ მაინცდამაინც ისინი?

— მე მათ ყოველთვის ვადანაშაულებდი... სწორედ თარგამაძე და მეფარიშვილი აფინანსებდნენ თავის დროზე ვითომ პროკურატურის გაზეთს. ეს გახლდათ „მართალი გაზეთი“, რომელშიც ჭუჭყის მეტი არაფერი იბეჭდებოდა. სწორედ ესენი არიან შეკრული „Ãàçåòà.ru“-ს ხალხთან და მათი ბინძური მასალებით სულდგმულობენ. რასაც ვამბობ, ყველაფერზე პასუხს ვაგებ. ზუსტად ვიცი, რომ ასეა.

— „გაზეთა რუ“ წერს, რომ ელენე თევდორაძესა და ნინო ბურჯანაძეს პრეზიდენტობის ამბიცია აქვთ...

— ხმამაღლა ვაცხადებ და ყველამ გაიგოს — ამ პარლამენტის ვადის ამოწურვისთანავე საერთოდ მივდივარ პოლიტიკიდან.

— სად მიდიხართ?

— პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ ალბათ რომელიმე არასამთავრობო ორგანიზაციაში გავაგრძელებ ჩემს საქმიანობას, ისევ და ისევ ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით. ასე რომ, პრეზიდენტობის კი არა, მომავალ პარლამენტში შემოსვლის ამბიციაც კი არ მაქვს.

— ნინო ბურჯანაძეზე რას იტყვით?

— მე მხოლოდ მივესალმები, თუკი იგი პრეზიდენტი გახდება.

— არადა, ამბობენ, რომ თქვენ მას ძირს უთხრით.

— ესეც ბინძური ტყუილია. მე ქალბატონ ნინოს და მის ოჯახს ძალიან დიდ პატივს ვცემ.

— რუსული პრესა გამხელთ იმაშიც, რომ თითქოს თქვენ ხშირად აწვდით საქართველოს მაკომპრომეტირებელ მასალებს მთელ რიგ საერთაშორისო ორგანიზაციებს.

— დიახ, მაბრალებენ, თითქოს მე ვიღაც-ვიღაცებს მივაწოდე ინფორმაციები რასიზმთან დაკავშირებით და საქართველოს სახელი შევულახე. არადა, პირდაპირ გეტყვით — ეს მასალები გაეროში რუსუდან ბერიძემ წაიღო. მე მგონი, მან ეს ღიადაც განაცხადა. მე პირადად, არსად არანაირ ინფორმაციას არ ვაგზავნი.

(გაგრძელება იხ. გვ. 11)

კონკრეტულად რა სახის და ღირებულების იარაღი დააკავეს ნატახტართან?..

„გთხოვთ განგვიმარტოთ, ზუსტად რა იარაღი დააკავეს ნატახტართან, მისი მახასიათებლები და ღირებულება.

პატივისცემით — მ. გელაშვილი

18 ივნისს, მცხეთის ახლოს დააკავეს ჯიპი, რომელშიც, უშიშროების სამინისტროს მონაცემებით, აღმოჩენილია 9 „ფაგოტი“, 3 მისი გასაშვები დანადგარი, ამდენივე ცეცხლსატყორცნი „შმელი“, აგრეთვე ერთი უცხოური და ერთიც — მაყუჩიანი „მაკაროვის“ ტიპის პისტოლეტი. ეჭვმიტანილის სახლის გაჩხრეკისას კი ოპერატიულმა ჯგუფმა დამატებით ამოიღო 8 ცალი ჩეხური პისტოლეტი ვაზნებითურთ.

ამ ოფიციალური მონაცემების უკან ძალიან საინტერესო ინფორმაცია იმალება. ლაპარაკია ტანკსაწინააღმდეგო მართვად სარაკეტო კომპლექსებზე 9K111 Фагот-ებზე, რომელშიც შედის თავად მართვადი რაკეტები 9M111-ები და მათი გასაშვები დანადგარი 9П135. აგრეთვე ერთჯერადი ქვეითთა რეაქტიული ცეცხლის მფრქვეველი РПО-А.

ამ კონკრეტულმა შიფრებმა შეიძლება ჩვეულებრივი მკითხველი არც დააინტერესოს, მაგრამ სპეციალისტი მათ მიღმა ძალიან ბევრ მნიშვნელოვან ინფორმაციას ამოიკითხავს.

Фагот-ების გამოშვება ქ. ტულის იარაღის ქარხანამ 1970 წლიდან დაიწყო. იგი იყო იმ დროისთვის მსოფლიოში საუკეთესო, ყველაზე ეფექტური მეორე თაობის გადასატანი ტანკსაწინააღმდეგო მართვადი სარაკეტო კომპლექსი. მოგვიანებით გამოშვებულ იქნა რაკეტის მოდერნიზებული ვარიანტი 9M111 Фагот-М. მისი კალიბრი 120 მმ-ს აღწევს, სროლის სიშორე — 75-დან 2000 მ-მდეა, ხოლო ფრენის სიჩქარე — 177 მ/წმ-ში. კუმულატიური ქობინით აღჭურვილ რაკეტას შეუძლია 460 მმ სისქის მონოლითური ჯავშნის გატანა. მთლიანად კომპლექსი, რაკეტითურთ, 13,2 კგ-ს იწონის. მაგრამ რაც ყველაზე საინტერესოა, ეს ტანკსაწინააღმდეგო რაკეტა მართვადია. მისი მართვა ხორციელდება ნახევრად ავტომატურად, სპეციალური სადენით, რომლის ერთი ბოლო მფრენ რაკეტაზეა მიბმული, მეორე კი გასაშვებ დანადგარზე რჩება.

Фагот-ებმა პირველად თავი საქართველოს წინააღმდეგ 1992 წლის აგვისტოს ბოლოს გამოიჩინეს — ეშერის სეისმოლოგიური ლაბორატორიის მისადგომებთან ჩასაფრებულმა რუსეთის საჰაერო-სადესანტო ჯარების 345-ე საპარაშუტო-სადესანტო პოლკის ერთმა ლეიტენანტმა შეტევაზე გადმოსული 5 ქართული ტანკი და ჯავშანმანქანა ააფეთქა ამ მართვადი ტანკსაწინააღმდეგო რაკეტებით.

ჯიპში აღმოჩენილი არსენალიდან არანაკლებ მნიშვნელოვანია ერთჯერადი, ქვეითთა რეაქტიული ცეცხლისმფრქვეველები РПО-А Шмель-ები. იგი ერთი შეხედვით პოპულარულ „მუხებს“ წააგავს, მაგრამ მოქმედების პრინციპით სრულიად განსხვავდება. ერთჯერადი მოხმარების ცილინდრულ, პლასტმასის კორპუსებში, რომელსაც გასროლის შემდეგ ყრიან, მოთავსებულია ალუმინის მოგრძო კაფსულა და მისი გასაშვები რაკეტული ძრავა. კაფსულაში ჩატუმბულია 2,1 ლ მოცულობის ცეცხლგამჩენი ნარევი. მიზანში მოხვედრისას ინიცირებას განიცდის ამფეთქი, რის შემდეგ აალდება შიგ მოთავსებული ცეცხლგამჩენი ნარევი, მისი ცეცხლმოკიდებული ნაწილები იფანტება და ყველაფერს ცეცხლის ალში ხვევს.

ჩვეულებრივ ტროტილთან შედარებით, Шмель-ის აფეთქებისას წარმოქმნილი მოცულობითი აფეთქების ეფექტი დეტონაციის გარეშე უფრო დიდხანს მიმდინარეობს, რითაც იზრდება დაზიანება.

ამ „კრაზანას“ თერმობარული კაფსულის აფეთქების სიმძლავრეს შემთხვევით არ ადარებენ 122 მმ კალიბრის ჰაუბიცის ჭურვის აფეთქებას. Шмель-ის კონტეინერის სიგრძე 92 სმ-ია, წონა — 11 კგ, ხოლო ეფექტური სროლის სიშორე — 350 მ, თუმცა მისი გასროლა 1 კმ-ზეც შეიძლება.

პირველად Шмель-ები საბჭოთა არმიამ გამოიყენა ავღანეთის ომში, 1982-83 წლებში, გამოქვაბულებში შეყუჟული ავღანელი მოჯაჰედების გასანადგურებლად. ეს მართლაც რომ ძალზე ეფექტური იარაღი ქართული სამხედრო ძალების შეიარაღებაში ძალიან ცოტაა. 1998 წლის შემოდგომაზე, როდესაც ამბოხებული აკაკი ელიავას ტანკები სენაკიდან დაიძრნენ, შინაგან-მა ჯარებმა ორ ათეულამდე Шмель-ი შვეულმფრენით სასწრაფოდ გადაისროლა ზუგდიდში, რათა იქ დახვედროდნენ ამბოხებულთა ტანკებს. ეს შეიძლება შინაგანი ჯარების ხელმძღვანელების ერთგვარი შეცდომაც იყო, რაც მათ მიერ ამ იარაღის ტაქტიკურ-ტექნიკური მონაცემების უცოდინარობით იყო გამოწვეული — „კრაზანა“ ეფექტურია სახლში, სარდაფში თუ სანგარში შეყუჟული მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალის, ავტოტრანსპორტისა თუ მსუბუქი შეჯავშნული მანქანების გასანადგურებლად, მაგრამ ტანკს ბევრს ვერაფერს დააკლებს.

მაინც ვის უნდა დასჭირვებოდა ამ არსენალის ცხინვალში შეძენა და სად მიჰქონდათ იგი? ვაზიანის მე-11 ბრიგადის სატანკო ბატალიონიდან მოპარული 12 ПКТ ტყვიამფრქვევისა არ იყოს, ეს არსენალიც მიემართებოდა იქითკენ, სადაც მასზე მოთხოვნაა. მართალია, დღეს ქართველი პარტიზანები აცხადებენ, ეს იარაღის პარტია დაახლოებით 7 ათას დოლარად ჩვენ შევიძინეთ და მორატორიუმის დამთავრების შემდეგ აფხაზეთში უნდა გამოგვეყენებინაო, მაგრამ მაინც რჩება ეჭვი, რომ არსენალის „მოგზაურობის“ საბოლოო პუნქტი პანკისის ხეობა გახლდათ. ხოლო სხვა საკითხია, იქ მას ხეობის გასამაგრებლად გამოიყენებდნენ თუ ჩეჩნეთის სამხრეთ რაიონებში გადაიტანდნენ. სხვათა შორის, შარშან დააკავეს ცხინვალის რეგიონში მდგარი რუსეთის სამშვიდობო ძალებიდან ნაყიდი იარაღის პარტია, რომელსაც გზა ასევე პანკისისაკენ ედო. მათში ასევე Фагот-ები ფიგურირებდნენ.

რადგანაც ასეთი მოთხოვნაა Фагот-ებზე, ეტყობა, მისი შემკვეთი მოწინააღმდეგის ჯავშანტექნიკის გასანადგურებლად ემზადება. აფხაზ სეპარატისტებს კი მაინცდამაინც ბევრი ტანკი თუ ჯავშანმანქანა არ ჰყავს. სამაგიეროდ, Фагот-ები ძალზე ეფექტური იარაღი ხდება ჩეჩნეთის მთებში რუსული ჯავშანკოლონის მომლოდინეთა ხელში.

ასევე ცოტა გაუგებარია დაკავებული იარაღის ფასიც. ოფიციალური პირები დაახლოებით 300 ათას დოლარზე ლაპარაკობენ, პარტიზანთა ლიდერები იფიცებიან, 7 ათას დოლარამდე გადავიხადეთო. იარაღის ამა თუ იმ სახეობის არალეგალურად შესყიდვას სხვადასხვა რეგიონში სხვადასხვა თანხა სჭირდება. თუმცა ამხელა განსხვავება გამორიცხულია. თუ დავეყრდნობით რუსი სპეციალისტების მონაცემებს, რომლებმაც სწორედ გასულ კვირას, გროზნოს სიახლოვეს ჩეჩნების გადამალული Фагот-ის ოცამდე რაკეტა აღმოაჩინეს და თითოეული მათგანი შავი ბაზრის ნიხრით 15 ათას დოლარად შეაფასეს, მაშინ უფრო რეალურია, რომ მცხეთასთან დაკავებული არსენალის საერთო ღირებულება მაინც 300 ათასისკენ გადაიხაროს.

მოტოციკლეტზე დამონტაჟებული Фагот-ი

ამ ვარაუდს ამყარებს ერთი უბრალო მაგალითიც — ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში, ვარჯიშისას, თითოეულ მიზანს აცდენილი Фагот-ისთვის ოფიცრები მსროლელ ჯარისკაცს თავში ერთი ლაზათიანად წამოარტყამდნენ და თანაც მიაყოლებდნენ — ესეც შენი ერთი „ვოლგაო“. თითოეული Фагот-ის თვითღირებულება საბჭოთა ფასებით 7-8 ათას მანეთს აღწევდა. ძნელი დასაჯერებელია, დღეს უფრო ძვირი არ იყოს, მით უფრო იარაღის შავ ბაზარზე.

სტატიის ავტორის ვარაუდით, რჩება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: დაკავებულ არსენალში აღმოჩენილი Фагот-ები და Шмель-ები, ისევე, როგორც მაყუჩიანი „მაკაროვი“ (რომელსაც უფრო სწორად უხმაურო პისტოლეტი ПБ ჰქვია), პირდაპირ მისწრებაა დიდი მასშტაბის ტერორისტული აქტის განსახორციელებლად.

ცეცხლისმფრქვეველმა Шмель-მა, რომ არაფერი ვთქვათ ტანკსაწინააღმდეგო მართვად რაკეტა Фагот-ზე, შეიძლება ტანკებს ბევრი ვერაფერი დააკლოს, მაგრამ შეჯავშნულ ლიმუზინს კარგ დღეს ნამდვილად არ დააყრის. პროფესიონალ მსროლელ-ოპერატორს 2 კმ-ის მანძილიდან დღისით და ღამითაც (თუ ეს ტანკსაწინააღმდეგო მართვადი კომპლექსი სითბოვიზური აპარატურითაა აღჭურვილი) შეუძლია 80-100 კმ/სთ სიჩქარით მოძრავი, შეჯავშნული ობიექტის აფეთქება. პროფესიონალი ოპერატორი Фагот-ით ადვილად დააზიანებს უძრავ მიზანს, მაგალითად, ამა თუ იმ შენობის კონკრეტულ სართულს და მართვად კუმულატიურ ტანკსაწინააღმდეგო რაკეტას ზუსტად ფანჯარაში შეაგდებს, თუგინდ ეს უკანასკნელი შეჯავშნული მინებით იყოს დაცული.

Шмель-ის პლასტმასის კონტეინერი (ზემოთ), რაკეტული ძრავა (ქვემოთ, მარცხნივ) და ცეცხლგამჩენი ნარევით სავსე კაფსულა

უხმაურო პისტოლეტი ПБ, რომელიც მაკაროვის ПМ პისტოლეტის ბაზაზეა დამზადებული

ჩვენი რეალობიდან გამომდინარე, დაცვის სამსახურები ძალზე სერიოზულად და ალბათ არც უსაფუძვლოდ უფრთხიან ახალ ტერორისტულ აქტს ქვეყნის პრეზიდენტზე. ამიტომ ყურადღება მეტად არის გასამახვილებელი კრწანისის სამთავრობო რეზიდენციის მიმდებარე გორაკების და სახელმწიფო კანცელარიის შენობის მახლობელი მთაწმინდის ფერდობის მიმართ. რადგან თუ ეს სიშორე Фагот-ის მოქმედების ზღვრულ მანძილს წარმოადგენს, არსებობს უფრო თანამედროვე უზუსტესი მართვადი სარაკეტო სისტემები, რომლებიც რაკეტას 4-5 კმ-ის სიშორიდან პირდაპირ პატარა სარკმელში „მოათავსებენ“.

საქართველოს მხატვართა კავშირის კლუბი
ფანტა და მაკიაჟის
სტუდია
28 ივნისს
სპორტის სასახლეში
საქველმოქმედო მიზნობრივ:
„ჩანაცა გაცლა ქრნა“
მონაწილეობენ:
33° ჩვენ ზეშთა
ნიღბის ქალაქამაძე & ინსაიდი
მწვანე ოთახი ფული მოვიდა
მიმავალის კლუბი აუტსაიდერი
და სხვა
ხმა ჟანგისება
SOUND CITY M.S. LIGHT
საინფორმაციო მხარდაჭერა TST TV ითვალისწინებს რამდენიმე ვერსტუნა. ვერსტუნა ალვისთან, ! რაღაცის, რაღაც უნდაწერა. ბარიშნიკოვის კლუბის ადმინისტრაცია ითხოვს, ასაკის ქონისა მონაწილეობის, პარტიების, შიშარა ყველაფრის სანინ

პროგრამული უზრუნველყოფის ინსტიტუტი
Programming Development Institute
აცხადებს მიღებას 2002-2003 წ.წ.
✓ პროგრამირების ფაკულტეტზე
სწავლის ხანგრძლივობა 4 წელი.
✓ ინსტიტუტთან არსებული მეორადი კურსები:
- პროგრამული ენები: Turbo pascal; Delphi; C; C++; SQL; Java... (სწავლის ხანგრძლივობა 10 თვე).
- დიზაინური პროგრამები; WEB-გვერდის დამზადება.
- ინგლისური ენის ინტენსიური სწავლების კურსი აუდიო-ვიდეო მასალების თანხლებით (სწავლის ხანგრძლივობა 6 თვე).
საბუთების მიღება მისამართზე: თავისუფლების მოედანი №7, ცეკავშირის შენობა, V სართული, №544. ტელეფონი: 999911
E-mail: kiber@www.com

„ხელისუფლება ხალხს ფუსაღივით ექცევა და „რამკიანი ქურდივით“ ფულს აწერს...“

საქართველოს არმია მაშინ ეყოლება, როდესაც ქვეყნის სათავეში ჯარგამოვლილი პრეზიდენტი მოვა

20 ივნისს, პარლამენტის სხდომაზე, პირველ მოსმენაზე იქნა გატანილი თავდაცვის სამინისტროს მიერ წარდგენილი კანონპროექტი „სამხედრო სავალდებულო სამსახურის კანონში“ ცვლილებების დაკანონების შესახებ.

ამ კანონპროექტზე თავისი მოსაზრებები „კვირის პალიტრამ“ მკითხველს უკვე გააცნო.

თუკი ეს ცვლილებები ამოქმედდა, ჯარში გაწვევა სულ სხვა პრინციპით წარიმართება, რაც საზოგადოების ფართო ფენას შეეხება. განზრახულია ფულადი ბეგარის შემოღება.

ამ ცვლილებების დადებითი და უარყოფითი მხარეების შესახებ კომენტარი ვთხოვეთ არასამთავრობო სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობების ცენტრის დირექტორს ბ-ნ **დავით დარჩიაშვილს**, რომელიც არმიისა და საზოგადოების ურთიერთობას ათი წელია იკვლევს და ამ თემას არაერთი საინტერესო ნაშრომი მიუძღვნა.

— ეს კანონპროექტი დაუხვეწავია, ბევრ კითხვას ბადებს. ვინც, ვთქვათ, ათი წლის განმავლობაში ყოველწლიურად ფულით გადაავადებინებს ჯარში გაწვევას, ბოლოს სად წავა და რანაირად მოიხდის სამხედრო ვალდებულებას, ამაზე კანონპროექტში ნათლად არაფერია ნათქვამი. კაცი ვერ გაიგებს, რა წერია რეზერვზე. გაურკვეველია, რას ნიშნავს სამი თანრიგის რეზერვი და ვინ რომელ თანრიგში ჩაირიცხება, გაუგებარი რჩება უმაღლეს სასწავლებლებში როგორ წარიმართება კაპრალების, სერჟანტების მოსამზადებელი კურსები. რამდენი უნდა იყვნენ და რა მომზადება უნდა გაიარონ. ეს დეტალები არათუ კანონპროექტში, დასაბუთებაშიც არ არის განმარტებული.

ბუნდოვანია გამგეობების როლი. განა შეძლებენ ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოები იმ საქმის გაკეთებას, რომელიც უზარმაზარი გამოცდილების მქონე სამხედრო კომისარიატებსაც უჭირთ?

მთავარი შენიშვნა კი ეხება იმ გადასახადს (200 ლარი), რომელიც ახალგაზრდას შესაძლებლობას მისცემს, ერთი წლით გადაივადოს ჯარში გაწვევა. გასაგებია, რომ თავდაცვის სამინისტროს უჭირს, რომ უფრო მეტი რესურსი უნდა ჰქონდეს გამოყოფილი, მაგრამ ეს ფასიანი გადავადება ხელს შეუწყობს უთანასწორობის გაღრმავებას. ასეთი რამ არც ერთი საზოგადოებისათვის არ ყოფილა ხელსაყრელი, განსაკუთრებით კი მისთვის, ვინც დემოკრატიული და სამართლიანი სახელმწიფოს აშენებას აპირებს. ხოლო თუკი რაღაც ფეოდალური წესების დანერგვას ვაპირებთ, მაშინ ყველაფერი გასაგებია, მაგრამ კონსტიტუციაში ხომ საპირისპირო — საერთო თანასწორობა გვიწერია?

მე ასეთ პირობებში წინააღმდეგი ვარ ამგვარი გადასახადისა.

ასე მგონია, სახელმწიფო თავიდან იცილებს მოვალეობას ჯარის წინაშე და ეს ყველაფერი აწვება კისერზე რიგით მოქალაქეებს. თუ ეს ასეა, მაშინ საკითხავია, რაღა საჭიროა სახელმწიფო, იყოს თავდაცვის სამინისტრო და ჩვენ, მოქალაქეებმა, პირდაპირ ვუხადოთ მას ფული.

თავდაცვის სამინისტროს რამდენიმე მილიონი ლარი რომ ჰქონდეს, ამერიკელებთან თანამშრომლობის პროგრამას ბოლომდე მიიყვანდა, მაგრამ რა დააშავა ხალხმა? ჩვენი სახელმწიფო, რომელიც ფაქტობრივად ფიქციაა და მარტო ქაღალდზე არსებობს, ვერ ჰპატრონობს არმიას. ეს, დროა, ხმამაღლა ითქვას. ხელისუფლებამ — პრეზიდენტმა და მთავრობამ კი, ბოდიში უნდა მოუხადოს საზოგადოებას, რომ ვერ ახერხებს ელემენტარული მოვალეობების შესრულებას და სთხოვოს მოსახლეობას, სანამ სახელმწიფო სახელმწიფოს დაემსგავსება, დროებით, ვალის სახით, დაეხმაროს ჯარს. სამწუხაროდ, პარლამენტში მხოლოდ ყველრება ისმის — ყველა წვევამდელისაგან ფულიც უნდა ავკრიფოთ და თავზე დამოკლეს მახვილივით მუქარაც დავკიდოთ — ვინც ჯარს თავს აარიდებს, სახელმწიფო კარიერა შეზღუდული ექნებაო!

ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ხელისუფლება თავის ხალხს ტუსაღივით ექცევა და კარგი „რამკიანი“ ქურდივით ფულს აწერს. ასეთი დამოკიდებულება მეტად საშიშია. დღეს შეიძლება თავდაცვის სამინისტრომ ორიოდ გროშს გამოჰკრას ხელი, მაგრამ არა მგონია, ასეთი გზით მისმა და მით უმეტეს, სახელმწიფოს პრესტიჟმა მოიმატოს, რაც იმავე ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე რამდენიმე მილიონი ლარი.

გენერლების წინააღმდეგობის მიუხედავად,

„კვირის პალიტრა“ „თბილისზე“

„კვირის პალიტრა“ და „თბილისი“ მეგობრობას მაინც გააგრძელებენ

ამჟამად NATO-ელი, ქართველ სამხედროებთან ერთად, თბილისის მახლობლად საერთაშორისო სამხედრო სწავლებას გადის, ხოლო ქართველმა სამხედრო მეზღვაურებმა NATO-სავე „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამაში მონაწილეობისათვის შავი ზღვის დასავლეთ სანაპიროზე, რუმინეთის პორტ კონსტანცას მიაშურეს.

საზღვაო სწავლებაში სარაკეტო კატარღა „თბილისიც“ მონაწილეობს, რომელსაც, როგორც ჩვენს მკითხველს მოეხსენება, შეფობს „კვირის პალიტრა“. ფოთის სამხედრო პორტიდან გასვლამდე ერთი თვით ადრე, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საზღვაო თავდაცვის ძალების ხელმძღვანელობამ „კვირის პალიტრის“ ერთი წარმომადგენელი თავაზიანად მიიწვია ამ სწავლებაში მონაწილეობის მისაღებად, რათა „თბილისის“ გემბანიდან თვალყური ედევნებინა ქართველი სამხედრო მეზღვაურების გარჯისთვის.

ეს ფაქტი პატივისცემად მივიჩნიეთ და დავფაცურდით, რათა ხელცარიელი არ ვწვეოდით სარაკეტო კატარღას. „თბილისის“ ეკიპაჟის თითოეული წევრისათვის რედაქციამ საგანგებო ნობათი მოამზადა, რათა ქართველი სამხედრო მეზღვაურები ღირსეულად დამდგარიყვნენ ჩვენზე უფრო დიდი და მდიდარი ქვეყნების სამხედრო ფლოტების გვერდით.

კაცი ბჭობდა და „გენერალი“ იცინოდაო — საზღვაო თავდაცვის ძალებიდან კატარღის გასვლის წინ გვაცნობეს, რომ „კვირის პალიტრის“ სამხედრო მიმომხილველი, თქვენი მონა-მორჩილი უკანასკნელ წუთს სიიდან ამოიღეს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის გენერალ-ლეიტენანტ ჯონი ფირცხალაიშვილის ბრძანებით.

ცხადია, გენერალიტეტის დიდჩინოსნებს სრული უფლება აქვთ, თავად განსაზღვრონ, თუ ვინ უნდა მონაწილეობდეს ამა თუ იმ სწავლებაში.

საკვირველი და გულსატკენი შემდეგი გარემოებაა: საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თუ გენერალური შტაბის ხელმძღვანელობა მაღალი ტრიბუნებიდან მუდამ ქადაგებს, საზოგადოება ჯარის გვერდში უნდა იდგეს და ეხმარებოდესო.

„კვირის პალიტრამ“, საკუთარი სურვილით, ზუსტად ერთი წლის წინ იკისრა სარაკეტო კატარღა „თბილისის“ ეკიპაჟის შეფობა, რომელსაც, თუმცა ქართული სამხედრო-საზღვაო ფლოტის ფლაგმანად ითვლება, აშკარად აკლია ყურადღება (ისევე, როგორც სხვებს).

ამ ხნის განმავლობაში, როგორც შეგვეძლო, ისე ვეხმარებოდით დაძმობილებულ ეკიპაჟს და მათაც, მადლობის ნიშნად, სამახსოვრო ნობათი მოგვიძღვნეს. კონსტანცაში „კვირის პალიტრა“ თავის წარმომადგენელს (ბუნებრივია, რედაქციის ხარჯებით) გასახარებად როდი აგზავნიდა. ვინც ერთხელ მაინც მოჰყოლია მცირე წყალწყვის, მინიმალური კომფორტის მქონე სამხედრო კატარღით 4-5-ბალიან ღელვაშიც კი, დაგვერწმუნება, რომ ეს „გასეირნება“ არ არის.

ჩვენი მიზანი გახლდათ, საზღვაო გადასვლის დროს დავკვირვებოდით „თბილისის“ ეკიპაჟის წევრების მართლაც რთულ საქმიანობას და აქედან გამომდინარე, შემდგომში გვეზრუნა, რითი დავხმარებოდით დაძმობილებულ ეკიპაჟს.

გარდა ამისა, ჩვენი რეპორტაჟებით ვეცდებოდით, უფრო მიმზიდველი და პრესტიჟული გაგვეხადა ქართველი სამხედრო მეზღვაურების ურთულესი და სარისკო პროფესია, რათა ახალგაზრდები თავისი სურვილით (და არა მეტროსა და ქუჩაში დაჭერით) დამდგარიყვნენ სამშობლოს საზღვაო აკვატორიის დასაცავად.

ვფიქრობთ, „კვირის პალიტრასა“ და „თბილისის“ ეკიპაჟს შორის დამყარდა ნამდვილი სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობა, რომელიც რეალურად და არა მხოლოდ სიტყვით (როგორც ეს თავდაცვის სამინისტროსა და გენერალურ შტაბში იციან) ვითარდება და იგი უნდა გახდეს საზოგადოებასა და არმიას შორის ჩატეხილი ხიდის აღდგენის საწყისად.

დრონი მეფობენ და არა მეფენი. მალე იმავე გენერალიტეტშიც ბევრი რამე შეიცვლება, მაგრამ სარაკეტო კატარღა „თბილისის“ ეკიპაჟსა (რომელსაც ძალიან დასწყვიტა გული „კვირის პალიტრისთვის“ თქმულმა უარმა) და რედაქციას შორის მეგობრობა დარჩება და მომავალში, ყველა დაბრკოლების მიუხედავად, უფრო განმტკიცდება.

ᲐᲠᲡᲔᲜᲐᲚᲘ



ჯერ არნახული ზეძლავრი იარაღი, რომელიც დედამიწას კატასტროფას უქადის...

რუსეთისა და აშშ-ის ზესაიდუმლო ლაბორატორიებში ისევ აგრძელებენ დამანგრეველი იარაღის ნიმუშების შექმნას

ეს ინციდენტი 1984 წელს მოხდა, მაგრამ საიდუმლოს დიდხანს გულმოდგინედ ინახავდნენ მოსკოვი და ვაშინგტონი.

არადა იმ წელიწადს, დედამიწის ორბიტაზე მოძრაობისას, სწორედ საბჭოთა კავშირის თავზე შეიძლებოდა აფეთქებულიყო ამერიკელების მრავალჯერადი გამოყენების კოსმოსური ხომალდი „ჩელენჯერი“ (მკითხველს ეხსომება, რომ „ჩელენჯერი“ ორი წლის შემდეგ მაინც ვერ ასცდა კატასტროფას). ახლა ძნელი სათქმელია, ამერიკელებმა შემთხვევით აირჩიეს თუ დაზვერვის მიზნით ფრენის ისეთი მარშრუტი, რომელიც შუა აზიაზე, კერძოდ კი, ბაღხაშის ტბის თავზე, 365 კმ-ის სიმაღლეზე გადიოდა.

„ჩელენჯერის“ ეკიპაჟმა მოულოდნელად თავი ცუდად იგრძნო, კოსმოსური ხომალდის ელექტროაპარატურა კი მწყობრიდან გამოვიდა. ასტრონავტები გონზე მხოლოდ რამდენიმე წუთის შემდეგ მოვიდნენ. ამასობაში, „ჩელენჯერი“ ათასიოდე კმ-ით დაშორებოდა ბაღხაშის ტბას.

ამერიკელი სპეციალისტები საგონებელში ჩააგდო მათი ასტრონავტების მოულოდნელად გონის დაკარგვამ, ისევე როგორც მანამდე საიმედო საბორტე ელექტრონიკის გათიშვამ. მათ მოგვიანებით, აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტების მეშვეობით, გასაოცარი რამ დაადგინეს — თურმე საბჭოთა სპეციალისტებმა „ჩელენჯერზე“ ზემძლავრი ლაზერული იარაღი გამოსცადეს!

სწორედ შუა აზიაში, ბაღხაშის ტბის ახლოს, სარი-შაგანის პოლიგონზე, მოწყობილი იყო საბრძოლო ლაზერული ქვემეხი, რომლიდანაც „ჩელენჯერის“ მიმართულებით გაუშვეს ნაკლები სიმძლავრის ლაზერული სხივი, თორემ ქვემეხი სრული ძალით რომ ამუშავებინათ, ამერიკელთა კოსმოსური ხომალდი დედამიწის ორბიტაზევე აფეთქდებოდა და ვერც ვერავინ გაიგებდა, რა მოუვიდა მას.

თეთრი სახლი კრემლს დაემუქრა, სამაგიეროს გადაგიხდიო. საბოლოოდ, „ცივი ომის“ ორივე მოწინააღმდეგე შეთანხმდა, რომ მძლავრ ლაზერულ იარაღს ერთმანეთს არ დაუპირისპირებდა.

ძნელი სათქმელია, რატომ გამოსცადეს რუსებმა ლაზერული დანადგარი „ტერა-3“ მაინცდამაინც ამერიკულ „ჩელენჯერზე“, მაგრამ საგულისხმოა, რომ სარი-შაგანის პოლიგონზე ლაზერული საბრძოლო იარაღის შექმნას იმ დროს ხელმძღვანელობდა თავდაცვის მინისტრის უსტინოვის ვაჟი (სხვათა შორის, ამ იარაღის გამოცდაში გარკვეულწილად მონაწილეობდა საქართველოს აბასთუმნის ობსერვატორიაც, რომელიც ტელესკოპით აკვირდებოდა და აფიქსირებდა ამერიკული ხელოვნური თანამგზავრების ფრენის ტრაექტორიებს).

ზემოხსენებული ინციდენტი ისტორიას ჩაბარდა, თუმცა ახალ ფიზიკურ პრინციპებზე აგებული საბრძოლო იარაღის ნიმუშების შექმნა დღესაც გრძელდება არა მარტო უმდიდრეს ამერიკაში, არამედ გაჭირვებულ რუსეთშიც.

მაგრამ ამჯერად მთავარი აქცენტი კეთდება არა ლაზერულ იარაღზე (მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი არც ისე დიდია — დახარჯული უზარმაზარი ენერგიის მხოლოდ მცირე ნაწილი გარდაიქმნება მაღალი ენერგიის სინათლის სხივად), არამედ მიკროტალღოვან გამოსხივებაზე. ზოგიერთი ინფორმაციის თანახმად, უკვე შექმნილია მიკროტალღოვანი გამოსხივების გენერატორი, რომელსაც შეუძლია დისტანციურად იმოქმედოს ადამიანთა ჯგუფზე.

გენერატორის მიერ გამოსხივებული მიკროტალღოვანი მიმართული კონა მოქმედებს ადამიანის ორგანიზმზე. აღწევს კანქვეშ და მოხვედრის ადგილას სხეულის ტემპერატურას 45°-ზე მაღლაც კი სწევს. ეს კი იწვევს აუტანელ ტკივილს, შოკს და ადამიანი გონებას კარგავს.

ახალი, „მესამე მსოფლიო ომის“ იარაღის შემქმნელებს ერთადერთ დაბრკოლებად ექცათ ისეთი მაღალეფექტური ენერგიის წყაროების გამოძებნა, რომელსაც ბირთვული და ლაზერული იარაღის მსგავსი სიმძლავრე ექნება, მაგრამ ამასთანავე, გამოირჩევა ეკოლოგიური სისუფთავით და მართვის საშუალებით.

უკვე მიაკვლიეს ენერგიის წყაროს, რომელიც პროტონის ხელოვნური დაშლით მიიღება. ამ ფიზიკური პროცესის დროს გამოიყოფა ასჯერ მეტი ენერგია, ვიდრე თვით თერმობირთვული აფეთქებისას. მთავარია, ზუსტად განისაზღვროს ის პარამეტრები, რომლის დროსაც წარიმართება პროტონის დაშლის რეაქცია. როგორც უცხოელი სპეციალისტები თვლიან, ნებისმიერი ნივთიერების 200 მილიგრამში არსებული ენერგია 20 კილოტონა ტროტილის აფეთქების სიმძლავრის ტოლია (სწორედ ამ ძალისა იყო ამერიკელების მიერ ჰიროსიმაში აფეთქებული ატომური ბომბი), ოღონდ ეს ნივთიერება ჯერ პლაზმურ მდგომარეობაში უნდა იყოს გადაყვანილი.

ამ რთული ტერმინების შემდეგ ვეცდებით, მარტივად განვმარტოთ, თუ კიდევ რა საშინელი იარაღის შექმნას ცდილობენ მეცნიერები — წარმოიდგინეთ ჩვეულებრივი ბომბი, რომელსაც მოწინააღმდეგის ბომბდამშენი ქალაქის თავზე ჩამოაგდებს. მისი აფეთქება არ დააზიანებს არც ერთ შენობა-ნაგებობას, დაიღუპებიან მხოლოდ ცოცხალი არსებები. დაახლოებით ასეთივე უნარი გააჩნია ნეიტრონულ ბომბსაც, მაგრამ იგი ადამიანებს მომატებული რადიაციული გამოსხივებით სპობს. ახალი იარაღი კი მხოლოდ მაღალენერგიული, მიკროტალღოვანი გამოსხივებით დახოცავს ხალხს და, ნეიტრონული ბომბისაგან განსხვავებით, შემდგომი ეკოლოგიური ეფექტიც მისაღები იქნება.

ღმერთმა არ ქნას და, თუკი ზესაიდუმლო ლაბორატორიებში გულუხვად დაფინანსებულმა მეცნიერებმა მაინც შეძლეს პროტონის ენერგიის განთავისუფლება, გამოყოფილი ენერგიის გარდაქმნა მიკროტალღოვან გამოსხივებად და მისი მართვა, მაშინ სრულიად ზედმეტი გახდება ტანკები და საზღვაო ხომალდები, რომ არაფერი ვთქვათ, ავტომატიან ჯარისკაცებზე...

უცხო, თანამედროვე, განსხვავებულ ფიზიკურ პრინციპებზე დამყარებული იარაღის გამოყენებამ მესამე მსოფლიო ომში ისე კარდინალურად შეიძლება შეცვალოს კატასტროფის ბედი, რომ მეოთხე მსოფლიო ომი ნამდვილად ხელკეტებით გაჩაღდება პირველყოფილ ადამიანებს შორის.

რუბრიკა მოამზადა
ირაკლი ალადაშვილმა



სისხლიანი ჯანყება სოხუმის ციხეში...

შტურმი 45 წამს გაგრძელდა

ახლახან, ტელეკომპანია НТВ-მ ვრცელი გადაცემა მიუძღვნა 12 წლის წინ სოხუმის ციხეში მომხდარ პატიმართა ამბოხებას და მის ჩახშობაში რუსეთის სპეცდანიშნულების რაზმების მონაწილეობასა და როლს. თავის დროზე გახმაურებული ეს ამბოხი იმ წლებში მომხდარ ჩვენთვის მტკივნეულ ბევრ მოვლენასაც გვაგონებს...

ეს ამბავი 1990 წლის აგვისტოში მოხდა სოხუმში. ეროვნული მოძრაობის არნახული აღმავლობის ქვეშ მყოფ ქართულ საზოგადოებას და ურთიერთდაპირისპირებებით გართულ ეროვნულ პოლიტიკურ ძალებს, რომელთა ერთი ნაწილი ე.წ. კონგრესის არჩევნებისთვის ემზადებოდა, მეორე („მრგვალი მაგიდის“ სახით) კი საპარლამენტო არჩევნებისთვის, დიდი ყურადღება არ მიუქცევიათ სოხუმის ციხეში გათამაშებული დრამისთვის, რაც პატიმართა ამბოხებას მოჰყვა. არც მოსალოდნელი პოლიტიკური ფიასკოთი შეფიქრიანებულ გუმბარიძის ხელისუფლებას შეუწუხებია თავი სოხუმში მილიციის დამატებითი ძალების გაგზავნაზე. მით უმეტეს, რომ სოხუმიდან არც არავის უთხოვია მსგავსი დახმარება. ამბოხების ჩახშობა მთლიანად საბჭოთა კავშირის უშიშროების კომიტეტის მაშინდელმა თავმჯდომარემ კრუჩკოვმა და მისი ბრძანებით მოქმედმა ანტიტერორისტულმა ჯგუფმა „ალფამ“ ითავა, რომელსაც უშუალოდ სოხუმში გამგზავრებამდე შეუერთდა საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმი „ვიტიაზი“... აღნიშნულ ინციდენტამდე ერთი წლით ადრე, 1989 წლის ივლისში აფხაზეთში პირველად დაიღვარა სისხლი ქართველებსა და აფხაზებს შორის, რის გამოც ფეხზე დადგა აფხაზეთის ქართული და მთელი სამეგრელოს მოსახლეობა. მაშინ მოხერხდა დიდი ომის თავიდან აცილება. ხოლო როდესაც ვითარება შედარებით დამშვიდდა, მოსკოვის ბრძანებით მთლიანად განაიარაღეს აფხაზეთის ქართული მოსახლეობა, ამოიღეს სამი ათასამდე სანადირო თოფი, შაშხანა, კარაბინი, პისტოლეტი და რევოლვერი, პლუს დიდძალი ტყვია-წამალი (მარტო ვაზნების რაოდენობა 20 ათას ერთეულზე მეტი იყო). აი, ამ უზარმაზარ არსენალს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ ბინა სწორედ სოხუმის დროებითი დაკავების იზოლატორის ერთ-ერთ სათავსში მიუჩინა, რაც, რა თქმა უნდა, უცნობი არ დარჩებოდა ციხის ბინადარი „ავტორიტეტებისათვის“, განსაკუთრებით სიკვდილმისჯილებისთვის, რომლებსაც თავის გადასარჩენად გაქცევის გარდა სხვა გზა არ ჰქონდათ! უშუალოდ 1990 წლის აგვისტოში სოხუმის ციხეში იჯდა სიკვდილმისჯილი შვიდი პატიმარი, მკვლელობისთვის დაპატიმრებული რვა ეჭვმიტანილი, ერთი თვითმფრინავის გამტაცებელი, ოცამდე ყაჩაღი და ბანდიტი, აგრეთვე წვრილმანი ქურდობისა და ხულიგნობისთვის დაკავებული რამდენიმე ათეული დამნაშავე, სულ 75 პატიმარი. ამბოხების ორგანიზატორი გახლდათ ადრე სამჯერ ნასამართლევი და იმჟამად სამი ადამიანის (მათ შორის ორი მილიციელის) მკვლელობისთვის სიკვდილმისჯილი, გვარად პრუნჩაკი და მისი თანამოაზრე რეციდივისტი ძიძარია. სწორედ მათ შეიმუშავეს ამბოხების მოწყობისა და ციხიდან გაქცევის მართლაცდა თავზეხელაღებული გეგმა...

11 აგვისტოს ცხელ დღეს სოხუმის პლაჟზე მონებივრე ათასობით დამსვენებელს ელექტროშოკივით დაუარა ინფორმაციამ იმის შესახებ, რომ ქალაქის ცენტრში ანუ პლაჟიდან რამდენიმე ასეული მეტრის მოშორებით მდებარე ციხეში დაიწყო შეიარაღებული ამბოხი და რომ მოსალოდნელი იყო კბილებამდე შეიარაღებულ რეციდივისტთა ქალაქში გამოჭრა, მძევლების აყვანა, სროლა და უბედურება! ამ ინფორმაციით თავზარდაცემული დამსვენებლები პანიკამ მოიცვა.

11 აგვისტოს ცხელ დღეს სოხუმის პლაჟზე მონებივრე ათასობით დამსვენებელს ელექტროშოკივით დაუარა ინფორმაციამ იმის შესახებ, რომ ქალაქის ცენტრში ანუ პლაჟიდან რამდენიმე ასეული მეტრის მოშორებით მდებარე ციხეში დაიწყო შეიარაღებული ამბოხი და რომ მოსალოდნელი იყო კბილებამდე შეიარაღებულ რეციდივისტთა ქალაქში გამოჭრა, მძევლების აყვანა, სროლა და უბედურება! ამ ინფორმაციით თავზარდაცემული დამსვენებლები პანიკამ მოიცვა. არც მოსახლეობა დარჩენილა დალხენილი, რომელიც ისედაც უკვე გრძნობდა მოახლოებული ომის სუნს. ქალაქი გაინაბა, მთელი სოხუმი ლამის პოტენციური მძევლის როლში აღმოჩნდა...

ციხეში კი მოხდა შემდეგი: დილის 8 საათზე, როცა სიკვდილმისჯილთა საკანი გააღეს ნაგვისა და ე.წ. პარაშის გასატანად, ზედამხედველ მილიციელს თავს დაესხა შვიდი ე.წ. „სმერტნიკი“, გაკოჭეს და იარაღი წაართვეს. ამ ფაქტს შეესწრო ციხის ზედამხედველთა უფროსი თემურ შიკირბა, რომელიც დღესაც ირწმუნება, რომ იგი მივარდა ძირს დაცემულ მილიციელს, გამოგლიჯა გასაღებთა აცმა და კორიდორში გასასვლელი გისოსებიანი კარისკენ ისროლა იმ იმედით, რომ გასაღებები გისოსებს მიღმა აღმოჩნდებოდა. მაგრამ გასაღებების მსხვილი აცმა გისოსებში ვერ გაეტია და იქვე დავარდა... ამბოხებულმა პატიმრებმა შიკირბაც გაკოჭეს, ერთი-ორი წიხლიც ჩაანარცხეს და საკნების კარები გააღეს! პატიმრებმა მძევლად აიყვანეს კიდევ სამი ზედამხედველი, მაგრამ პრუნჩაკს და ძიძარიას უფრო სხვა რამ აინტერესებდათ. მათი ბრძანებით, პატიმრებმა მთელი იზოლატორი გაჩხრიკეს და ე.წ. სასეირნო კორიდორთან მდებარე სათავსში მიაგნეს ზემოაღნიშნულ არსენალს — სათავსი გაჭედილი იყო თოფებითა და პისტოლეტებით, ტყვია-წამლით! აღტკინებულმა ამბოხებულებმა უმალ დაინაწილეს იარაღი და ამ პროცესში ყურადღებაც მოადუნეს, რითაც ისარგებლა მძევლად აყვანილმა ერთ-ერთმა მილიციელმა, რომელმაც შეძლო გაქცევა და იზოლატორში შესასვლელი რკინის კარის გარედან ჩარაზვა. სწორედ ამ მილიციელის წყალობით გახდა ცნობილი ინფორმაცია ამბოხების დაწყების შესახებ. მაგრამ არც პრუნჩაკს დაუკარგავს დრო უქმად. მისი უშუალო მითითებით ამბოხებულებმა ყველა კორიდორში ბარიკადები აღმართეს, ყველა ფანჯარაში კი „პატიმარი-სნაიპერი“ ჩასაფრდა. შედეგად ამბოხებულები მთლიანად აკონტროლებდნენ ციხის ეზოს და ყველა შესასვლელ-გასასვლელს.

მოლაპარაკებაზე მისულ სამართალდამცავებს კი თავზე გადმოყარეს ვაზნები, რითაც დაუდასტურეს, რომ არსენალი მათ ხელში იყო და არც დანებებას აპირებდნენ! პრუნჩაკმა და ძიძარიამ ულტიმატუმი წაუყენეს მთავრობას და ვერტმფრენი და ხელშეუხებლობის გარანტიები მოითხოვეს, წინააღმდეგ შემთხვევაში მძევლების დახოცვით, იზოლატორის გადაწვით და სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ბრძოლით იმუქრებოდნენ. ციხის შტურმს აფხაზეთის მილიციის ძალებით აზრი არ ჰქონდა, რადგან პრუნჩაკის მიერ პრაქტიკულად ციხესიმაგრედ გადაქცეული იზოლატორი მოიერიშე მილიციელებს სრულ განადგურებას უქადდა...

ამასობაში, მოსკოვში „კგბ“-ის მაღალჩინოსნების საგანგებო თათბირზე გადაწყდა სოხუმში მიევლინათ ცნობილი ანტიტერორისტული ქვედანაყოფი „ალფა“, რომელსაც ოპერაციისას დაეხმარებოდა შინაგანი ჯარის სპეცრაზმი „ვიტიაზი“. ამ ჯგუფების აფხაზეთში გაგზავნა იმდენად გასაიდუმლოებული იყო, რომ „ალფა“ და „ვიტიაზი“ სოხუმის აეროპორტში... პრეზიდენტ გორბაჩოვის თვითმფრინავით ჩაიყვანეს(!). ეს მოხდა 14 აგვისტოს ანუ ამბოხების დაწყებიდან მესამე დღეს და სწორედ 14 აგვისტოს მიაღწია კულმინაციას იზოლატორში და მის ირგვლივ განვითარებულმა მოვლენებმა. მოხდა ის, რომ ამბოხებულებმა შეძლეს ციხის ადმინისტრაციის სეიფის გახსნა და დოკუმენტაციის ამოღება, საიდანაც პრუნჩაკმა შეიტყო იზოლატორში ჩასმული მილიციის საიდუმლო ინფორმატორების, ე.წ. „ნასედკების“ ვინაობა. „ნასედკები“ სასტიკად აწამეს და ისინიც მძევლებად გამოაცხადეს. ვითარება დაიძაბა იზოლატორის მიმდებარე ტერიტორიაზეც და ქალაქშიც. ციხესთან მიიჭრნენ მძევლების, პატიმრების და „ნასედკების“ ახლობელ-ნათესავები, რომლებიც მოითხოვდნენ მძევალთა უპირობო გათავისუფლებას. იმავდროულად იქვე, ლენინის მოედანზე, მოსახლეობის სხვა ჯგუფმა სტიქიური მიტინგიც წამოიწყო, სადაც გაისმოდა მოწოდებები ციხის შტურმით აღების შესახებ. მათ მოწოდებებს ეწინააღმდეგებოდნენ პატიმართა ახლობლები და საქმე კინაღამ ხელჩართულ ბრძოლამდეც მივიდა.

შეიქმნა რეალური საშიშროება, რომ ამბოხებული პატიმრები გამოიჭრებოდნენ გარეთ, შეერეოდნენ თავშეყრილ ბრბოს და ასე მოახერხებდნენ მიმალვას... აი, ამ ვითარებაში, „ალფა“ და „ვიტიაზი“ ჩაერთვნენ საქმეში. თავდაპირველად, საჭირო გახდა მათი როგორმე საიდუმლოდ შეყვანა და ჩასაფრება ციხეს მიშენებულ სხვა დანიშნულების შენობაში, რომელსაც მხოლოდ ერთადერთი შესასვლელი ჰქონდა და რომელიც ამბოხებულ პატიმართა თვალთახედვის არეში იყო მოქცეული. ამიტომ, შესასვლელის გასწვრივ დააყენეს ტანმაღალ მილიციელთა მჭიდრო მწკრივი და სცენარის თანახმად ამ მილიციელებმა გააგრძელეს „მოლაპარაკება“ გისოსებიან ფანჯრებთან მოკალათებულ პატიმრებთან. ამასობაში კი მილიციის მწკრივის უკან ცოცვით შედიოდნენ აღნიშნულ შენობაში „ალფას“ და „ვიტიაზის“ მებრძოლები. პრუნჩაკი და ძიძარია უკვე კატეგორიულად მოითხოვდნენ ვერტმფრენს, რომელიც ციხის სახურავზე უნდა დამჯდარიყო.

დიდი ხნის მოლაპარაკების შედეგად პატიმრები დაარწმუნეს, რომ ვერტმფრენის სიმძიმეს შენობის სახურავი ვერ გაუძლებდა და შეჰპირდნენ, რომ ვერტმფრენი იქვე ლენინის მოედანზე დაჯდებოდა. პრუნჩაკი დათანხმდა, ოღონდ ვერტმფრენამდე მისასვლელად ჯავშანტრანსპორტიორი მოითხოვა... საბოლოოდ შეთანხმდნენ, რომ ციხის ეზოში დატოვებდნენ გამზადებულ მიკროავტობუს „რაფს“, რომელიც მიიყვანდა კიდეც ამბოხებულებს და მათ მძევლებს ვერტმფრენამდე... „ალფას“ კი მოქმედების რამდენიმე ვარიანტი ჰქონდა შემუშავებული. ციხეს მიშენებული შენობის ფანჯრებიდან „ალფა“ შესანიშნავად აკონტროლებდა იზოლატორის ფანჯრებს და ყველაზე მარტივი ვარიანტი იყო სნაიპერების ცეცხლით დაეხოცათ პრუნჩაკი, ძიძარია და კიდევ რამდენიმე თავზეხელაღებული ბანდიტი, სხვები კი აეძულებინათ რომ დანებებულიყვნენ. ეს ლოგიკურიც იყო, რადგან მეამბოხეთა შორის ისეთებიც იყვნენ, რომლებიც წვრილმანი ხულიგნობისთვის 15-15 დღიან სასჯელს იხდიდნენ. შეუდგნენ კიდეც ამ ვარიანტის განხორციელებას, მაგრამ პარლამენტიორმა მილიციელებმა პრუნჩაკი და ძიძარია ვერაფრით მიიტყუეს ფანჯარასთან. ისინი ოთახის სიღრმეში ისხდნენ მძევლებთან და იქიდან აძლევდნენ მითითებებს ფანჯარაში გადმოყუდებულ სხვა მეამბოხეებს, ამიტომ საბოლოოდ გადაწყდა შტურმის განხორციელება სამი მხრიდან: სპეცრაზმების პირველ ჯგუფს იერიში უნდა მიეტანა „რაფზე“ მას შემდეგ, როგორც კი ამბოხებულები ჩასხდებოდნენ შიგ. „რაფში“ მცირე სიმძლავრის ბომბიც დაამონტაჟეს, რომლის აფეთქებასაც უნდა დაებინა ამბოხებულები და იმავდროულად ეს იქნებოდა ნიშანი შტურმის დაწყებისა. „ალფას“ და „ვიტიაზის“ დანარჩენ ჯგუფებს კი იერიში უნდა მიეტანათ ორი მიმართულებიდან — პირველი სართულიდან, რომლის შესასვლელი რკინის კარი ღამით დანაღმეს და სახურავიდან, რის შედეგადაც ალყაში უნდა მოექციათ შენობაში დარჩენილი ამბოხებულები.

გათენდა 15 აგვისტო და დადგა ოპერაციის დაწყების დროც. ციხის ეზოში შეიყვანეს „რაფი“ და დატოვეს. ჰაერში კი ვერტმფრენმა რამდენჯერმე შემოუფრინა შენობას და ლენინის მოედანზე დაჯდა. ეზოში პირველი გამოვიდა ძიძარია, რომელმაც საფუძვლიანად დაზვერა იქაურობა, მივიდა მიკროავტობუსთან, შეამოწმა, დაქოქა და დარწმუნდა რა, რომ ბენზინის მარაგი საკმარისი ჰქონდა და არც რაიმე საეჭვო იყო ირგვლივ, ნიშანი მისცა დანარჩენ ამბოხებულებს, გამოსულიყვნენ ეზოში და ჩამსხდარიყვნენ „რაფში“. თავდაპირველად 12 ნიღბიანი და კბილებამდე შეიარაღებული ბანდიტი გამოვიდა (ნიღბები წინდებისგან ჰქონდათ გამოჭრილი). მათთან ერთად იყო ორი მძევალიც (დანარჩენი მძევლები შენობაში დატოვეს ამბოხებულებთან, დაზღვევის მიზნით), რომლებსაც ასევე ნიღბები ჰქონდათ ჩამოცმული. სპეცრაზმელები მათივე მტკიცებით, საგონებელში ჩავარდნენ, რადგან შეუძლებელი იყო გარჩევა, ვინ იყო ამ ნიღბიან ხალხში მკვლელი და ვინ მძევალი, თუმცა ცნობილია, რომ მსგავს შემთხვევებში „ალფა“ მძევლების ბედზე ნაკლებად ფიქრობდა... *(აქ ძალაუნებურად გვახსენდება „თვითმფრინავის ბიჭების“ სახელით შემორჩენილი თბილისური ტრაგედია, როცა „თავზეხელაღებულთა“ დასასჯელად სწორედ ამ სპეცრაზმელთა გაუგონარმა სისასტიკემ, მაშინდელი რუტინამოდებული, მორჩილი საზოგადოებაც კი გააოგნა და სულში პროტესტი ჩაუსახლა — ზ.გ.)*

მეამბოხეები ჩალაგდნენ „რაფში“, რომელმაც რამდენიმე მეტრის გავლაღა მოასწრო და გაისმა აფეთქების ხმაც: დაიწყო შტურმი, მაგრამ საფრიდან გამოცვენილ სპეცრაზმელებს „რაფიდან“ ცეცხლი შეაგებეს (მოგვიანებით ექსპერტიზამ დაადგინა, რომ ბანდიტებმა 25-მდე გასროლა მოასწრეს). პრუნჩაკმა, რომელიც „მძღოლის“, ძიძარიას გვერდით იჯდა, მიბრჯნით დაახალა კისერში „ალფას“ წევრს, რომელიც „რაფში“ შეღწევას ლამობდა. სპეცრაზმელი მძიმედ დაიჭრა, თუმცა მაინც მოასწრო პრუნჩაკის დაცხრილვა. დანარჩენი სპეცრაზმელები ჯავშანჟილეტებმა იხსნა დაჭრადაზიანებისაგან... „რაფის“ შტურმი 45 წამს გაგრძელდა და ბანდიტთა სრული უვნებელყოფით დასრულდა. საგულისხმოა, რომ ამ სისხლიან ზედახორაში მხოლოდ პრუნჩაკი დაიღუპა და რამდენიმე პატიმარი მსუბუქად დაიჭრა. იმავდროულად მიმდინარეობდა შტურმი საკუთრივ იზოლატორის შენობაში, რაც გაცილებით რთული საქმე გამოდგა. კორიდორებში აღმართული ბარიკადებიდან ამბოხებულები განუწყვეტლივ ისროდნენ. დაიჭრა რამდენიმე სპეცრაზმელი და აი, სწორედ მაშინ გამოიყენა „ალფამ“ პირველად იმჟამად გასაიდუმლოებული იარაღი ე.წ. „შაითან-ტრუბა“, ყუმბარმტყორცნი, რომელიც მეტალის ასობით ბურთულას ისვრის და უაღრესად ეფექტურია დახურულ შენობაში გამოსაყენებლად. გასროლილი ბურთულები საშინელი სისწრაფით რიკოშეტით სხლტება კედლიდან იატაკზე, იატაკიდან ჭერზე, ჭერიდან იატაკზე და ა.შ. და ცელავს (მაგრამ არ კლავს) ყველას და ყველაფერს, რასაც კი მოხვდება! აი, ეს „შაითან-ტრუბები“ მიუშვეს კორიდორების ბარიკადებზე გამაგრებული მეამბოხეების წინააღმდეგ, ისინი კი საშინელი ღრიალით გაწვნენ იატაკზე და დანებდნენ. ბევრი ამბოხებული პატიმარი დაიჭრა და დასახიჩრდა, შენობაში შტურმი მხოლოდ სამ წუთს გაგრძელდა! საინტერესოა, რომ იზოლატორში გათამაშებულ ამ დრამას თვალყურს ადევნებდნენ იქვე მდგარი საცხოვრებელი კორპუსების აივნებსა და ფანჯრებში მოკალათებული სოხუმელები, რომლებმაც შტურმის დასრულებისთანავე... ტაშით დააჯილდოეს სპეცრაზმელები!

„ალფას“ და „ვიტიაზს“ მოსკოვში როგორც გმირებს ისე შეხვდნენ. ყველა სპეცრაზმელი ორდენებითა და მედლებით დააჯილდოეს, სოხუმის ცენტრში განხორციელებული ოპერაცია კი შესულია რუსეთისა და დასავლეთის სპეცსამსახურთათვის განკუთვნილ სპეციალურ სახელმძღვანელოებში! რაც შეეხება ამბოხებულ პატიმართა შემდგომ ბედს, აფხაზეთში მალე ისეთ პროცესებს მიეცა გასაქანი (რაც შემდეგ ომში გადაიზარდა), რომ მათი დიდი ნაწილის კვალი დაიკარგა. უშუალოდ ომისას კი პრესაში აქა-იქ გამოჩნდა ცნობა, რომ რამდენიმე ყოფილი მეამბოხე-პატიმარი ქართველების წინააღმდეგ იბრძოდა...

რუსული საინფორმაციო საშუალებების მიხედვით
ზ. გამრეკელი

სწორედ მეფარიშვილი და თარგამაძე არიან შეკრულები „Газета.ru-სთან“

(დასაწყისი იხ. გვ. 7)

— იმაზე რას იტყვით, რომ თურმე თქვენ ბადრი პატარკაციშვილის ფინანსებზე ყოფილხართ დამოკიდებული?

— სტრასბურგში მე გავაკეთე საკმაოდ მწვავე განცხადება სიტყვის თავისუფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით და დავიცავი „ნტვ“ და „ტვ-6“, რომლის მფლობელებიც არიან პატარკაციშვილი და ბერეზოვსკი. ჩათვალეს, რომ მე მათთან რაღაც კავშირები მაქვს, მათ შორის — ფინანსურიც. დავუშვათ ეს მართლაც ასეა, გეკითხებით, რატომ არ მოვიხმარდი ამ ფულს? რატომ არ შევაკეთებდი ჩემს ბინას, რომელიც მიწისძვრის დროს დაინგრა, რატომ არ ვიყიდდი ავტომანქანას, რატომ არ მოვაწყობდი სამსახურში ჩემს შვილს, რომელიც უმუშევრად დარჩა და ა.შ. ეს ხომ უბრალოდ, სასაცილოა?

— თქვენ არა მხოლოდ პატარკაციშვილთან და ბერეზოვსკისთან, არამედ ჩეჩენ ბოევიკებთან კავშირსაც გაბრალებენ.

— თუ მე ვგავარ ადამიანს, რომელსაც შეუძლია, კავშირი ჰქონდეს ბოევიკებთან, ეს ჩემთვის ძალიან მაღალი შეფასებაა. რაც შეეხება პანკისს, მე იქ ერთადერთხელ ვიყავი... თუ ამ ერთი ვიზიტის დროს მოვახერხე შეხვედრა გელაევთანაც, ჩეჩენ ბოევიკებთანაც და 5-6 საათში ამხელა საქმეები დავატრიალე, მაშინ მართლა მე ვყოფილვარ მომავალი პრეზიდენტი (იცინის)!

— ქალბატონო ელენე, როგორც ვიცი, გასულ კვირას თქვენს შვილთან დაკავშირებულ უსიამოვნებაშიც გაეხვიეთ. რა მოხდა?

— ჩემი შვილი, კოტე თევდორაძე მუშაობდა შემოსავლების სამინისტროში, რომელიც სამწუხაროდ, დაიშალა და ლიკვიდაციაში მოჰყვა. კოტეს იქ ჩაბარებული ჰქონდა მატერიალურ-ტექნიკური ფასეულობანი და ყველაფერზე საკუთარი თავით იყო პასუხისმგებელი. სამინისტრო დაიშალა, მაგრამ ქონების გადასაბარებლად იქ არავინ მისულა. ამ ცოტა ხნის წინ ჩემი შვილი შეხვდა ავთო ჯორბენაძეს და სთხოვა — გამოეგზავნათ აუდიტი ან კომისია, რომ ამ ფასეულობათა აღწერა-გადაბარება მომხდარიყო. ბატონი ავთო დაჰპირდა, რომ ამას მოაგვარებდა. იმავე საღამოს კოტეს ვიღაცამ დაურეკა და უთხრა, ბაგებში, ყოფილი შემოსავლების სამინისტროს შენობის მე-3 სართულზე შუქია ანთებული და ყველა კაბინეტი გახსნილიაო. მე იმ დროს ჩემს შვილთან ვიყავი. კოტე ამის გაგონებაზე გიჟივით წამოხტა. ვუთხარი, მეც შენთან ერთად წამოვალმეთქი. მისვლისთანავე დაცვის ნაცნობი სახეები დავინახე. აგვიხსნეს, აქ ბატონი ავთო ჯორბენაძე იმყოფება და „მოქალაქეთა კავშირთან“ თათბირს ატარებსო. ავედით და რას ვხედავთ, — კაბინეტები გახსნილია, ყველგან ვიღაცები სხედან, ზოგს ტელევიზორი აქვს ჩართული, ზოგი უჯრებში იქექება... მითხრეს, დარბაზში ავთო ჯორბენაძე იმყოფება და თათბირს ატარებსო...

— რატომ ატარებდა სახელმწიფო მინისტრი გვიან ღამით თათბირს მაინცდამაინც ყოფილ შემოსავლების სამინისტროს შენობაში?

— როგორც გაირკვა, „მოქალაქეთა კავშირმა“ შენობის მე-3 და მე-6 სართულები ოფისისთვის აიღო და იმ დროს პარტიულ თათბირს ატარებდნენ. კარი შევაღე და რომ შევედი, დავინახე ბატონი ავთო, მის გვერდით კი — ქალბატონი ცაცანაშვილი, პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი. იქვე იყო გელა კვარაცხელია და რამდენიმე ნაცნობი სახე კანცელარიიდან. იმდენად დავიბენი, რომ სხვები აღარც კი მახსოვს, ვინ იყვნენ.

— ავთო ჯორბენაძისთვის თქვენი დანახვა სიურპრიზი იქნებოდა...

— ბატონმა ავთომ რომ დამინახა, გაშრა. მე ვუთხარი, ხომ შეიძლებოდა, ჩემი შვილისთვის დაგერეკათ და გეთქვათ აქ რომ მოდიოდით, მით უმეტეს, ამ საკითხზე უკვე გელაპარაკათ-მეთქი. ვიტალი ხაზარაძემ მორალის კითხვა დამიწყო — ოფისი გვჭირდებოდა და მერე რა მოხდა, თუ შემოვედითო. გაბრაზებულმა მივახალე — კარგი ოფისი შეურჩევია „მოქალაქეთა კავშირს“, თქვენი ადგილი სწორედ რომ სასაფლაოს გვერდით არის-მეთქი.

— ქალბატონო ელენე, რატომ ჭიანურდება ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარედ თქვენი დამტკიცება-არდამტკიცების საკითხის განხილვა?

— იმიტომ, რომ ეტყობა, ჯერ ვაჭრობა არ დამთავრებულა. სიმართლე გითხრათ, ჩემთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რომელ კაბინეტში ან რომელ სავარძელზე ვიჯდები. თუ კომიტეტის თავმჯდომარედ არ დამამტკიცებენ, მხოლოდ ორი პრობლემა დამემატება — ავტომანქანის და საერთაშორისო ტელეფონით სარგებლობის. თუმცა, მე სადაც არ უნდა ვიყო, ჩემს საქმეს მაინც გავაკეთებ.

ხათუნა ყვირალაშვილი

ერთ დღეს შეიძლება საქართველო ვარძიის გარეშე დარჩეს

(დასაწყისი იხ. გვ. 6)

ვარძიის თავზე, ოღონდ მოპირდაპირე მხარეს, ზღვის დონიდან 1800 მეტრის სიმაღლეზე ჯავახეთის ზეგანი იწყება. ზეგანზე რომ მოხვდე, მთაზე, სერპანტინივით დახვეულ გრუნტის გზაზე უნდა იარო. ზეგანზე ასული, ჩიტის ფრენის სიმაღლიდან მტკვრის ხეობას რომ გადმოხედავთ, თვალწინ ისეთი სილამაზე გადაგეშლებათ, რომ თვალზე ცრემლი მოგადგებათ აღტაცებისაგან. მაგრამ როგორც კი ულამაზეს ქართულ სოფელ გოგაშენში მოხვდები და იქაურებს გაესაუბრები, ახლაც ცრემლები მოგერევა, მაგრამ სხვა სიმწარე ახლავს ამ ცრემლს. არსად მინახავს ისეთი გაჭირვებული, გაღატაკებული, დაბეჩავებული ქართველობა, როგორიც ჯავახეთის ქართულ სოფლებში ვნახე. შევძრწუნდი, როცა მათ თვალებში ჩამქრალი იმედის სხივი შევნიშნე. ჟურნალისტი მოსულაო, სოფელში ხმა გავარდა და თითქმის მთელი სოფელი გარეთ გამოეფინა. ეგ კი არა, ჯავახეთში ჩემმა ჩასვლამ ისეთი აურზაური გამოიწვია, გოგაშენიდან 45კმ-ით დაშორებული სხვა ქართული სოფლებიდან მოდიოდა ხალხი ჩემთან სასაუბროდ. გოგაშენის საშუალო სკოლის დირექტორი **ვალოდია გოგხაძე:** „ჩვენი პატრონი არავინ არის. მრავალი მიზეზი არსებობს, რის გამოც ქართული მოსახლეობისაგან ჯავახეთი იცლება. საუბედუროდ, ამჟამად ბევრი ქართული ოჯახი მზადაა ასაყრელად, რასაც სულ მოკლე ხანში გამოუსწორებელი დემოგრაფიული შედეგი მოჰყვება. მთავარი მიზეზი ქართული სოფლების გაღატაკებისა, ჯავახეთში სასმელი და სარწყავი წყლის უქონლობაა. აქაური მიწა ძალიან ნოყიერია, მაგრამ მოსავალს მხოლოდ იმ შემთხვევაში იძლევა, როცა ირწყვება. სამწუხაროდ, ჯავახეთის ყველა ქართულ სოფელში გადაუჭრელია სარწყავი წყლის პრობლემა. სწორედ ამის გამო კარტოფილის იმდენი მოსავალი ვერ მოჰყავს გლეხს, რომ თავი ირჩინოს წლის მანძილზე, სანახევროდ მშივრები დადიან. სამაგიეროდ, საქართველოს ხელისუფლებამ 700-კომლიან სომხურ სოფელ კუმორდოს სარწყავი არხიც გაუყვანა პრეზიდენტის ფონდიდან, წყაროს წყალიც მიართვეს და მას დიდი ზარ-ზეიმით პრეზიდენტის წყარო უწოდეს. იმ დროს, როცა ქართული სოფლების: ბრტენის, ჩუნჩხის, აფნიას, კოთელიას, გოგაშენის, აზმანას მოსახლეობა უწყლობით იხრჩობა, სარწყავ წყალზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. პრეზიდენტის წყაროს გახსნაზე რჩეული საზოგადოება იყო თბილისიდან ჩამოსული, მათ შორის ხელისუფლების წარმომადგენლები. ქართული სოფლებისაკენ არც კი გამოუხედავთ“.



დანაბრალებული გადახურვა და ეროზირებული კლდე სადაცაა ჩამოინგრევა

სოფელ ჩუნჩხის საშუალო სკოლის დირექტორი **სოსო გელაძე:** „ჩვენს სოფლამდე სარწყავი არხი კი მოდის, მაგრამ არხი ჩვენს სოფლამდე სომხურ სოფელ დილისკაში გაივლის. იქ 1200 კომლი ცხოვრობს. რწყვის სეზონი რომ დაიწყება, დილისკელები სექტემბრამდე წყალს გადაგვიკეტავენ და ჩუნჩხის მოსახლეობას საშიშროდ გვიმეტებენ. უწყლობამ, უმუშევრობამ, უტრანსპორტობამ, ფოსტა-ტელეგრაფის და კავშირგაბმულობის სხვა საშუალებების, აგრეთვე სამედიცინო მომსახურეობის უქონლობამ, სხვაგან გადასახლებაზე ფიქრი დაგვაწყებინა. ტელევიზია ჩვენთვის არ არის და რადიო. არა, ტელევიზორი როგორ არა გვაქვს, მაგრამ ის მხოლოდ ერევნის არხებს აჩვენებს, ზოგჯერ თბილისის ტელევიზიის გადაცემების მიღებასაც ვახერხებთ, მაგრამ ახალქალაქიდან თიშავენ და ისევ სომხურ გადაცემებს გვირთავენ. ხალხს ისე უჭირს, ბავშვისთვის ტანსაცმელი და ფეხსაცმელი ვერ უყიდია, რომ სკოლაში გაუშვას. სახელმძღვანელოების ყიდვას ბავშვები კი არა, მასწავლებლებიც ვერ ვახერხებთ, გაკვეთილი რომ ჩავატაროთ. სამაგიეროდ, სომხური სოფლების სკოლის მოსწავლეებს მეზობელი რესპუბლიკიდან სახელმძღვანელოების სრული კომპლექტი და სხვა სასწავლო ნივთები უფასოდ მოსდით, ჩვენ კი თავის ფასშიც არავინ გვიგზავნის“.

სოფელ აზმანას არასრული საშუალო სკოლის დირექტორი **მიშა ნათენაძე:** „მოგეხსენებათ, ჯავახეთში შვიდი თვის განმავლობაში მკაცრი ზამთარია, ამ დროს გარე სამყაროს მოწყვეტილები ვართ. ვინმე ავად რომ გახდეს, ჩვენი პატრონი არავინაა. სწორედ უუქიმობამ ამ ზამთარში რამდენიმე ადამიანი იმსხვერპლა, მათ შორის ერთი ბავშვიც. როგორც ჩანს, საქართველოსთვის ჯავახეთი გაუცხოებულია და იგი მას არ სჭირდება. ძალიან მძიმე მდგომარეობაშია ჯავახეთის ქართული სკოლების შენობებიც. ზოგიერთი სკოლა საერთოდ დაიხურა, მაგრამ განათლების მინისტრს ეს სრულებითაც არ აღელვებს. ამჟამად აჭარიდან ჯავახეთში ჩამოსახლებული 750 ოჯახიდან ნახევარზე მეტმა დატოვა ეს მხარე და თორმეტი წლის უკან მათთვის სპეციალურად აშენებული ორსართულიანი ბეტონის ფილებით ნაგები სახლები სომხებს მიჰყიდეს. არადა არსებობს დადგენილება, რომ ამ სახლების გაყიდვა აკრძალულია, მაგრამ ამას ვინ დაგიდევთ?! საერთოდ, ჯავახეთის კლიმატურ პირობებში ორსართულიანი ბეტონის სახლების აშენება გაუმართლებელი იყო, მაგრამ ჩვენი აზრი მაშინ ვინმემ გაითვალისწინა? სამწუხარო ფაქტია, მაგრამ ბევრი ოჯახი დღესაც მიწურებში ცხოვრობს და ჩვენი ძირითადი გათბობის ან კერძის მომზადების საშუალება საქონლის გამხმარი ნაკელია. მისგან დანთებული ცეცხლი კარგად კი ათბობს, მაგრამ ამ საშუალებით გამთბარ ოთახში შესულ უცხო კაცს სიმყრალისგან შეიძლება გული შეუწუხდეს“.

ასოციაცია „ჯავახეთის“ პრეზიდენტის ომარ გრიგოლაშვილის ცნობით, ჯავახეთის ქართულ სოფლებზე შეფობა თბილისის უმაღლეს სასწავლებლებს აუღიათ, მაგრამ ჯერჯერობით რეალური დახმარება ჯავახეთის მცირერიცხოვან ქართულ მოსახლეობას შეფებისგან არ მიუღია. იქნებ საზოგადოების ყველაზე პროგრესულად მოაზროვნე ნაწილმა — სტუდენტობამ გულთან ახლოს მიიტანოს ჯავახეთის ქართველების გაუსაძლისი საცხოვრებელი პირობები. მორალურად მაინც მხარში დაუდგნენ დაბეჩავებულ ქართველებს და შემდეგ ალბათ სახსრებიც მოიძებნება. სხვადასხვა პარტიასთან ბინძურ ბრძოლებს, იქნებ სჯობს სტუდენტობამ აღადგინოს შრომითი სემესტრის ტრადიციები. ვფიქრობ, დროა ყოველმა ქართველმა ჯავახელების პრობლემა გაითავისოს და მცირედით მაინც დაეხმაროს, თორემ შორს არ არის ის დღე, როცა ჯავახეთში ქართველი კაცი სანთლით საძებარი იქნება და ალბათ უქართველებოდ, ქართული გულისცემის გარეშე დარჩენილი ვარძია, ხერთვისი, ფოკა, კუმორდო მართლაც დაინგრევა. ჯერ კიდევ არ არის გვიან.

ზვიად ჩაკვეტაძე





სათნომყოფელნი უფლისა

სალოსი ბერის სამოქალაქო-საერო ღვაწლი

მამა გაბრიელი: „სანამ მეფე არ დაბრუნდება, საქართველოს არაფერი ეშველება!“

ქრისტიანულ ღვთისმოსაობაში სალოსობა ერთ-ერთი ყველაზე რთული და უდიდებულესი გმირობაა, რომელსაც ღვთისა და მოყვასის სიყვარულისთვის თავს იდებდნენ უფლის მიმართ განსაკუთრებული მოშურნეობით აღვსილი ადამიანები; ისინი ნებაყოფლობით ღებულობდნენ შეშლილის სახეს, რათა განრიდებოდნენ ამა ქვეყნის სიამეთა და კეთილდღეობას — უპოვარნი, უქონელნი, უსახლკარონი, ზამთარ-ზაფხულ შიშველ-ტიტველნი — მათთვის გამეტებულ მოწყალებასაც კი ღარიბ-ღატაკებს ურიგებდნენ და დღისითა და ღამით, ღიად თუ დაფარულად განუწყვეტლივ ლოცულობდნენ. მსგავსი ღვთისსათნოებისათვის უფალი მათ სულიწმიდის ისეთი მადლით აჯილდოებდა, რომ ისინი ლოცვის დროს ჰაერში მაღლდებოდნენ; მდინარეზე, როგორც ხმელეთზე, გადადიოდნენ; დაკეტილ კარებს მიღმა აღწევდნენ; სხვათა აზრების ამოკითხვის უნარს ფლობდნენ და ადამიანის მომავალს წინასწარ ჭვრეტდნენ.

გასული საუკუნის უკანასკნელი ათწლეულების საქართველოშიც მოღვაწეობდა ასეთი სალოსი — მცხეთის სამთავროს მონასტრის ბერი გაბრიელი. მას სრულად გააჩნდა სალოსისათვის ბოძებული ზეციური მადლი: ნათელხილვის, სასწაულმოქმედებისა და წინასწარმეტყველების, რასაც მრავალი თვითმხილველი მოწმობს და რისი დასტურიცაა თუნდ ბერის აღსრულების შემდეგ მის საფლავზე დანთებული კანდელის ზეთიდან მორწმუნეთათვის მინიჭებული კურნებანი. მოვა დრო და სასულიერო იერარქებიც აკუთვნებენ ალბათ სალოს-ბერს მისი ღირსების შესაფერის პატივ-მისაგებელს. მანამდე კი, დღევანდელ ჩვენს რუბრიკაში გვსურს შემოგთავაზოთ მასალა ბერის მოქალაქეობრივი საერო ღვაწლის შესახებ. ცნობილია, რომ სალოსები, წინასწარ განცხადებულობის ნიჭით ხშირად თავიანთი სამშობლოს ბედისწერასაც კი იგებდნენ და ისეთ მოქალაქეობრივ გმირობს სჩადიოდნენ ამა ქვეყნის ძლიერთა წინაშე, რაც შიშით თუ ამქვეყნიური ანგარების და სხვა მოსაზრებათა გამო, ვერ ხელეწიფებათ მათ, ვისაც თავი ბრძენ ჰგონია (1 კორ. 3,18). ბერის ცხოვრების სწორედ მსგავსი ეპიზოდების შესახებ მოგვითხრობენ მის სულიერ შვილთა მოგონებები, რომლებიც ინტერვიუებსა თუ საგაზეთო წერილებშია გაბნეული, აგრეთვე ოთარ ნიკოლაიშვილის წიგნი „გაბრიელ ბერი და მოძღვრის პრობლემა“.



იგივე ავტორი კრებს მასალებს ახალი გამოცემისათვის და თხოვს ყოველ ადამიანს, ვისაც გაბრიელ ბერის სიცოცხლეში, თუ მისი სიკვდილის შემდეგ საკუთარ თავზე მიუღია მადლი კურნებისა და სასწაულების სახით, გამოეხმაურონ შემდეგ ტელეფონებზე: 899-94-60-24 ოთარი, 62-93-54 თინათინ, 99-91-48 ნინო, 95-73-24 ლია, 95-35-73 გურანდა.

მკითხველს შეუძლია ინფორმაცია მოგვაწოდოს „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებითაც.

მამა გაბრიელმა კომუნისტების ზეობის ხანაში, ხმის ამოღებასაც რომ ძნელად გაბედავდა ვინმე, სატანის აღლუმის დროს, როდესაც კომუნისტური მთავრობა ტრიბუნაზე იმყოფებოდა, მათ თვალწინ შემუსრა და ცეცხლს მისცა ლენინის თორმეტმეტრიანი სურათი წარწერით: „დიდება ლენინს“ და უშიშროების მუშაკების წინაშე მტკიცედ განაცხადა: დიდება შვენის ღმერთს, თქვენ კი დიდება ეშმაკისთვის მიგიწერიათო. ფსიქო-ნევროლოგიური საავადმყოფოს სამედიცინო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის ოქმში (1966 წ. 19/1) ავადმყოფ ურგებაძის შესახებ აღნიშნულია: „როგორც საქმიდან ირკვევა, 1965 წლის 1 მაისს დემონსტრაციის დღეს დაუწვავს დიდი პორტრეტი ლენინისა, რომელიც იყო ჩამოკიდებული მინისტრთა საბჭოს შენობაზე. დაკითხვის შემდეგ განუცხადებია, რომ მან ეს ჩაიდინა იმისათვის, რომ იქ უნდა ეკიდოს ქრისტეს ჯვარცმის სურათი, რომ მიწიერი ადამიანის გაღმერთება არ შეიძლებაო...“

• • •

ოციოდე წლის წინ რუსთაველის გამზირზე მამა გაბრიელი ხელაპყრობილი ხმამაღლა მოუწოდებდა ხალხს: „ქართველებო! გამოფხიზლდით, გონს მოდით, რა დღეშია საქართველო, წმინდა შუშანიკის საფლავი რა დღეშია — მეტეხის ტაძარში თეატრს რა უნდა?!“

• • •

1991 წლის გაზაფხულზე, მძიმე მარხვისას, დაახლოებით მარტის თვეში, სიონის ტაძარში ღვთისმსახურება სრულდებოდა. ტაძრის ჩრდილოეთ მხარეს მდგარ სკამზე იჯდა მამა გაბრიელი და დიდი ხმით იძახდა: სისხლი, სისხლი, დიდი სისხლი დაიღვრება საქართველოში, ვაი საქართველოო... როდესაც იმავე წლის ზამთარში რუსთაველზე ქართველი ქართველს ესროდა, ვიდრე ეს სისხლის ღვრა დაიწყებოდა, დილის 6 საათზე მამა გაბრიელი ზარებს რეკავდა და — სისხლი, სისხლიო — ყვიროდა თურმე. დილას, მონასტერი რომ გააღეს, გაიგეს ამ უბედურების ამბავი და გაკვირვებულები დარჩნენ მამა გაბრიელის წინასწარმეტყველებით.

• • •

ძმათამკვლელი ომის დროს სამთავროში შეიარაღებული ჯგუფი შემოვიდა. ორმოცამდე იქნებოდნენ. მამა გაბრიელმა ისინი სიყვარულით მიიღო, იარაღი ააყრევინა, ტაძარში შეიყვანა, მუხლმოდრეკით „მამა ჩვენო“ ათქმევინა, ჯვრები აჩუქა და ამბიონიდან ერისა და ღმერთის სიყვარულზე უქადაგა. შემდეგ შეეკითხა, საით გაგიწევიათ, რა საქმეზე მიდიხართო?

მათ ომახიანად უპასუხეს: — ზუგდიდში მივდივართ საომრად! — მერე ვის უნდა ებრძოლოთ, იქ ხომ ქართველები არიან? — ბერმა ხელები ასწია და დაიყვირა: „მესროლეთ, მე ვარ საქართველო!“ შემდეგ აიღო კვერთხი და შეუძახა: „ამით დაგიმტვრევთ თავებს, თქვენ ქუდები კი არა, ლეჩაქები უნდა გეხუროთო!“

„რაინდები“ ისე გაცვივდნენ, კინაღამ იარაღის წაღება დაავიწყდათ.

• • •

როდესაც მამა გაბრიელს საქართველოს დარდი შემოაწვებოდა, მონაზონს სთხოვდა, „იავნანა“ ემღერა და ამ სიმღერით იქარვებდა სევდას. სამშობლოს მდგომარეობა მისი მუდმივი ტკივილი იყო... ის რომ ხელებს აღაპყრობდა და საქართველოზე მლოცველს გადმოსცვივდებოდა თვალებიდან მსხვილი ცრემლები, საოცარი სანახავი იყო.

როდესაც საქართველოს მომავალზე წინასწარმეტყველებდა, ამბობდა: — საქართველო გადარჩება, ანტიქრისტე აქ ტახტს ვერ დაიდგამს, მთელ მსოფლიოში კი გაბატონდება. საქართველოშიც იქნება მცირე დევნა, მაგრამ ღვთისმშობლის შეწევნით საქართველო გადარჩებაო.

• • •

მამა გაბრიელი თვლიდა, რომ საქართველოს მეფე სჭირდებოდა, რადგან მეფეს სხვა მადლი აქვს; სანამ მეფე არ დაუბრუნდება საქართველოს, მანამდე არაფერი ეშველებაო. ხშირად უთქვამს: „საქართველოს მეფე უნდა ჰყავდეს, გვირგვინოსანი ბაგრატიონი, ის რა ერია, რომელსაც მეფე არა ჰყავს!“

P.S. ეპილოგის მაგივრად: არსებობს მამა გაბრიელის *კიდევ ერთი გაფრთხილება, რომელშიც იგი თავს გადახდენილზე არანაკლებ განსაცდელს უქადის საქართველოს, თუკი ქართველები გონს არ მოეგებიან; და, რადგანაც ჩვენ ჩვენი ერის კეთილგონიერების იმედი გვაქვს, იმის იმედსაც ვიტოვებთ, რომ მამა გაბრიელი არ მოგვაკლებს ზეციდან თავის ლოცვას, რათა ჩვენი ქვეყანა არ ემსხვერპლოს თავისი უღირსი შვილების უკეთურობას.*

რას გვეტყვი, მამაო?

— სად შეიძლება წავიკითხო იმ წმინდანთა ცხოვრების შესახებ, რომელთა ხსენებაც არის წლის ყოველ გარკვეულ დღეს?

— წმინდანთა ცხოვრების შესახებ მართლმადიდებელ ქრისტიანს ცნობების მიღება შეუძლია სხვადასხვა სახის საღვთისმეტყველო გამოცემიდან: მართლმადიდებლური საეკლესიო კალენდრებიდან, „საღმრთო რჯულის“ წიგნებიდან, ე.წ. „სულიერი ნათესების“ მასალებიდან და ა.შ. არსებობს საგანგებო კრებულები „თვენის“ სახელწოდებით, სადაც თვეების მიხედვით არის წმინდანთა ცხოვრება აღწერილი, მათი ხსენების დღეების აღნიშვნით; საქართველოს მიწაზე გაბრწყინებულ წმინდანთა შესახებ წაიკითხავთ ერთ წიგნად დაბეჭდილ „ქართველ წმინდანთა ცხოვრებაში“;

— მსმენია, რომ თუ ახალშობილი ბავშვის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება, სასულიერო პირის ახლომახლო არარსებობის პირობებში ნათლობა შეუძლია შეასრულოს საერო პირმაც. თუ ეს მართალია, რა ევალება ამ დროს საერო პირს?

— დიახ, ეს მართალია და ამ დროს ნათლობის შემდეგი ფორმულა წარმოითქმება: „ნათელს იღებს მონა (მხევალი) ღვთისა (სახელი) მამისა — ამინ და ძისა — ამინ, და სულისა წმიდისა — ამინ, ყოვლადვე აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე — ამინ!“ და სამჯერ შთაიფლას წყალში (ან ეპკუროს წყალი) მოსანათლ ყრმას.

— მღვდელს, რომელსაც აღსარებას ვაბარებ ხოლმე, დავეკარგე თავის მრევლში — არც სახელი ახსოვს ჩემი, არც ჩემი ბედი აინტერესებს და არც რჩევა-დარიგებას მაძლევს. რა ვქნა, რით ვინუგეშო თავი?

— მუდამ გახსოვდეთ, რომ თქვენი მთავარი მოძღვარი — იესო ქრისტეა და თუ მისდამი სასოებას არ დაჰკარგავთ, აუცილებლად გამოგიჩნდებათ მოძღვარი, რომელიც დაგეხმარებათ უფლისკენ სავალ გზაზე სწორად სიარულში.

მკითხველთა წერილები სარედაქციო კომენტარებით

ჩვენ ზოგიერთებივით კაზინოებში სათამაშოდ და პლაჟებზე სანებივროდ არ ჩამოვსულვართ აქ

ჩემს საყვარელ გაზეთში — „კვირის პალიტრაში“ წავიკითხე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სააღდგომო ეპისტოლე.

ეპისტოლე მშვენივრად იწყება: „მკვიდრნო ივერიისა და სამშობლოს საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენო, განიხარეთ, რამეთუ ქრისტე აღსდგა“. მაგრამ ვაი რომ, ეს ეპისტოლე ჩვენ მიმართ ერთგვარი საყვედურით თავდება.

ყოფილი პედაგოგები, ექიმები, ინჟინრები და სხვანი და სხვანი ვმუშაობთ შინამოსამსახურეებად, მოჯამაგირეებად, დღიურ მუშებად. ვიტანთ უამრავ გაჭირვებას და დამცირებას, რათა ლუკმაპურის ფული მივაწოდოთ სამშობლოში ჩვენს გაჭირვებულ თვისტომს — მეგობარს, ნათესავს, მეზობელს... პატრიარქი ბრძანებს, გაუგებარია, უცხო გარემოში როგორ უშვებენ მშობლები შვილებსო. როდესაც ამას დალხინებული ოჯახები სჩადიან, ისინი არც უცხოეთში გაუჭირვებენ თავიანთ ნაშიერს ყოფას, ჩვენ ვიკითხოთ, ვინც საზღვარგარეთ კაზინოებში სათამაშოდ და პლაჟებზე სანებივროდ არ ჩამოსულვართ — და უკიდურესმა ეკონომიკურმა გაჭირვებამ ჩამოგვიყვანა.

მე ჩემი ახალგაზრდული ძალა და ენერგია ჩემი სამშობლოს სამსახურში გავლიე და სიბერეში მივიღე 14-ლარიანი პენსია, რომელსაც კიდეც მიკავებდნენ. იცით, რამ გადამაწყვეტინა საბერძნეთში წასვლა? შვილიშვილმა მთხოვა ფუნთუშის საყიდლად 20 თეთრი და ვერ მივეცი. და როგორ ფიქრობთ, კანონიერი გზით კი შევძელი საბერძნეთში ჩამოღწევა? 2000 დოლარი მთხოვეს და რომ არ მქონდა, ფეხით გადმოვლახე ბულგარეთის მთები. სიკვდილს ასჯერ ჩავხედე თვალებში, მაგრამ ბოლოს ათასი გაჭირვების ფასად მაინც აღმოვჩნდი საბერძნეთში. იქნებ თქვენამდე არც მოსულა ის ამბავი, ზუსტად აღდგომის ღამეს როგორ გაიყინა სამი ქართველი ბულგარეთის მთებში. ერთი კვირის მანძილზე აჩვენებდნენ საბერძნეთის ტელევიზიით გაყინულ ორ გოგონას და ერთ ბიჭს და თან დანანებით დასძენდნენ: — უბედური ქართველები ჩვენს ქვეყანაში მოდიოდნენ, რათა ლუკმა-პური ეშოვათო!

მე მინდა გაუწყოთ, რომ აქ ვუვლი ერთ მოხუცებულ ქალს და თვეში მიხდიან 500 დოლარს. მომცენ საქართველოში 100 ლარი, ფეხით ჩამოვალ და 5 ამნაირ ქალს მოვუვლი!

მოკრძალებით
ათინა ბერძენიშვილი

(მაპატიეთ, გვარს რომ ვერ ვამხელ — მე არა მარტო ჩემს, არამედ ჩემი ოჯახის წევრების უსაფრთხოებაზეც ვზრუნავ).

რით შეგვიძლია ვანუგეშოთ ეს გულნატკენი, სამშობლოდაკარგული ადამიანი? უწინარეს ყოვლისა, ალბათ იმით, რომ ფოთოლიც არ ვარდება ხიდან უფლის ნების გარეშე და მისი იდუმალი განგებულებისადმი სასოება თან სდევს მართალაღმსარებელს.

ღირსი მამა იოანე მაქსიმოვიჩი, მაგალითად, მიიჩნევდა, რომ საბჭოთა ხელისუფლებისაგან დევნილმა რუსულმა ინტელიგენციამ ემიგრაციაში დიდი როლი შეასრულა მართლმადიდებლობის გავრცელების საქმეში მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

ჩვენთვის ცნობილია, რომ მორწმუნე ქართველები უკვე ქმნიან თავიანთ მრევლს საბერძნეთში, კვიპროსზე და სხვა ქვეყნებშიც და თუ გავითვალისწინებთ ეკუმენური ტენდენციების მომძლავრებას და იულიანური კალენდრის ხელყოფას თვით ამ ძირძველ მართლმადიდებლურ ბასტიონებში, საესებით შესაძლებელია ვიგულისხმოთ, რომ სწორედ ღვთის საგანგებო მისია შეიძლება ეკისრებოდეთ სამშობლოდან იძულებით გადახვეწილ ქართველ ქრისტიანებს. აღსრულებად იოანე ზოსიმეს წინასწარმეტყველური ანდერძისა — ქართულ ენაზე აუწყონ აპოსტასიური ჟამის ქვეყნიერებას სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა!

„არა ცილი სწამო...

„საოჯახო-მართლმადიდებლური საკითხავი“ გვერდის წინა გამოშვებაში, „აპოსტასიური ჟამის“ რუბრიკაში, „სულის წარმწყმედელი „ცისფერი სენის“ სათაურით დაბეჭდილ წერილში, მოთხრობილი იყო ზნეობრივ მანკიერებათა შესახებ, რელიგიის მანტიით შენიღბულ კათოლიკე ცრუ-აღმსარებელთა შორის. იქნებ თქვენ არც გაგიცნობიერებიათ, რომ მათთან ერთად, სოდომის ცოდვის ბრალდებით ბოსტონის ფერისცვალების მონასტრის ხსენებით თქვენი გაზეთი უპირისპირდება საქართველოს საპატრიარქოს პოზიციას, რომლის ოფიციალურმა ორგანომ „ჯვარი ვაზისამ“ ჯერ კიდევ 1989 წელს (№4, გვ.12) დაბეჭდა ინტერვიუ ივერიის ღვთისმშობლის ხატის მცველ იოსებ მუნიეზთან. ინტერვიუში აღწერილ მოვლენას რედაქციამ უდიდესი და საოცარი სასწაული“ უწოდა. ინტერვიუერის კითხვას: „თუ ეწვიეთ ბოსტონში ფერისცვალების მონასტერს?“ მუნიეზი პასუხობს: „დიახ, აქ მოხდა რაღაც განსაკუთრებული... დილით, დაახლოებით 8 საათზე, ერთმა მონაზონმა მთხოვა მირონით გაჟღენთილი ბამბა. მე დავაპირე მიცემა... და ამ დროს ხატიდან იმდენი მირონი წამოვიდა, რომ მთელი მონასტრის კორპუსი, რომელშიც მოთავსებული იყო ტაძარი, კეთილსურნელებით აივსო. ამის შემდეგ ჩვენ უნდა ვწვეოდით ტაძარს, რომელიც არც ისე შორს იყო. ჩვენ 10 საათზე ჩავედით. დაიწყო ლიტურღია, რომლის დამთავრების შემდეგ მირონი უნდა გვეცხო ხალხისთვის, მაგრამ ხატი სრულიად მშრალი აღმოჩნდა; ამჯერად მირონი მისგან არ წვეთავდა. ასეთი შემთხვევა მანამდე არ შემინიშნავს. როცა მონასტერში დავბრუნდი, მაშინ დაიწყო მირონმა დენა და თანაც ისეთი რაოდენობით, რომ მიწაზე გადმოედინა“... უწმინდურ ადგილს უფლის წმიდა ხატი სასწაულებით არ დააჯილდოებდა! ხოლო, რაც შეეხება ზნეობრივ ცილისწამებას, იგი გავრცელებული იყო საბჭოთა რუსეთის „კგბ“-სთან აშკარად მოთანამშრომლე რიგი სასულიერო პირების მიერ, რათა ეკუმენისტი და კრემლთან ფარულ ალიანსში მყოფი სამღვდელოების უკომპრომისოდ მამხილებელი ბოსტონის მონასტრისათვის სახელი გაეტეხათ, რის დასამტკიცებლადაც წერილში მოყვანილი იყო ანგარიშგასაწევი წერილობითი მოწმობები.

მკითხველი

მკითხველის პასუხად გვსურს აღვნიშნოთ, რომ ხატიდან მირონის დენა მართლაც შეიძლება იყოს მიჩნეული მადლის გადმოსვლის ნიშნად, თუმცა რიგ სხვა ვითარებებში ეს მოვლენა მომავალი სასიკეთო ცვლილების მაუწყებელიც ყოფილა და განსაცდელის შესახებ გაფრთხილებაც.

ზნეობრივ ცილისწამებასთან დაკავშირებით კი უნდა ითქვას, რომ რადგან ჩვენი წარმოდგენებისათვის უცხო არ არის „კგბ“-ს მხრიდან მსგავსი ქმედების შესაძლებლობა, უკეთუ ეს ორგანიზაცია ჭორებსა და ინსინუაციებში დახელოვნებულად და გამობრძმედილად მიგვაჩნია, საესებით დასაშვებად ვთვლით მისი ხელის ჩარევას ამ საქმეში, და რადგან სიმართლე ოდენ უფალმა უწყის, უნებლიე ცილისწამების შემთხვევაში, მისი უსაზღვრო გულმოწყალებისა და შენდობის მოიმედენი ვრჩებით!

შპმმ მეორე ტირაჟი დაიბეჭდა

და ისიც მალე გათავდება...

წიგნი იყიდება „კვირის პალიტრის“ საგაზეთო ჯიხურებში, წიგნისა და ეკლესიებთან არსებულ მაღაზიებში.

ჩვენი გაზეთის მკითხველს შეუძლია „საოჯახო-მართლმადიდებლური საკითხავი გვერდის“ ნებისმიერი რუბრიკისთვის შემოგვთავაზოს მასალები. ჩვენი საფოსტო ყუთების ადგილმდებარეობა იხ. გვ. 36

გვერდი მოამზადა ზურაბ ქართველიშვილმა

ვინ არის რიჩარდ მაილსი...

ამერიკის ელჩი „ექსტრემალურ ვითარებათა“ ექსპერტი

„მე ვისურვებდი, რომ ჩემს სამშობლოს დაბრუნებოდეს ძველი ძლიერება; არ დასჭირვებოდეს უცხო ქვეყნების დახმარება და სავსებით დამოუკიდებელი იყოს მშვიდობისა თუ ომიანობის ჟამსაც...“ უცნაურია, მაგრამ ეს სიტყვები კოლხ ორატორს, აიეტს ეკუთვნის და ქრისტეს აქეთ 554 წლით დათარიღებულ, ბიზანტიურ მატიანეშია შემონახული. დღესაც იგივე პრობლემებია — წარსულის ნოსტალგია, ისევ ქართველთაგან დამცრობილი საქართველო, შოუდ ქცეული პოლიტიკური გარჩევები და ისევ ძლიერი მფარველის იმედად ყოფნა... რას ვიზამთ, როგორც ჩანს, ასეთი ყოფილა პატარა ქვეყნის ხვედრი. მსოფლიოს ძლევამოსილი სახელმწიფოები მიდიან და მოდიან. ევროპა-აზიის გზასაყარზე შეკუნჭული პატარა საქართველო კი საუკუნეების მანძილზე ხან ბიზანტიას შეჰყურებს ხელებში, ხან ოსმალეთს თუ სპარსეთს, ხან რუსეთს და ხანაც ამერიკას. XXI საუკუნეში მისი დრო დადგა. ამერიკის შეერთებული შტატები წინამორბედი მსოფლიო ჰეგემონებისგან სტრატეგიით განსხვავდება. ის ცნობილია, როგორც „იმპერია მოწვევით“, რომლის მთავარი ღირებულებები ადამიანის უფლებათა განუხრელი დაცვა, სამოქალაქო საზოგადოება და საშუალო ფენაზე დაფუძნებული საბაზრო ეკონომიკაა. მიუხედავად ასეთი კეთილმოსურნეობისა, ფუნდამენტური ისლამის ქვეყნები მასში მოსისხლე მტერს ხედავენ. ამერიკის წარმომადგენლობები როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებში საგანგებოდ არის დაცული, რადგან „ტრადიციული“ ერები „არატრადიციულ ერთან“ ინტეგრაციას მტკივნეულად აღიქვამენ.

გასულ კვირაში შეერთებული შტატების ახალდანიშნულმა ელჩმა პრესის წარმომადგენლები აუდიენციაზე მიგვიწვია. დათქმულ დროს ამერიკის საელჩოში მივედი — უსაშველოდ წვიმდა. გამიკვირდა, რამდენიმე ჟურნალისტი გოგონა ქუჩაში რომ დამხვდა. მაგრამ „საკონტროლო გამშვებ პუნქტში“ ამერიკელ მოქალაქეთა უსაფრთხოების მიზნით მეც გარეთ მოცდა მირჩიეს. ისღა დამრჩენოდა, გოგონებთან ერთად შხაპუნა წვიმაში საელჩოს წინ გამოკრული ბინ ლადენის ფოტოებით შემექცია თავი. ჯერ კიდევ საელჩოს მიმდებარე ტერიტორიაზე დაცვა რამდენიმე ეტაპად ნაწილდება: 50-100 მეტრში ქართულფორმიანი ქართველები დგანან, უფრო ახლოს, ამერიკულფორმიანი ქართველები, მთლად შიგნით კი უკვე აშშ-ის საზღვაო ქვეითი ჯარისკაცები ზრუნავენ დიპლომატების უსაფრთხოებაზე. როგორც იქნა, საელჩოს შენობიდან პრესცენტრის თანამშრომელი გამოვიდა და გამშვებ პუნქტში შემოწმებაზე მიგვიპატიჟა. გულდასმით გასინჯეს ჩანთები, ფოტოაპარატები და დიქტოფონები. ეს მხოლოდ პირველი დონე იყო. მეორე დონეზე, უკვე საელჩოს შენობაში ისევ შეგვაჩერეს. ტყვიაგაუმტარი მინის მიღმა, ათასნაირი აპარატურის ფონზე მდგომმა ამერიკელმა ჯარისკაცმა ისეთი სახით მოგვთხოვა ელექტროხელსაწყოების მიწოდება, რომ ერთ-ერთმა ჩემმა კოლეგამ პაწაწინა ღრიჭოში ვეებერთელა დიქტოფონი ჩააცვეხა და დიდი ძალისხმევა დაგვჭირდა მის უკან ამოსაძრობად. უცნაურია, მაგრამ თავად შენობის შესასვლელი კარი ბევრად უფრო მსუბუქი და უბრალოა, ვიდრე შენობის შიგნით, დარბაზიდან დარბაზში გამავალი ათობით მასიური, დაჯავშნული კარი. წვალებით ვაღებდით და ისე მივიწევდით წინ ახალდანიშნულ ელჩთან შესახვედრად. სხვათა შორის, რიჩარდ მაილსს ფრიად საინტერესო ბიოგრაფია აქვს — საზღვაო ქვეითი ჯარი, შემდეგ ინდიანის უნივერსიტეტი და აშშ-ის რუსული ენის სამხედრო ინსტიტუტი გერმანიაში. მუშაობდა პოლიტიკური ლიდერების მომზადების საკითხებზე; საბჭოთა კავშირის, აღმოსავლეთ ევროპისა და იუგოსლავიის საკითხთა ბიუროში; სამხედრო პოლიტიკურ ბიუროში; იყო ჰარვარდის უნივერსიტეტის საერთაშორისო საკითხთა ცენტრის მკვლევარი. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ბატონი მაილსი სახელმწიფო დეპარტამენტის საპატიო ჯილდოს ორგზის კავალერი და საპრეზიდენტო ჯილდოს მფლობელია, მისი ბიოგრაფია ალბათ ჯეიმს ბონდსაც შეშურდებოდა. ჩვენთვის ისიც საყურადღებო უნდა იყოს, რომ ბატონ მაილსს დიპლომატიური მოღვაწეობის 35-წლიანი გამოცდილება აქვს და შეიძლება შეერთებული შტატების ექსტრემალურ ვითარებათა ელჩად ჩაითვალოს — საბჭოთა კავშირის დაშლამდე მოსკოვის საელჩოში მუშაობდა, 1992-93 წლებში იყო აშშ-ის ელჩი აზერბაიჯანში — სწორედ იმ დროს, როდესაც რუსეთი ყველაფერს აკეთებდა სტრატეგიული ქვეყნის ხელში ჩასაგდებად და სომხეთთან პროვოცირებული ომის პარალელურად, ხშირი იყო სამხედრო გადატრიალების მცდელობებიც. იმდროინდელი

ამერიკული პრესის თანახმად, მაილსმა დიდი როლი ითამაშა აზერბაიჯანში აშშ-ის საელჩოს დამკვიდრებასა და საგარეო ორიენტაციის განსაზღვრაში. 1996-1999 წლებში ხელმძღვანელობდა ბელგრადის მისიას. მისი მოღვაწეობა მილოშევიჩის რეჟიმის ზენიტისა და დამხობის პერიოდს ემთხვევა. წამყვანი ევროპული გაზეთების იმდროინდელი პუბლიკაციებით, იუგოსლავიაში მაილსს „დანის პირზე“ უწევდა სიარული და დიპლომატიის უმაღლესი პილოტაჟი გამოავლინა. მისმა საეჭვოკეთილო თვითმფრინავმა ზუსტად იმ წამებში დატოვა ბელგრადი, როდესაც ნატოს გაერთიანებულმა ესკადრილიამ მასირებული დაბომბვა დაიწყო. იუგოსლავიის ომის შემდეგ რუსეთ-ამერიკის ბრძოლა ბალკანეთზე გავლენისთვის გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, ამ ბრძოლაში ბულგარეთს გადამწყვეტი ადგილი ჰქონდა და დიპლომატიურ ასპარეზზე კვლავ მაილსი გამოჩნდა. შედეგმა არ დააყოვნა — ბულგარეთმა ოფიციალურად დააფიქსირა ამერიკასთან მეგობრობის და ნატოში გაწევრების სურვილი. როგორც ჩანს, თეთრი სახლის ოვალურ კაბინეტში გაკრულ მსოფლიო რუკაზე ამჯერად საქართველოს რიგი დადგა.



ყველაფერი ნიადაგის მომზადებით დაიწყო. ელჩის მოვალეობის შემსრულებელმა, ფილიპ რემლერმა ერთერთ ინტერვიუში საჭირო დროს, საჭირო „ბომბი“ გახეთქა. მსოფლიოში მიმდინარე ანტიტერორისტული კამპანიის ფონზე პანკისის ხეობაში „ალ-ქაიდას“ მებრძოლების გამოჩენამ ამერიკელებს საქართველოში სამხედრო ინსტრუქტორების გამოგზავნის საბაბი მისცა. აშშ-ის ადმინისტრაცია გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანას სამიოდე თვე აჭიანურებდა და რუსეთის პოლიტიკური ნების მოთელვის შემდეგ თბილისის აეროპორტში ამერიკული სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავი დაეშვა — საბრძოლო აღჭურვილობით და სპეცდანიშნულების ინსტრუქტორებით. მცირე ხანში კი მათ რუსეთ-ამერიკის „ექსტრემალურ ვითარებათა“ ექსპერტი, რიჩარდ მაილსიც ჩამოჰყვა, როგორც აშშ-ის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში. მან ჩამოსვლისთანავე აქტიური მოქმედება დაიწყო.

ბატონი მაილსი ჟურნალისტების კითხვებს დიპლომატიური ტაქტითა და ღიმილით პასუხობდა.

— ყურადღებით ვადევნებ თვალყურს საქართველოში მიმდინარე არჩევნებს. მთავარია, რომ ამომრჩეველთა საკმაოდ დიდი რაოდენობა დაფიქსირდა. რაც მეტი ხალხი მიიღებს არჩევნებში მონაწილეობას, სრულებელმა, ფილიპ რემლერმა ერთერთ ინტერვიუში საჭირო დროს, საჭირო „ბომბი“ გახეთქა. მსოფლიოში მიმდინარე ანტიტერორისტული კამპანიის ფონზე პანკისის ხეობაში „ალ-ქაიდას“ მებრძოლების გამოჩენამ ამერიკელებს საქართველოში სამხედრო ინსტრუქტორების გამოგზავნის საბაბი მისცა. აშშ-ის ადმინისტრაცია გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანას სამიოდე თვე აჭიანურებდა და რუსეთის პოლიტიკური ნების მოთელვის შემდეგ თბილისის აეროპორტში ამერიკული სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავი დაეშვა — საბრძოლო აღჭურვილობით და სპეცდანიშნულების ინსტრუქტორებით. მცირე ხანში კი მათ რუსეთ-ამერიკის „ექსტრემალურ ვითარებათა“ ექსპერტი, რიჩარდ მაილსიც ჩამოჰყვა, როგორც აშშ-ის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში. მან ჩამოსვლისთანავე აქტიური მოქმედება დაიწყო.

ბატონი მაილსი ჟურნალისტების კითხვებს დიპლომატიური ტაქტითა და ღიმილით პასუხობდა.

— ყურადღებით ვადევნებ თვალყურს საქართველოში მიმდინარე არჩევნებს. მთავარია, რომ ამომრჩეველთა საკმაოდ დიდი რაოდენობა დაფიქსირდა. რაც მეტი ხალხი მიიღებს არჩევნებში მონაწილეობას, მით ნაკლები იქნება გაყალბების შანსი. ჩვენ ყველანაირად დავეხმარებით საარჩევნო კომისიას. თუმცა, ერთი რამ ყოველთვის უნდა გახსოვდეთ — საქართველომ პირველ რიგში თვითონ უნდა მიხედოს თავის თავს. ვერანაირი უცხო ქვეყნის რესურსები თავიდან ბოლომდე თქვენს გასაკეთებელს ვერ გააკეთებს.

— *საქართველოში არსებულ ეთნოკონფლიქტურ კერებზე რას გვეტყვით?*

— სერიოზული პრობლემაა. მე, როგორც შეერთებული შტატების ადმინისტრაციის წარმომადგენელი, ყველაფერს გავაკეთებ საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის განმტკიცებისათვის. ამ მიზნით აფხაზეთში ჩასვლასაც არ გამოვრიცხავ.

ბატონმა ელჩმა აფხაზეთში მყოფ დსთ-ის სამშვიდობო ძალების შესახებაც ისაუბრა. ერთი შეხედვით, უცნაურად ჩანს, მაგრამ აშშ-ის ადმინისტრაციის აზრით, უმჯობესია, თუ მათი მანდატის ვადა 6 თვით გახანგრძლივდება. თუ დავუფიქრდებით, ეს ლოგიკურიც არის. ქართული ჯარის ნატოს სტანდარტებით წვრთნა ეს-ესაა დაიწყო და სანამ ამერიკის სამხედრო ძალები საქართველოში საფუძვლიანად მოიკიდებენ ფეხს, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის გაღვივება რუსეთს უფრო ხელს აძლევს, ვიდრე ამერიკას. სანამ რუსის ჯარი აფხაზეთში დგას, კონფლიქტის მეტ-ნაკლებად დაკონსერვებაზეც პასუხისმგებელია.

მორიგი შეკითხვის შემდეგ ბატონმა მაილსმა საბჭოური წარმოების უშველებელი ჯიბის საათი „მოლნია“ ამოიღო და მაგიდაზე დადო. ეს იმის ნიშანი იყო, რომ აუდიენცია დასასრულს უახლოვდებოდა.

ასეც მოხდა. „ყოველ საათში შეხვედრა მაქვს დანიშნული, სხვა დროს კიდევ შევხვდებით...“ მოგვიბოდიშა „ექსტრემალურ ვითარებათა“ ელჩმა.

როგორც ჩანს, საქართველოს ორიენტაციისთვის ბრძოლა მართლაც გადამწყვეტ ფაზაში შედის. მეორე საკითხია, მოახერხებს თუ არა პოსტსაბჭოთა სივრცის სპეციალისტი დიპლომატი ქართველ პოლიტიკოსთა „ჭკუაში ჩაგდებას“, თუ, როგორც ხდება ხოლმე, პირიქით, მას „გადაიყვანენ ჭკუიდან“.

დაჩი გრძელიშვილი

ᲔᲛᲐᲚᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲘ ᲔᲘ ᲡᲘ

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲓᲐᲐᲠᲡᲔᲑᲐ CAC

სოხუმური აბლანდიდა

სოხუმის ცენტრში მეცნიერებმა ლეგენდარული დიოსკურიის ნაკვალევს მიაგნეს. აქამდე ითვლებოდა, რომ ორი ათასი წლის წინ „არგონავტების დედაქალაქი“ ფსკერზე ჩაიძირა.

ისტორიული ცნობებით, ორი ათასი წლის წინ, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, ბერძნებმა დააარსეს ქალაქი დიოსკურია. იგი ელადის მთავარ სავაჭრო ფორფოსტს წარმოადგენდა. ახ.წ.აღ-ის დასაწყისში იდუმალმა კატასტროფამ ქალაქი გაანადგურა. რომაელებმა მის ადგილზე ციხესიმაგრე სებასტოპოლისი ააშენეს. მასაც დიოსკურიის ბედი ხვდა. VI ს.-ში ბიზანტიელებმა კვლავ აღადგინეს ქალაქი. „წყლით დანგრეული სებასტოპოლისი“ XVII ს.-ის ხელნაწერებსღა შემორჩა. მისი ადგილმდებარეობა ცნობილი არ იყო. ახლახან მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ლეგენდარული ქალაქი სწორედ ახლანდელი სოხუმის ტერიტორიაზე გახლდათ გაშლილი.

ქალაქი წყალქვეშ

მკვლევართა ვარაუდით, დიოსკურია-სებასტოპოლისი მეწყერმა წალეკა — ზღვამ თანდათან ჩარეცხა ნაპირი და ნაგებობებს მიუახლოვდა. ქალაქის უბნები ზღვაში ჩაიძირა, ქვაფენილები კი ქვესკნელში გაუჩინარდა. დიოსკურიის და სებასტოპოლისის დაღუპვას ატლანტიდის დაღუპვას ადარებენ. ზოგი მკვლევარი ფიქრობს, რომ სწორედ უმდიდრესი დიოსკურია იყო ატლანტიდა...

1953 წელს სოხუმის ყურეში აღმოჩნდა ჩვ.წ.აღ.-ის I-IV ს.ს-ების ციხე-კოშკის ფრაგმენტები, რამაც დაარწმუნა მეცნიერები, რომ დიოსკურია და სებასტოპოლისი ნამდვილად არსებობდნენ. 1958 წელს არქეოლოგებმა ზღვის ფსკერზე უზარმაზარი ქალაქის ნანგრევებს მიაკვლიეს. იქვე იპოვეს ჭურჭლის ნამტვრევები წარწერით „დიოსკოი“, ხელის წისქვილის დოლაბი... აშკარად ჩანდა ლეგენდარული ქალაქის ნაკვალევი. ვარაუდის საბოლოო დამტკიცებისთვის საჭირო იყო „შავი ზღვის ატლანტიდის“ კვალის აღმოჩენა ხმელეთზე. ამას თითქმის ნახევარი საუკუნე დასჭირდა.

დიოსკურიის ნაკვალევზე

ხმელეთზე დიოსკურიის ძებნა არ შეწყვეტილა. აღმოჩნდა უამრავი საგულისხმო ნივთი. 1958 წელს სანაპიროზე იპოვეს ბიზანტიური პერიოდის ციხესიმაგრის ნანგრევები. შარშანწინ მოსკოველმა და სოხუმელმა არქეოლოგებმა ქართულ-აფხაზური ომით შეწყვეტილი ძიება განაგრძეს და მიაკვლიეს VI ს.-ის ქრისტიანული ტაძრის ნანგრევებს, რომელსაც დიდებული მოზაიკის იატაკი და კარგად შენახული წყალგაყვანილობის კრამიკული მილები ჰქონდა.

შემთხვევითი აღმოჩენა

წლის დასაწყისში, საერთაშორისო წითელმა ჯვარმა აფხაზეთს სახსრები გამოუყო სოხუმში ომით დაზიანებული წყალგაყვანილობის შესაკეთებლად. სამუშაოები ქალაქის ცენტრში, სოლომონ ზვანბას ქუჩაზე მიმდინარეობდა. მაისის ერთ მშვენიერ დღეს, ექსკავატორმა 2,5 მ სიღრმეზე მიწა ამოთხარა და გამოჩნდა უზარმაზარი გაუთლელი ქვებით ნაშენი უძველესი კედელი. ვარაუდობენ, რომ სწორედ ასეთი ქვებით იყო ნაგები დიოსკურია. ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ აფხაზი არქეოლოგების აღმოჩენა შეიძლება სენსაციური გამოდგეს. ჯერ ერთი, ამან შეიძლება დაასრულოს მეცნიერთა გაუთავებელი დავა დიოსკურიის ადგილმდებარეობის შესახებ. გარდა ამისა, თუ ბედი გაუღიმებთ, მეცნიერები შეძლებენ ფაქტებით დაამტკიცონ, რომ ოქროს საწმისისთვის არგონავტების მოგზაურობა მითი კი არა, ისტორიული ფაქტია.

გამოკვლევებისადმი ინტერესი გამოიჩინეს ბერძენმა და რუსმა მეცნიერებმა. მაგალითად, რუსეთის მეცნიერებათა აკადემია აპირებს აფხაზეთში ერთობლივი არქეოლოგიური გათხრების დაფინანსებას. დაგეგმილია წყალქვეშა გამოკვლევებიც.

იტოგი №24

მშვიდობა გინდა? – ემზადე ომისთვის!

ინტერვიუ აფხაზეთის ლიდერთან

— ამ ბოლო დროს ბევრს ლაპარაკობენ მოსკოვში თქვენი მკურნალობის შესახებ. თბილისში ისიც კი ითქვა, ავადმყოფობის გამო პოსტიდან გადადგება და პრეზიდენტის ვადამდელი არჩევნები ჩატარდებაო. ალბათ იმდროვნებდნენ, რომ ამასთან დაკავშირებით, მოლაპარაკებებზე აფხაზეთი პოზიციებს შეარბილებდა.

— ავადმყოფობის უფლება პრეზიდენტებსაც აქვთ. მაგრამ ამასთან ერთად, ჯანმრთელობის მდგომარეობა ხელს არ მიშლის, სრულად აღვასრულო სახელმწიფოს მეთაურის მოვალეობა. აფხაზეთში ვადამდელი არჩევნები არ ჩატარდება. რაც შეეხება აფხაზეთის პოზიციებს მოლაპარაკებებზე — იგი ნაციონალური ინტერესებიდან იქნება გამომდინარე. აფხაზეთის მოქალაქეებს თავისი გამოკვეთლი ინტერესები აქვთ — დამოუკიდებელ სახელმწიფოში ცხოვრება. იქნება არძინბა თუ არ იქნება, ამას მნიშვნელობა არა აქვს. ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების პროცესი კი ცხადყოფს, რომ ახლო მომავალში საქართველო-აფხაზეთის ურთიერთობაში არაფერი შეიცვლება. პროცესის მშვიდობიან მოგვარებას ალტერნატივა არა აქვს, ამიტომ საჭიროა მოლაპარაკებების გაგრძელება.

— თქვენი მონაცემებით, გეგმავენ თუ არა თბილისში აფხაზეთის წინააღმდეგ ბლიცკრიგს?

— ალბათ შეუძლებელია, რადგან მათ მოუწევთ მთელ ხალხთან ბრძოლა. აფხაზეთში მოქმედებს რეზერვების შვეიცარიული სისტემა — მოსახლეობის მამაკაცთა უმრავლესობა შინ კანონიერ იარაღს ინახავს. გარდა ამისა, თავდაცვის სამინისტროს საწყობებში ურიცხვი იარაღი ინახება. ჩვენ ჯარის ნაწილების სისტემატურ გადამზადებას ვაწარმოებთ. ამ საკითხში უძველესი სიბრძნით ვხელმძღვანელობთ: გინდა მშვიდობა? — ემზადე ომისთვის!

— როგორ აფასებთ რუსეთის როლს მოლაპარაკების პროცესში და რა ინტერესები ამოძრავებს რუსეთს?

— რუსეთი უდიდესი სახელმწიფოა, რომელსაც, თავისი ინტერესებიდან გამომდინარე, ჩვენს რეგიონში სიწყნარე სურს. სწორედ მათი მშვიდობისმყოფელების წყალობით ვინარჩუნებთ მშვიდობას. როგორც ქართული მხარე, ასევე ჩვენც ხშირად არ ვეთანხმებით რუსეთის პოზიციას ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების საქმეში. ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ მოსკოვს თანაბარი მიდგომა აქვს ორივე მხარისადმი. მაგრამ სავსებით ვიზიარებთ რუსეთის პოზიციას მშვიდობის განმტკიცებასა და ტერორიზმთან ბრძოლაში, კერძოდ, ბრძოლას იმ ტერორისტული დაჯგუფებების წინააღმდეგ, რომლებიც აფხაზეთის წინააღმდეგ მოქმედებენ საქართველოს სპეცსამსახურების ხელმძღვანელობით. ჩვენ მივესალმებით კონფლიქტის დარეგულირების საქმეში რუსეთის პრეზიდენტის საგანგებო წარმომადგენლის დანიშვნას — ეს ნიშნავს, რომ რუსეთს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი აფხაზეთში მშვიდობის შენარჩუნება.

— როგორ აღიქვით ამერკელ სამხედროთა გამოჩენა საქართველოში? როგორ გგონიათ, გამოიყენებენ მათ აფხაზეთის წინააღმდეგ?

— საქართველოს სამხედრო ძლიერების გასაძლიერებლად აშშ-ის და სხვა სახელმწიფოთა აქტიური ძალისხმევა გვაფიქრებინებს, რომ შესაძლოა საქართველომ ეს ჩვენს საწინააღმდეგოდ გამოიყენოს, ამიტომაც ვცდილობთ აფხაზეთის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას, მაღალკვალიფიციური სამხედრო სპეციალისტების მოზიდვას. გარდა ამისა, საქართველოს ხელმძღვანელობის სურვილი, დსთ-ის მშვიდობისმყოფელები ნატოს ქვეყნების სამხედრო კონტინგენტით შეიცვალოს, ცხადყოფს, რომ მათ უნდათ აფხაზეთის პრობლემის გადაწყვეტა ბალკანეთის სცენარით. საქართველო თვლის, რომ ინტერნაციონალურმა კონტინგენტმა ძალის გამოყენებით ხელი უნდა შეუწყოს საქართველოს იურისდიქციის გავრცელებას აფხაზეთის მიწაზე. ამიტომაც ვართ მშვიდობისმყოფელთა ინტერნაციონალიზაციის წინააღმდეგი.

— თბილისში აცხადებენ, აფხაზეთში „ალ-ქაიდის“ ბოევიკები იმალებიან, საერთაშორისო ტერორისტების ბანაკები და ნარკობიზნესის გადასაზიდი პუნქტიაო. რას იღონებთ ამის უარსაყოფად, თანახმა ხართ საერთაშორისო ინსპექციაზე?

— ეს აბსურდული განცხადებებია. თავად განსაჯეთ — აფხაზეთის ტერიტორია გამუდმებით განიცდის გაეროს, დსთ-ის და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მონიტორინგს. საქართველოს ეს ხმები ხელს აძლევს იმისათვის, რომ საერთაშორისო საზოგადოებრიობის თანადგომით ჩვენს წინააღმდეგ ძალა გამოიყენოს. მაგრამ ეს მხარდაჭერა საქართველომ ვერ მიიღო. აბა, ვინ აღიქვამდა სერიოზულად ასეთ კონიუნქტურულ ბრალდებებს? საქართველო დაინტერესებულია თავისი იურისდიქციის გავრცელებით აფხაზეთში, ამიტომაც ყველანაირად ეხმარება ე.წ. პარტიზანებს ტერაქტების განხორციელებაში. ამჯერად საქართველოს უმაღლესი ხელმძღვანელობის წარმომადგენლებმა ხმამაღლა განაცხადეს, ხელს შევუწყობთ ამ ტერორისტული ფორმირებების გაფართოებასო.

— ამბობენ, ბორის ბერეზოვსკი, რუსეთის თავდაცვის საბჭოში ყოფნისას, აფხაზეთის ეკონომიკაში მილიონების ჩადების საფასურად პოლიტიკურ დათმობებს გთავაზობდათ. ახლაც ხომ არ ჩანს ასეთი შემოთავაზებები რუსეთიდან ან თბილისიდან?

— მხოლოდ ერთს გეტყვით: ჩვენ არ ვვაჭრობთ ეროვნული ინტერესებით.

ვერმია ნოვოსტეი

ქილერი „საქმეზე“ პასპორტით მიდის?!.

თავს დაესხნენ მოსკოვის მთავრობის პრემიერის მოადგილეს, სათამაშო ბიზნესის კომისიის თავმჯდომარეს იოსებ ორჯონიკიძეს. თავდასხმის მიზეზად სხვადასხვა ვერსიას ასახელებენ. მისი დეპარტამენტის გამგებლობაში შედის ქალაქის ყველა სასტუმრო და საერთაშორისო საინვესტიციო პროექტი, მათ შორის მოსკვა-სიტის კომპლექსის და ავტორბოლის ტრასა „ფორმულა-1“-ის მშენებლობები. ამიტომაც ვარაუდობენ, რომ თავდასხმათა მიზეზი შეიძლება იყოს იმ პროექტების წარმომადგენელთა ინტერესების შეჯახება, რომელსაც კურირებს ორჯონიკიძე.

არ არის გამორიცხული, რომ თავდასხმები დაკავშირებულია მის კიდევ ერთ თანამდებობასთან — იგი გახლავთ მოსკოვის ბოულინგ-კლუბების ასოციაციის პრეზიდენტი.

გარდა ამისა, გამოითქვა კიდევ ერთი ვერსია: თავდასხმების სერია უნდა უკავშირდებოდეს სათამაშო ბიზნესს. ორჯონიკიძე 90-იანი წლებიდან არის მერის მოადგილე საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების დარგში, მეთაურობს მოსკოვის მთავრობის საგანგებო კომისიას სათამაშო ბიზნესის დარეგულირების და კანონიერების დაცვის სფეროში.

ორჯონიკიძეზე თავდასხმის დროს დაღუპული ჩეჩენი სალავათ ჯაბრაილოვი, კომპანია „პლაზა“-ს მფლობელის, რფ-ის პრეზიდენტობის ერთ-ერთი პრეტენდენტის უმარ ჯაბრაილოვის ბიძაშვილი იყო.

ქილერის ვინაობა ძალიან მალე დამტკიცდა — ჩეჩნეთის სოფელ ნოვიე ატაგის მკვიდრ 30 წლის სალავათ აიდიევიჩ ჯაბრაილოვს ჯიბეში საბუთები ედო. ისე, საკვირველი კია, რომ „საქმეზე“ მიმავალ ქილერს თან პირადი საბუთები წაეღო. სამართალდამცავი ორგანოები ამტკიცებენ, რომ თანამოსაქმეებმა მოკლეს ჯაბრაილოვი და თავად მიიმალნენ. საკითხავია, რატომ არ ამოუღეს ჯიბიდან საბუთები?

საგულისხმოა, რომ ჯაბრაილოვის გვარი ორჯონიკიძეზე პირველი თავდასხმის დროსაც ფიგურირებდა.

თავად უმარ ჯაბრაილოვი ჟურნალისტებთან შეხვედრაზე უარს ამბობს. როგორც მისმა თანაშემწემ, რენენკოვამ განაცხადა, მის შეფს კი ჰყავს 30 წლის ბიძაშვილი, მაგრამ მას არავითარი კავშირი არა აქვს უმარის ბიზნესთან.

მორგში მოკლულის ამოცნობა ჯერ არ მომხდარა, უმარ ჯაბრაილოვი ე.წ. ბიძაშვილის ამოცნობაზე არ მიუწვევიათ.

კომერსანტის თანაშემწემ განაცხადა, ვითომდა სალავათის მკვლელობის ამბავი ჟურნალისტებისგან გავიგეთ. სანამ ნათესავები ცხედარს არ ამოიცნობენ, ვერ გეტყვით, რომ ეს უმარის ბიძაშვილია, ვიმედოვნებთ, ეს უბრალოდ დამთხვევაო.

ჯაბრაილოვის ოჯახის კავშირს ამ თავდასხმასთან ოპერატიული მუშაკებიც ეჭვით უყურებენ. შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, რომ შეუძლებელია ქილერი წავიდეს საქმეზე საბუთებით ხელში და ისეთი პისტოლეტ-ტყვიამფრქვევით შეიარაღებული, რომელსაც შეჯავშნული ავტომობილის აფეთქება არ შეუძლია.

იოსებ ორჯონიკიძეზე თავდასხმის გამო აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

კომერსანტი



ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო!
კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გამადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.

ჰკდრები გენიოსობენ

3 წლის ლევან ანჩაბაძე-ჯაჯა-ვას დედიკო ხშირად ახსენებს:
— ჭამის წინ და ჭამის შემდეგ ხელპირი უნდა დაიბანო.
ერთხელაც ბავშვი მიუბრუნდა დედას, რომელსაც პომადა ჰქონდა წასმული:
— დედიკო, მურაბა ჭამე და პირის დაბანა დაგავიწყდა?

***

3 წლის იკა გაბინაშვილს დედამ ფეხსაცმელი მიუტანა და უთხრა, ჩაიცვიო. იკამ ჩაცმა დაიწყო. წვალობს, წვალობს, მაგრამ ვერ იცვამს. ენა ამოსწიე, — უთხრა დედამ. იკამ ენა გამოყო და უფრო გულმოდგინედ განაგრძო ფეხსაცმლის ჩაცმა.

***

4 წლის თამთა ჟორჩილავას დედა საყვედურობს, — ჩემს ნათქვამს ერთ ყურში შეუშვებ და მეორიდან გაუშვებო.
თამთამ გამოსავალი იპოვა:
— დედიკო, მეორე ყურზე ხელს ავიფარებ.

***

პატარა თამთა თუჯიშვილი დედას სთხოვს:
— დედა, ეს ჩვენი ირაკლი ყოველდღე მეუბნება, რა ლამაზი კაბები გაცვიაო. ვაჩუქებ რა, ერთს?!

***

ილია გეჟაშვილი ნუკრიანში იყო სტუმრად ბებოსთან და პაპასთან. საღამოს გაიელვა და წამით მთელი ეზო გაანათდა.
— დედიკო, ვინ გადაგვიღო სურათი? — ფეხზე წამოხტა სახეგაბრწყინებული ილია.

შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელი ფერის ჰორიზონტალურ რიგში მიიღებთ შემდეგი ლექსის პასუხს: „ფისო ერჩის და ამიტომ მშიშარა და ფრთხილია, უყვარს, რაც კი სახრავია, სიმინდი თუ თხილია“.



გამოიცანი, რა შეცდომები დაუშვა მხატვარმა...

ოთხმე 11 განსხვავება



გამოიცანი, ვის ეკუთვნის ჩრდილი?



მიიყვანე გოგონა ლიმონის ნაყინთან



1) რამდენი ლეკვია სურათზე? 2) საით გარბის ლეკვების უმეტესობა — მარჯვნივ თუ მარცხნივ? 3) მოძებნე ორი ისეთი ლეკვი, რომლებსაც მხოლოდ ხუთ-ხუთი ხალი აქვთ და თანაც ერთსა და იმავე ადგილას.

1 რებუსი



ჯიბოხელი

ვინც მარცხენას მარჯვენაზე უკეთ ხმარობს					საწვიმარი						ბაზრობა თბილისში				მოსარჩლე, დამცველი, მფარველი					მაღალის ანტონიმი					
... და დედამიწა	ქალის სახელი				ტოლი, სწორი						თევზის სახეობა				სკამის უფროსი მეგობარი					ხილი				

C M Y K

ძვირფასო მშობლებო! გთხოვთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით გამოგვიგზავნოთ თქვენი პატარების ბრძნული გამონათქვამები და კურიოზული ამბები. ჩვენ კი მათ გამოქვეყნებას გპირდებით. გთხოვთ, მიუთითოთ რუბრიკა „საბალღო-სალაღო“

პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე

გვერდი მოამზადა მზეჭა ხუციშვილმა

ცხოვრებისეული კურიოზები

გამოსავალი

ჯუანშერ ჯიქია ძალიან ბევრს სვამდა.

ბოლოს და ბოლოს, სერიოზულად რომ გახდა ავად, ცოტა ხანს კი შეეშვა სასმელს, მაგრამ ერთ კვირაში ისევ „მიუჩოჩდა“. ბოლოს მოჩვენებები რომ დაეწყო, ცოლმა ძალისძალათი მიიყვანა ექიმ-ფსიქიატრთან...

შევიდა ჯუანშერი ექიმთან, მანაც გასინჯა და სინანულით გადააქნია თავი.

— საშიშია რამე? — ჩაეკითხა პაციენტი.

— სხვათა შორის, კი! დაახლოებით 3-4 თვე წვეთი სასმელი არ უნდა დალიო!..

— ბოლო სიტყვაა? — გამომცდელად შეხედა ექიმს პაციენტმა.

— წყალი არ გაუვა!

— კარგი ბატონო, — თქვა და ჯუანშერმა ჯიბიდან ფული ამოიღო, ექიმს თვალი ჩაუკრა და დაამატა — მოკლედ მითხარი, ექიმო, რამდენია საჭირო, ასე ორ კვირაზე მაინც რომ დაიყვანო?..

მურმან მერკვილიშვილი, თბილისი

„ბედის ირონია“ ჰალიასტომურად...

ჩემს მეგობარს საკმაოდ თავისებური სიმთვრალე ჰქონდა — შუა ქეიფში გაითიშებოდა და უცბად სუფრიდან ისე გაიპარებოდა, რომ ვერავინ შეამჩნევდა. თბილისში ცხოვრობდა, პალიასტომის ქუჩაზე. ერთხელაც ჩავიდა ფოთში სტუმრად, მასპინძელმა შეკრიბა საძმაკაცო და საღამოს რესტორანში დასხდნენ საპურმარილოდ. გახურდა სმა, რომელმაც კარგა გვიანობამდე გასტანა. ჩემი მეგობარი, როგორც ყოველთვის, გაითიშა, ადგა და შეუმჩნევლად გაიპარა სუფრიდან, ქალაქში გააჩერა ტაქსი, ეტყობა, თავი თბილისში ეგონა და, მძღოლს უთხრა, პალიასტომზე წამიყვანეო (თბილისის მისამართი)! მძღოლმაც იფიქრა, ნაქეიფარია, აღბათ პალიასტომის ტბის ჰაერზე უნდა გავლაო და ტბისკენ „შეუბერა“. მივიდნენ ტბასთან და მძღოლი აღვიძებს კლიენტს — მოვედითო. მანაც გაახილა თვალი და რას ხედავს — უკუნი სიბნელე, ამხელა ზღვა თუ ტბა და აიტანა შიშმა... ხელის კანკალით ამოიღო ჯიბიდან საფულე, მიუგდო მძღოლს, თან მუდარა დაუწყო, ოღონდ ნუ მომკლავ, წამიყვანე ამ თბილისის ზღვიდან (დაავიწყდა ფოთში რომ იყო) და სახლიდან ერთი ამდენ ფულს კიდევ გამოგიტანო! ამაზე მძღოლი სულ გადაირია, რა თბილისის ზღვა, რისი მოკვლა, შენ თვითონ არ მითხარი, პალიასტომზე წამიყვანეო? ამ ჭიდაობა-დავიდარაბაში, თანაც შიშში, ჩემი მეგობარი ნელ-ნელა გამოფხიზლდა კიდეც, აღიდგინა ყველაფერი და მძღოლს ალალად მოუყვა თავისი გაჭირვება. ფოთელმა ტაქსისტმაც ბევრი იცინა და წამოვიდნენ უკვე დაძმაკაცებულები უკანვე ფოთში. მიბრუნდნენ რესტორანში, სადაც მთელი სუფრა აწრიალებულიყო და ყველგან ეძებდნენ ჩემს დაკარგულ ძმაკაცს...

თეიმურაზ ვარდოსანიძე, თბილისი

უცხო ავადმყოფობა

ერთხელ ერთ ჩემს ძმაკაცს ასეთი ამბავი შეემთხვა: ზაფხულის დასაწყისში, მოულოდნელად გაცივდა და სიცხე მისცა. გასინჯვის შემდეგ აღმოაჩნდა ოცდათვრამეტი და შვიდი ხაზი, ამის შემდეგ ვერცხლისწყალი ამ ნიშნულს არ ჩამოშორებია ერთი თვის განმავლობაში(!). ამ ხნის მანძილზე ორჯერ გამოიძახეს სასწრაფო, მაგრამ „ავადმყოფს“ ექიმებმა ვერაფერი გაუგეს, ბოლოს იმავე თერმომეტრით ოჯახის წევრებმაც ისარგებლეს და აღმოჩნდა, რომ ყველას ერთი და იგივე ტემპერატურა ჰქონდა: ოცდათვრამეტი და შვიდი ხაზი!..

პაპირუსა, თბილისი

ფიგუ, მიდანი და... დიმა ობოლაძე

ამ რამდენიმე დღის წინ ჩვენს უბანში საკმაოდ დაძაბული დისკუსია მიმდინარეობდა თემაზე, თუ რომელი ფეხბურთელი იყიდა მადრიდის „რეალმა“ უფრო ძვირად — პორტუგალიელი ლუიშ ფიგუ თუ ფრანგი ზინედინ ზიდანი. ამ დისკუსიას მოჰყვა ნაძლევი და რა თქმა უნდა, ყველას, ვინც კი ფეხბურთში კომპეტენტური პირი იყო, დავუსვით ეს შეკითხვა. ზოგი ფიგუს გაიძახოდა, ზოგიც ზიდანს. გადაწყდა, დაერეკათ ტელეკომპანია „რუსთავი 2-ში“ და ეკითხათ სპორტული კომენტატორისთვის, დიმიტრი ობოლაძისთვის და სწორი პასუხიც დაედგინათ. რამდენჯერმე დარეკეს, მაგრამ ობოლაძე ვერა და ვერ „დაიჭირეს“, ბოლოს, ილომ, რომელიც ყველაზე მეტად აქტიურობდა და ამბობდა, ზიდანში უფრო მეტი ფული გადაიხადესო, ტელეკომპანიაში თავისი ტელეფონის ნომერი ჩააწერინა, იქნებ ბატონმა დიმამ დაგვირეკოსო. არადა, სანაძლეოს მოლოდინში (20 ლიტრი ჩამოსასხმელი ლუდი „ყაზბეგი“ თავისი თეზით...) გვარიანმა გულშემატკივარმა მოიყარა თავი.

ჩვენს უბანში ერთი კოლორიტული ტიპი გვყავს, ჭყიპინას ვეძახით და გამოსავალი სწორედ მან იპოვა. დაურეკა ილოს და დიმას ხმით უთხრა, უფრო მეტი თანხა ზიდანში კი არა ფიგუში გადაიხადესო. ილომ კიდევ, ხომ არ იტყოდა, ნაძლევი მე წავაგეო და ბიჭებს უთხრა, დიმა ობოლაძემ დამირეკა და მითხრა, მართალი ხარო...

ჭყიპინა ჩუმად „მოტყდა“. ... მოულოდნელად ზიდანის ქებით გართული ილოს მობილური ისევ აწკრიალდა. ყურმილში ვიღაც ისე ყვიროდა, რომ მისი ხმა ბიჭებმაც გავიგონეთ.

— რას იტყუები მანდ, ხომ გითხარი, რომ უფრო ძვირი ზიდანში კი არა ფიგუში გადაიხადეს!..

ილოს ლამის ტელეფონი გაუვარდა ხელიდან...

ნ.შ., თბილისი, ნაძალადევი

ანეკდოტები

— ალო, სასწრაფო დახმარებაა?!

— დიახ, ბატონო!

— კაცი კვდება გულის შეტევით, სასწრაფოდ ჩაიწერეთ მისამართი!..

— მისამართს ჯერ ვერ ჩავიწერთ!

— აბა, როდის?

— კითხვებზე გვიპასუხეთ, თუ შეიძლება, ანკეტა უნდა შევავსოთ! რამდენი წლისაა?

— სამოცდახუთის გახლავთ.

— სად მუშაობს?

— პენსიონერია.

— პერსონალური თუ ჩვეულებრივი?

— არა, უბრალო, თოთხმეტლარიანი...

— შვილები რამდენი ჰყავს?

— ერთი ვაჟი.

— მისი სამუშაო ადგილი და შემოსავალი?

— ჯერჯერობით, დროებით უმუშევართა სიაშია...

— უცხოეთში თუ ჰყავს ვინმე?

— შვილიშვილი, თავიდან უჭირდა, მაგრამ ახლა ისე კარგად მოეწყო, მარტო პაპას თვეში ორას დოლარს უგზავნის...

— აგაშენა ღმერთმა, აბა, ახლა მისამართი და მოვფრინავთ, ხუთ წუთში მანდა ვართ!..

— მოიცა, ისა... მგონი უკვე საჭირო აღარ არის...

— როგორ?

— გარდაიცვალა საწყალი... დავიღუპეთ!

— ჩვენც!...

შოთა ქელეხ- საშვილი, ქარელი

მაითხველის ——— სავარჯიშო ანეკდოტი

— მიხო, სად იყავი ჯო, დილით გეძახდი და ვერ გაგაგონე!..

— როგო გამაგონებდი, „სუხარსა“ ვჭამდი!..

მანანა ჯ., თბილისი

ჩვენი სტუმარია საბჭოურ-იუმორისტული ჟურნალი ფილტვები

ქმარი ქალს თითქოს ველარც ამჩნევს. ერთხელაც, უყურადღებობით გაბეზრებულმა ცოლმა აირწინაღი ჩამოიცვა სახეზე და ისე დახვდა სამსახურიდან დაბრუნებულ კაცს.

ქმარმა ივახშმა, ტელევიზორს უყურა, დასაძინებლადაც დაწვა, მაგრამ ვერაფერი შენიშნა. ცოლმა ველარ მოითმინა:

– რატომ არ მიყურებ?!

– აჰა, გიყურებ!

– მერე, სახეზე ვერაფერს მამჩნევ?

– მმმ... მგონი, წარბები ამოიპუტე, არა?!

ჭიჭიკიას მეზობლებმა უჩივლეს, – თაღლითია, ყველას გვატყუებსო.

მიიყვანეს პოლიციაში და დაიწყო უფროსმა დაკითხვა. „ეჭვმიტანილი“ ყველაფერს უარყოფს:

– რა ვქნა, უფროსო, თვითონ მენიძლავებიან, კი არ ვაძალებ! მერე, რომ წააგებენ, მწარდებიან...

– თუ იციან, რომ წააგებენ, რატომ არ განებებენ თავს?!

– ახლა, თქვენ რომ გითხრათ, თვალზე ვიკბენ-მეთქი, არ დადებთ თუმანს?!

– ჰმ... აი, შენ ათლარიანი და თუ არ გიკბენია, კამერაში ამოგალპობ!

– კი, ბატონო! – და ჭიჭიკიამ ამოიღო „შუშის თვალი“, „უკბინა“ და ჩაიდგა ისევ თავის ადგილზე.

გაღაირია უფროსი, მაგრამ სიტყვა – სიტყვა იყო.

– ახლა, უფროსო, ოცი ლარი დადე და მეორე თვალზეც ვიკბენ!!! პოლიციელი გაოგნდა – ორივე თვალი „შუშის“ ხომ არ ექნება, ყველაფერს ხედავსო... უხმოდ ამოიღო ოცლარიანი.

ჭიჭიკიამ გამოიღო პირიდან კბილების პროთეზი, „იკბინა“ საღ თვალზე, ისევ ჩაიდგა, აიღო „თავისი“ ოცი ლარი და სტვენა-სტვენით გამოვიდა პოლიციის შენობიდან.

ბატონო მკითხველო, რედაქცია კურიოზებსა და ანეკდოტებთან ერთად ელის მხიარულ კარიკატურებს, მეგობრულ შარჟებს, რომელთაგან საუკეთესოებს სიამოვნებით გამოვაქვეყნებთ.

მასალები გამოგვგზავნეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე.

C M Y K

შურისძიება

დოკუმენტური მოთხრობა

იყო მზე და იყო ზღვა. იყო ლაჟვარდი და ალმური, რომელიც არა წვავდა, არამედ იყო სიცოცხლის წყარო და იყო სულის მეოხი, რამეთუ კაცი კაცისა იყო ძმა, ნათესავი, მეგობარი და სიყვარული.

იყო ორი ძმა და არა იცოდნენ მათ, რომელი ადრე მოვიდა და რომელი მერე, ოჯახებითაც გასაყოფი რომ თითქმის არაფერი ჰქონიათ.

მაგრამ იყო კიდევ სატანა, რომელმაც ჩაასახლა ჯოჯოხეთი იქ, სადაც იყო მზე და ზღვა და იყვნენ ძმები — აფხაზი ივანე და ქართველი ზაური. თავ-თავიანთი ოჯახებით — მეუღლეებით და ორივე თითო ქალ-ვაჟით: ბიჭები დიმიტრი და მალხაზი მაღე ერთი წლისანი უნდა გამხდარიყვნენ, გოგონები ოლღა და ია — ოთხ-ოთხისა.

გავარდა თოფი და მზე და ალმური ღრუბელმა და ავდარმა შეცვალა, ლაჟვარდი დამწვარი დენთის სუნმა მოიცვა.

ზაური ძმადმიჩნეულის ტყვიამ მოკლა.

დღითი-დღე მძლავრობდა სატანა, ფრთაშესხმული და ზურგგამაგრებული უცხოთა ურდოებით, ქვემეხებითა და რკინის ყორნებით.

ზევით და ზევით მიიწევდა მთები და გორები ქართველთა ცხედრებისა. ვინ დაგიდევდა, მებრძოლი იყავი, მოხუცი, ქალი თუ ბავშვი. თუნდაც ის ბავშვი, ზეცა ჯერ რომ არ ეხილა და სუფთა ჰაერიც არ ჩაესუნთქა.

ეთერმა სარდაფში შემალა პატარები. ჭუჭრუტანიდან შიშით და ძრწოლით შესცქეროდნენ დასანახ ცხოვრებას და ყოველი უცნობის გამოჩენაზე ან რაიმე საეჭვო ხმის გაგონებაზე ტოკავდნენ გვიანი შემოდგომის ვერხვზე შემორჩენილი მეჩხერი ფოთლებივით.

— მარინა! ბავშვებო, მარინა დეიდა მოდის, — სიხარულით ღრიალის ყველა უბედურება გადაავიწყდა ეთერს, როცა მის ეზოში თავისი საყვარელი მეზობელი, ივანეს მეუღლე დაინახა.

მარინას სამი იარაღასხმული მებრძოლი მოჰყვებოდა. დროზე მოთოკა ეთერმა სურვილი გამოსულიყო სარდაფიდან.

მაინც ამაო გამოდგა ყველაფერი: მარინამ ზუსტად მიანიშნა მებრძოლებს ეთერისა და მისი შვილების თავშესაფარი...

არ ახსოვს ეთერს, რა მოხდა. არც ის ახსოვს, როგორ იპოვა გოგონას თავი და დასახიჩრებულ სხეულს მიაბა, არც ის, როგორ გადააფარა შვილის ცხედარს ჩვრები.

მეორედ რომ გაახილა თვალი, ბიჭუნა მოისაკლისა. აკვანი ცარიელი იყო, გარეთ აპირებდა გამოსვლას, როცა გულმა უკარნახა, ტახტის ქვეშ შეეხედა.

ბიჭს ცალი ხელი ჩვარივით ეკიდა, მარცხენა ფეხი კი უსაშველოდ გასივებოდა. მაგრამ ამაზე შეიძლება ლაპარაკი? ან იმაზე, რომ ქალის თმა შედედებული სისხლისაგან ერთ უხეშ ღერად ქცეულიყო?!

მთავარი იყო, რომ მალხაზის გულის სუსტი ფეთქვა ისმოდა.

ძალით ჩასჩარა ძუძუ პირში და ხელით ჩაუწურა ორი-სამი წვეთი რძე ნახევრად გამშრალი მკერდიდან. მეორე ძუძუდან ისევ სდიოდა სისხლი და ბავშვისთვის უვარგისი იყო.

გარეთ გამოვიდა. სიბნელეში ბარი მოძებნა და ყუმბარისგან ამოთხრილ მიწაში ადგილი მოუსწორა იას.

ისევ შებრუნდა სახლში, გოგონას იღლიებში ამოუდო დაგრეხილი ზეწარი, თავი უკეთესად მოარგო სხეულს და შეახვია.

ჩაასვენა მოსწორებულ ორმოში. კოცნითაც არ გამომშვიდობებია, ერთი სიტყვაც არ დასცდენია.

ჩვილის საწოვრები და ბოთლი, ჩვრები, რაღაც ნივთები, რაც ხელში მოხვდა, ჩაყარა ჩანთაში, ბავშვი აიყვანა და გარეთ გამოვიდა.

სად მიდიოდა, არ იცოდა. არც აზროვნება შეეძლო, არც ფიქრი, არც მხედველობა და არც სმენა.

ბავშვმა წაისლუკუნა დიდი ხნით უპატრონოდ მიგდებული თვალი დაგლიჯა და გამალებით იყრიდა პირში, თითქმის დაუღეჭავად. მერე წყალს დაეწაფა და სვა და სვა უზომოდ... ბავშვისათვის რძის დაგროვება იყო საჭირო...

— მალხაზი სად არის? — იკითხა, როცა საავადმყოფოში თვალი გაახილა და გვერდით ბავშვი ვერ დაინახა. — სად არის ჩემი ბიჭი?

— შენს ბიჭს აღარაფერი უჭირს, დროზე ვუშველეთ.

ფეხზე წამოდგომა დააპირა, მაგრამ ვერ შეძლო, ახლა შენიშნა, რომ წელი შეხვეული ჰქონდა.

— მე რაღა მჭირს, ექიმო?

— თქვენ რკინის ქალი ყოფილხართ, — კეთილად გაუღიმა ახალგაზრდა ექიმმა. — როგორ მოაღწიეთ ჩვენამდე, ბავშვი რომ ხელიდან არ გაგივარდათ.

— რა მჭირს, ექიმო?

— ნაწლავები სულ დაგლეჯილი გქონდათ. ძლივს აგაწყვეთ.

— ექიმო, ბავშვის ნახვა მინდა, ამაყენეთ.

— ჯერ თქვენი ადგომა არ შეიძლება. ერთი-ორი დღე მაინც. ბავშვს კი გაჩვენებთ.

დედა-შვილი საავადმყოფოდან ერთი თვის შემდეგ გამოწერეს. ბიჭუნას ხელი ვერ შეუნარჩუნეს.

— უკვე ორი კვირა ხდება, თქვენთან ვარ და ჩემი იას საფლავი არ მინახავს, — უთხრა ერთ დღეს ეთერმა მზარეულ თეოს, ვისთანაც თანაშემწედ მოეწყო ჰოსპიტალში.

— რას ამბობ, ეთერ, იქ როგორ წახვალ? ხომ არ დაგავიწყდა, რომ ომია?

— ღამე წავალ. ჩემი სოფელია და ისეთი ბილიკებით შევალ, ეშმაკმაც ვერ დამინახოს. ხვალ იას ორმოცია. ყვავილებს მაინც მივუტან.

მინდვრის ყვავილები დაკრიფა და გვირგვინი დაწნა. გამოაცხო ბეჭედივით მრგვალი დიდი კვერი.

— ნამცხვართან ერთად ასეთ კვერს ყოველთვის ვუცხობდი და გულზე ვკიდებდი ხოლმე, — იმართლა თავი თეოს წინაშე.

მალხაზი თეომ დაიტოვა.

სახლებსა და ნაგებობებს აქაიქ ცეცხლი და კვამლი ასდიოდა. თხრილები და ორმოებიც მომრავლებულიყო.

წინათგრძნობამ არ უმტყუნა: ბომბი იას საფლავსაც მოხვედრია — მთვარის შუქზე ნახევრად შიშველი სხეული გამოჩნდა.

— რა დააშავე, ჩემო პატარავ! საფლავშიც აღარ გასვენებენ. მეორედ მოგკლეს, შვილო... — ჩუმი ბუტბუტით მოსაფერებელი სიტყვებიც არ უძებნია. ორმოცი დღის მანძილზე დაგროვილი სათქმელი ხომ უნდა ეთქვა მისთვის, მარტოდმარტო რომ მიატოვა ეზოში?!

ამოიყვანა, ძველი ნაჭრები შემოხსნა, პერანგი გაიხადა და მასში შეახვია.

მიწა ხელით მიაყარა. ზურგჩანთიდან ამოალაგა ყვავილის გვირგვინი, რგოლა ნამცხვარი და საფლავზე დააწყო. დაანთო სანთლები.

მარანთან მივიდა, ერთ კუთხეში დიდი ქვა გადააგორა, ხელით მიწა ამოჩიჩქნა და იქიდან ჩვრებში შეხვეული პისტოლეტი ამოიღო.

ომი ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული, როცა სტუმრად მაზლი ეწვია. საღამო ხანს, ძმები სუფრას რომ მიუსხდნენ, სტუმარმა პისტოლეტი გადასცა ძმას, — აქ სიტუაცია ისე იძაბება, რა იცი, როგორ დაგჭირდესო. ეთერს ეს მაშინ ძალიან არ ესიამოვნა. თუმცა თავისი მაინც გაიტანა.

— შენი ფიცხი ხასიათი რომ ვიცი, ეგ იარაღი ხეირს არ მოგიტანსო — უთხრა ზაურს და იარაღი გადაამალვინა... აი აქ, ამ ადგილას.

ეთერმა პისტოლეტს ჩახმახი მოუსინჯა, ფეხზე შეაყენა.

ეზოდან გამოსვლისას შემოტრიალდა და შვილის საფლავს გახედა. წყნარ ღამეში სანთელი ისევ ენთო და დედამ აშკარად დაინახა, როგორ მიჰყვებოდა სანთლის ალს მაღლა, ზეცისკენ მისი შვილის ღანდი, უკანასკნელად რომ ემშვიდობებოდა დედას და დედამიწას.

გათენებამდე ჯერ კარგა ხანი იყო.

ეთერი მიდიოდა თავისი კარის მეზობლის სახლისკენ. მიდიოდა მტკიცედ და პირგამეხებული.

— ჩემი მალხაზის სახეც რომ მიიღოს სამივემ, სამივეს რამდენჯერმე დავახლი ტყვიას, — ფიქრობდა მის სულში ჩამჯდარი უმაღლესი მოსამართლე.

მარინას სახლიც ნახევრად დანგრეული აღმოჩნდა, თითქოს ხანჯლით შუაზე გაეკვეთათო. მარჯვენა მხარე ძველებურად გამოიყურებოდა, მარცხენა — მხოლოდ ნანგრევები იყო.

გადარჩენილ ნაწილს მიაშურა. იქ, პირველ სართულზე, ამ ოთახში ათევდნენ ხოლმე ღამეს. იქ ეგულებოდა მეზობლობისა და ადამიანობის გამტეხი, მისი და მისი ოჯახის გამაუბედურებელი.

ოთახის კარი ღია იყო. შევიდა შიგ, მაგრამ სიბნელეში ვერაფერი გაარჩია. იცოდა, სადაც უნდა ყოფილიყო ასანთი და სანთელი.

მონახა. აანთო.

მისუსტებული კანავიჯი შემოესმა. მიანათა სანთელი და მოულოდნელობისგან გაშეშდა:

იატაკზე მკერდგაშიშვლებული მარინა ეგდო. გაგლეჯილ შუბლზე სისხლი უკვე შემშრალიყო, მის ძუძუს კი დიმიტრი ჩაფრენოდა.

სანთელი რომ დაინახა, ბავშვი გადმოძვრა მკერდიდან და ეთერისკენ შეტრიალდა.

იცნო ეთერი, იმედმა გაიკიაფა მის მინავლებულ თვალებში.

— და-და!.. და-და!.. — ოდნავ გასაგონი ხმით წამოიკნავლა პატარამ. თითქოს პატიებას ითხოვდა, დახმარებას ითხოვდა... დედის გაცოცხლებას ითხოვდა!.. დედასთან შერიგება უნდოდა...

ეთერმა ჩახმახშემართული პისტოლეტი გაიშვირა ბავშვისკენ.

დიმიტრი ეთერისკენ მიფორთხავდა, იმედი გასჩენოდა პატარას, კმაყოფილებით რაღაცას ლუღლუღებდა.

ქალმა იგრძნო, როგორ აეწვა და ტყვიასავით დაუმძიმდა ძუძუები.

იარაღი ხელიდან გაუვარდა. სანთელი იატაკზე დადო და ბავშვი ხელში აიყვანა.

ბიჭუნამ პაწია ხელები მოუფათურა გამწარებულ ქალს მკერდზე.

— მოგშივდა, შვილო? შენ მოგიკვდა ჩემი თავი, ჩემო პატარავ. ახლავე, გენაცვალე, ახლავე...

და აკანკალებული ხელით დაიწყო გულისპირის შეხსნა...

•••

„სულის სიმშვიდის ვერსით მპოველთა“

ანა

ქვიშის საათში ვარ მომწყვდეული,
ოთახში ჩუმი ოხვრა მოისმის,
შორს არის ჩემგან ღვთის სასწაული,
თითზე ზოლია გიტარის სიმის...
მთვრალი ვარ ლექსით,
წუთისოფელი როგორ მეძნელა!
თავშესაფარი ვერ ვნახე ვერსით
და ოცნებისთვის გამექცა ყველა.
ოთახში ჩუმი ოხვრა მოისმის,
და სული მებრძვის სულ სხვა ქვეყნისთვის,
მიჭირს შეგრძნება მთების სიმძიმის,
დავბადებულვარ მე სულერთისთვის.
ეს გაზაფხული ჩემი არ არის,
ქვიშის საათიც ივსება ნელა...
ჰორიზონტია ცისფერი საზღვრის
და ოცნებისთვის გამექცა ყველა?!

•••

ჩემს სულში ნათრთოლ სიხარულს ვფიცავ,
სანთლად ამენთნენ თქვენი თვალები
და მე ამ ბილიკს ისე დავიცავ,
ვით ზეცის კიდეს სერაფიმები.

•••

იები თმაში, ჩემი ძველი და ახალი რითმა.
... ცრემლების მძივებს ვატარებ გულით.
ალბათ რაც მსურდა, უჩემოდ ითქვა,
შელებეს ფიქრი სულ ცოტა ლილით...

•••

იყო სერობა,
გეთსემანიის ბნელსა კვეთდა
მთვარის ნათელი,
მუხლმოდრეკილი ლოცულობდა
ძე კაცისა
კრთოდა სანთელი.
თუ ძალგიძს, მამავ, მაშორეო
ხვედრი მტანჯველი,
შენს გადაწყვეტას მორჩილებით
მივიღებო,
სასმისს აქ ველი...
სთვლემდა ყოველი.
კაცის ძის ბედი განსაზღვრულია,
ჩქარობს იუდა,
მოძღვარი ხომ ოცდაათ ვერცხლად
გაცემულია
სინედრიონთან,
ეს ღამე, გრძელი, მთვარიანი
დარჩება მუდამ,
ბილწი ამბორის და ღალატის
დასაბამის
ღამედ, იუდად.

კითხვა-პასუხი

რა არის ბედნიერება?
— სიყვარულია ალბათ.
ბედნიერი კი ვინ არის?
აბა მითხარი სწრაფად!
— ის ბიჭი, დილა-საღამოს
შენს ფანჯრებთან რომ დადის,
ცისკრის ვარსკვლავს რომ გადარებს,
გულში რომ არ აქვს დარდი.
უბედურება რაღაა?
— აბა რა ვიცი, კარგო,
შიშია ალბათ, არასდროს,
არსად არ დამეკარგო.

გელათში

ირინე ბაგრატიონ-მუხრანელს

დგახარ მონასტერში მარტოდმარტო,
ძველი დედოფლების ანაბარა,
კედელზე ცარიელ ადგილს ეძებ,
ბაგრატოვანების თანაბარა.
ვნატრობ წინაპართა ოსტატობას —
ფრესკის ავტორობა დავიჩემო;
დავითს დაველოცე მუხლმორჩილი,
მიმოწმეთ, დარუბანდის კარიბჭენო.
მზე იყო ისე აზიდული...
ფიქრები ახლო და შორეული...
ჩრელი ყრმით წმინდა ღვთისმშობელი —
მარიამ დედოფლის ორეული.

დგახარ მონასტერში მარტოდმარტო,
ძველი დედოფლების ანაბარა,
კედელზე ცარიელ ადგილს ეძებ,
ბაგრატოვანების თანაბარა.

მოგონება

ყავარჯენშეყენებული
თბილისის მთვრალი სახლები,
ყავახანები რიყეზე,
ღამენათევი დახლები,
ჩაღამებული თვალები
ღამენატეხი გოგოსი...
თითქოს არასდროს ყოფილა,
ყველაფერი ჰგავს მოგონილს,
მოგონილს რაღაც ზღაპარში,
ზამთარში ბუხრის პირადა,
თეთრ სუდარაში გახვეულს,
ქალაქს რომ სძინავს მშვიდადა.

საფერი — მოსაფერებელი

უფრო ქართველი ვარ, ვიდრე კორეელი...

*„პირველი სტერეოს“ ეთერში გადაცემა „ცენტრის“ გამოჩენა მაყურებელზე ნამდვილად ვერ მოახდენდა შთაბეჭდილებას, რომ არა მისი ეგზოტიკური წამყვანი **საფერი პაკი**. საფერი საუცხოოდ, უაქცენტოდ ლაპარაკობს ქართულად და ალბათ ესეცაა მიზეზი, რომ უამრავი ჭორი დადის მასზე. ბევრს იგი იაპონელი ჰგონია. ბავშვობაში ქართველი ძიძა ჰყოლია, ქართულიც მისგან უსწავლია და გამზრდელის ანდერძისამებრ, საქართველოში მისი ფერფლის მოსაბნევად ჩამოსულა. ჩვენი ქვეყანა კი ისე მოსწონებია, რომ აქ სამუდამოდ დარჩენა გადაუწყვეტიაო. ერთი სიტყვით, ვინ იცის, კიდევ რას აღარ ჰყვებიან მეჭორენი. ჩვენ ჭორების მოსმენას თვით ჭორების ობიექტის გაცნობა და მოსმენა ვარჩიეთ და ორიოდე დღის წინ საფერის, პეროვსკაიას ქუჩაზე, მის ბარში შევხვდი, სადაც თურმე ჩემი რესპონდენტი თავისი გადაცემის სტუმრებს პირდაპირ ეთერში გასვლამდე ეცნობა. ბარში საფერის მეგობრების მშვენიერი ნახატები და სხვადასხვა ნივთია გამოფენილი.*

— საფერი, შენი წარმოშობის შესახებ მიამბე რამე...

— დავიბადე კორეაში, სადაც უკვე იშვიათად ჩავდივარ. მამის გარდაცვალების შემდეგ, დედა ცოლად გაჰყვა ქართველს. მას შემდეგ მე ორი დით გავმდიდრდი. ერთი სულ არ ჰგავს კორეელს. ასე რომ, ჩემი მეორე მამა ქართველია. იცით, ხშირად მგონია, რომ უფრო ქართველი ვარ, ვიდრე კორეელი — ძალიან მიყვარს ეს ქვეყანა.

— რამდენი ხანია, რაც საქართველოში ცხოვრობ?

— სკოლის დამთავრების შემდეგ საქართველოში წამოვედი. სკოლა კი უკრაინაში დავამთავრე. დედა და მამა ხშირად მოგზაურობდნენ ქვეყნიდან ქვეყანაში და ამიტომაც უამრავი სკოლა მაქვს გამოცვლილი. ახლა სამხატვრო აკადემიაში ქანდაკების ხელოვნებას ვეუფლები და ყველაფერს ქართულ ენაზე ვსწავლობ.

— ალბათ ხშირად გეკითხებიან, საიდან იცი ქართული ენა ასე კარგადო?

— დიახ მეკითხებიან... ყველაზე მეტად ქართული ენის ცოდნის გამო პოპულარული მაინც ბაზარში ვარ... ყველა მეფერება, განსაკუთრებით, თაფლის და თევზის გამყიდველები. ბაზარში სიარული ძალიან მიყვარს. სიამოვნებით ვარჩევ ლამაზ-ლამაზ ვაშლებს... ქართული ენა კი ჩემმა მეგობრებმა მასწავლეს, სულ ქართულად მელაპარაკებიან.

— ტელევიზიაში როგორ მოხვდი?

— ლადო ბურდულმა შემომთავაზა წამყვანობა. ვერ გეტყვით, სიხარულით დავთანხმდი-მეთქი, მაგრამ მაინც მოვკიდე ამ საქმეს ხელი — მაინტერესებს, რა გამომივა. პირდაპირ ეთერში გადაცემის წაყვანა, როგორიც არ უნდა იყოს იგი, რთულია. ვფრთხილობ, ჩემს სტუმარს ისეთი რამ არ ვკითხო, რაც მის სულში ხელის ფათურად ჩამეთვლება. ასეთი რამ არც მე მესიამოვნება, ამიტომაც ვცდილობ, სხვების მიმართაც კორექტული ვიყო.

ლადომ ალბათ ჩემი გარეგნობის გამო უფრო შემარჩია, — მაყურებელზე შთაბეჭდილების მოხდენა უნდოდა. რაკი ლადოზე ჩამოვარდა სიტყვა, უნდა გითხრათ, რომ ძალიან მომწონს ლადოს და ბაკურის მამა — გუჯა ბურდული. ერთხელ ბაზრიდან დატვირთული ჩანთებით მეტროში ჩავედი. წინ ვიღაც მამაკაცი მიმიძღოდა. მის სახეს ვერ ვხედავდი, მაგრამ ვიგრძენი, ეს ჩვეულებრივი ადამიანი არ უნდა ყოფილიყო. მძიმე ჩანთები სულ დამავიწყდა. მონუსხული გავყევი უკან. ეტყობა, მანაც რაღაც იგრძნო, უეცრად შემობრუნდა და საოცარი ლურჯი თვალები დავინახე. ის სახე, ის თვალები არასოდეს დამავიწყდება... მას შემდეგ ვნატრობ გუჯა ბურდულის და საერთოდ სხვა საინტერესო ადამიანების გაცნობას. ძალიან მომწონდა ირაკლი ფარჯიანი, სამწუხაროდ, გარდაიცვალა. ისევე, როგორც ჯანსუღ კახიძე, რომლის ხელები, საოცარი ხელები, აღტაცებას მგვრიდა. გული მწყდება, როცა ასეთები ამ ქვეყნიდან მიდიან...

მართლმადიდებელი ქრისტიანი ვარ, საქართველოში მოვინათლე. ეკლესიაში ხშირად დავდივარ და ეს ძალიან დიდ სიამოვნებას მანიჭებს.

— კიდევ რა მოგწონს საქართველოში?

— ქალაქგარეთ გასვლა, მოგზაურობა. მიყვარს სოფლელებთან საუბარი. ძალიან უბრალოები, ალალები და ბუნებრივები არიან. არ თამაშობენ, არც ცდილობენ თავი მოგაწონონ. ერთხელ აბასთუმანში წავედი. ერთი კვირის მანძილზე მონაზვნებთან ვცხოვრობდი, მეტრაპეზედ დამნიშნეს, კერძებს მაკეთებინებდნენ. ეს ჩემთვის ბევრს ნიშნავდა. სიკვდილ-სიცოცხლის სიახლოვე და მარადიულობა აბასთუმანში ძალიან მძაფრად იგრძნობა. იქ ხვდები, რა არის ამქვეყნად ღირებული და რაზე ღირს ჩვენი ადამიანური ძალების დახარჯვა.

— საქართველოდან წასვლაზე თუ ფიქრობ?

— ერთი ან ორი კვირით სამოგზაუროდ ყველგან წავალ, მაგრამ საქართველოდან წასვლა არ მიფიქრია და ვერც ვიფიქრებ. დამიჯერეთ, მე უფრო ქართველი ვარ, ვიდრე კორეელი.

— კორეაში ნათესავები თუ გყავს?

— როგორც გითხარი, დიდი ხანია აღარ ვყოფილვარ. იქ აღარავინ მყავს ისეთი, ვისთანაც ჩავალ და ცოტა ხნით მაინც დავრჩები. კორეაში საქართველოსგან განსხვავებით, ნათესაობის კულტი არ არსებობს. არადა, ეს ქართული ტრადიცია ძალიან მომწონს. რა სჯობია იმას, როცა მიხვალ ბებიასთან ან სხვა ნათესავთან სტუმრად, ისიც ტკბილად მიგიღებს, გულში ჩაგიკრავს და გაგათბობს...

— „საფერი“ რას ნიშნავს თქვენს ენაზე?

— კორეულად საფერი იმ ვარსკვლავის სახელია, რომელსაც აქ ვენერას ეძახიან. ისე აქ ერთმა მითხრა, საფერი, მოსაფერებელს ან საფერავს ნიშნავს ალბათო. ეს აზრი ძალიან მომეწონა.

მეც მომწონს ასეთი განმარტება, თანაც მართლაც უხდება 21 წლის მოსაფერებელ გოგონას ამ ჟღერადობის სახელი.

ეკა ლომიძე

ავიაკომპანია „ავიასერვისი“ გთავაზობთ შემდეგ რეისებს:

თბილისი-ლარნაკა (კვიპროსი)-თბილისი.

გაფრენა სამშაბათობით — 10.00 სთ

თბილისი-მინერალური წყლები-თბილისი.

გაფრენა სამშაბათობით — 10.00 სთ

აგრეთვე გთავაზობთ რუსეთის ვიზების გაფორმებას

რუსთაველის №17

ტელ.: 99-02-37 98-37-10

კაცი თუ ჯანმრთელი ხარ, რატომ არ უნდა დალიო ღვინო?

*„დრომ კი გაირბინა ჩემს ცხოვრებაში და ათეული წლებიც უკან ჩამომატოვებინა, მაგრამ როგორიც ვიყავი წინათ, ახლაც ისეთი ვარ და გარეგნული იერის ცვლილების გარდა ასაკის მომატებით ჩემში არაფერი შეცვლილა“ — ამაყად მითხრა მსახიობმა **იმედო კახიანმა**.*

— დროის შეგრძნება, მოფრთხილება უნდა?

— დაგეთანხმებით, მაგრამ 19 წლის კაცი ამაზე არ ვფიქრობდი და ალბათ ეს კანონზომიერიც იყო.

— როგორი იყავით 19 წლის, უფროსების რჩევებს იღებდით?

— რჩევებს მაშინაც და ახლაც სიამოვნებით ვისმენდი და ვისმენ. მიღებით კი იმას ვიღებ, რაც მისაღებია. 19 წლისა უკვე სტუდენტი ვიყავი. 20 წლისა კი „საბუდარელი ჭაბუკის“ წყალობით პოპულარული კაცი გავხდი.

— ხშირად დანანებით ხომ არ იყურებით წარსულისკენ და წინ გახედვის, სიბერის ხომ არ გეშინიათ?

— არა, არა, რას ამბობთ. ღვთის წყალობით ბედნიერი ვარ იმით, რაც ღმერთმა მარგუნა და ყოველ დილით და საღამოს ვლოცულობ, თუ რა თქმა უნდა, საღამოს ნასვამი არა ვარ. ჩემი მეუღლე მეუბნებოდა ამას წინათ — არ გინდა ახლა 20 წლის რომ იყოო? მე ვუთხარი, დამანებე ახლა თავი, სულ არ მინდა ისევ განვლილის გავლა და არც სიბერის არ მეშინია-მეთქი. ეს ყველაფერი ღმერთმა დაგვიკანონა ასე და ცხოვრების ყველა ეტაპი ჩვეულებრივად უნდა გავიაროთ.

— დღევანდელი გადასახედიდან, როგორ ფიქრობთ, არსებობს ცხოვრების დაუპყრობელი მწვერვალები?

— ჩემს ცხოვრებაში ასეთი მწვერვალი არ ყოფილა. დიდ მიზნებს კი არ ვისახავდი, მაგრამ რაც მომინდომებია, შემისრულებია კიდეც.

— საქმიანობის შეწყვეტა — ზოგიერთი ადამიანისთვის არსებობის შეწყვეტასაც ნიშნავს.

— მეც ასე ვფიქრობ. ამიტომაც არასდროს გავჩერებულვარ ერთ საქმეზე. ახლაც, ეს ტელესერიალი რომ არ იყოს, სხვა საქმეს მოვკიდებდი ხელს. პატარა ბიზნესი მაქვს კიდეც — მეგობრებთან ერთად გავაკეთე სტამბა. ამით ვირჩენ თავს ძირითადად. აბა, კინოსტუდიიდან ხელფასი აღარ არის და ამ ტელესერიალში ერთ სერიაში მონაწილეობისთვის ვიღებ 20 დოლარს, ეს სხვა ქვეყანაში რომ ვთქვა, არ დამიჯერებენ. მაგრამ ჩვენთან ეს ბედნიერებად ითვლება, გესმით? აი, ჩემი მეუღლეც დოცენტია, მაგრამ თავისი ხელფასი გზის ფულად არ ჰყოფნის.

— მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, მაინც ფიქრობთ, რომ ყველაფერი უკეთესობისკენ მიდის?

— დიახ, ბატონო, მჯერა, რომ ყველაფერი კარგად იქნება, ჯერ ერთი, ღმერთი სულ იფარავდა საქართველოს და ახლაც მისი წყალობის იმედი მაქვს, მერე კიდევ, ქართველი კაცის მოუღლელი მარჯვენის, ნიჭიერების იმედი მაქვს, ვიღაცამ შეიძლება თქვას, ქართველი ზარმაციაო, მაგრამ ცდებიან, ბატონო, ცდებიან. გადით ქალაქგარეთ, გაიარეთ, ნახეთ, ერთი დაუმუშავებელი მიწის ნაკვეთი თუ არის სადმე. ზემო იმერეთში თოკით დაკიდებული თოხნიან მიწას. იმედი მაქვს, რომ ხვალინდელი დღე კარგი იქნება. ახლა გეოპოლიტიკური სიტუაციაც ისე ვითარდება, რომ დიდი იმპერიების შექმნის სურვილი აღარავის უჩნდება და, ალბათ, ჩვენი გადაყლაპვის მსურველებიც აღარ იქნებიან.

— ჩაგრულთა ქომაგი თუ ხართ?

— დიდი მებრძოლი, მოჩხუბარი და ადამიანის ცოცხლად შემჭმელი არც ახალგაზრდობაში ვყოფილვარ და არც ახლა ვარ. ჩემს პოპულარობას კი ყოველთვის სხვების დასახმარებლად ვიყენებ. ადრე უფრო იოლად გამომდიოდა ეს. რაიკომის მდივნებთან და მსგავს ჩინოვნიკებთან ზოგს ბინის საკითხს ვუგვარებდი, ზოგს კიდევ რას. ახლაც ბევრი გაჭირვებულის გვერდით დავმდგარვარ სიამოვნებით.

— როცა ადამიანი კითხვას წყვეტს, აზროვნებასაც წყვეტსო — ნათქვამია. თქვენ რას კითხულობთ ბოლო ხანს?

— ო, კითხვამ მიჩვევა იცის. ამ ბოლო დროს, ვახუშტი კოტეტიშვილის ბიოგრაფიულ წიგნს, „ჩემს წუთისოფელს“ ვკითხულობ, ძალიან საინტერესოა. ხშირად ვუბრუნდები „დათა თუთაშხიას“. ძალიან მიყვარს რეზო ინანიშვილის მოთხრობების გადაკითხვა.

— ღვინის ხარისხის და ასაკის დასადგენად ხელადას ფსკერამდე ცლით?

— ღვინის მსმელი კაცი მქვია, მაგრამ ხშირად არ ვსვამ. დიდი, ხალხმრავალი სუფრა არ მიზიდავს, ხუთ-ექვს კაცთან ერთად მიყვარს ქეიფი, არც დათრობა მიყვარს. ვსვამ იმიტომ, რომ უფრო ვიხსნები და ვთამამდები, თუ ფხიზელს რაღაცის თქმა მიჭირს, ნასვამი გაბედულად ვამბობ.

— „ღვინო, დუდუკი, ქალები“... ალბათ, ცნობილი ლექსის ამ სტრიქონსაც ეთანხმებით...

— აბა რა, კაცო. იყო ცნობილი კაცი, ოთარ ქინქლაძე, მან იცოდა ხოლმე თქმა — ვინც ღვინოს სვამს, ყველა კაი კაციაო, ამას ვერ ვიტყვი, მაგრამ ღვინოს ვინც არ სვამს, ყველა ... აო. მოკლედ, ბატონმა ოთარმა თქვა, ახლა იმ სიტყვას ვერ გავიმეორებ. კაცი თუ ჯანმრთელი ხარ, რატომ არ უნდა დალიო ღვინო?

— ღვინის თემას მოვრჩეთ და გადავიდეთ ქალებზე.

— ქალებზე? სიამოვნებით, ბატონო. მაგრამ ახალგაზრდებში ძალიან არასასიამოვნო ტენდენცია მოდის. რაღაც ყურადღებას აღარ აქცევენ თითქოს ქალებს. ბიჭები თითქოს უფრო ნაზები გახდნენ. ეს ჩემთვის ტრაგედიაა. ჩვენს დროს სხვანაირი დამოკიდებულება იყო ქალების მიმართ. სხვანაირად მივმართავდით, ახლა კი ბიჭები ჟარგონით ელაპარაკებიან გოგოს. რას ჰგავს ეს. ან კიდევ, ეს რა უბედურებაა, ანგელოზივით გოგო რომ ფეხზე დგას და ბიჭი ჩაკუნტული ელაპარაკება. კაცი არ ხარ, შე კაცო?

— ქალთან ლაპარაკი ხშირად უფრო მეტ ცოდნას გვაძლევს, ვიდრე მეცნიერთან საუბარიო, უთქვამს ერთ ცნობილ კაცს.

— კი ბატონო. ქალთან სიფრთხილეა საჭირო, რომ რაიმე არ შეგეშალოს. ეს სიფრთხილე კი ცოდნასაც გაძლევს და ბევრ კარგ ჩვევასაც გიმუშავებს.

— გატყობთ, აქტიური მამაკაცის თანასწორუფლებიან ქალებიც არ უნდა გხიბლავდეთ.

— არა, აქტიური ქალი არ მომწონს. აი, რომ იტყვიან ვიღაცაზე, ვაჟკაცი ქალიაო, არ მომწონს. ქალი ნაზი უნდა იყოს. ვაჟკაცი ქალი რა უბედურებაა, კაცო. ჩემთან ოჯახშიც ვერ წარმომიდგენია, რაიმე სერიოზული საკითხი ჩემ გარეშე გადაწყვიტოს ცოლმა.

— ანუ მიგაჩნიათ, რომ ბრძნული საქციელია, როცა ცოლს უსმენთ და მის საწინააღმდეგოს აკეთებთ?

— რა თქმა უნდა. ბოლომდე უნდა მოვუსმინო. თუ შეგამჩნია, რომ არ უსმენ, გაბრაზდება. საუბრის ბოლოს კი იმას გააკეთებ, რასაც საჭიროდ ჩათვლი. 40 წელია ერთად ვცხოვრობთ და მეუღლემ შესანიშნავად იცის ჩემი ხასიათი. იუმორში ვატარებთ ყველაფერს. ცხოვრება ასე უფრო იოლია.

— ზოგს მიაჩნია, რომ ადამიანები გამდიდრებისათვის უფრო ილვწიან, ვიდრე ბედნიერებისათვის, თქვენ როგორ ფიქრობთ?

— მგონია, რომ დიდი ქონება, ფული და სიმდიდრე რაღაც ტვირთად აწევს ადამიანს. ეს არასოდეს მინატრია. ფული ყოველთვის მხოლოდ იმდენი მაქვს, რაც ჯიბეში მიდევს. შენახვა არ ვიცი. ან რად მინდა. შენახულს სხვა მოგპარავს და ამას ჯობია თავად დახარჯო. თანაც უარს არაფერზე ვეუბნები ცოლ-შვილს და შვილიშვილებს, ამიტომაც ხშირად ვარ უფულოდ, მაგრამ რომ მახსენდება, როგორ მიფანიჭე სიამოვნება ოჯახის წევრებს, თავადაც კმაყოფილებას ვგრძნობ.

ეკა ლომიძე

დემეტრე – მომკვიდრე დავითისი, „სიმხნითა უმჯობესი აღმაშენებლისა“...

ბერის ანაფორით მოსილი მეფე დავით გარეჯის ლავრამ შეიფარა...

... აღმაშენებლის მზაობა უფალთან შესახვედრად.
... დემეტრე – უფროსი უფლისწული, დიდი მამის დიდი იმედი.
... მწარი ცნობები დემეტრეს ეპოქაზე.
... უფლისწული – „ძლევაი საკვირველის“ გმირი.
... დემეტრემ უმცროს ძმას ღალატი არ აპატია.
... განძის კარიბჭე გელათში.
... კიდევ ერთი შეთქმულება.
... ბერობიდან კვლავ სამეფო ტახტზე.
... გიორგი მესამე – მამის მოსაყდრე.
... „შენ ხარ ვენახი“...



განძის კარი

დავით აღმაშენებელი უფროს უფლისწულს თავისზე აღმატებულად მიიჩნევს

იდგა მეთორმეტე საუკუნის ოციანი წლები. წინა აზიის უძლიერესი სახელმწიფოა დავით აღმაშენებლის საქართველო. წინ „დიდნი საქმენი და ღაშქრობანი“ იყო. საქართველოს ახალ აღზევებას ელოდა წარჩინებულიც და მდაბიოც, მეზობელიც და მეგობარიც. არც მაინცდამაინც ასაკოვანი იყო დიდი დავით IV. ორმოცდათორმეტი წელი — დაგროვილი სიბრძნისა და გამოცდილების გამოყენების ხანაა. მაგრამ არსთა გამრიგეს მარტოოდენ ეს ხანა გაემეტებინა „მესიის მახვილისათვის“. მოახლოებული აღსასრული პირველმა მეფემ იგრძნო: და თუ ცოტა ადრე დაიწერა ანდერძი შიომღვიმის მონასტრისადმი, ახლა შეიქმნა „გალობანი სინანულისანი“, რომელშიც დაგვიტოვა თავისი სულის ამოძახილი...

... და დაიწერა ანდერძი ტახტის მემკვიდრესთან დაკავშირებითაც. ანდერძი, რომლის წაკითხვამ კიდევ ერთხელ განაცვიფრა ქართველნი მძლეთამძლე მეფის თავმოდრეკილობითა და გულმოწყალებით. მეფის ანდერძში ასეთი სტრიქონებიც იყო: „მრავალი წყალობანი ჰყვანა ჩემ ზედა (საწუთრომან) სოფელსა ამას შინა, რამეთუ მომცა პირველად შვილი ესე ჩემი დემეტრე, სიბრძნითა და ახოვანებითა და სიმხნითა უმჯობესი ჩემსა“.

ტახტის კანონიერი მემკვიდრე უფლისწული დემეტრე იყო, — დავითის პირველი ქორწინების ნაყოფი, ანისელი მეფის ასულის პირმშო. დემეტრეს დედის დედოფლობა საქართველოს სამეფოს ძლიერებას ანაცვალეს. დიდებულთა გადაწყვეტილებით იგი სასახლიდან განაძევეს. აღმაშენებლის პირველი ცოლი (რომლის სახელიც კი არ შეუტანიათ მატიანეში) მონასტერში აღკვეცილა. დავით მეფეს კი ყივჩაღთა მთავრის, ათრაქა შარაღანისძის ასული მოჰგვარეს მეორე ცოლად, „განთქმული სიკეთითა გურანდუხტ დედოფალი“.

სულ მალე დასჭირდა დავითს დამოყვრებულ ყივჩაღთა დახმარება. ურიცხვი ჯარი სჭირდებოდა მეფეს და სიმამრსა და ცოლისძმებს მიაშურა დახმარებისთვის. მათაც გადასცეს სიძეს ყივჩაღების „სიმრავლე ფრიად დიადი“ — 40 ათასი ოჯახი. ჩამოსახლებისთანავე (200 ათასზე მეტი ყივჩაღი ქართლკახეთში განასახლა მეფემ) დიდიან-პატარიანად გაქრისტიანდნენ და მცირე ხანში გაქართველდნენ კიდეც. ასე რომ, დედოფლის „მზითევში მოყოლილ“ ყივჩაღთა წყალობით აღმაშენებელმა უძლიერესი გვარდია შექმნა...

ყივჩაღმა დედოფალმა ღირსეული მეუღლეობა გაუწია აღმაშენებელს. ოთხი შვილიც გაუჩინა მეფეს. თამარი და კატაი — შემდგომში შირვანისა და ბიზანტიის დედოფლები, უმრწემესი ქალი, ისიც თამარი და ვაჟი ვახტანგი, რომელსაც შინაურობაში ცვატას ეძახდნენ. გურანდუხტი ამავდროულად დედაწართმეულ დემეტრესაც უწევდა დედობას და ამით ცდილობდა მშობელთან განშორების სიმძიმე შეემსუბუქებინა მეფისწულისთვის.

ტახტის უპირველეს მემკვიდრედ, ცხადია, უფროსი უფლისწული დემეტრე ითვლებოდა და ისიც ფაქტია, რომ სიცოცხლის მიწურულს მეფეთ მეფემ დემეტრე ტახტის მპყრობლად აკურთხა და მისი დიდი იმედიც ჰქონდა. ამავე დროს დიდებუნებოვან აღმაშენებელს თავისი უმრწემესი ვაჟიც არ ავიწყდება, რომელიც მაშინ 12-ოდე წლისაც არ იყო და ანდერძში მის მფარველობას შეავედრებს სამეფოდ გამწესებულ უფროს ვაჟს. მამის სურვილია, რომ მეფე დემეტრემ „ძმა მისი გაზარდოს და თუ ინებოს ღმერთმან და ვარგიყოს ცვატა, შემდგომად მისსა მეფე-ჰყოს მამულსა ზედა“.

დემეტრე პირველის შესახებ მატიანემ მეტად მწირი მასალა შემოგვინახა. თხზულება, რომელიც მის მეფობას შეეხებოდა, დაკარგულია. ფრაგმენტული ცნობები აქვს შემონახული დავით აღმაშენებლისა და ლაშა გიორგის დროინდელ მემატიანეთ, სომეხ ისტორიკოს ვარდანს.

დავით მეფე დარწმუნებული იყო დემეტრეს ღირსებებში. იმედოვნებდა, რომ მისი ხელდასხმით კურთხეული შვილი იქნებოდა ქვეყნის მზრუნველი მმართველი, ქვეშევრდომთა ქომაგი, უებრო მხედარი და მებრძოლი.

უფლისწულ დემეტრეს მეფობისთვის ამზადებენ

დემეტრეს ბავშვობიდანვე ამზადებდნენ მეფობისთვის, წვრთნიდნენ, ავარჯიშებდნენ, საომარ ხერხებს, ქვეშევრდომთა სიყვარულსა და სიქველეს უნერგავდნენ.

ჭაბუკი იყო უფლისწული, როდესაც პირველი დამოუკიდებელი ლაშქრობა ჩაატარა, შირვანი დალაშქრა ქართულმა სპამ მისი უებრო მეთაურობით. 1117 წელს დაიწყო შირვანის გადმობირება, ამავე წელს გიში აიღეს. თვით დემეტრე წარუძღვა ქართული ლაშქრის იერიშს სამი წლის შემდეგ ქალაძორზე და როგორც მემატიანე იტყვის, „ქმნა ომნი საკვირველნი, რომლითა განაკვირნა მხილველნი და მსმენელნი, გამოიღო ციხე ქალაძორი და ძლევამოსილი მოვიდა წინაშე მამისა თვისისა სავსე ალაფით და ტყვეთა ურიცხვითა“. ამას მოჰყვა ყაბალას აღება და შირვანი საქართველოს ერთგული ყმადნაფიცი გახდა.

თავისი წილი დაიდო უფლისწულმა დემეტრემ „ძლევაი საკვირველშიც“ — დიდგორის ბრძოლაში, 1121 წლის 12 აგვისტოს, როდესაც ქართველთა ელვისებური შეტევის დროს მარჯვენა ფლანგს სარდლობდა და ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა.

ამიტომაც წერდა დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი: „დავითმან თვისითა ხელითა დასუა საყდართა თვისთა ძე თვისი დემეტრე, სახელითა ოდენ ცვალებული“.

ლაშა გიორგის მემატიანე კი ასე მოიხსენიებდა აწ უკვე დიდ წინაპარს: „ყოვლითურთ ემსგავსა ძირსა კეთილსა დავითიანსა, ხესა ღმრთივ დანერგულსა“.

დემეტრე თურქებს საკუთარ უძლეველობაში არწმუნებს

1125 წელს, თავისი მეფობის ბოლო წელს დავით აღმაშენებელი მეფედ აკურთხებს შვილს. მეფეთ მეფის გარდაცვალებისთანავე მოუსინჯეს დავითის გარეშე დარჩენილ საქართველოს ძალა თურქებმა... დმანისი და ხუნანი იყო ის სამანი, რომელთა ქართველთათვის ჩამოცილებაც განიზრახეს, მაგრამ დემეტრემ გამოჭედვისას დატანილ არაბულ წარწერას ქართული წარწერაც დაუმატა და გელათის მონასტერს შესწირა. ახლა უკვე გადაშლილი ეს წარწერა მარი ბროსეს წაუკითხავს და თედო ჟორდანიას ქრონიკებშია აღნუსხული, ასე ეწერა თურმე კარიბჭეზე: „ ... მეფემან დიმიტრიმ... რანი დაარღვია და ეს კარი მუნით მოიტანა წელსა მეფობისასა იგ(13)“, ე.ი. 1138 წელს. ეს კარი აღმაშენებლის საფლავის ქვის სიახლოვეს, ტაძრის კედელზეა ახლაც მიყუდებული, როგორც დემეტრეს ძლიერების სიმბოლო. თუმცა ამ კარს ხალხი დიდხანს დარუბანდის კარად მიიჩნევდა.

გელათშივე ყოფილა შეწირული „კარი დარუბანდისა“ — დავით აღმაშენებლის მიერ ჩამოტანილი ძლევამოსილი ლაშქრობის შემდეგ, მაგრამ, განძის კარისგან განსხვავებით, მას ჩვენამდე არ მოუღწევია (კარი გადაუდნიათ და ტაძრის მშენებლობისთვის მოუხმარებიათ). სამაგიეროდ, მშვენიერი ლეგენდა შემონახულა მის შესახებ:

ქართველ ვაჭარს დარუბანდში ლეკები დასცემიან თავს და გაუძარცვავთ. ლეკთა ბელადთან მისულა იგი და შეუჩივლია, სამართალს ვითხოვ, ჩემი საქონელი დამიბრუნეთო.

როცა ლეკს შეუტყვია, რომ ვაჭარი ქართველი იყო, დაცინვით უთქვამს, სამართალი შენს მეფეს სთხოვეო.

— დავითს რომ ვუთხრა, ცუდად წაგივა საქმეო.

— იმანაც დარუბანდის კარი არ ჩამომიხსნასო!..

... მეფეთ მეფემ ეს ამბავი რომ შეიტყო, იწყინა თურმე. ორი ათასი კიდობანი დაამზადებინა, თითოში თითო შეიარაღებული მეომარი ჩასვა, აქეთ-იქიდან გადაჰკიდა ცხენებს, ვაჭრულად გამოწყობილ წინამძღოლებს მოჰბივანი დაუყენა წინ, დარუბანდში გაისტუმრა და თავადაც უკან მიჰყვა. თან კაცი აფრინა ლეკთა ბელადთან, ურიცხვი საქონელი მომაქვს გასაყიდადო.

გაუხსნეს დარუბანდის კარი.

კიდობნებიდან ორი ათასი რჩეული მეომარი ამოუშვეს, რომელთაც არ გასჭირვებიათ ელვის უსწრაფესად აეღოთ მთელი ქალაქი. დავითმა პირველ რიგში, დარუბანდის რკინის კარი ჩამოახსნევინა თურმე, ლეკებს აჰკიდა და გელათში ჩამოატანინა...

რაც შეეხება გელათს, იგი სწორედ დემეტრემ განასრულა 1130 წელს მამის ანდერძისამებრ, რომელშიც აღმაშენებელი წერდა: „ხოლო დარჩა სამარხავი ჩემი და საძვალე შვილთა ჩემთა უსრულად და წამყუა მისთვისცა ტკივილი სამარადისო. აქ შვილმან ჩემმან მეფემან დემეტრემ სრულ ჰყოს ყოვლითურთ საუკუნოდ (სალოცავად) ჩემთვის და მისთვის და მომავალთა ჩემთათვის“.

ტახტის მოდავე შვილი

ქვეყნის საშინაო ცხოვრებაში კვლავ შფოთმა დაისადგურა. კიდევ ერთი შეთქმულება, კვლავ მეფობისა და ტახტისთვის... ეს იყო 1150 წელს. ამჯერად უფროსი შვილი დავითი განუდგა მეფეს. რა იყო ამის მიზეზი? იქნებ ის, რომ ტახტის მემკვიდრეს მოთმინება აღარ ეყო, ვერ დაელოდა თავის რიგს, სულსწრაფობა გამოიჩინა? ან იქნებ დემეტრეს უფროს ვაჟს, დავითს ეჭვის ჭია ღრღნიდა, რადგანაც როგორც შემდგომი დროის მეისტორიე წერს, დემეტრე იყო „მარჩეველი ძისა უმცროსისა“... იქნებ ასეც იყო, რადგანაც ეს უმცროსი ძე გახლდათ უფლისწული გიორგი, — შემდგომში სახელიანი მეფე გიორგი (თამარ მეფის მამა). როგორც ჩანს, თავისი პირადი ღირსებების გამო გამორჩეულად უყვარდა დემეტრეს უმრწემესი ვაჟი.

შეთქმულება ამჯერადაც დამარცხდა. კიდევ ერთხელ გადარჩა საქართველოს სამეფო ტახტი. მართალია, შვილისთვის უპატიებია უკადრისი ღალატი, სამაგიეროდ, დანარჩენი შეთქმულები სამაგალითოდ დაუსჯია.

1150 წლით არ დამთავრებულა ტახტის დასაკავებლად მორიგი შეთქმულება. როგორც ჩანს, მყარად, წლების განმავლობაში სამეფო კარზე არსებობდა ოპოზიციური დასი, რომელიც მეფის ცენტრალიზებული ძალაუფლების წინააღმდეგ იყო მიმართული. ეს გუნდი იყო, რომელმაც მცირეწლოვანი ცვატა წააქეზა, ეს გუნდი უნდა ყოფილიყო უფლისწულ დავითის წამქეზებელიც. საბოლოოდ, ყველაფერი ეს სამეფო ტახტისთვის, ერთი შეხედვით მშვიდობიანი გადატრიალებით დასრულებულა...

დემეტრე ბერის ანაფორაში

1155 წელს უფლისწულ დავითის მომხრენი კვლავ გააქტიურდნენ. როგორ წარიმართა მორიგი შეთქმულება, უცნობია. ერთი კია — ამავე წელს დემეტრემ დატოვა ტახტი, განეშორა საერო ცხოვრებას და დამიანეს სახელით ბერად შედგა დავით გარეჯის მონასტერში — მეფის პორფირი (სამოსელი) ბერის ანაფორაზე გაცვალა. ცხადია, ეს იყო იძულებითი აქტი, რაც შემდგომმა მოვლენებმაც დაადასტურა.

დღენაკლული აღმოჩნდა ტახტზე ასული დავითის მეფობა. მან მხოლოდ ექვსი თვე იმეფა და მოულოდნელად გარდაიცვალა. არავინ იცის, ბუნებრივი სიკვდილით დაამთავრა დავითმა სიცოცხლე თუ მიწიერი ძალა დაეხმარა. ფაქტი ის არის, რომ დემეტრემ მონასტერი დატოვა და ხელში კვლავ სამეფო სკიპტრა დაიკავა. თანაც შეისრულა გულის ნადები, რჩეული შვილი თანამესაყდრედ დაისვა გიორგი III-ის სახელით: „მამამან ძითურთ ძე ტკბილი, შემგუარი მამისა, აღამაღლა თავისა თანა და ძისა სწორად მოსაყდრედ გამოაჩინა“...

ამის შემდეგ დიდხანს აღარ უცოცხლია დემეტრე მეფეს... მიიცვალა იგი სამოციოდე წლის ასაკში, 1156 წელს ბელტის ციხეში — მეფე „სვიანი და გამარჯვებული, სიმაღლესა და სიმდიდრესა შინა მდაბალი, გლახაკთა მოწყალე, ობოლთა და ქვრივთა განმკითხველი, მშენებელი საყდართა და ეკლესიათა“... ღირსეულად ატარა „დროშა სვიანად ხმარებული, გორგასლიანი და დავითიანი“.

... დაკრძალეს მის მიერვე გასრულებულ სავანეში — გელათის მონასტერში.

ოცდაათი წელი იმეფა დემეტრემ, მემკვიდრემ დავითისამ და სრულად შეუნარჩუნა ქვეყანას სახელი და ავტორიტეტი. არაფერი ვიცით, თუ ვინ იყო დემეტრეს მეუღლე, საქართველოს იმდროინდელი დედოფალი. იოანე ჭიმჭიმელს აღუწერია შესხმის სახით დემეტრე მეფის ქველობა და მხნეობა, — როგორც გვეუბნება თამარის ისტორიკოსი: „იოანე ფილოსოფოსისა ჭიმჭიმელისა შესხმა-მოთხრობა აღმოაჩენს დემეტრესა მხნესა ხდომასა შინა და მძლესა ბრძოლასა შინა“. სამწუხაროდ, ჩვენამდე არც ამ ნაწარმოებს მოუღწევია.

ავტორი იამბიკონისა

ასე რომ, დემეტრე პირველი — დიდებული მეფის მემკვიდრე, თვითონაც ძლიერი ხელმწიფე იყო. გარდა ამისა, იყო „სიბრძნითა მოყვარე... ბრძენი, რიტორი და პიიტიკოსი“. დემეტრე მეფე ცნობილია, როგორც ავტორი იამბიკოებისა, რომელიც მიძღვნილია შიომღვიმისა და ღვთისმშობლისადმი. საყოველთაოდ ცნობილია მისი იამბიკო ღვთისმშობლისადმი — „შენ ხარ ვენახი“, რომლის მიხედვით ღვთისმშობელი, მეუფის დედა არის აყვავებული ვენახი, სიმბოლო და საწყისი სიცოცხლისა:

შენ ხარ ვენახი, ახლად აღყვავებული,
მორჩი კეთილი, ედემში დანერგული,
ალვა სულნელნი, სამოთხით გამოსრული,
ღმერთმან შეგამკო, ვერავინ გჯობს ქებული,
და თავით თვისით მზე ხარ გაბრწყინვებული.

... ეს არის გალობა — აყვანილი მიწიდან პირდაპირ ზეცამდე. არც გასაკვირია, ამქვეყნიურ გაუტანლობას გარიდებული ბერად აღკვეცილი მეფე გარეჯის ლავრაში მარიამის ხატის წინ მუხლმოყრილი ცდილობდა შვება ეპოვა. მიწიერ საცდურს თავგამორიდებული სიცოცხლეს ხედავს ღვთისმშობელში და საგალობლად ქცეული მისი იამბიკოც ამიტომაც გახალხურდა და გამოსცდა საუკუნეებს.

P.S. ამრიგად,ბედნიერი არ ყოფილა აღმაშენებლის მემკვიდრე, ჯერ იყო და დედა წაჰგვარეს... დიდი მამის მიერ წყალობაყოფილი და მეფედ კურთხეული იძულებული გახდა მოღალატე ძმა დაესაჯა, მერე უფროსმა შვილმა გაწირა – იძულებული გახადა დავით გარეჯს შეხიზნოდა... შემდგომ მოღალატე შვილის ბურუსით მოცული სიკვდილი – ისევ ტახტი და ისევ ხელმწიფის მძიმე ტვირთი... ბოლო იმედი ისღა იყო, რომ თანამოსაყდრედ ღირსეული შვილი დაისვა...

იქნებ ეს ბოლო იმედი ჩანს მის იამბიკონშიც, სადაც ალვას და ვაზს შედარებული ღვთისმშობლისადმი სიყვარული სიცოცხლის სიყვარულიც არის ამავდროულად.

ისტორიული წყაროებისა და ქართველ მეცნიერთა ნაშრომების მიხედვით დემეტრე პირველის ეპოქა მიმოიხილა
ნოდარ შოშიტაშვილმა

– დები მეცოდება, თორემ ბიჭი ნამდვილი „ავარა“ ეზრდებათ...

ატროპოლიტენის „ვაგზლის მოედნის“ სადგურზე ერთბაშად დაიცალა ვაგონები. მერე ასევე უცებ აივსო. „ფრთხილად, კარები იხურება“, — გაისმა თუ არა, მაშინვე დასჭექა ბავშვის ხმამ: „დეიდებო, ბიძიებო, ობოლი ვარ, დამეხმარეთ“. პატარა ბიჭმა, რომელსაც მოზრდილი გოგონა ახლდა, ხელგამოშვერილმა დაიწყო ჩამოვლა. ზოგიერთმა მისცა ხურდა, უმეტესობამ — არა. ზოგი ღიმილით ეკითხებოდა რაღაცას. ჩემს მეზობლად ორი ახალგაზრდა იდგა. როგორც კი პატარამ მათ შეხედა, გაქცევა სცადა, მაგრამ ბიჭებმა ხელი ჩაავლეს. გოგონაც მიხვდა, რომ ძიძგილაობას აზრი არ ჰქონდა და მორჩილად დადგა მათ წინაშე.

— სად არის შენი და? — ჰკითხა ერთერთმა.

— არ ვიცი! — მოკლედ მოუჭრა ბიჭმა.

— ეს კერკეტი კაკალია, გოგო გვეტყვის, ხომ ასეა? — მიუბრუნდნენ გოგონას.

— არც მე ვიცი! — აცრემლდა ბავშვი.

— ხომ იცით, რომ მაინც ვიპოვით, იმასაც ვცემთ და თქვენც ზედ მიგაყოლებთ! — ხმა გაიმკაცრა ორივემ.

ამასობაში „მარჯვანიშვილის“ სადგურზე გავედით. პატარამ თავი რომ ვერაფრით გაითავისუფლა, კბილებით ჩააფრინდა დამჭერს. „უხ, შენი“, — დაიძახა მან და ხელი გაუშვა. კარების დაკეტვამდე ბავშვებმა დრო იხელთეს და გარეთ გაცვივდნენ. ბიჭებიც გაჰყვნენ. უცებ წამოვდექი და გაქცეულებს დავედევნე. დიდებს კვლავ დაეჭირათ პატარები, გოგონა ძალიან შეშინებული ჩანდა, ბიჭი კვლავ ეურჩებოდა, ერთი-ორჯერ მუშტიც კი სთხლიშა მკერდში. მივუახლოვდი თუ არა, მაშინვე ახლობლის პოზიციიდან წყრომით ვიკითხე, რა ხდება აქ-მეთქი.

— პატარა საქმე გვაქვს ამათთან, რა! — აშკარად არ ესიამოვნათ არამკითხე მოამბის გამოჩენა.

— მე ამ ბავშვების ნათესავი ვარ. ახლავე თავი დაანებეთ! წამოდით, ბავშვებო, ჩემთან! — არც დაველოდე მათ რეაქციას, მოვკიდე ხელი და სხვა მხარეს წავიყვანე.

— მაგარი ნათესავები გყოლიათ! — მომესმა უკნიდან.

ბავშვები მორჩილად მომყვებოდნენ. ბაქანზე გავედით და ჩამოვსხედით.

— რას გერჩოდნენ ის ბიჭები?

გოგოს ტირილი წასკდა. ბიჭი ჯიუტად დუმდა. კითხვა რომ გავუმეორე, გოგონამ მოკლედ სცადა თავისი ამბის მოყოლა:

— გულრიფშიდან ვართ, ეს ჩემი ძმაა. გიგა ჰქვია და თბილისში დაიბადა. კიდევ უფროსი და მყავს, მზია. ახლა 17 წლისაა. მე პატარა ვიყავი, როცა იქიდან წამოვედით. მე, დედამ და მამამ სვანეთის გზა გამოვიარეთ. ცოტა ხანს ზუგდიდში ვცხოვრობდით, მერე მამა დაჭრეს ჩხუბის გამო და... წამოვედით თბილისში. ჯერ ვაგონში ვათენებდით. ნაცნობი დაგვეხმარა და ერთ საერთო საცხოვრებელს შევაფარეთ თავი. ახლაც იქ ვართ. მამა მალე გარდაგვეცვალა, გიგა მაშინ 6 თვის იყო. დედაჩემი გათხოვდა. აქაურს გაჰყვა ცოლად. სომეხი კაცია... ჩვენ არ ვუყვარვართ. მზიამ დედას უთხრა, აქ გვირჩევნია ყოფნაო და დედაც დაეთანხმა. ახლა დედა იმ ქმართან არის და პატარა ძმას უვლის. მე, გიგა და მზია კი ერთად ვართ.

— არავინ გეხმარებათ?

— დედა ხანდახან შემოგვითვლის, მოდითო და ჩვენც მივდივართ, ოღონდ მარტო მე და გიგა. მზია გაბრაზებულია დედაზე, ასე ამბობს, რატომ გათხოვდა ასე მალეო. ვიცით, როცა მისი ქმარი არ არის, მაშინ გვიბარებს. გვაჭმევს, 5-5 ლარს მოგვცემს და გამოგვიშვებს...

ბიჭმა დას შეხედა, მერე თავი ჩაღუნა და ჩაილაპარაკა: აღარ მინდა ასეთი ფული, აღარ გამოვართმევ იმ 5 ლარს.

— იმ ბიჭებს რაღა უნდოდათ თქვენგან? ისინიც აფხაზეთიდან არიან?

— არა, ისინი თბილისში გავიცანით... მზია მოსწონთ და...

— მოსწონთ და ცემით ემუქრებიან?

გოგომ და ბიჭმა ერთმანეთს შეხედეს, ყოყმანობდნენ, ეთქვათ თუ არა სათქმელი უცნობისათვის, რომელმაც მოძალადეებისგან დაიფარა...

— თუ არ გინდათ, ნუ მეტყვით... თქვენს ამბებს იმიტომ ვკითხულობ, რომ მე ბევრ კარგ ადამიანს ვიცნობ, მათი შემწეობით, იქნებ შევძლო დაგეხმაროთ... არ გინდათ, ბავშვთა სახლში იცხოვროთ?

გიგამ თავი გაიქნია. ლიამ გაჩუმება არჩია. ცოტა ხნის მერე კი განაგრძო:

— იმ ბიჭებმა მზია წაიყვანეს, მოატყუეს, ვითომ ერთ-ერთს უყვარდა და ცოლად უნდოდა... მერე ძალა იხმარეს, სცემეს... მზია ღამით გამოიპარა იქიდან, ერთ-ერთს ოქროს დიდი ძეწკვი ეკეთა, ჩაძინებულს ჩუმად მოხსნა და თან წამოიღო... აი, იმ ძეწკვისთვის უნდათ მზიას ნახვა. მზია იმალება, ის ძეწკვი მეორე დღესვე გაყიდა და კარგი საჭმელი გაგვიკეთა...

— დედამ იცის ეს ამბავი?

— არა! მზიამ გაგვაფრთხილა, დედას არ უთხრათ, მაგისი არაფერი მინდაო...

— გულრიფშიდან რომ წამოხვედით, ამ დროს სად იყო მზია?

— დეიდამ წამოიყვანა თბილისში. ის სოხუმში ცხოვრობდა. იმ დროს მზია მასთან იყო.

— დეიდა აღარ განახულობთ?

— დეიდა აღარ გვყავს!

— სხვა ახლობელი ან ნათესავი?

— არავის ვჭირდებით...

— არ გეშინიათ ასე რომ დადიხართ და მათხოვრობთ?

ლია გაჩუმდა. არაფერი მიპასუხა, მაგრამ სახეზე ეტყობოდა, რომ ასეთ ცხოვრებას რა ხანია, შეეჩვივნენ.

— იქნებ, თქვენ მაინც მიხვიდეთ დედასთან და მასთან იცხოვროთ?

— არ მინდა! — გაჯიუტდა გიგა.

— არც შენ? — ვეკითხები ლიას, რადგან ვატყობ, რომ მას განსაკუთრებულად უჭირს სადგურებს შორის წანწალი და ვაგონ-ვაგონ მათხოვრობა.

— მზია თუ ნებას მომცემს, წავალ და ამასაც წავიყვან, მაგრამ... მეშინია, უარესი რამ არ ჩაიდინოს... ეს ბიჭები რომ დახვდნენ სადმე და ცემით მოკლან, მერე რა გვეშველება? მზია კარგი გოგოა, ჩვენზე ზრუნავს... ჩვენ წავალთ! — უხერხულად გრძნობს თავს ლია და მოღუშული, ნაადრევად დაკაცებული ძმისკენ აპარებს თვალს.

— წადით! — ვეუბნები და ორლარიანთან ერთად ჩემი ტელეფონის ნომერს ვაწვდი, — თუ დაგჭირდეთ, დამირეკეთ.

ბავშვები ესკალატორისკენ გარბიან.

გაზეთების გამყიდველი ქალი მიხმობს. მივედი.

— მართლა იცნობთ ამ ბავშვებს? — მეკითხება იგი.

— არა! უბრალოდ, გამოველქომაგე. შემეცოდნენ იმ ბიჭების ხელში... თან დამაინტერესა, რამ აიძულა, რომ მათხოვრობენ, ჟურნალისტი ვარ და... — რატომღაც „ანგარიში“ ჩავაბარე.

ქალმა დანანებით გადაიქნია თავი, მერე კი მითხრა:

— ამისთანა ანგელოზებს რომ დედა უღალატებს, ის დედაა?! მე კარგად ვიცნობ მაგათ ოჯახს. იცით, რა კარგი მამა ჰყავდათ?! დაბეჩავდა საწყალი, მოტყდა და ორ წელიწადში 60 წლის კაცს დაემსგავსა. ცოლი უწესო გზას რომ დაადგა, ვერ აიტანა, ერთხელ სხვასთან შეუსწრო და მოკვლა უნდოდა. იმ კაცმა ისე სცემა, რომ ძლივს გადარჩა. გიგა იმ საყვარლისგან ეყოლა... მერე იმდენი გამოიცვალა, რომ... მაგათი მამა თავისი დღით არ მომკვდარა. რკინგზის სადგურში ვიღაც მიეპარა მთვრალს და ბოთლი ჩაარტყა თავში. ამბობენ, იმ საყვარელმა მოკლაო. მერე ერთი სომხის კაცი შეუწინდა ამათ დედას... მართლა ღამაზი ქალია. ამანაც იფიქრა, ვაგონ-ვაგონ თრევას გათხოვება სჯობსო, ესენი იმ საერთო საცხოვრებელში მიყარა, თვითონ კი ცხოვრების პირობები გაიუმჯობესა. აბა, ეგაა ცხოვრება? მზია და ეს გოგო მეცოდება, ბიჭი კი ავარა ეზრდებათ! დაწერეთ მათ შესახებ, ეგებ ვინმე გულისხმიერი გამოჩნდეს და მიხედოს ღვთის ანაბარა მიყრილებს...

თავს ვუქნევ და ვპირდები, დავწერ-მეთქი, მაგრამ რა? წავიკითხავთ, ცრემლიც მოგვადგება თვალზე და 2 ლარსაც კვლავ გავიმეტებთ, მაგრამ ეს რა გამოსავალია? არის კი საერთოდ გამოსავალი? მოგვწერეთ... ვიმსჯელოთ...

მარინა ბაბუნაშვილი

დიახალგაზრდებისთვის

— დაბადების დღის შემდეგ მორჩენილი ტორტი რომ არ გამოგიშრეთ, მასთან ერთად ყუთში ვაშლი ჩადეთ. რამდენიმე დღე ახალივით იქნება.

— თუ გინდათ ჩაის გემო გამოაკეთოთ, რკინის ყუთში, რომელშიც მას ინახავთ, ლიმონის ან ფორთოხლის გახმარი კანი ჩადეთ.

— ახალ თევზს კარგად ინახავს ჭინჭრის ფოთოლი.

— თუ ფქვილიან პარკში ან ქილაში დაფნის ფოთლებს ჩააწყობთ, ისინი ზედმეტ ტენს შეიწოვენ და ფქვილი არ დანესტიანდება.

ვესპი როგორი მოხაუბრე ხართ?

გარს იმდენი მოსაწყენი ადამიანი გიტრიალებთ, რას არ მისცემდით მათ თავიდან მოსაშორებლად. სამაგიეროდ, დარწმუნებული ხართ, რომ თქვენ ყველას ხიბლავთ. მართლა ასეა? იქნებ თქვენც „მოსაწყენთა“ კოჰორტას ეკუთვნით?

1. უფრო მოსმენა გიყვართ თუ ლაპარაკი?

ა. ვის ვუსმინო, ქერქეტებს? — 1

ბ. კითხვებს მოთმინებით ვპასუხობ. ვცდილობ, ლაპარაკით თავი არავის მოვაბეზრო — 2

2. მსოფლიო მნიშვნელობის იდეა დაგებადათ, მაგრამ რატომღაც ყურს არავინ გიგდებთ. თქვენ:

ა. კიდევ ერთხელ რწმუნდებით, რომ ირგვლივ უნიჭოები არიან — 1

ბ. თავს დაანებებთ იდეის პროპაგანდას — ალბათ ეს მართლაც სისულელეაო — 2

3. თანამშრომელი ცდილობს, თავისი აზრი თავს მოგახვიოთ. თქვენ:

ა. უშფოთველად თვლემთ მის ქაქანში — 2

ბ. გრძნობთ, სადაცაა აფეთქდებით და საბაბს ეძებთ, რათა სიტყვა შეაწყვეტინოთ — 1

4. მეტროს ვაგონში გალეშილი ვაჟბატონი შემოდის. თქვენ:

ა. არ აქცევთ ყურადღებას, ვინ არ დამთვრალა — 2

ბ. უკმაყოფილებას არ მალავთ — 1

5. უცნობთან ხანგრძლივი საუბარი გელით, თქვენ:

ა. წინასწარ შეარჩევთ სასაუბრო თემას — 1

ბ. ღელავთ. იმედი გაქვთ, როგორმე თავიდან აიცდენთ საუბარს — 2

6. ნაცნობი უკბილოდ, ბოროტადაც კი, გაგეხუმრათ. თქვენ:

ა. ეცდებით, გამოიყვანოთ უხერხული მდგომარეობიდან — 2

ბ. მაშინვე სამაგიეროს გადაუხდით — 1

7. ბევრი „დაუმსახურებლად აღზევდა“. ასეა ხომ?

ა. რა თქმა უნდა, დაწყებული ჩემი უფროსით და დამთავრებული მთავრობით — 1

ბ. რას ბრძანებთ, ყველას ის აქვს, რასაც იმსახურებს — 2

8. მეგობრებთან ახალი ნაცნობი მიგყავთ. იგი მაშინვე ექცევა ყურადღების ცენტრში. თქვენ:

ა. ამაყობთ, რომ ყველას ასიამოვნეთ — 2

ბ. ბრაზობთ და ცდილობთ, ყურადღება მიიქციოთ — 1.

8-10 ქულა: სჯობდა, სადმე, უკაცრიელ კუნძულზე გეცხოვრათ. როგორ გიტანენ ახლობლები?
11-13 ქულა: შესანიშნავი მოსაუბრე და კარგი მეგობარი ხართ;
14-16 ქულა: თქვენთან ურთიერთობას ყველა ესწრაფვის.

შეკითხვა ქალებს... გვპასუხობენ მაპატიებები

ჩვენმა შეკითხვამ („კვირის პალიტრა“ №21), „მოგწონთ ქალი რომ ხართ?“, ბევრი მკითხველი დააინტერესა. მანდილოსნებმა მეტად საგულისხმო და გასაზიარებელი პასუხები მოგვწერეს, მაგრამ ამჯერად გთავაზობთ არა ქალბატონების, არამედ მამაკაცთა მოსაზრებას:

ქალებს ქალობა რატომ უხარიათ, ეგ არ ვიცით, მაგრამ ვიცით, რატომ გვიხარია, რომ კაცნი ვართ...

— ჩვენ არ გვემუქრება ტიტული „ნამუსახდილი“ (სხვანაირადაც ითქმება).
— არ გვიწევს თვეში თითქმის ოთხი-ხუთი დღე ვიყოთ საშინელ გუნებაზე;
— არ წაგვივა კოლგოტებზე თვალი და არ აგვეშლება ნერვები;
— არავინ გვიჭვრიტინებს, მოკლე გვაცვია, თუ გრძელი (რაც გინდა იყოს);
— არ ვგიჟდებით სერიალებზე;
— ჩვენი შთამომავლობა ჩვენს გვარს აგრძელებს.

თ. და ჯ. ჯაკობიები (ძმები ვართ)



ჭარადი, ჭარადი, ჭარადი რჩევები

სათვალე. ლურჯი მინები ამცირებს ყელ-კისრის დაძაბულობას, აწესრიგებს არტერიულ წნევას;

მწვანე — თვალის შიდაწნევას აწესრიგებს;

ყავისფერი — დაღლილობას ხსნის;

ნარინჯისფერი და ყვითელი — სჯობს არ იხმაროთ — ორივე ოპტიკურ სტრესს იწვევს და გაღიზიანებას უფრო ამწვავებს.

ტანსაცმელი. თუ ყელი გტკივათ, წითელი შარფი მოიხვიეთ; თავის ტკივილს მწვანე თავსაბურავი დაგიამებთ; სიგარეტს იოლად გადაეჩვევით, თუ ყველაზე მძიმე პერიოდში მუქ-ლურჯ ჯემპრეს ატარებთ.

სამზარეულო. მწვანე ამშვიდებს, ყვითელი კი ჰარმონიის მიღწევაში დაგეხმარებათ. ყვითელ-მწვანე ტონით გაფორმებულ სამზარეულოში არასოდეს იჩხუბებთ. ნარინჯისფერ-ყვითელი ჭურჭელი მადას აღვიძებს. იისფერი ტონი პირიქით — მადას აქვეითებს და ნებისყოფას ამტკიცებს.

თბილისის საინჟინრო-პედაგოგიური ინსტიტუტი „ათინათი“

აცხადებს მიღებას შემდეგ სპეციალობებზე:

◆ ეკონომიკა; ◆ ქართული ენა და ლიტერატურა; ◆ ჟურნალისტიკა; ◆ საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობა; ◆ საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი; ◆ ფინანსები და კრედიტები; ◆ საბანკო საქმე; ◆ უცხო ენები; ◆ დაწყებითი განათლების პედაგოგიკა; ◆ სკოლამდელი აღზრდა.

წარმოებს სტუდენტების სტაჟირება საზღვარგარეთ. ვაჟები თავისუფლდებიან სამხედრო სამსახურიდან. ლტოლვილები და მრავალშვილიანი ოჯახის წევრები თავისუფლდებიან გადასახადისგან 50%-ით

საბუთები მიიღება ყოველდღე, გარდა კვირისა, 10-17 სთ-მდე. თბილისი, აღმაშენებლის გამზ. №178, მე-18 საშ. სკოლა („დინამოს“ სტადიონთან). ტელ: 35-27-00; 38-00-83; 52-67-67; 62-05-07

თუ ურთიერთობებში „კარდიოგრამა“ არ არის...

მშვენიერი ქალბატონი, რომელიც „საკუთარი მხატვრისა“ და მთლიანად ხელოვნების გარემოცვაში ცხოვრობს, უმშვენიერეს გრძნობაზე, სიყვარულზე გვესაუბრა. „ოღონდ პირადი ცხოვრების ინტიმურ მხარეებზე ნუ მკითხავთ, ნუ მკითხავთ იმაზე, რაც მხოლოდ ჩემია და საქვეყნოდ გამომზეურება არ ეგების, ისე სიყვარულზე რამდენიც გინდათ ვისაუბროთ“, — მთხოვა ჩემმა რესპონდენტმა.

— ყოფითობა თითქოს გვავიწყებს ცისკენ ცქერას, ვარსკვლავების თვალთვალს და რომანტიკულობას აკლებს ჩვენს ცხოვრებას, არადა, სიყვარულია, ცაშიც რომ აგახედებს და ღრუბლებშიც დაგაწყებინებს ფრენას.

— ამბობენ, რომ სიყვარულში გონებას კარგავენ, ქორწინებაში კი ამ დანაკარგს ამჩნევენო.

— სხვის ქორწინებებში როგორ არის არ ვიცი, მაგრამ, ჩემი აზრით, ის, რაც ქორწინების შემდეგ შემოდის ცხოვრებაში, შეყვარებულობის ჟამს მისი არსებობა წარმოუდგენელია. დანაკარგს ამჩნევ კი არა, მგონი, რაც შეყვარებულობის ჟამს გვაკლია, ქორწინებით გვემატება და ვივსებით. სრულად ხაფერდოვანი ურთიერთობები კი არც შეყვარებულებს აქვთ და არც ცოლ-ქმარს.

— ამბობენ, ქორწინების შემდეგ კრიზისებს ბოლო ელება. მამაკაცი რომ თავის ქალღმერთს ახლოდან შეხედავს, კერპი ისევ ქალად იქცევაო. ეთანხმებით ამ აზრს?

— არა. თუმცა, მამაკაცს გააჩნია. მე არ ვიცი, ვრჩები თუ არა ქალღმერთად (იცინის), მაგრამ შესანიშნავ მამაკაცს შევხვდი ცხოვრებაში და რადგან მხატვრის მეუღლე ვარ, ვიტყვი, რომ ჩვენს სიყვარულში ყოველდღე ახალი ფერები ჩნდება.

— მის შემოქმედებაში მარადიულ მუზად გრძნობთ თავს?

— ეს ალბათ მან უნდა თქვას, მე კი იმას გეტყვით, რომ თემოს ნახატებში ჩემი სახე მაშინ ჩნდება, ან ჩემს პორტრეტებს განსაკუთრებით მაშინ ქმნის, როცა სადღაც მივდივარ, გასტროლებზე ან დასასვენებლად, ალბათ ეს არის მონატრება.

— გრძნობთ თუ არა, რომ სიყვარულში წლები გავიდა?

— თემურს საოცრად უყვარდა დევი ბრუბეკი, პიტერსონი და ა.შ. რასაც დღეს უკვე კლასიკური ჯაზი ჰქვია. ჰქონდა მაშინ კომპოზიცია „ტეიკ ფაიფ“ — „აიღე ხუთჯერ“, რომელიც შეიძლება ითქვას, ჩვენ ცხოვრებას „ლაით თემად“ გაჰყვა და მიუხედავად ჩვენი 29 წლის ერთობლივი ცხოვრებისა, ამ მუსიკის მოსმენისას, ვგრძნობთ, რომ ჩვენს ურთიერთობაში არაფერი შეცვლილა.

— ნიშნავს თუ არა ორი ხელოვანი ერთად ოჯახში არაპრაქტიკულ პიროვნებათა დუეტს?

— ნამდვილად, ორივე ასეთები ვართ, ყოფით პრობლემას მხოლოდ მაშინ ვამჩნევთ, როცა რაღაც ფუჭდება და ძველდება. ჩვენს სახლს ვეძახით — „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“. აი ნახეთ, სკამი თუ სხვა ავეჯი სულ მოირყა და საქმე აქამდე მხოლოდ იმიტომ მიდის, რომ მეც და თემოც უფრო მეტ ყურადღებას ადამიანურ ურთიერთობას ვუთმობთ, ვიდრე ნივთების შეძენას.

— არის თუ არა სიყვარულის ერთ საათში მთელი ცხოვრება?

— რა თქმა უნდა. ჩემი მეხსიერებიდან არასოდეს ამოვა ბედნიერებით გაბრწყინებული სახე და თვალები. როცა გრძნობ, რომ ყბები დაგეღალა სიხარულით მოგვრილი ღიმილის გამო.

— ყველა შეყვარებული ფიცს დებს, შეასრულოს შესაძლებელზე მეტი, მერე კი იმასაც არ აკეთებს, რაც შეუძლია. მართალია?

— ამ შეკითხვის დასაწყისი მომწონს, გაგრძელება კი არა. საერთოდ ადამიანები იმიტომ ვართ ადამიანები, რომ რაღაც შევასრულოთ და რაღაც არა. ძალიან კარგად იცოდა ევამ, ვაშლი რომ არ უნდა მოეწყვიტა, მაგრამ დაუჯერა ეშმაკს და საძაგელმა ადამმაც არაფერი იღონა, განზრახვაზე ევას ხელი რომ აეღო, უფრო მეტიც, ევას ხელით მოწყვეტილი ვაშლი შეჭამა, იქიდან მოყოლებული რაღაცას ვასრულებთ და რაღაცას ვერა.

— სასიყვარულო ურთიერთობაში პირველი გულგრილობა დიდი განსაცდელია?

— ნამდვილად ასეა და საერთოდ სიყვარული დიდი განსაცდელია. ჩემთვის სიყვარული სევდაა. სევდა, ჩემთვის სასიამოვნოს უფრო მოიცავს, ვიდრე უსიამოვნოს. სევდიანი ადამიანი ჩემთვის ძალიან საინტერესოა. სევდა ჩემთვის ლირიკა და მინორია და ძალიან მომწონს რომანტიკული სევდა.

— გიყვარდეს — ნიშნავს ერთი მიმართულებით მზერას თუ ერთმანეთის ყურებას?

— რა თქმა უნდა, ერთი მიმართულებით მზერას. მიყვარს ურთიერთობა, როცა არ გჭირდება მრავალსიტყვაობა და პარტნიორს შეუძლია გააგრძელოს შენი აზრი. ერთი მიმართულებით მზერა ორის „ერთსულ და ერთხორც“ ცხოვრებაა.

— სიყვარულს ყველა ასაკში თავისებური განცდა ახლავს?

— როდესაც ახალგაზრდას გიყვარს, გიყვარს შენთვის, შენი ტკივილი, შენი სიხარული გაღელვებს. ასაკის მატებასთან კი პატარა ეგოისტი დიდ მზრუნველად გარდაიქმნები და უკვე მისი სიხარული და ტკივილი გაღელვებს. სხვის ბედნიერებაზე ზრუნვა მოწიფულ ასაკში საკუთარ ბედნიერებას განიჭებს.

— სიყვარულს თვალები აქვს?

— ახალგაზრდობაში კი, მაშინ სიყვარული ფართოდ გახელილი თვალებია, დაინახავ, მოგეწონება და ასე გიყვარს. მერე კი სიყვარული გულიდან მოდის და თვალები აღარ აქვს.

— სტენდალი ამბობდა, „ქორწინება ბოროტებაა და თანაც აუცილებელი ბოროტებაო“. ეთანხმებით?

— ალბათ მას თავისი ტკივილებიცა და ამის თქმის უფლებაც ჰქონდა, მაგრამ ვფიქრობ, რომ ქალისა და მამაკაცის შეხვედრა, რაც უნდა ცუდად დამთავრდეს, გამართლებულია, თუ იგი წარმოშობს მესამე ადამიანს. შეიძლება ეს აუცილებელი შემთხვევითობაა.

დავითი და ვერსაჩე რომ არ შეხვედროდნენ ერთმანეთს, ხომ არ გაჩნდებოდა სოლომონ ბრძენი და კიდევ ვინ მოთვლის, რამდენი სხვა. ჩემი და თემოს ურთიერთობაც ხომ ჩვენი შვილებით და შვილიშვილებით არის გამართლებული.

— ალბათ, პირველი სიყვარულივით მშვენიერ გრძნობას ადამიანი ვერასოდეს გამოცდის...

— ვერ ვიტყოდი. ჩემი პირველი სიყვარული სწორედ თვალების სიყვარული იყო. შეხედვა, გაწითლება... ეს ვერ შეედრება იმას, რაც შემდეგ იყო და არის.

— კაცები ამბობენ, ქალებს ჩვენი ნაკლოვანებების გამო ვუყვარვართო. მართალია?

— დიახ. ეს ნაკლი რომ არ იყოს, ცხოვრებაც სწორხაზოვანი იქნება და მას ინტერესი არ ექნებოდა. თუ ურთიერთობის „კარდიოგრამა“ არ იარსებებს, ქალის და კაცის ერთად ცხოვრებას აზრი არ ექნება.

— ქალბატონო მარი, სიყვარულის თემას გადავუხვიოთ და ხელოვნებაზეც გკითხავთ. ალბათ, დამეთანხმებით, რომ ხელოვნება და სიყვარული სრულ თავგანწირვას მოითხოვს პიროვნებისგან და ღალატს ვერც ერთი მათგანი ვერ იგუებს. შეძელით ორი ბატონის ერთგულება, ანუ ერთნაირად გადაუხადეთ ხარკი სიყვარულს და ხელოვნებას?

— ხელოვნება ნამდვილად სრულ თავგანწირვას და ერთგულებას მოითხოვს, ბატონი მიშა თუმანიშვილი გვეუბნებოდა — არ გათხოვდეთ, მსახიობს არ შეიძლება ჰყავდეს ოჯახიო. ჩვენ ყურს არ ვუგდებდით და ახლა ვხვდებით, რომ ის მართალი იყო. ძალიან დიდია ის ადამიანი, ვისაც შესწევს უნარი, მთლიანად დაიხარჯოს ხელოვნებაში და ოჯახშიც მშვენივრად ააწყოს საქმე. მე ეს ვერ შევძელი, როგორც კი ხელოვნებას — აბსტრაქტულს მაგრამ მაინც კონკრეტულ სინამდვილეს, ვუღალატე, მან იეჭვიანა და დამსაჯა.

— ალბათ სინანულს არ განიცდიდით, იმის გამო, რომ ბოლო ხანს ხელოვნებას ულალატეთ...

— არა, სინანულის გრძნობა არ მაქვს, არც ვწუწუნებ, რაც ამჟამად გამაჩნია და რისთვისაც თავს გავწირავ და რასაც „ვღალატობ“ ხელოვნებასთან ეს ჩემი ოჯახია, რომლის წყალობით მე ძალიან ბედნიერი ვარ.

ეკა ლომიძე

დაუმორჩილებელი ნუცა ანუ „ჟონჟიას“ რემიქსული ვარიანტი

„— გაოგნებული ვარ მისი ნიჭით და შესაძლებლობებით. ის უბრწყინვალესი, უდიდესი მომღერალია...“ — აღფრთოვანებას ვერ მალავს მისი მოსმენის შემდეგ ელენა ობრაზცოვა, ხელიდან 22 ბრილიანტით დამშვენებულ ოქროს ბეჭედს იხსნის და ახალგაზრდა მომღერალს უძღვნის...

„— ვიქტიუკს ქართული „პიაფი“ ჩამოაქვს“ — დიდი შრიფტით ბეჭდავდნენ სხვადასხვა ქვეყნის გაზეთები საგასტროლო სპექტაკლის მოლოდინში...

„— ის ისეთივე ხულიგანი და გიჟია, როგორიც მე და ედიტ პიაფი“ — ასე აფასებს მის ბობოქარ სულიერ სამყაროს უდიდესი რეჟისორი ვიქტორ ვიქტიუკი...

„— მე მას ჯერ კიდევ დაუმუშავებელ ბრილიანტს შევადარებდი“ — ამბობს პროდიუსერი ტანია ბერკოვიჩი...

ფრენკ სინატრას დაკრძალვის დღეს რისკავს და ნიუ-იორკის ერთ-ერთ დიდ საკონცერტო დარბაზში მღერის სინატრასავე „ნიუ-იორკ-ნიუ-იორკს“... საბედნიეროდ, რისკი ამართლებს და აუდიტორია ოვაციას უმართავს...

მაგრამ ეს იყო მოგვიანებით...

მანამდე კი თბილისში, ერთ ლამაზ, თბილისურ სახლში ცხოვრობდნენ დედა, მამა და პატარა უცნაური გოგონა. დედა ყოველდღე რუსთაველის თეატრში დადიოდა. მამა იჯდა და ხატავდა... გოგონა კი ხან დედას შესცქეროდა კულისებიდან, — როგორ ძერწავდა შთამბეჭდავ სახეებს, ხან კი სახლში გაირინდებოდა და თვალს ვერ აცილებდა მამას, რომელიც ფუნჯით ხელში ტილოზე საოცრებებს ქმნიდა.

მუსიკას დაბადებამდე გრძნობდა... კარგად ახსოვს ქალბატონ მზია მაღლაკელიძეს, მოცარტის მოსმენისას როგორ აფართხალდებოდა ხოლმე მის სხეულში პატარა არსება — ეს ერთხელ და ორჯერ არ მომხდარა...

მერე, სულ ერთი ციდა იყო, როცა მიუჯდებოდა ინსტრუმენტს და პატარ-პატარა ვალსებს თხზავდა.

— ვინ არის ეს ლამაზი კოლოო — უკითხავს ერთხელ ბატონ რამაზ ჩხიკვაძეს, როცა კულისებში უცნაური, სიფრიფანა კაბაში გამოწყობილი ნუცა შეუნიშნავს...

მუსიკალურ სკოლაში სწავლისას საშინლად ეზარებოდა ნოტების გარჩევა და მეცადინეობა. ნაწარმოებს ვინმეს დააკვრევინებდა და შემდეგ სმენით ზუსტად იმეორებდა მოსმენილს... ხანდახან კი იჯდა და ხატავდა, ხატავდა ისეთივე გატაცებით, როგორც მამა — ბატონი ჯემალ შანშიაშვილი და ამიტომ არავის გაჰკვირვებია, როცა სამხატვრო აკადემიაში ჩააბარა.

— აკადემია არეულ-დარეულ პერიოდში, ომის დროს დავამთავრე. მივხვდი, რომ თავისუფლება მჭირდებოდა. მოსკოვში წასვლა გადავწყვიტე. მეგობარმა ამიღო ბილეთი და ასე უცებ, ჯიბეში მხოლოდ 10 დოლარით აღმოვჩნდი სრულიად უცხო ქალაქში — იხსენებს ნუცა.

ერთი პერიოდი კაფეში მუშაობდა, თუ სადმე თვალს მოჰკრავდა და საშუალება მიეცემოდა, მაშინვე ინსტრუმენტს მიუჯდებოდა და მღეროდა. შემდეგ მსახიობმა ჟან დანიელმა ურჩია, ძველ მუნიციპალურ მცირე თეატრში მისულიყო და დროდადრო პატარა სცენაზე ემღერა... ასეც მოიქცა... სულ ცოტა ხანი დასჭირდა ყურადღების მისაქცევად. მის მოსასმენად ცნობილმა მომღერლებმა დაიწყეს სიარული, მალე ნუცა ბორის მაისეევმა მიიწვია. დაიწყო საგასტროლო ტურნეების წლები. პოპულარობა დღითი დღე იზრდებოდა. „იალტა-95“-ზე მეორე პრიზი აიღო. ცნობილმა მსახიობმა გაფტმა დაჯილდოების ცერემონიალზე სინანულით აღნიშნა: ნუცა პირველი ადგილის ღირსი იყო, გული მწყდება, რომ ასე არ მოხდაო... კონკურსზე სამი სიმღერა შეასრულა — განთქმული „ნიუ-იორკ-ნიუ იორკი“, რომანსი „Руки“, ბებიამ — ცნობილმა პედაგოგმა სონიკო ფხალაძემ რომ შეაყვარა ბავშვობაში და რომელიც შემდეგ მის სავიზიტო ბარათად იქცა და „Одинокая свеча“, რომლის მუსიკის და ტექსტის ავტორი თავად გახლდათ.

— კონკურსის პირობა ასეთი იყო — ყველა მონაწილეს სამი სიმღერა უნდა შეესრულებინა — ერთი — რომელიმე ჰიტი, მეორე — რუსული რომანსი და მესამე სრულიად ახალი სიმღერა. უფინანსობის გამო სიმღერა ვერ შეიძინეს, სხვა გზა არ მქონდა — თავად დავწერე... სულ რამდენიმე კვირაში „Одинокая свеча“ ჰიტად იქცა. იმ პერიოდში შეყვარებული ვიყავი... სიყვარულის გარეშე ვერაფერს ვაკეთებ. მაშინ მომდის მუზა — აცხადებს ნუცა...

ამ პერიოდში კი თბილისში მონატრებული დედა — ქალბატონი მზია ნუცას ლექსებს და ჩანაწერებს პოულობს — თითქმის ყველა ჩანაწერი ერთი და იმავე ფრაზით მთავრდება — „როგორ მინდა თეატრი...“

ეს ნატვრაც კონკიასავით სწრაფად უხდება. მისი ნიჭით აღფრთოვანებული მიშა ეფრემოვი რუსეთის დრამატული თეატრის სცენაზე იწვევს და მთავარ როლს ანდობს სპექტაკლში „ზღვარზე“, რის გამოც მალე უდიდეს და მნიშვნელოვან თეატრალურ პრიზს — „Чайка“-ს მიანიჭებენ. უნდა აღინიშნოს, რომ ნუცა პირველი ქართველი იყო, ვინც ეს პრიზი დაიმსახურა (მომდევნო წლებში „Чайка“ მიანიჭეს ბატონებს რობერტ სტურუას და ოთარ მელვინეთუხუცესს — ე.მ.).

ნინო ანანიაშვილის იუბილეზე თანამედროვეობის უდიდესი რეჟისორი ვიქტორ ვიქტიუკი ხვდება და ნუცას ცხოვრებაშიც ახალი ხანა იწყება. „ედიტ პიაფმა“ ნახევარი მსოფლიო დაიპყრო. სწორედ ნიუ-იორკში ამ სპექტაკლზე შედგა ელენა ობრაზცოვას და ნუცას გახმაურებული დუეტი. როცა ქალბატონი ელენა სცენაზე მისალოცად ავიდა, ნუცამ ერთად სიმღერა შესთავაზა, საკუთარი ხმა დაუთმო, თვითონ კი მეორე ხმით მიჰყვა უდიდეს მომღერალს...

— მე და ქალბატონ ელენას ახალი პროექტი გვაქვს — ვაპირებთ ერთად ვიმღეროთ სიმღერა ჯაზის სტილში. ჩვენთან იმუშავებს ცნობილი ჯაზმენი, რომელიც თავის დროზე ელა ფიტცჯერალდთან მუშაობდა...

ნუცასთვის იწერება მხატვრული ფილმის სცენარი...

ნუცაზე იღებენ დოკუმენტურ ფილმს სერიისთვის „გამოჩენილი ადამიანები“...

ნუცას სოლო კონცერტებს ელოდებიან სხვადასხვა ქვეყანაში...

ახლა ის ნიუ-იორკშია — ზის და ხატავს. ხატავს თავის სიმღერებს, რომ კონცერტის წინ გამოფენა მოაწყოს, ყველას აჩვენოს, როგორ ხედავს მელოდიებს.

ნუცა მზად არის ახალი თეატრალური პროექტისთვისაც. ქართული ჩოხა შეიძინა, რომელიც ჯინსებზე აცვია.

— ხშირად ხდება ხოლმე — ძველ სიმღერას ახალ რიტმებს არგებენ და იღებენ რემიქსს. მე ვთვლი, რომ რემიქსულად მაცვია. რაც შეეხება თეატრით ჩემს გატაცებას, ეს ბავშვობიდან დაიწყო — ალბათ მაშინ, როცა სულ პატარა დედას ვუყურებდი, საგრიმიოროში როგორ ირგებდა ხელოვნურ წამწამებს. ერთი სული მქონდა მოეხსნა, რომ შემდეგ მე გამეკეთებინა...

ნუცა თბილისში სექტემბერში ჩამოვა. მანამდე კი ნუცას დედას, ქალბატონ მზიას გავესაუბრე... იქ, იმ სახლში ემოციური აურაა — ზღვა ენერგია მოდის ქალბატონ მზიასგან, აგრეთვე ბატონი ჯემალის ნახატებიდან და ნუცას ფოტოებიდან... აქ, ამ კედლებში იზრდებოდა პატარა ნუცა, არც ისე იოლად დასამორჩილებელი და თვინიერი ბავშვი...

— ძალიან უცნაური იყო. საკმარისი იყო რაღაც გაგეფიქრებინა, ის იმ წუთში მიხვდებოდა, რაზე ფიქრობდი და პასუხს ხმამაღლა გეტყოდა თავისი ბოხი ხმით. ძალიან უყვარდა ბებიები — დედაჩემი და დეიდაჩემი. სულ მათ იფიცებდა ხოლმე. როცა დეიდა გარდამეცვალა, ნუცას არ შევატყობინე — დამირეკა და მითხრა — ვიცი, რომ ანიკო აღარ არის და რატომ მიმალავო... გავოგნდი... ძალიან მგრძნობიარეა, საოცრად აქვს განვითარებული წინათგრძნობა. სულ მეშინოდა ნათელმხილველობისკენ არ გადახრილიყო.

— რჩევებს თუ გეკითხებათ ხოლმე?

— სულ მეკითხება და მაინც ყველაფერს ისე აკეთებს, როგორც თვითონ უნდა, ამიტომ ახლა მუდმივად ერთ პასუხს ვაძლევ — ნუცი, შენ როგორც გინდა...

— მოსკოვში რისი იმედით წავიდა?

— არავის და არაფრის... აიჩემა და წავიდა...

— რა არ უყვარს?

— როცა ჭკუას ვარიგებ და ვეჩიჩინები...

— ბატონი ჯემალი მოესწრო ნუცას წარმატებას?

— მოესწრო იმ დღეს, როცა ფრენკ სინატრას დასაფლავებაზე იმღერა ნიუ-იორკში და ძალიან ბედნიერი და გახარებული იყო. ამ კონცერტის შემდეგ ნუცა სულ შეშინებული ყოფილა — აეკვიატა ფიქრი — მზია აღარ იქნება თუ ჯემალი? სამწუხაროდ, ეს წინათგრძნობაც აუხდა — მოსკოვში დაბრუნებულს მამა გარდაცვლილი დახვდა. იმწამსვე გადმოფრინდა და მისედა და მოუარა თავის საყვარელ მამიკოს.

— ბატონი ჯემალიც თქვენსავით და ნუცასავით ემოციური იყო?

— ძალიან განიცდიდა ყველაფერს. დიდმა მოქანდაკემ — სანდრო რაზმაძემ მასზე ასეთი რამ თქვა — ის გარეგნობით ოტელოა და სულით რომეოო. მართლაც ასე იყო.

— ნუცა თქვენ გგავთ...

— იერით და — სცენაზე... ხასიათით, ბუნებით, მჭევრმეტყველებით სულ მამამისს ჰგავს.

— თქვენ არ ფიქრობთ ნუცასთან წასვლას?

— ხანდახან, როცა ვჭირდები, მივდივარ. საცხოვრებლად ვერ გადავალ. ვერ გავძლებ. არც ის მინდა, ზედმეტი ყურადღებით შევაწუხო.

— საფრანგეთში თუ ჰქონდათ ჩატანილი „ედიტ პიაფი“?

— არა. მაგრამ ალბათ ოდესმე ჩაიტანენ და მჯერა მისი ტრიუმფის...

P.S. ეს ყველაფერი სიმართლეა, მაგრამ საოცრად ჰგავს ზღაპარს. ნუცა თვლის, რომ თუ შენში ხელოვნება ბობოქრობს, თუ საკუთარი თავის, ძალის და ნიჭის გჯერა, უფულობა ვერაფერს დაგაკლებს — შეგიძლია 10 დოლარად მოსკოვში ჩახვიდე და სულ რამდენიმე წელიწადში მთელი მსოფლიო აალაპარაკო. და თუ მაინც არ გჯერა ყოველივე იმისა, რაც გიამბეთ, შეგიძლიათ მისი თავგადასავალი „კონკიას“ რემიქსულ ვარიანტად ჩათვალოთ...

ეკა მახარაშვილი

მოდილიანიზე ბევრი ქალი ოცნებობდა...

შვეიცარიის ქალაქ ლუგანოში, ვილა მალპენსატაში გაიხსნა ამედეო მოდილიანის შემოქმედებისადმი მიძღვნილი გამოფენა.

1906 წელს ამედეომ, იტალიურ-ებრაული ოჯახიდან გამოსულმა ახალგაზრდამ, რომელსაც მეგობრები დედოს ეძახდნენ, სამუდამოდ დატოვა მშობლიური ლივორნო და პარიზს გაემგზავრა.

ისევე, როგორც მონმარტრის ბევრი ფერმწერი, დედოც სიღარიბეში ცხოვრობდა, ერთ კათხა ლუდში თავის სურათებსაც კი ცვლიდა, თუმცა ასეთ გაცვლაზე თანახმა იყო მხოლოდ მონმარტრის ლუდის ბარის მფლობელი როზალი. ქალს მოსწონდა ფერმკრთალი, წვეროსანი, ავადმყოფური გარეგნობის ყმაწვილი. სამწუხაროდ, მას არაფერი გაეგებოდა ფერწერის და დედოს შედევრებს ბუხრის ასაგიზგიზებლად ხმარობდა. ამიტომ, ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ რამდენიმე შედევრმა, რომელიც ოდესღაც მოდილიანის მისთვის გაეცვალა კათხა ლუდში. თითოეულ თავის სურათს ამედეო აწერდა — „მოდი“, რაც პარიზელებში საოცარ ინტერესს იწვევდა („მოდი“ ფრანგულად „დაწყევლილს“ ნიშნავს). პარიზში დედოს და ცნობილ მხატვარს მორის უტრილოს ლოთების პოპულარულ წყვილადაც მოიხსენიებდნენ.

პარიზში მოდილიანი დაუმეგობრდა ჟან კოკტოს, ღატაკ ლიტველ მხატვარს ხაიმ სუტინის და მაშინ უკვე მდიდარ და ცნობილ პაბლო პიკასოს.

პირველი ადამიანი, რომელმაც მოდილიანის შემოქმედება დააფასა, იყო ექიმი პოლ ალექსანდერი. ინტუიციამ უკარნახა მას, რომ ოდესმე მხატვრის ტილოებს ოქროს ფასი დაედებოდა. იგი არა მარტო ყიდულობდა დედოს ნამუშევრებს, არამედ მას სახელოსნოც დაუქირავა და უფასოდ მიჰყავდა მენატურე ქალები. მოდილიანის ორიგინალური ხატვის მანერით ძალიან მალე დაინტერესდა ხელოვნების ნიმუშებით მოვაჭრე ლეოპოლდ ზბოროვსკი და მისი სპონსორი გახდა.

პარიზის ბოჰემაში მოდილიანიმ სახელი გაითქვა არა როგორც მარტო ფერმწერმა, არამედ როგორც დაუცხრომელმა დონ ჟუანმაც. ცნობილია, რომ მის ტილოებზე გამოსახული მეცვავილე, მერძევე გოგონები, მომწიფებული ქალბატონები მისი საყვარლები იყვნენ — თუნდაც ერთი ღამით. მოდილიანი ამტკიცებდა, რომ ქალის პორტრეტის კარგად დასახატად საჭიროა ერთხელ მაინც მასთან ღამის გატარება. მოდილიანის ბიოგრაფიის ავტორმა კორადო ოჟიასმა აღნიშნა: „თუ დედოს მუზა მოაწვებოდა და იმ მომენტში მეგობარი ქალი არ ჰყავდა, ის მას საცეკვაო მოედანზე ეძებდა. საცეკვაო მოედნიდან მოდილიანი არასოდეს ბრუნდებოდა მარტო. მშვენიერი გარეგნობის ვაჟს არ უჭირდა მეგობარი ქალის შოვნა“.

ერთ-ერთი ყველაზე ხანმოკლე და მგზნებარე რომანი მოდილიანს ჰქონდა მონმარტრის მეძავ ქალთან ელვირასთან, რომელსაც კიკას ეძახდნენ. მოდილიანიმ კიკა კაფეში გაიცნო, მისი ყურადღება მიიპყრო ქალის უზარმაზარმა მკერდმა. მათ შორის წამში იფეთქა სიყვარულის ნაპერწკალმა, თუმცა, ეს რომანი მხოლოდ რამდენიმე კვირას გაგრძელდა, მერე კი კიკა თავის ჩვეულ საქმიანობას დაუბრუნდა. ვერ შეიტყო, რომ მისმა პორტრეტებმა საპატიო ადგილი დაიკავა საუკეთესო გამოფენებზე. კიკამ სიცოცხლე ტრაგიკულად დაასრულა — II მსოფლიო ომის დროს დახვრიტეს, როგორც გერმანელების ჯაშუში.

ძალიან მალე მომხიბვლელმა მოდილიანიმ გაიცნო ინგლისელი ჟურნალისტი ბეატრის ჰასტინგსი. მათ ყოველდღიურ სკანდალებში 2 წელი გაატარეს...

სტუდენტი გოგონა ჟანა ებიუტერნი მოდილიანის საუკეთესო მოდელი და მისი უკანასკნელი დიდი სიყვარული იყო. მასზე ამბობდნენ, რომ თავისი ფერმკრთალი სახით, დახვეწილი ნაკვთებითა და მაღალი ყელით გედს წააგავდა. მათ შეეძინათ გოგონა ჯოვანა.

მოდილიანის ნამუშევრებს დიდი წარმატება ხვდა წილად. მათზე არნახული მოთხოვნა იყო, მაგრამ თვითონ ამას ვეღარ მოესწრო. 1920 წლის იანვარში ლოგინად ჩავარდა ტუბერკულოზით და რამდენიმე დღეში გარდაიცვალა. მისი სიკვდილის მეორე დილას ჟანა ფანჯრიდან გადახტა. ქალი 8 თვის ფეხმძიმე იყო მეორე შვილზე.

მკითხველს, ვფიქრობთ, კარგად ახსოვს ამ ტრაგიკული სიყვარულის შესახებ გადაღებული ფრანგული ფილმი „მონპარნას-19“, განუმეორებელი ჟერარ ფილიპისა და ანუკ ემეს მონაწილეობით.

ოჯახი

დედიკოს ბიჭები

იტალია ყოველთვის იყო ცნობილი დახრილი პიზის კოშკითა თუ სპაგეტით, თავისი რომით, გარდა ამისა, იტალია ცნობილია, „მამონის“ ინსტიტუტით, რაც „დედიკოს ბიჭობას“ ნიშნავს.

ბოლო გამოკვლევებით, 10-დან შვიდი დაუქორწინებელი იტალიელი მამაკაცი, რომელთა ასაკი 35 წელს აჭარბებს, მშობლებთან ცხოვრობს. ხოლო ახალდაოჯახებულთა დიდი ნაწილი კი მშობლებთან სადილობს და სარეცხსაც მხოლოდ დედას ანდობს. დედები კი ხშირად აქტიურად ერევიან თავიანთი შვილიკოების პირად ცხოვრებაში, მათთან ერთად განიხილავენ სამსახურებრივ წარმატებებსა და ახალდაქორწინებულთა სქესობრივ ცხოვრებას. ფლორენციის ევროპულ უნივერსიტეტში სერიოზულად დაფიქრდნენ „დედიკოს ბიჭობის“ პრობლემაზე და ორი მზა რეცეპტიც „გამოაცხვეს“. ერთის მიხედვით, მშობლებმა შვილები ცოდნის მისაღებად მშობლიური ქალაქიდან მოშორებულ უნივერსიტეტში უნდა გაგზავნონ. სწავლის პერიოდში ისინი საერთო საცხოვრებლებში იცხოვრებენ, დედის მზრუნველობისაგან მოშორებით და დამოუკიდებელ ცხოვრებასაც მიეჩვევიან. თუმცა ამ რჩევამ ბოლომდე არ გაამართლა. ბევრი დედა კვირაში ერთხელ სახლში დამზადებული სხვადასხვა კერძით სავსე ქვაბებით ხელდამშვენებული აკითხავს თავის შვილს საერთო საცხოვრებელში. მეორე რეცეპტის მიხედვით კი, მშობლებმა თავად უნდა შეუქმნან შვილებს ისეთი პირობები, რომ ისინი საცხოვრებლად სხვაგან გადავიდნენ. თუმცა ეს რჩევაც აბსურდულად იქცა მას შემდეგ, რაც ნეაპოლში უცნაური სასამართლო პროცესი შედგა. ჯუზეპე ანდრეოლი შეეცადა თავისი ვაჟიშვილისთვის, მარკოსთვის დამოუკიდებლობა იძულებით მიენიჭებინა და საბუთები იურიდიულ სკოლაში შეატანინა იმ პირობით, რომ მარკო სკოლის საერთო საცხოვრებელში იცხოვრებდა და ამავდროულად მამის ფირმაშიც გააგრძელებდა მუშაობას. მაგრამ ამ 30 წლის „ბიჭმა“ მამას სასამართლოში უჩივლა და სასამართლომ მარკოს ყველა მოთხოვნა დააკმაყოფილა. ამ მოთხოვნის თანახმად, მარკო კვლავ მშობლებთან ერთად იცხოვრებს, მამა კი ყოველთვიურად 1000 დოლარს გადაუხდის და ამას გარდა მარკოს ანგარიშზე დამატებით 250 000 დოლარს დადებს ათი წლის განმავლობაში. ეს გადაწყვეტილება სასამართლომ იმიტომ მიიღო, რომ მათი აზრით, 40 წლის ასაკში მარკო დამოუკიდებლად ცხოვრებას შეძლებს და მას საწყისი კაპიტალი უნდა ჰქონდეს.

ასე რომ, იტალიაში „მამონობა“ კვლავ თავისი დინებით მიდის და, როგორც ჩანს, კიდევ მრავალი წლის განმავლობაში მას არავითარი „რეფორმა“ და საფრთხე არ დაემუქრება.

ნიუზუიკი

ევროპის მუზეუმების რისხვა



შვეიცარიის ქალაქ ლიუცერნის მუზეუმიდან რაინდის ბუკი მოიპარეს. დარბაზის მცველს ფრანსუა კლინტონს ყველაზე მეტად ის სწყინდა, რომ ქურდი თავად ნახა და ვერაფერი დააკლო. ფრანსუამ მას ყურადღება უფრო იმიტომ მიაქცია, რომ ჩვეულებრივ, ამ ექსპონატთან დიდხანს არავინ ჩერდებოდა. ეს ახალგაზრდა კაცი კი 15 წუთს მაინც იდგა. მცველის მაგიდაზე ტელეფონი აწკრიალდა, კლინტონი მისკენ წავიდა და როცა დარბაზში შებრუნდა, აღარც დამთვალიერებელი იყო და აღარც ბუკი. სამი დღის შემდეგ ფრანსუა ერთ-ერთ დარბაზში შევიდა და ადგილზე გახევდა, ის კაცი დაინახა, ვისზეც ეჭვი მიიტანა. ამჯერად ცნობილი მხატვრის ვატოს ნახატის წინ იდგა. ფრანსუამ მაშინვე გამოიძახა დაცვა და საეჭვო პირი გაკოჭეს. ის აღმოჩნდა 31 წლის ფრანგი სტეფან ბრაიტვაიზერი, პირველივე დაკითხვაზე აღიარა, — ბუკიც მე მოვიპარე და სხვა ექსპონატებიცო. გამომძიებლები ეჭვით შეჰყურებდნენ ამ სათვალიან, ჩია ახალგაზრდა კაცს და უკვირდათ, ნუთუ ამან ჩაიდინა ამდენი დანაშაულიო.

ბრაიტვაიზერი დედასთან ერთად სტრასბურგში ცხოვრობდა, მაგრამ როგორც ბევრი მისი თანამოქალაქე, ისიც სამუშაოდ შვეიცარიაში დადიოდა. იქ ჭურჭლის მრეცხავად მუშაობდა, თავისუფალ დროს მუზეუმებიდან იპარავდა ხელოვნების ნიმუშებს. ფერწერაში მამამ გაარკვია, პროფესიონალი მხატვარი იყო და მშვენივრად ესმოდა ხელოვნება. სტეფანმა ქურდობა 1995 წლიდან დაიწყო, 7 წლის განმავლობაში საფრანგეთის, შეიცარიის, ბელგიის, ჰოლანდიის, ავსტრიისა და გერმანიის მუზეუმიდან 239 სურათი და სხვა ექსპონატი მოიპარა. სპეციალისტების აზრით, ეს ყველაფერი მილიარდზე მეტი დოლარის იყო.

იტალიელი მეცნიერის დომენიკო სალვატორის წიგნი, „ღმერთო, ჰფარვიდე მეფესა და პრეზიდენტს“, მოგვითხრობს წამყვანი ქვეყნების ჰიმნების შექმნის ისტორიის აქამდე უცნობ დეტალებს.

თურმე, *ამერიკის ჰიმნი* 1814 წელს, აშშ-ინგლისის ომის დროს დაწერა 35 წლის ამერიკელმა ადვოკატმა ფრენსის სკოტ კიმ, თანაც ძველ კონვერტზე...

ბრიტანეთის ჰიმნი, „ღმერთო, ჰფარვიდე მეფესა“, გაჩნდა XVIII საუკუნეში, გეორგ II-ის (1683-1760) მეფობაში, ხოლო როდესაც ტახტზე ავიდა ელისაბედ I, ჰიმნმა „შეიცვალა სქესი“ და დაერქვა „ღმერთო, ჰფარვიდე დედოფალს“. თუმცა, ჩარლზის გამეფების შემდეგ ჰიმნმა დაიბრუნა პირვანდელი სახელწოდება. აქამდე დიდი ბრიტანეთის „სავიზიტო ბარათის“ ავტორი უცნობი იყო, ახლახან დადგინდა, რომ ჰიმნის ავტორია შვეიცარიელი ჰანს ნაგელი.

ვინ დაწერა ჰიმნები?

ფრანგული ჰიმნი „მარსელიოზა“ დაწერა ნაციონალური გვარდიის კაპიტანმა კლოდ-ჟოზეფ რუჟე დე ლილმა, რომლის ნამდვილი გვარი იყო რუჟე. არისტოკრატიული დანამატი — დე ლილი გაჩნდა მოგვიანებით. 1793 წელს საფრანგეთის დიდი რევოლუციის ხელმძღვანელებმა აკრძალეს „მარსელიოზა“, ვინაიდან რეაქციულად მიიჩნიეს. სამი წლის შემდეგ, ხელისუფლებაში მოსულმა ნაპოლეონმა „მარსელიოზა“ ფრანგულ ჰიმნად გამოაცხადა, ხოლო მისი ავტორი, რომელიც ამ დროს დაპატიმრებული იყო, გაათავისუფლა და დააჯილდოვა. მაგრამ დე ლილის ბედნიერი ვარსკვლავი მალე ჩაქრა. ის შემთხვევით აღმოჩნდა ჩართული ბინძურ ფინანსურ მაქინაციებში. ნაპოლეონმა მას ყველა ჯილდო ჩამოართვა და გადაასახლა. გაღატაკებული დე ლილი მუსიკის გაკვეთილებითა და ლექსების შეკვეთით ირჩენდა თავს. მალე მძიმედ დაავადდა, ვეღარ მუშაობდა და შიმშილით სიკვდილი დაემუქრა. პარიზელებმა ეს რომ შეიტყვეს, ფული შეუგროვეს, მაგრამ ამ ფულის მიღება კლოდ-ჟოზეფმა ვერ მოასწრო — 1836 წელს გარდაიცვალა.

ჯენტი

ახალი იმოდიუმ ლინგვალური

სწრაფად და მზრუნველობით აჩერებს დიარეას

სერტიფიცირებულია

ეს ენაზე სწრაფადხსნადი პატარა ტაბლეტები, რომელიც არ მოითხოვს წყლის მიყოლებას:

- **შეუცვლელია შემთხვევაში, როდესაც დიარეას (ფაღარათს) თან ახლავს გულის რევა და პირღებინება;**
- ***მიღებისათვის მოხერხებულია ნებისმიერ პირობებში: სახლში, სამსახურში, გამოცდების პერიოდში ან თათბირებზე, აგარაკზე, მოგზაურობისას;***
- **იძლევა საშუალებას მოაგვაროთ პრობლემა გარშემომყოფთათვის შეუმჩნევლად.**

რა არის ახალი იმოდიუმ ლინგვალი?

- **სწრაფად აჩერებს დიარეას;**
- **ქმნის პირობას ნაწლავების ნორმალური მუშაობის აღდგენისათვის;**
- **ამცირებს პერიოდს, რომელიც აუცილებელია ორგანიზმის მთლიანად აღდგენისათვის დიარეის შემდეგ;**
- **ახალი იმოდიუმ ლინგვალის უსაფრთხოება დადასტურებულია მსოფლიო გამოყენების გამოცდილებით.**

როგორ მივიღოთ იმოდიუმ ლინგვალი?

დიარეის გაჩენისას - დაიდეთ 2 ტაბლეტი ენაზე, ნუ მიაყოლებთ წყალს.

უმრავლეს შემთხვევაში ეს დოზა საკმარისია დიარეის შესაჩერებლად.

თუ თხევადი განავალი განმეორდა - მიიღეთ 1 ტაბლეტი ყოველი თხევადი განავლით კუჭში გასვლის შემდეგ

არ მიიღოთ 8 ტაბლეტზე მეტი დღის განმავლობაში

დამატებითი ინფორმაციისათვის
ტელ.: 94 13 39 10.00-18.00
(დასვენების დღეები: შაბათი-კვირა).

„ჯონსონ ჯონსონის“ კორპორაცია
ფირმა „იანსენ-სილაგი“

შეკითხვა ექიმს

ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვკითხულობთ და მათზე პასუხს აუცილებლად მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი ხანგრძლივად გიწევთ.

მაქვს მუდმივად აჩქარებული პულსი, დაახლოებით 110 დარტყმა წუთში. არის თუ არა ეს პათოლოგია და ცვალებადობს თუ არა პულსი ასაკთან ერთად?

ე.ი.

პულსის ასეთი სიხშირე შეიძლება მეტყველებდეს გულის ან სხვა ორგანოს (მაგალითად, ფარისებრი ჯირკვლის) პათოლოგიაზე. მიმართეთ კარდიოლოგს და ენდოკრინოლოგს და დაავადების გამოვლენის შემთხვევაში ჩაიტარეთ მკურნალობა. რაც შეეხება პულსის დამოკიდებულებას ასაკთან, მისი სიხშირე მეტია ბავშვებში, ხოლო მოზრდილებში ასაკობრივი ცვლილება არ აღინიშნება.

რა იწვევს თირკმლების დაწევას, რამდენად საშიშია და როგორ უნდა მოვიქცეთ ამ შემთხვევაში, თანაც, თუ ამ დროს თირკმლებში სილა და მარილებია? როგორ ვიმკურნალოთ?

თქვენი ერთგული მკითხველი

თირკმლების დაწევა მუცლის პრესის მოდუნების, მისი კუნთების სისუსტის გამო ხდება. ამის ხშირი მიზეზია სიგამხდრე, განსაკუთრებით, როდესაც მსუქანი ადამიანი ხდება. თირკმლის დაწევა ხშირად აქვთ მრავალშვილიან ქალებს, აგრეთვე მათ, ვინც მუცლის ღრუში სერიოზული ოპერაცია გაიკეთა. ავადმყოფი გრძნობს ყრუ ტკივილს წელის არეში, იგი ძლიერდება ფეხზე დგომის, მუშაობის, სიმძიმის აწევის, გაჭინთვის, ბევრი სიარულის მერე. ქვიშისა და კენჭების წარმოქმნა შარდსადენ გზებში თირკმლების დაწევის დროს თითქმის მუდმივი სიმპტომია, რადგან ფერხდება თირკმლებიდან შარდის გამოდინების პროცესი და შედეგად შარდიდან გამოილექება მარილები, რომლებიც თირკმელ-კენჭოვანი დაავადებისათვის დამახასიათებელი ტკივილის შეტევებისა და შარდის შესაბამისი ცვლილებების მიზეზი ხდება. თირკმლის დაწევის რადიკალური მკურნალობა ოპერაციულია. თუმცა, ამ გზას მხოლოდ მკვეთრად გამოხატული კლინიკური სურათის დროს მიმართავენ. პროფილაქტიკისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს მუცლის პრესის გამაგრებას და მისი ტონუსის შენარჩუნებას სისტემატური ვარჯიშით.

თირკმლების დაწევის დროს მეტად მნიშვნელოვანია ქვიშის გავლის მორიგი შეტევების თავიდან აცილება, რისთვისაც პერიოდულად უნდა სვათ მცენარეული შარდმდენი საშუალებები (შვიტა, მატიტელა, სიმინდის თმა, თირკმლის ჩაი და სხვა) და დიდი რაოდენობით სითხე. ასეთი ღონისძიებები რეცხავს საშარდე გზებს და ხელს უშლის მარილების დაგროვებას. თუ მაინც მოხდა თირკმელში ქვიშის გავლა, უნდა გახსოვდეთ, რომ სადაც მარილებია, იქ ყოველთვის არის ქსოვილთა ანთებითი პროცესიც. ამიტომ, თირკმლის გამორეცხვის შემდეგ ჩაიტარდეთ პროფილაქტიკური ანტიბაქტერიული მკურნალობა (5-ნოკით, ნიტროქსოლინით). მოერიდეთ სიმძიმის აწევას, მძიმე ფიზიკურ სამუშაოს, სხეულის ნჯღრევას, ხტუნვას. სვით მინერალური წყლები (საირმე, ბორჯომი) რეგულარულად.

მაქვს წნევა 120/90. ზოგჯერ 120/100. რამდენად საშიშია ეს და როგორ შეიძლება სხვაობის გაზრდა (გულის წნევის შემცირება)?

ვ. გელაშვილი, 47 წლის

სადიაგნოზო მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ სისტოლური (ზედა) და დიასტოლური (ქვედა ანუ ე.წ. გულის) წნევის ერთდროულ მატებას, არამედ ამ წნევათა გამოცალკევებულ შეცვლას. დიასტოლური წნევის მატება 90მმ ვწყ. სვ-ზე, მეტად სისხლის არტერიული სისტემიდან ვენურში გადასვლის შეფერხებასთანაა დაკავშირებული და ე.წ. დიასტოლურ ჰიპერტენზიაზე (წნევის მატება) მიგვითითებს. საერთოდ, დიასტოლურ ჰიპერტენზიას ზედა წნევის მატებაც მოჰყვება, მაგრამ ზოგჯერ უკანასკნელი მხოლოდ ოდნავ მატულობს (ან ნორმალური რჩება). ეს ე.წ. თავმოკვეთილი ჰიპერტენზიაა და გულის შეკუმშვადობის შესუსტებაზე მიუთითებს. დიასტოლური (ქვედა) წნევის მატების ტენდენცია დამახასიათებელია თირკმლების სხვადასხვა პათოლოგიისთვის, ნევროზული მდგომარეობისთვის. ამრიგად, ასეთი წნევის უყურადღებოდ მიტოვება არ შეიძლება. გირჩევთ, ჩაიტაროთ სამედიცინო გამოკვლევა (სისხლის, შარდის ანალიზები, ელექტროკარდიოგრაფია) და დროულად დაადგინოთ „გულის" წნევის მატების მიზეზი.

სამკურნალო მცენარეები

თირკმლის ჩაი

თირკმლის ჩაი მარადმწვანე ტროპიკული მცენარეა, რომლის სიმაღლეა 50-70სმ. მისი სამშობლო აღმოსავლეთ აზია და ავსტრალიაა. ჩვენში პლანტაციებს აშენებენ ერთწლიანი კულტურის სახით. სამკურნალოდ გამოსადეგია მისი ფოთლები და ყლორტების წვეროები.

თირკმლის ჩაის ფოთლები შეიცავს ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს: გლუკოზას, კალიუმის მარილებს, ცხიმოვან და ეთეროვან ზეთებს, ორგანულ მჟავებს.

ფარმაკოლოგიური მოქმედება: თირკმლის ჩაის ნაყენს აქვს შარდმდენი თვისებები. საყურადღებოა ის მომენტი, რომ შარდთან ერთად ამ დროს ორგანიზმიდან გამოიყოფა ქლორიდები, შარდოვანა და შარდმჟავა. თირკმლის ჩაის პრეპარატები ორგანოთა გლუვ კუნთებზეც ახდენს სპაზმოლიზურ (სპაზმების მომხსნელ) მოქმედებას. აგრეთვე ზრდის კუჭის ლორწოვანის სეკრეტორულ (წვენის გამოყოფის) ფუნქციას და კუჭის წვენში თავისუფალი მარილმჟავას შემცველობას. შარდმდენი და სპაზმოლიზური ეფექტების შერწყმა კარგად არის გამოხატული ორგანიზმის წყლით დატვირთვის (ბევრი სითხის მიღების) დროს. მედიცინაში თირკმლის ჩაი გამოიყენება თირკმლის მწვავე და ქრონიკული დაავადებების დროს, რომლებიც მიმდინარეობს შეშუპებით, ალბუმინურიით (ცილა შარდში), აზოტემიით (სისხლში აზოტის მომატება) და საშარდე გზებში კენჭების წარმოქმნით. ამ პრეპარატს ნიშნავენ აგრეთვე ცისტიტების (შარდის ბუშტის ანთება), ურეთრიტების (შარდსადენის ლორწოვანი გარსის ანთება), პოდაგრის, შაქრიანი დიაბეტის, ნაღველკენჭოვანი დაავადების, ქოლეცისტიტების (ნაღვლის ბუშტის ანთება), გულსისხლძარღვთა სისტემის სხვადასხვა დაავადების დროს.

მწვავე და ქრონიკული ქოლეცისტიტისა და ნაღველკენჭოვანი დაავადების მქონე პაციენტებს თირკმლის ჩაის გავლენით უმსუბუქდებათ ტკივილი, უძლიერდებათ მადა, უმცირდებათ ლორწოსა და ლეიკოციტების რაოდენობა ნაღველში, ემატებათ კუჭის წვენის გამოყოფა და მასში თავისუფალი მარილმჟავას შემცველობა. თირკმლის ჩაი ეფექტურია ხანგრძლივი გამოყენების (4-6 თვის განმავლობაში) დროს შესვენებებით: ყოველთვიურად უნდა მიიღოთ 5-6 დღის განმავლობაში. არავითარი გვერდითი მოქმედება მისი გამოყენების დროს არ აღინიშნება. პრეპარატს არ გააჩნია აგრეთვე უკუჩვენებები. საუკეთესო შედეგებს იძლევა თირკმლის ჩაის დანიშვნა კომპლექსურად სხვა შარდმდენი და ანტიანთებითი მოქმედების მქონე მცენარეებთან (მინდვრის შვიტა, არყის ხე, მოცვი, დათვის კენკრა).

ნაყენის დამზადების წესი: 2-3 სუფრის კოვზი ნედლეული ჩაყარეთ მომინანქრებულ ჭურჭელში, დაასხით 1 ჭიქა (200 მლ) მდუღარე წყალი, დაახურეთ სახურავი და დადგით მდუღარე წყლის ორთქლზე 15წთ. შემდეგ გადმოდგით, შეაგრილეთ, კარგად გადაწურეთ და მიღებული ნაყენი 200 მლ-მდე შეავსეთ მდუღარე წყლით. მომზადებული ნაყენი ინახება გრილ ადგილას არა უმეტეს 2 დღისა. მიღება: 1/2-1/3 ჭიქა 2-3-ჯერ დღეში. თუ პრეპარატს იღებთ როგორც შარდმდენს თირკმლის დაავადებების და გულის უკმარისობით გამოწვეული შეშუპების დროს, იგი უნდა დალიოთ ჭამის წინ, ხოლო თუ თირკმლის ჩაის იყენებთ, როგორც სპაზმების მომხსნელ საშუალებას ქოლეცისტიტის დროს, მაშინ ნაყენი უნდა დალიოთ ჭამის შემდეგ. გთავაზობთ რამდენიმე მცენარეულ რეცეპტს, რომელთა შემადგენლობაში შედის თირკმლის ჩაი.

1. არყის ხის ფოთლები 15,0გ, წითელი მოცვის ფოთლები 15,0გ, თირკმლის ჩაი 10,0გ, ძირტკბილას ფესვები 20,0გ, კრაზანა 20,0გ გვირილის ყვავილი 20,0გ.

მიღება: 1/3 ჭიქა ნაყენი 3-ჯერ დღეში შარდსადენი გზების ანთებითი დაავადებების დროს.

2. თირკმლის ჩაი 30,0გ, მრავალძარღვა 15,0გ, მინდვრის შვიტა 10,0გ, მელისკუდა 15,0გ, ჭინჭარი 15,0გ, ორკბილა 15,0გ.

მიღება: 1/4 ჭიქა ნაყენი 4-ჯერ დღეში ქრონიკული გლომერულონეფრიტის (თირკმლის გორგლების ანთების), ჰემატერიული (შარდში ერითროციტების არსებობის) დროს.

ნაყენის მოსამზადებლად 2ს/კ მცენარეულ ნარევს დაასხით 1ჩ/ჭ ადუღებული წყალი და 15 წთ-ით მოათავსეთ წყლის ორთქლზე. შემდეგ შეაგრილეთ, გადმოწურეთ და 200მლ-მდე შეავსეთ ანადუღარი წყლით.

თამარ მამაცაშვილი

ვჭამოთ, რათა გავხდეთ...

წონაში მოიმატეთ და აღარ იცით რა ქნათ? გულს ნუ გაიტეხთ, ყველაფერს მოევლება, თუ ყურად იღებთ დიეტოლოგების რჩევებს:

— სასურველია, დალიოთ ფინჯანი მაგარი შავი ყავა, რაც ადრენალინის დონეს მაღლა სწევს, ცხიმის წვის პროცესს აძლიერებს, მით უმეტეს, თუ ყავის დალევის შემდეგ, მსუბუქად წაივარჯიშებთ.

— სადილამდე ნახევარი საათით ადრე დალიეთ ცივი წყალი. ჯერ ერთი, ნაკლებს შეჭამთ, მეორეც — ცივი წყლის სხეულის ტემპერატურამდე გასათბობად საჭიროა 35 კკალ. მართალია ცოტაა, მაგრამ მაინც...

— რაციონში გაანახევრეთ ხორცი. მის ნაცვლად მიიღეთ უცხიმოდ დამზადებული (ორთქლზე ან გრილზე) თევზი.

— ჭამეთ თუთიით მდიდარი პროდუქტები, მაგალითად, მჭლე ძროხის ხორცი. თუთია ხელს უშლის ორგანიზმში ცხიმის წარმოქმნას.

დაბოლოს, 100 კკალ-ს ადვილად დახარჯავთ თუ:

20 წუთი ივლით ჩქარი ნაბიჯით;
0,5 საათი დააუთოებთ თეთრეულს;
10 წუთი და ატრიალებთ ჰულაჰუპს;
15 წუთი ირბენთ;
2 საათი დაიძინებთ.

ლიზა №21

ჯანმრთელობას ხე გაჩუქებთ



ბიოფიზიკის თვალსაზრისით, ხე დონორია, რომელიც თავის ენერგიას გადასცემს ადამიანს და მუხტავს მას.

ზემოქმედების უნარის სიმძლავრით პირველ ადგილზეა **მუხა**, რომელიც სასიკეთოდ მოქმედებს ადამიანის გონებაზე. შემდეგ მოდის **ფიჭვი, არყის ხე, აკაცია, ძეწნა, ძახველი**.

მიუხედავად „ხეებით თერაპიის" სარგებლიანობისა, აუცილებლად საჭიროა გათვალისწინება შემდეგი გარემოებისა:

გულით დაავადებული ადამიანები ან ისინი, ვისაც აქვს მიდრეკილება შაკიკისადმი, დიდხანს არ უნდა დარჩნენ **ფიჭვნარში**, რადგან ფიჭვი ახდენს მძიმე ენერგიის გენერაციას, რაც იწვევს ორგანიზმის გადაღლას, გადატვირთვას.

აკაცია უნივერსალურია. მისი ენერგია სიმხნევეს მატებს ყველას, განსაკუთრებით, ქალებს.

ძეწნა ადამიანის ენერგიის მსგავს ენერგიას გამოასხივებს. ამიტომ, რგავენ მას უფრო ხშირად ხეივნებში, სადაც ისინი ერთიან ბიოენერგეტიკულ გვირაბს ქმნიან.

არყის ხე ინდივიდუალურ მიდგომას მოითხოვს. ის ზეგავლენას ახდენს მხოლოდ იმ ადამიანზე, რომელსაც მთელი არსებით უყვარს ეს ლამაზი ხე. ამას თავისი მიზეზი აქვს: არყის ხეს აქვს უნარი, შეიგრძნოს ესა თუ ის ფსიქიკური მდგომარეობა ადამიანისა და სათანადო, შესაბამისი რეაგირება მოახდინოს.

ძველთაგანვე ადამიანის ჯანმრთელობის ერთ-ერთ საწინდრად ხე და მისი სხვადასხვა ნაწილი მიაჩნდათ.

თუ როგორ უნდა ვიმკურნალოთ ხით, ზეპირგადმოცემას ვეყრდნობით. ამას კი, ხშირად მცდარ გადაწყვეტილებამდე მივყავართ. ამიტომ, საჭიროა შესაბამის სპეციალისტს, ე.წ. დენდროთერაპევტს ან ნატუროპათს მივმართოთ.

გთავაზობთ რამდენიმე რჩევას:

ორგანიზმის ენერგეტიკული კვება: დაჯექით მოხერხებულად, მოდუნდით. ხელ-ფეხი, თითები შეძლებისაგვარად მოადუნეთ. ფეხები ვერხვის ბიოკორექტორზე (გამოჭერით ხისგან რგოლი) დადგით, კეფაზე კი — არყის ხისა დაიდეთ. სეანსის ხანგრძლივობა 10 წთ-ია. გამაჯანსაღებელი კურსი — 10 სეანსი. გაცივების დროს: დაჯექით ან დაწექით, ვერხვის ბიოკორექტორი მზის წნულზე დაიდეთ, არყისა — კეფაზე. სეანსის ხანგრძლივობა 10 წუთია, მკურნალობის კურსი — 8 სეანსი.

გულის არეში ტკივილის აღსაკვეთად: დაწექით და მოდუნდით, ვერხვის ბიოკორექტორი გულის არეში დაიდეთ, თუ მემარჯვენე ხართ, თუ ცაცია — მარცხენა ბეჭს ქვემოთ. პროცედურის ხანგრძლივობაა 5-10 წუთი.

სახის კანის გაახალგაზრდავება და თმის ძირების გამაგრება: ვერხვის ბიოკორექტორი დაიდეთ კეფაზე ან რიგრიგობით დაიდეთ სახის ხან მარცხენა, ხან მარჯვენა მხარეს — იმისდა მიხედვით, რომელი ნაწილის გაახალგაზრდავებაც გინდათ. ვერხვის ბიოკორექტორი სახეზე 5 წთ-ს გაიჩერეთ. შემდეგ გააგრძელეთ არყის ხის ბიოკორექტორით, გაიჩერეთ 10 წუთი. სახის კანის გასაახალგაზრდავებელი პროცედურისთვის თითოეული ორად გაყავით — ვერხვის ხის გადანაჭერი (გადანახერხი) სახის თითოეულ მხარეს 2,5 წთ-ით გაიჩერეთ, არყის ხისა — 5 წუთით.

კბილის ტკივილი: ვერხვის ბიოკორექტორი მტკივნეული ადგილის ახლოს 5 წთ-ით გააჩერეთ. თუ ტკივილი არ დაგიცხრათ, 10 წუთით შეისვენეთ და პროცედურა გაიმეორეთ.

სურდო: ვერხვის ბიოკორექტორი სახეზე ისე მიიდეთ, რომ მისი შუაგული ცხვირის ფუძეს უსწორდებოდეს. გააჩერეთ 5-10 წთ. სეანსი დღეში 2-3-ჯერ გაიმეორეთ. მკურნალობის ხანგრძლივობა 5-7 დღეა...

ტაინაია ვლასტ №6

თავის ტკივილი წითელი ღვინისგან

ერთი ჭიქა წითელი ღვინის მიღება ამაგრებს გულს და კარგ ხასიათზე აყენებს ადამიანს. თუმცა, ხშირად ჭიქა ღვინო თავის ტკივილის მიზეზიც ხდება. წითელი ღვინისგან გამოწვეულ თავის ტკივილებს სხვადასხვა ექსპერტი სხვადასხვანაირად ხსნის: ნაწილი მიიჩნევს, რომ დამნაშავეა ის სულფატები, რომელსაც ღვინოებს მათ შესანახად უმატებენ. სხვანი კი თვლიან, რომ თავის ტკივილს იწვევს წითელ ღვინოში არსებული ჰისტამინები (ჰისტამინი — ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებაა, რომელიც სისხლძარღვთა შევიწროებას იწვევს) და თეთრ ღვინოსთან შედარებით წითელში 200-ჯერ მეტია. არსებობს მოსაზრება, რომ შესაძლოა ღვინოში არსებული ტანინი თავის ტკივილის მიზეზად იქცეს, ვინაიდან ის სეროტონინის დონეს მაღლა სწევს. რა თქმა უნდა, თავის ტკივილის გამომწვევად, შესაძლოა, თვითონ ალკოჰოლიც მივიჩნიოთ. ჰარვარდის სამედიცინო სკოლის ექსპერტები ღვინის მოყვარულებს თავის ტკივილის ასაცილებლად ურჩევენ მიირთვან:

— ღვინო, რომელშიც სულფატები არ არის;
— ნაკლებტანინიანი ღვინოები;
— ახალგაზრდა, ნაკლებალკოჰოლიანი ღვინოები;
— ანტიჰისტამინური აბები ღვინის დალევამდე.

ნიუ ზუიქი

[illegible]

შვედმა მეცნიერებმა ალერგიული რეაქციის მექანიზმის შესწავლისას აღმოაჩინეს, რომ ალერგიული ადამიანები სხვებთან შედარებით:

1. მეტი ნაყოფიერებით გამოირჩევიან;
2. ნაკლებად აგრესიულები არიან;
3. აქვთ უფრო დახვეწილი, ფაქიზი ყნოსვა და მახვილი სმენა;
4. უკეთესად ერკვევიან რთულ სიტუაციაში, კონფლიქტების გარეშე პოულობენ გამოსავალს;
5. ხელის შეხებით ადვილად სცნობენ საგნებს;
6. ადვილად განსაზღვრავენ ქვეყნიერების მხარეებს და უცნობ ადგილებში პოულობენ გზას.

მათ აქვთ კიდევ ერთი საოცარი თვისება:

იმის გამო, რომ ალერგიული რეაქციის დროს გარკვეული რაოდენობის ჰისტამინი გამოიყოფა, ალერგიკი იძენს ყოველგვარი ინფექციებისა და C ჰეპატიტისაგან ბრწყინვალე დამცველს; ე.ი. ალერგიის ეპიდემიის დროს ალერგიკი უფრო ადვილად უმკლავდება დაავადებას, ვიდრე ჯანმრთელი ადამიანი.

გარდა ყოველივე ამისა, ალერგიკი დიდი ინტელექტით გამოირჩევა, როგორც წესი, ისინი ადვილად ითვისებენ ცოდნას და წარმატებითაც ახორციელებენ იდეებს.

კომსომოლსკაია პრავდა №104

არ გეხმარებათ? ეს თქვენი ბრალია...

ყველა დიდ პედაგოგს მიაჩნდა და მიაჩნია, რომ პასუხისმგებლობის გრძნობის გამოსამუშავებლად, ნებისყოფიანი ადამიანის აღსაზრდელად საუკეთესო საშუალებაა შრომა — ამასთან, არა გმირული, არამედ ჩვეულებრივი, ყოველდღიური შრომა ოჯახში.

აღზრდის მთავარი შეცდომა

ძალიან ცდებიან ის მშობლები, როდესაც „შრომით თერაპიას“ მომავლისთვის გადადებენ ხოლმე: „პატარაა, გაიზრდება და მერე...“ შედეგად 12-14 წლის მოზარდი ჩამოყალიბებული ზარმაცია. სამწუხაროდ, ამ ასაკშივე მთავრდება განუსაზღვრელი „მშობლიური თერაპია“. გადაღლილი და გაწამებული დედა, რომელიც ამდენი ხანი უთქმელად აკეთებდა ყველა საოჯახო საქმეს, ელოდება, ბავშვები გაიზრდებიან და ხელს შემაშველებენო, მაგრამ სულ ტყუილად... თუ მანამდე მარტო სათამაშოების ალაგება უხდებოდა, ახლა დაემატა ტანსაცმელი, კასეტები, დისკები, ჟურნალები... ფსიქოლოგები გვირჩევენ 3-4 წლის ასაკიდანვე მივაჩვიოთ პატარა შრომას, მათი მტკიცებით, სწორედ ამ ასაკში უჩნდება ბავშვს სურვილი გახდეს „დიდი“ და „სასარგებლო“ ოჯახისთვის. ცდილობს მიბაძოს უფროსებს და იმოქმედოს დამოუკიდებლად.

კი არ გავალებ, გთხოვ...

როგორც კი დედა იწყებს სახლის დალაგებას, პატარაც მის გვერდით ჩნდება. დედა, ნაცვლად იმისა, რომ შეაქოს, ცდილობს ბავშვი მოიშოროს, რათა არ დასველდეს, არ დაისვაროს, არ გაცივდეს, ოთახი არ დაანაგვიანოს და ა.შ. მშობლებო, დაიმახსოვრეთ, რომ იმ დროს, როდესაც ამა თუ იმ მიზეზით აიძულებთ ბავშვს, თავი დაანებოს ოთახის დალაგებას, რეცხვას, ამით თქვენ მასში კლავთ შრომის სურვილს.

შეთანხმება ფულზე ძვირფასია

უფრო ადვილია შეცდომების არდაშვება, ვიდრე მათი გამოსწორება — აცხადებენ დიდი პედაგოგები. თუმცა მაშინაც კი, როდესაც გამოუცდელი მშობელი ცდება, შეუძლია შეცდომა გამოასწოროს... ნუ დახარჯავთ ენერგიას თხოვნაზე. თუკი პატარა ჯიუტად არიდებს თავს საოჯახო საქმიანობას. უბრალოდ დაელოდეთ, როგორც კი დასჭირდება თქვენგან რამე, შეგიძლია პირობით წაუყენოთ: „სიამოვნებით შევასრულებდი შენს თხოვნას, მაგრამ შენ რომ არ შეასრულე ჩემი თხოვნა, როგორ გგონია, სწორია?“ ამ შემთხვევაშიც შეიძლება ბავშვმა წინააღმდეგობა გაგიწიოთ. ნუ აჩქარდებით, მოიკრიბეთ მოთმინება — ის აუცილებლად უკან დაიხევს და მომავალში შეეცდება დაგეხმაროთ... მხოლოდ ავანსად ნურაფერს მისცემთ.

ლიზა №24

ენდომეტრიოზი

ენდომეტრიოზი არის საშვილოსნოს ქსოვილის — ენდომეტრიუმის — განვითარება მისთვის უჩვეულო ადგილას — მუცლის ღრუში, საშვილოსნოს კედელში, საკვერცხეებში და სხვ.

არსებობს უამრავი თეორია, რომელიც ენდომეტრიოზის განვითარებას ხსნის. მათ შორისაა იმუნურ-ენდოკრინული, რომელიც შეიძლება უეცრად გამოვლინდეს. საწყის სტადიაზე მისი მკურნალობა ქირურგიული ჩარევის გარეშეც შეიძლება მოგვარდეს.

მენსტრუალური ციკლის დროს საშვილოსნოს ენდომეტრიუმი ჩამოიფცქვნება. ასეთ ცვლილებებს განიცდის ის ენდომეტრიუმიც, რომელიც საშვილოსნოს გარეთ, უჩვეულო ადგილას არის განთავსებული.

დიდი ხნის მანძილზე დაავადებამ შეიძლება არც შეგაწუხოთ. ამავე დროს უჩვეულო ადგილას არსებული ენდომეტრიუმის ქსოვილი ისევე „იქცევა“, როგორც მენსტრუალური ციკლის ზეგავლენით საშვილოსნოს ქსოვილი. როდესაც სისხლის გამოყოფის დრო მოდის, ის გროვდება დახშულ სივრცეში, წარმოქმნის კვანძებს... თუ ენდომეტრიოზი შინაგანია, მაშინ სავარაუდოა მიომის განვითარება, თუ დაზიანებულია საკვერცხეები — მაშინ ჩნდება ენდომეტრიული კისტა. თუ ენდომეტრიული ქსოვილი კვერცხსავალ მილებშია, ვითარდება მათი გაუვალობა, შედეგად კი უნაყოფობა, საშვილოსნოსგარეთა ორსულობა, შეხორცებითი დაავადება.

ექსტრაგენიტალური ენდომეტრიოზით ზიანდება ნაწლავები, ფილტვები, ტვინი, თვალი.

თუ ენდომეტრიუმის ქსოვილი საშოს უკანა კედელზეა მიზრდილი, შეუძლებელია სქესობრივი ცხოვრება.

დიაგნოზის დასმა კვალიფიციური სპეციალისტისთვის 90%-იანი ალბათობით არის შესაძლებელი. მაშ ასე, რამ უნდა განაპირობოს თქვენი გინეკოლოგთან ვიზიტი:

— მენსტრუაციის წინ ტკივილი.
— სქესობრივი ცხოვრების დროს ტკივილი.
— მენსტრუაციის წინ ყავისფერი გამონადენი.
— უნაყოფობის პერიოდი (თუკი თქვენ დიდი ხანი თავს არ იცავდით, მაგრამ არ დაორსულდით).

კლინიკური დათვალიერება დაგეხმარებათ დიაგნოზის დასმაში, მაგრამ საბოლოო დიაგნოზი მაინც ჰისტოლოგიური გამოკვლევის საფუძველზე ისმება! კეთდება ექოსკოპიური გამოკვლევა. მოწოდებულია რენტგენოლოგიური გამოკვლევა, ლაპარასკოპია, სისხლის ანალიზი სპეციალურ მარკერზე. მისი საშუალებით ხდება მკურნალობის პროცესზე კონტროლი.

ენდომეტრიუმის ნაწილი განიცდის ქალის ციკლური ხასიათის ცვლილებებს. ასე რომ, მისგან განკურნება მენოპაუზის შემდეგ თავის თავად ხდება, ასევე ლაქტაციის (ძუძუს წოვება), ფეხმძიმობის პერიოდში. ასე რომ, ენდომეტრიოზის მსუბუქი ფორმის დროს, როდესაც ქალი ორსულდება, ეს დაავადების საუკეთესო მკურნალობაა. 9 თვე მენსტრუაციის გარეშე და შემდეგ ლაქტაციის პერიოდი შესაძლოა დაავადებისგან საბოლოო განკურნების საფუძველი გახდეს.

ამაზევეა დაფუძნებული კონსერვატული მკურნალობაც — მოხდეს ფსევდომენოპაუზის ფორმირება, რომელსაც გარდამავალი ხასიათი ექნება.

ენდომეტრიოზის მძიმე ფორმის დროს იყენებენ დამატებით მკურნალობასაც — ენდომეტრიუმის ქსოვილის ოპერაციული ამოკვეთა. ეფექტურია მკურნალობის ორივე მეთოდის კომბინირებაც — ოპერაციული ჩარევის შემდეგ, ჰორმონალური თერაპია.

ფსევდომენოპაუზის მდგომარეობა გრძელდება 6 თვე და ქალის ჯანმრთელობისთვის საზიანოა. ყველაზე ეფექტურია იმ ქალის მკურნალობა, რომელსაც ფეხმძიმობა სურს: 6 თვე მკურნალობა, 9 თვე ფეხმძიმობა და შემდეგ ლაქტაციის პერიოდი. ეს პრობლემას ერთხელ და სამუდამოდ აგვარებს.

გაითვალისწინეთ! ენდომეტრიოზი უნაყოფობის 50%-შია დაფიქსირებული. ეს იმით არის განპირობებული, რომ მას თან ახლავს შეხორცებითი ცვლილებები — საკვერცხეები ძნელად გამოსაყოფია საშვილოსნოსა და მუცლის ფარისგან. შეხორცებები ხელს უშლის კვერცხუჯრედების გადაადგილებას.

დაავადების დროს შეცვლილია ჰორმონალური ფონიც. დიდი რაოდენობით ხდება ესტროგენების წარმოქმნა. ჩვეულ დონეზე ადრე ხდება ერთ-ერთი ჰორმონის გამომუშავება, რომელიც კვერცხუჯრედის მომწიფებას განაპირობებს. ამის გამო ოვულაცია დროზე არ ხდება. საშვილოსნო არ არის მზად ემბრიონის მისაღებად. გამომუშავდება ნივთიერებები, რომელიც ხელს უშლის სპერმატოზოიდების მოძრაობას. ამ დროს მოწოდებულია კონსერვატული და ქირურგიული ოპერაციები. მაგრამ თუკი მკურნალობა ერთი წლის შემდეგაც უშედეგოა, რეკომენდებულია ექსტრაკორპორალური განაყოფიერება. ქალის მწიფე კვერცხუჯრედებს ანაყოფიერებენ სპერმატოზოიდებით (ქმრის) და შემდეგ ემბრიონი გადააქვთ დედის საშვილოსნოში.

ენდომეტრიოზის პროფილაქტიკა ძალზე მარტივია: ეცადეთ, რაც შეიძლება ნაკლები იმოძრაოთ მენსტრუაციის დროს. გამორიცხეთ სპორტი, საშინაო მძიმე საქმიანობა (იატაკის მოწმენდა). კრიტიკულ დღეებში, რაც არ უნდა კარგად გრძნობდეთ თავს, ორგანიზმი მაინც დაძაბულია. რაც შეიძლება მეტი დაისვენეთ.

გახსოვდეთ! ენდომეტრიოზის დროს არ შეიძლება თვითმკურნალობა. რეკომენდებულია დაავადების უგულებელყოფა ლაქტაციის, ფეხმძიმობისა და მენოპაუზის დროს.

აუცილებელია ყველა გამოკვლევის ჩატარება, რომელსაც ექიმი დაგინიშნავთ, რათა დარწმუნდეთ, რომ მთლიანად განიკურნეთ.

მაია მუხიგული

ელექსირი გასაახალგაზრდავებლად

სანამ მსოფლიო პლასტიკური ოპერაციებით ახალგაზრდავდება, ჩვენ შემოგთავაზებთ სასწაულების მომხდენ რეალურ საშუალებებს:

— **მოდუნება, მოშვება** — მნიშვნელოვანი პირობაა ახალგაზრდობისა და ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად. როცა სახე მოდუნებულია, ეშვება მთელი სხეული. საამისოდ: მიიღეთ სხვადასხვა გამომეტყველება სარკეში, გაიღიმეთ მთელი პირით, გამოწიეთ წინ ტუჩები, მოლუშეთ წარბები, აჭიმეთ ზევით, თითქოს გიკვირთ რაღაც. ბოლოს, შთააგონეთ თავს: „მე მოვეშვი“, დაიდეთ ხელი შუბლზე და შეიგრძენით მისი სითბო ან ხელი აიქნიეთ სახის წინ, თითქოს იშორებთ დაძაბულობას.

— **ნაოჭების გასწორება**. წარმოიდგინეთ თქვენი სახე, ნაოჭები და წარმოდგენითვე დაიწყეთ მათი გასწორება. გამჭოლი ნაოჭები სხვადასხვა მხარეს გადაჭიმეთ, ჰორიზონტალური — ზევით და ქვევით, გაასწორეთ ისინი. ამ დროს სითბოს შეგრძნება უნდა გქონდეთ. ნაოჭებს ხელით არ შეეხოთ. წარმოიდგინეთ, რა გადატკეცილი კანი და რა კარგი ფერი გაქვთ. ასევე შეიძლება გაასწოროთ ნაოჭები ყელზე, ხელებზე.

— **ენერგეტიკული მასაჟი**. მასაჟის წინ კარგად გაითბეთ ხელები. მარჯვენა ხელი მარჯვენა თვალიდან 10სმ-ის მოშორებით დაიჭირეთ და საათის ისრის მიმართულებით მარჯვენა თვალის ირგვლივ ხელით სამი წრე მოხაზეთ. თან შთააგონეთ თავს: „ვასწორებ ნაოჭებს. ნაოჭები ქრება“. შეკარით მუშტი და მოიშორეთ უარყოფითი ენერგია. გადაისროლეთ ის ქვემოთ, ვითომ სანთლის ალზე წვავთ. ვარჯიში გაიმეორეთ სამჯერ. შემდეგ გააკეთეთ იგივე მარცხენა ხელით მარცხენა თვალზე, პირის ირგვლივ, მთელ სახეზე.

მონახეთ დრო ამ ვარჯიშებისთვის და არ დაგჭირდებათ არავითარი პლასტიკური ოპერაცია.

ჟენსკიე დელა №10

შვრიის ფაფა – გამჭრიახი გონებისა და რკინის კუნთებისთვის

ბოლო ხანებში ძალიან ბევრმა გაუსინჯა გემო და შეიყვარა ე.წ. „მუსლი“. მართლაც, დილით მისი ჭამა კარგია არა მარტო იმიტომ, რომ მისით იწყებენ დღეს ჰოლივუდის ვარსკვლავები და ტოპ-მოდელები, არამედ იმიტომაც, რომ მის მომზადებას ძალიან მცირე დრო სჭირდება.

ასეა თუ ისე, შვრიამ თავისი ადგილი დაიკავა პოპულარულ პროდუქტებს შორის...

მთავარი მაინც ის არის, რომ შვრია ძალიან სასარგებლოა. ვის არ გამოუცდია მისი კეთილისმყოფელი ზეგავლენა მძიმე ავადმყოფობისა და ოპერაციების შემდეგ. ის უებარია წყლულოვანი დაავადებებისას, აწერიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას, აუმჯობესებს ღვიძლისა და თირკმლების ფუნქციას, და ყველაფერი ეს — შვრიაში დიდი რაოდენობით არსებული (18%-მდე) ცილის, ადვილად ასათვისებელი ნახშირწყლების (60%-მდე), ხარისხიანი ცხიმების (5-8%-მდე) წყალობით. ძალიან სასარგებლოა ათეროსკლეროზით დაავადებული ადამიანებისთვის შვრიის განმტვირთავი დღეების მოწყობა, რისთვისაც საჭიროა 200 გ შვრიის ბურღულისგან შაქრისა და ცხიმის გარეშე მოხარშონ ფაფა, მიიღონ 5 მიღებაზე და დააყოლონ ასკილის ნაყენი.

შვრია ვიტამინების და მიკროელემენტების უშრეტი წყაროა. მასში ბევრია ვიტამინები: B_1, B_2, B_6, E, PP, კაროტინი, ბიოტინი და სხვა. სწორედ ბიოტინის მაღალი შემცველობის წყალობით, შვრიის ფაფეული სასარგებლოა მათთვის, ვინც დიდი ხნის განმავლობაში ღებულობდა ანტიბიოტიკებს ან დაავადებულია დისბაქტერიოზით. დაბოლოს, თურმე შვრია ამაღლებს შრომისუნარიანობას, ხელს უწყობს ყურადღების კონცენტრაციას, აუმჯობესებს გუნება-განწყობილებას, რასაც მიაწერენ შვრიის ცილაში დიდი რაოდენობით ამინომჟავა ტრიპტოფანის შემცველობას. ასე რომ, დაიწყეთ დღე შვრიის ფაფით, როგორც ამას ინგლისელები აკეთებენ...

ლიზა №23

სისხლში შაქრის საზომი აპარატები
სერტიფიცირებული
სიახლე!!!
კომპლექტი: აპარატი; 50ც. ტესტ-ჩხირი; ავტოკალამი.
159 ლარად + 25ც. ტესტ-ჩხირი საჩუქრად!
შპს „კონტრასტი“, ბორჯომის ქ. №4
☎ 35-44-05; 899-19-60-55

ვმკურნალობთ
ქრონიკულ პროსტატიტს
— ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წუთში;
— ექოსკოპია იაპონური აპარატურით;
— კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის აპარატით „ინტრატონი“, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.
მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №7 (სპორტის სასახლის უკან, მარჯვნივ). 10-14 სთ.

SGS - მსოფლიო სექსოლოგთა ასოციაციის და ევროპის სექსოლოგთა ფედერაციის წევრი
SGS - თანამედროვე ტექნიკური ბაზა
SGS - მაღალკვალიფიციური ექიმი-სექსოლოგები და ფსიქოლოგები
SGS - განკურნების მაქსიმალური გარანტია
SGS - აბსოლუტური ანონიმურობა

ჩვენი პროფესიონალიზმი თქვენი თვითდაჯერების გარანტიაა!!!

ექიმი-სექსოლოგები, ფსიქოლოგები და ფსიქოთერაპევტები მზად არიან დაგეხმარონ ყველა სახის სექსუალური დარღვევის, ნევროზული სიმპტომების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში.

1. სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, მათ შორის: „პირველი საქორწინო ღამის“ პრობლემები.
2. სქესობრივი აქტის გახანგრძლივება ან ნაადრევი დამთავრება.
3. იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება.
4. კონფლიქტები ოჯახში და მის გარეთ.
5. დეპრესია, ძილის დარღვევა, აკვიატება და ენერგეტიკული დაქვეითება.
6. კონტაქტის შიში და ურთიერთობის პრობლემები.

ფსიქოლოგიური და სექსოლოგიური სამსახური SGS
თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №5 (ყოფილი „ლეჩკომბინატი“), მე-2 სართ. კაბ. 21-22-23-24. ტელ: 29-34-39. მიღება 10-19 სთ-მდე



სამედიცინო ცენტრი მედი MEDI
ალ. ყაზბეგის გამზ №1 25-02-02 93-89-75

უკონტაქტო ეპილაცია ალექსანდრიტის ლაზერით

ტუჩების, მკერდის, ყურების ფორმის კორექცია

კონტურული მაკიაჟი
თვალებზე, წარბებზე, ტუჩებზე

სახის კანის გაახალგაზრდავება,ნაოჭების გასწორება
ოქროს ძაფებით, ბოტოქსის ინექციებით

რატომ გამხეცდა რუსეთი?

მათ, ვისაც ეშინიათ, რომ პუტინი პოლიციურ სახელმწიფოს შექმნის, ნუღარ შეეშინდებათ.

...ფანჯრები ჩალეწეს, მანქანები დაწვეს... 50 ადამიანი საავადმყოფოში მოხვდა, ორი დაიღუპა. ეს არის პუტინისეული რუსეთის ჭეშმარიტი სახე? ნუთუ დისციპლინის დახვეწილი დამცველი, რომელიც „კანონის დიქტატურას" ჰპირდებოდა თანამემამულეებს, ამის ნაცვლად ქვეყანას საშინელი უკანონობის მორევში ჩახრჩობის ნებას მისცემს? კრემლის კედელთან შექმნილი ქაოსი იმ მომენტში რუსეთის სახეს წარმოადგენდა... ამ უღირსმა სცენებმა სულაც არ გაზარდა 2008 წელს რუსეთში ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის ჩატარების შანსი. ჩვენ თვალწინ დატრიალებულმა საფეხბურთო ძალადობამ გვიჩვენა, რომ რუსეთი ამაოდ ცდილობს, თავი ცივილიზაციის ახალ დასაყრდენად წარმოაჩინოს.

თაიმსი

რამსფელდმა პაკისტანი და ინდოეთი შეარიგა... შესაძლოა, დროებით

ინდოეთის სამხედრო დაზვერვის მონაცემებით, ქაშმირის პაკისტანის ზონას „ალ-ქაიდას" 3 ათასამდე ბოევიკი აფარებს თავს. ორი მათგანი მოკლეს ჯამასა და ქაშმირის შტატის საზღვარზე გადასვლისას. ტერორისტების მიზანია, პაკისტანსა და ინდოეთს შორის კონფლიქტის პროვოცირება, ჯამასა და ქაშმირის შტატში შემოდგომაზე დანიშნული საკანონმდებლო ასამბლეის არჩევნების ჩაშლა. როგორც ჩანს, დონალდ რამსფელდი, რომელმაც „შედეგიანი მოლაპარაკება" გამართა დელიში, კარგად იცნობს ინდოეთის ხელისუფლების პოზიციას. მან ვაჯპაის მთავრობის მცდელობას, რეგიონში დაძაბულობის შესამცირებლად, „კონსტრუქციული" უწოდა.



რამსფელდის ვიზიტის წინ ინდოეთმა პაკისტანის სამოქალაქო თვითმფრინავებს თავის საჰაერო სივრცეში ფრენის ნება დართო (რაც დაძაბულობის დაწყებისთანავე აიკრძალა), თავადაც შეწყვიტა (აშშ-ის მოწოდების საპასუხოდ) სამხედრო პატრულირება არაბეთის ზღვაში.

ინდოეთისაგან განსხვავებით, პაკისტანი, ეტყობა, მზად არ იყო რამსფელდის ვიზიტისათვის. მუშარაფის ხელისუფლებას აქტივში ჩასაწერი არაფერი აქვს, სამაგიეროდ, პასივში უამრავი მამხილებელი ფაქტი გააჩნია. მაგალითად, ექსტრემისტულმა დაჯგუფებებმა: „ლაშქარ-ე თაიბამ" და „ჰიზბი ულმუჯაჰედინმა" გამოაცხადეს, რომ შტატში სამხედრო კამპანიას გააჩაღებენ ადგილობრივი ადმინისტრაციის, არმიისა და პოლიციის წინააღმდეგ.

პაკისტანელი სამხედროები ირწმუნებიან, რომ მათი არმია ბოევიკებს აქტიურად ებრძვის, თუმცა ეს ჯერჯერობით არ დასტურდება. პაკისტანსა და ინდოეთში მყოფ აშშ-ის თავდაცვის მინისტრს, დაპირისპირებული მხარეების მორიგების გარდა, სხვა მიზანიც ჰქონდა: აშშ-ს სურს ქაშმირში დაბანაკდნენ ამერიკული სათვალთვალო ტექნიკით აღჭურვილი უცხოელი სამხედრო დამკვირვებლები. დელიში რამსფელდის მიერ გაკეთებული სენსაციური განცხადება, ქაშმირის საკონტროლო ხაზზე „ალ-ქაიდას" ბოევიკები მოქმედებენო, პაკისტანმა კატეგორიულად უარყო. პრეზიდენტ მუშარაფის პრესმდივნის, გენერალ რაშიდ კურეშის თქმით, ბინ ლადენის თანამებრძოლებს ძალიანაც რომ ნდომებოდათ, ქაშმირის გამყოფ ხაზამდე ვერაფრით ვერ მიაღწევდნენ.

თაიმს ოფ ინდია

მოშიმშილეები ვიღას ახსოვდა

რომში გაიმართა შიმშილის პრობლემებთან დაკავშირებული სამიტი. ამ უაზრო თავყრილობას მსოფლიოს უღარიბესი ქვეყნების ლიდერების გარდა განვითარებული ქვეყნებიდან მხოლოდ იტალიისა და ესპანეთის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. შიმშილთან ბრძოლის აუცილებლობაზე კი ილაპარაკეს, მაგრამ რეალურად არაფერი გაკეთებულა. საერთოდ, სამიტი ალბათ შეუმჩნევლად ჩაივლიდა, მასთან დაკავშირებით სკანდალი რომ არ მომხდარიყო:

პრესაში შემთხვევით მოხვდა ინფორმაცია, თუ რას მიირთმევდნენ შიმშილთან ბრძოლის პრობლემების გადასაწყვეტად შეკრებილნი. მენიუ მეტად მრავალფეროვანი და მდიდრული იყო. თუმცა, მოშიმშილე ქვეყნების ლიდერებს იმიჯს გაზეთის პუბლიკაციები ალბათ ვერ შეულახავს — ზიმბაბვესა და უგანდაში ევროპულ გაზეთებს არ კითხულობენ...

შტერნი

მოლა ომარი და ჰექმათიარი ერთიანდებიან



ქაბულელებს თითქოსდა ვეღარაფერი შეაშინებს — ბოლო ათწლეულების მანძილზე მათ ომებისა და თალიბთა მმართველობის ყველა „სიკეთე" იწვნიეს. თუმცა ამ ადამიანის სახელის გაგონება თავზარს სცემთ. გულბედინ ჰექმათიარი, რომელსაც „ვამპირის" სახელით იცნობენ, ირანიდან ცოტა ხნის წინ დაბრუნდა.

საბჭოთა ოკუპაციის დროს ჰექმათიარი პაკისტანის ქალაქ პეშავარში იყო დაბანაკებული და ერთ-ერთი იმათგანია, ვინც პაკისტანის შუაკაცობით აშშ-დან მილიონობით დოლარს იღებდა ავღანეთში საბჭოთა ჯარის წინააღმდეგ საბრძოლველად. ჰექმათიარის ბანდიტები არც თავისიანების ძარცვა-გლეჯას თაკილობდნენ, სხვა საველე მეთაურებს ფულსართმევდნენ, ტყვედ ჩავარდნილ საბჭოთა ოფიცრებსა და ჯარისკაცებს არაადამიანურად აწამებდნენ. „ვამპირის" ისე ეშინოდათ, რომ 1992 წელს, პროსაბჭოთა რეჟიმის დაცემის შემდეგ, პრემიერ-მინისტრადაც კი დანიშნეს. მან რამდენიმე თვეში ქაბულში სისხლის ზღვა დააყენა, ქალაქი დაანგრია და მერე თალიბებს ირანში დაემალა. „დღევანდელი ავღანეთისთვის ჰექმათიარი უფრო საშიშია, ვიდრე ალ-ქაიდა", — ამბობენ ქვეყნის ლიდერები.

ავღანეთის შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფები და აშშ-ის სპეცრაზმი ერთობლივ ოპერაციებს ახორციელებენ ჰექმათიარისა და მისი 200-კაციანი ბანდის გასანადგურებლად. დღემდე ჩატარებული ოპერაციები უშედეგოდ დასრულდა. შეერთებული შტატები შეაშფოთა ავღანეთის ეროვნული უშიშროების სააგენტოს ცნობამ — ერთმანეთს შეხვდნენ თალიბთა ლიდერი მოლა ომარი და ჰექმათიარი. ომარმა შესთავაზა „ნოჰზათ-ალ-ფათჰის" (გამარჯვების პარტია) შექმნა, რომელიც გააერთიანებს ჰექმათიარის მიმდევრებს, თალიბებსა და „ალ-ქაიდას" წევრებს. მათ სათავეში ჰექმათიარი ჩაუდგება, ხოლო პარტია განუწყვეტელი ტერაქტებით აიძულებს უცხოელებს, ავღანეთის ტერიტორიის დატოვებას. ჰექმათიარი ამ წინადადებას დათანხმდაო. ამერიკელების ავღანეთში შესვლისთანავე ჰექმათიარმა განაცხადა, — ავღანეთს სასაფლაოდ ვაქცევთ მათთვის, ვინც ჩვენი ქვეყნის დაპყრობას შეეცდებაო. როგორც ჩანს, „ვამპირი" დანაპირების ასრულებას იწყებს. ამის დასტურია ის, რომ გულბედინ ჰექმათიარი უკვე ავღანეთშია.

ნიუზუიქი

არავინ, შირაკის გარდა

ტიტულების დარიგებისას ნაპოლეონი ითვალისწინებდა არა მარტო თავისი მხედართმთავრების სტრატეგიულ ნიჭს, არამედ იღბალსაც, რომელიც მათ მხარზე აჯდა. იმპერატორი უსათუოდ უბოძებდა ჟაკ შირაკს მარშლის კვერთხს ბრწყინვალე გამარჯვებისთვის, რომელიც მან ბოლო თვე-ნახევრის განმავლობაში მოიპოვა. 69 წლის ჟაკ შირაკმა თავისი მოწინააღმდეგეები ორ-ორჯერ დაამარცხა საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებში. ცხადია, იღბლიან შირაკს ბედმაც გაუღიმა — მისმა მთავარმა კონკურენტმა, სოციალისტმა ლიონელ ჟოსპენმა უკან დაიხია და წინ გაუშვა ჟან მარი ლე პენი. ფორტუნამ შირაკს არჩევნებამდე სულ რამდენიმე დღით ადრე ყველა წინააღმდეგობა გადაალახვინა და ერთიანი მემარჯვენე მოძრაობა შეაკვრევინა. შირაკს შეუძლია გაიმეოროს ქრესტომათიული ფრაზა — „არის ასეთი პარტია", რადგან იგი პარლამენტში აბსოლუტური უმრავლესობით გავიდა — 577 მანდატიდან 354 შირაკის პარტიელებს ეკუთვნით.

მემარჯვენეებს 5 წელი აქვთ იმისთვის, რომ შეცვალონ საფრანგეთი, — აცხადებს მათი რუპორი გაზეთი „ფიგარო". მაგრამ შეძლებენ კი მემარჯვენეები დანაპირების შესრულებას, დაამყარებენ ქვეყანაში წესრიგს? ვაითუ, ისევე როგორც ხუთი წლის წინ, გამარჯვების ეიფორიის გასვლის შემდეგ ჩამოეყვინთოთ და უნებლიეთ შეუწყონ ხელი წითელ-ვარდისფერ-მწვანე კოალიციის დაბრუნებას, რომელსაც დღეს ძრწოლით იხსენებს მილიონობით ფრანგი.

იტოგი №24

მოკლედ

ჩრდილო კავკასიაში წყალდიდობის შედეგად დაიღუპა 24 ადამიანი, 3 უგზოუკვლოდ დაიკარგა, ათობით ადამიანი ჰოსპიტალიზებულია, ბევრი იძულებული გახდა დაეტოვებინა სახლ-კარი. დაინგრა ხიდები, დაზიანდა ელექტროგადამცემი ხაზები. კოკისპირული წვიმებით გამოწვეულმა წყალდიდობამ დაახლოებით 20 მლნ დოლარის ზარალი მიაყენა ჩრდილო კავკასიას.

გასულ კვირას **დედამიწა** ძლივს გადაურჩა სერიოზულ საფრთხეს — ფეხბურთის მოედნის ზომის ასტეროიდმა საათში დაახლოებით 35 ათასი კმ სიჩქარით ჩაუქროლა ჩვენს პლანეტას დაახლოებით 100 ათასი კმ-ის დაშორებით. დედამიწას რომ დასჯახებოდა, დაზიანდებოდა 1,5 ათასი კვკმ-ის ფართობი.

ჩინეთში დიდი უბედურება დატრიალდა: ინტერნეტ კაფეში, რომელიც დღედაღამ მუშაობდა, ხანძარმა ჩახერგა გამოსასვლელი. იქ მყოფმა ახალგაზრდებმა ფანჯრიდან სცადეს თავის დაღწევა, მაგრამ ცხაურის მოგლეჯა ვერ შეძლეს. ცეცხლში ჩაიწვა 24 ადამიანი, 13 მძიმედ დაშავდა.

ესპანეთის ქალაქ სევილიაში გაიმართა ევროკავშირის წევრი ქვეყნების მეთაურთა სამიტი. ორდღიანი შეხვედრის მთავარი თემა იყო არალეგალური იმიგრაციის პრობლემები.

ისრაელში, ქალაქ ნაბლუსთან, ხუთი ისრაელელი მოკლეს ებრაელთა დასახლებაზე თავდასხმისას. პალესტინელმა ბოევიკებმა ისარგებლეს ღამის სიბნელით, შეცვივდნენ შენობაში და სიცოცხლეს გამოასალმეს კიდევ ექვსი ადამიანი, მათ შორის სამი ბავშვი. ისრაელელმა ჯარისკაცებმა ალყაში მოაქციეს მომხდურნი. შეტაკება სამ დღეს გრძელდებოდა. ორივე მხრიდან 30-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა.

საქართველოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიის წმიდა ილია მართლის სახელობის

თბილისის ეროვნული უნივერსიტეტი

გიწვევთ სასწავლებლად სპეციალობებზე:

1. სამართალმცოდნეობა, 2. ჟურნალისტიკა,
3. ქართული ენა-ლიტერატურა, 4. უცხოური ენები - ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული.
5. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები,
6. ფინანსები და საბანკო საქმე, 7. ფილოსოფია და პოლიტოლოგია,
8. ფსიქოლოგია და სოციოლოგია,
9. ისტორია და რელიგიის ისტორია,
10. ხელოვნებათმცოდნეობა და სახვითი ხელოვნება,
11. ფიზიკა და მათემატიკა, 12. ქიმია და ბიოლოგია,
13. სკოლამდელი აღზრდა,
14. დაწყებითი განათლების პედაგოგიკა, მეთოდიკა და ფსიქოლოგია.

თბილისის ეროვნული უნივერსიტეტი

საბუთები მიიღება 10-16 სთ-მდე. პ. მელიქიშვილის ქ. №2 (ვერაზე, დიდი საკონცერტო დარბაზის წინ, 51-ე სკოლა).
☎ 92-30-36; 92-30-37; 37-31-32.

პუტინი და ლუკაშენკო ძალაუფლებას ვერ იყოფენ

რუსეთისა და ბელორუსიის პრეზიდენტების ბოლო შეხვედრა მაინცდამაინც სასიამოვნოდ არ დამთავრებულა — ეტყობა, ბევრ რამეზე ვერ შეთანხმდნენ. პუტინმა ლუკაშენკო საბჭოთა კავშირის აღდგენის მცდელობაში დაადანაშაულა, ლუკაშენკომ თავისი ახლობლების პირით თავი იმართლა — პუტინმა სწორად ვერ გამიგოო.

არც რუსეთი და არც ბელორუსია ბოლომდე არ ამხელენ, რაზე საუბრობდნენ მათი პრეზიდენტები, სამაგიეროდ, ჭორი ბევრი დადის — პუტინი და ლუკაშენკო რუსეთ-ბელორუსიის კავშირის სახელმწიფო მოწყობაზე მსჯელობდნენ, უფრო ზუსტად კი იმაზე, ვინ იქნება ამ კავშირში მთავარიო.

როგორც ამბობენ, ეს გეგმა მოსკოვსა და მინსკს სხვადასხვანაირი აქვთ. კრემლს სურს, რომ მომავალი სახელმწიფოს თავკაცი რუსეთის პრეზიდენტი იყოს, ბელორუსიის პრეზიდენტი კი მისი მოადგილე. ცხადია, ეს ლუკაშენკოს არ ეჭაშნიკება. ასე უთქვამს, — *კრემლის წინადადებას იმ შემთხვევაში მივიღებ, თუ მე, როგორც ვიცე-პრეზიდენტს, რუსეთის პრეზიდენტის გადაწყვეტილებაზე ვეტოს დადების უფლება მექნებაო.* თავისთავად, ბელორუსიას კავშირის მომავალი სხვაგვარად ესახება. მინსკის აზრით, კავშირს უნდა უხელმძღვანელოს ორი პრეზიდენტის, ორი მთავრობის მეთაურისა და პარლამენტის თავმჯდომარეებისგან შემდგარმა უმაღლესმა სახელმწიფო საბჭომ. ბელორუსიას მიაჩნია, რომ ყველა გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნეს არა ხმის მიცემის, არამედ კონსენსუსის გზით. ამბობენ, სწორედ ამ წინადადებამ გამოიწვია პუტინის რისხვა, რადგან ამაში საბჭოთა კავშირის აღდგენის მცდელობა დაინახაო.

მოსკოვსკი კომსომოლეცი №129

„მაგდალენა ოლდენდორფი" ყინულებში ჩაიჭედა

გერმანული კომპანია „ეგონ ოლდენდორფის" კუთვნილმა გემმა „მაგდალენა ოლდენდორფმა" 12 აპრილს კეიპტაუნიდან (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) კურსი ანტარქტიკისკენ აიღო. მას ტვირთი უნდა მიეტანა რუსეთის პოლარულ სადგურებზე და 79 სპეციალისტით შეეცვალა ზამთარგამოვლილი პოლარელები. გემმა თვე-ნახევარში შეასრულა დასახული ამოცანა და უკან გაბრუნდა. მაგრამ 30 მაისს, რუსეთის პოლარულ სადგურ ნოვოლაზარევსკაიას რაიონში ყინულებში ჩაიჭედა. გემის კაპიტანმა დახმარება კარგა ხნის შემდეგ ითხოვა. — რუსეთმა თავიდანვე იცოდა, რომ გემი მძიმე დღეში ჩავარდა, მაგრამ არაფრის გაკეთება არ შეგვეძლო. საზღვაო კანონმდებლობის თანახმად, გემის მეპატრონეს, ანუ გერმანულ კომპანიას, თავად უნდა გაეცხადებინა, მაშველი მჭირდებაო და, აქედან გამომდინარე, ამ ოპერაციის თანხებსაც თვითონ გადაიხდიდა. ჩანს, კაპიტანი ფიქრობდა, რომ საკუთარი ძალით შეძლებდა ყინულების ტყვეობიდან გემის გამოხსნას, მაგრამ ვერ შეძლო, — განუცხადა გაზეთ „იზვესტიას" ცნობილმა პოლარელმა, დუმის ვიცე-სპიკერმა არტურ ჩილინგაროვმა.

სამაშველო ოპერაცია დაიწყო. ბუენოს-აირესიდან გავიდა არგენტინის სამხედრო-საზღ-



ვაო ძალთა ყინულმჭრელი „ალმირანტე ტრიზარი", რომელზეც ორი შვეულმფრენია განთავსებული. კეიპტაუნიდან კი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის გემი „აგალსი" გაეშურა. იგი „მაგდალენა ოლდენდორფს" ვერ მიუახლოვდება, მაგრამ შვეულმფრენებით საკვებს მიაწოდებს და საჭიროების შემთხვევაში მგზავრებსაც გადაიყვანს. მოვლენები, შესაძლოა, შემდეგნაირად განვითარდეს: თუ ყინულმჭრელი „ალმირანტე ტრიზარი" ვერ შეძლებს „მაგდალენა ოლდენდორფის" გამოყვანას, მაშინ მგზავრებს შვეულმფრენებით გადაიყვანენ, ეკიპაჟს კი გემზე დატოვებენ. ისინი არქტიკულ ზაფხულს დაუცდიან, რომ თავადვე დააღწიონ თავი ყინულებს.

ჩილინგაროვის თქმით, რუსეთი ამ ოპერაციაში მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში ჩაერევა. ანტარქტიკის ათვისების მთელი ისტორიის მანძილზე რუსეთს პირველად მოუხდა უცხოეთის გემის დაქირავება ზამთარგამოვლილი პოლარელების ახლებით შესაცვლელად. გასულ წლებში ამ ოპერაციას გემი „აკადემიკოსი ფეოდოროვი" ახორციელებდა, მაგრამ ამჟამად მას ძრავა დაზიანებული აქვს. სხვათა შორის, „მაგდალენა ოლდენდორფი" წინათ რუსეთს ეკუთვნოდა და სხვა სახელით დაცურავდა. იგი ამჟამად გერმანელებს ეკუთვნის, კაპიტანი კი უკრაინელია.

იზვესტია №101

ამი კვირაა, რაც საგადასახადო დეპარტამენტს ახალი შეფი ჰყავს. 28 წლის ІАСЕ ზაუტაშვილს ბოლო პერიოდში დეპარტამენტის თავმჯდომარის მეოთხე მოადგილის თანამდებობა ეკავა. იგი საგადასახადო სისტემაში რეფორმის გაგრძელებას აპირებს:

— ყველაზე დიდი ცვლილება, რომელიც უახლოეს მომავალში განხორციელდება, აქციზური საქონლის მონიტორინგის ბიუროს უკავშირდება. ამ სამსახურის ფუნქციები ჩვენს კომპეტენციაში შემოვა. ძალიან კარგია მონიტორინგი, სრული აღრიცხვა, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი იქნება, თუკი აღრიცხული საქონელი აქედან მიღებულ შემოსავლებს შეესაბამება. ჩვენ უკვე დავიწყებთ კომპლექსურ მუშაობას. სულ მალე ქალაქის მასშტაბით ყველა ბენზინგასამართი სადგური დაილუქება, აიზომება ბენზინის რაოდენობა, დადგინდება რამდენი შემოაქვთ ყოველდღიურად, რამდენი ეყიდებათ და რა რაოდენობისაა მათ მიერ ფაქტობრივად გადახდილი თანხა. იგივე მოხდება სიგარეტთან მიმართებაშიც. ჩვენ ზუსტად ვევაში, მათი უძრავი ქონება უკვე ძველებურად აღარ იქნება ხელშეუხებელი. ხოლო უდიდესი დავალიანების მქონე ქარხნების მეპატრონეებს, რომელთა ქარხნებიც დღეს, ფაქტობრივად, მხოლოდ ქაღალდზე არსებობენ, მაგრამ აქვთ ქონება (მაგალითად ამწე, რომელიც შეიძლება ათასობით ლარი ღირდეს), კანონი უკვე დაავალდებულებს გაკოტრების შესახებ შეიტანონ საქმე, ხოლო ქონება აუქციონზე გაიყიდება. გსმენიათ, გადასახადის გადაუხდელობის გამო ვინმე დაეჭირათ ან მსხვილი საწარმოს ქონება გაეყიდათ და ამით ბიუჯეტის დავალიანება დაეფარათ? საგადასახადო სამსახური ამის პრეცედენტს ახლო მომავალში შექმნის. ჩვენ ამას ანტიკორუფციული ბიუროც გვავალდებულებს. საგადასახადო ტვირთი ყველა გადამხდელისთვის ერთნაირი უნდა იყოს. თავის დროზე, როცა საქართველო ახლად დაადგა საბაზრო ეკონომიკის გზას, სახელმწიფო წავიდა შეღავათებზე. მაშინ ამით ბევრმა კომპანიამ დაუმსახურებლად ისარგებლა, მაგრამ დღეს ფაქტი ფაქტად რჩება, „შეღავათებით" ცხოვრება აღარ შეიძლება.

საგადასახადო ინსპექტორის უნდა ეშინოდეთ

კანადაში საგადასახადო ინსპექტორები ყველასგან იზოლირებულად ისვენებენ

— თუ რომელიმე მეწარმემ ხვალ, ზეგ თქვა, იასე ზაუტაშვილს გაუმარჯოსო, ე.ი. რაღაცაშია საქმე

გვეცოდინება, რამდენი აქციზური მარკა დამზადდა, რამდენი გაიყიდა, რამდენი დარჩა. რეალიზებული მარკის რაოდენობა უნდა აისახოს ბიუჯეტში.

— ხომ არ ცდილობს საგადასახადო დეპარტამენტი ოპერატიული ფუნქციების დაბრუნებას?

— არა, ამ ფუნქციებს არც მოვითხოვთ და არც გვჭირდება. არსებობს ასეთი ცნება — „კონტროლირებადი კონტრაბანდა". ისეთ მოწესრიგებულ ქვეყანაში, როგორიცაა ინგლისი, კონტრაბანდულ სიგარეტს დაახლოებით 35% უკავია. მაგრამ ეს მათთვის ასატანია, მასზე მკაცრი კონტროლი ხორციელდება. ის „კონტროლირებადი კონტრაბანდაა". საქართველოში კი კონტრაბანდულ სიგარეტს მთელი 70% უჭირავს. იგივე მდგომარეობაა ნავთობპროდუქტებთან მიმართებაშიც. ამ ციფრებს ვერასოდეს გაუძლებს ქვეყანა. დღეს საუბარია იმაზე, რომ მკაცრი კონტროლის პირობებში უნდა შევზღუდოთ კონტრაბანდის მასშტაბები. ეს უნდა გააკეთოს ჩვენმა სამსახურმაც, საბაჟომაც, ლეგიონმაც და საერთოდ, სახელმწიფომ.

— საგადასახადო კოდექსის კანონპროექტით, რომელიც ფინანსთა სამინისტრომ ანუ თქვენმა გუნდმა ამ დღეებში წარმოადგინა, ცალსახად მოითხოვთ საგადასახადო პოლიტიკის გამკაცრებას. ძირითადი აქცენტი მაინც რაზე კეთდება?

— თავის დროზე საგადასახადო კოდექსიდან 42-ე მუხლი მთლიანად ამოიღეს. ეს, რა თქმა უნდა, შემთხვევით არ მომხდარა. საუბარია გადასახადების იძულებით გადახდის მეთოდებზე. ჩვენ მიერ წარმოდგენილ კანონპროექტშიც ძირითადი აქცენტი სწორედ ამ მუხლის ამოქმედებაზე კეთდება. ჩვენმა ამ ინიციატივამ რომ დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია, არც არის გასაკვირი — ქვეყანაში ვადა გადაცილებულმა გადასახადებმა, ნარჩენს რომ ვეძახით, მილიარდს გადააჭარბა. სამწუხაროდ, დღემდე მის ამოსაღებად არავითარი ბერკეტი არ გაგვაჩნია. ეს უზარმაზარი რეზერვი, ფაქტობრივად, ხელშეუხებელია. ჩვენ კი თვიდან თვემდე 38-40 მილიონი ლარის გადასახადი უნდა ავკრიფოთ. ერთადერთი, რისი გაკეთებაც ამჟამად შეგვიძლია, არაგადამხდელი საწარმოს ქონების დაყადაღება და საბანკო ანგარიშების გაყინვაა, მაგრამ წავა ის მეწარმე და ნაღდი ფულით დაიწყებს მოძრაობას. ეს კიდევ მეორე უკიდურესობაა. 42-ე მუხლის ამოქმედებით საგადასახადო სამსახურს საშუალება ექნება არგადამხდელს იძულებით გადაახდევინოს გადასახადი. თუ გაკოტრებული საწარმო საბიუჯეტო დავალიანებას ვერ ფარავს, მისი ვალი კი აქვს სხვა, შედარებით ძლიერ საწარმოს, რომელიც სულაც არ ფიქრობს ვალის დაბრუნებას, ამ შემთხვევაში ჩვენ უფლებამოსილნი ვიქნებით დავალიანება სწორედ იმ მევალე საწარმოდან დავფაროთ. არის ისეთი საწარმოებიც, რომლებიც წარმატებით საქმიანობენ, ძალიან ცნობილი სავაჭრო ნიშნებიც აქვთ, მაგრამ სახელმწიფოს წინაშე მათი დავალიანება საკმაოდ შთამბეჭდავად გამოიყურება. 42-ე მუხლის ამოქმედების შემთხვევაში, მათი უძრავი ქონება...

— ქართველი ექსპერტების ის ნაწილი, რომელსაც ეკუთვნის ახალი საგადასახადო კოდექსი, ქვეყნის აშენებას, თქვენგან განსხვავებით, ლიბერალურ საგადასახადო პოლიტიკაში ხედავს.

— ახალი საგადასახადო კოდექსი ძალიან მომეწონა, როცა თავი გადასახადების გადამხდელად წარმოვიდგინე. შესანიშნავია გადასახადების ლიბერალიზაცია, როცა საქართველოში კი არა, ძალიან განვითარებულ, ცივილიზებულ, ვთქვათ, ევროპის ერთ-ერთ, უმაღლესი დონის ქვეყანაში ცხოვრობ. აქ კი, როცა გადამხდელი მოდის უკანასკნელი მარკის მანქანით და გეუბნება, ამ თვეში მის კომპანიას 10 ათასი ლარის გადახდის შესაძლებლობა არა აქვს, როცა ბენზინგასამართ სადგურზე შესამოწმებლად მისულ საგადასახადო ინსპექტორს ფიზიკურადაც კი უსწორდებიან, რა გადასახადების ლიბერალიზაციაზეა საუბარი. ჩემს პრაქტიკაში ერთი ასეთი შემთხვევა მოხდა — ჩემთან მოვიდა ერთი უცხოელი ქალბატონი, რომელიც მუშაობდა ერთ-ერთ სკოლაში ინგლისური ენის მასწავლებლად, მაგრამ თურმე იგი ამავე დროს კერძო მოსწავლეებსაც ამეცადინებდა. მან მოიტანა სრული გაანგარიშება, რამდენ მოსწავლეს ამზადებდა, რამდენ საათს ამეცადინებდა, რამდენი ჰქონდა შემოსავალი და შესაბამისად, რამდენი უნდა გადაეხადა სახელმწიფოსთვის. ეს იმდენად უცნაური ფაქტი იყო, რომ ინსპექციაში რომ გავუშვი, დაეჭვდნენ, მართლა უნდოდა თუ არა ამ ქალბატონს გადასახადის გადახდა. დღეს ჩვენთან არ არის გადახდის კულტურა. ყველა ცდილობს, რაც შეიძლება მეტი დაუმალოს სახელმწიფოს. როგორ ფიქრობთ, რომელი ქართული ორგანიზაცია გაუღებს კარს საგადასახადო ინსპექტორს და ეტყვის, მობრძანდით, შემამოწმეთო. არადა ახალი საგადასახადო კოდექსით, საგადასახადო ინსპექტორს უფლება არა აქვს შეამოწმოს ორგანიზაცია, თუ მისი ხელმძღვანელობა წერილობით დასტურს არ მისცემს, რომ მზად არის ინსპექტორი შემოწმებაზე მიიღოს. რა თქმა უნდა, მანამდე ჩვენმა სამსახურმა უნდა აცნობოს მას თავის, „განზრახვის" შესახებ. დღეს ძალიან იშვიათია, მე ვიტყოდი, უიშვიათესიც კი, როცა კომპანიას გამჭვირვალე ბუღალტერია აქვს.

— რუსეთის ფედერაციაზე რას იტყოდით. ფაქტია, რომ იქ ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას ბიძგი სწორედ გადასახადების შემცირებამ მისცა. გადასახადების შემცირებამ შემოსავლები ფაქტობრივად გააორმაგა.

— გეთანხმებით, მართალია, გადასახადები გაანახევრეს, ახლა მე მგონი დღგ-ის შემცირებასაც აპირებენ, მაგრამ ადმინისტრირება არ შეუსუსტებიათ. ისეთი საგადასახადო პოლიცია, როგორიც იქ არის, ნეტა ჩვენც გვყავდეს. პოლიციის პოპ-ვარსკვლავებსა და შოუბიზნესის მამებსაც კი ეშინიათ. ახლა ავიღოთ საქართველოს რეალობა. დღეს საქართველოს საგადასახადო ბაზას, ფაქტობრივად, წარმოადგენს ენერგეტიკა, სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა-მომსახურების სფერო და მსხვილი ინდუსტრია. რაც ხდება ენერგეტიკასა და სოფლის მეურნეობაში, ყველამ კარგად ვიცით. მარტო გარდაბნის გრესს ბიუჯეტის 56 მილიონი ვალი აქვს. ისედაც გაჭირვებულ ფერმერსა და გლეხს რა უნდა გადაახდევინო? სავაჭრო სფეროს კი კონტრაბანდა ჭამს. ბუნებრივია, გადასახადების სიმძიმე გადადის მსხვილ კომპანიებზე. როგორი კოდექსიც არ უნდა დაიწეროს, თუ მთლიანად არ შეიცვალა შიდაეკონომიკური სიტუაცია, თუ არ მოწესრიგდა აღრიცხვიანობა, შედეგს არაფერი გამოიღებს. ერთადერთი გამოსავალი ის არის, რომ იმუშაოს საგადასახადო უწყებამ, აიკრიფოს გადასახადი, შემდეგ სახელმწიფომ ხარჯი გასწიოს. გამოსავალი სწორედ იმ 42-ე მუხლის ამოქმედებაშია.

— საგადასახადო დეპარტამენტმა გასული ხუთი თვის გეგმა, ფაქტობრივად, შეასრულა. მომდევნო თვეებზე როგორი პროგნოზი კეთდება?

— ვფიქრობ, ასე გაგრძელდება. უნდა ითქვას, რომ თუკი აქამდე თითქმის თვის ბოლოს ვადგენდით, რამდენი უნდა შემოსულიყო ბიუჯეტში, ახლა დაახლოებით 10 რიცხვისთვის დასრულდება დეკლარაციების წარდგენა. ამასთანავე, თუ მეწარმე დეკლარაციის წარმოდგენას დააგვიანებს, მაშინ ინსპექცია წარმოდგენილი თანხის 50%-ით დააჯარიმებს. დღეს გვიყიჟინებენ, რომ ეს სანქციაც ძალიან მკაცრია. კი ბატონო, მაგრამ მიჩვენეთ უკეთესი გამოსავალი.

ძალიან კარგად ვიცი, რომ ჩვენს სისტემაში მომუშავე ინსპექტორი არასოდეს ეყვარებათ. რას ვიზამთ, ჩვენ ამ მხარეს მოგვიწია დგომა. ერთი დიდი კანადური პროვინციის საგადასახადო სამსახურის შეფმა მითხრა, რომ მათ დასასვენებელი სახლიც კი სხვა პროვინციაში აქვთ და რომ იქ მხოლოდ საგადასახადო ინსპექტორები ისვენებენ. მე ვფიქრობ, რომ საგადასახადო ინსპექტორის უნდა ეშინოდეთ, მისი მეტი რიდი და პატივისცემა უნდა ჰქონდეთ. თუ რომელიმე მეწარმემ ხვალ, ზეგ თქვა, იასე ზაუტაშვილს გაუმარჯოსო, ე.ი. რაღაცაშია საქმე, რაღაც ისე არ გავაკეთე, როგორც წესი და რიგია.

საგადასახადო დეპარტამენტის შეფი ახლო მომავალში რაიმე სერიოზულ ცვლილებას თავად სისტემაში არ გეგმავს. 5 საოლქო ინსპექცია ისევ დარჩება. მსხვილგადამხდელთა ინსპექცია კი კვლავინდებურად იქნება პასუხისმგებელი შემოსავლების დაახლოებით 50%-ის შემოტანაზე. 65 რაიონულ ინსპექციასაც არავინ შეეხება და მათ დაახლოებით ხუთ-ხუთი ამკრეფი ინსპექტორი კიდევ დაემატებათ.

ლელა წითლანაძე

ვცადოთ, ეს ჩვენ შევძლია

ბევრი, დღეს საქვეყნოდ აღიარებული ცნობილი მილიონერი თავის პირველ ნაბიჯებს ისეთი მცირე და უმნიშვნელო საქმით იწყებდა, ბიზნესსაც რომ ძნელად უწოდებს კაცი.

მათ კი ასეთი ფინალისთვის იქნებ არც დაუწყიათ საქმე — ყოველდღიურობას აუწყვეს ფეხი. სხვათა შორის, ალბათ არც ჩვენსავით უწუწუნიათ და მთავრობის ლანძღვაში გართულთ გულ-ხელი არ დაუკრეფავთ.

ჩვენც ჩვენი ყოველდღიურობა დაგვდევს თან, რომელიც ითხოვს — გაანძრიე ტვინი და ხელი... იაზროვნეთ, იქნებ ვცადოთ...

ქუჩის მესაათე

მოვლენების სწრაფმა ცვალებადობამ ცხოვრების წესიც შეგვაცვლევინა, მიტინგებისა და აქციების ხშირმა ტალღამ ქუჩა პროფესიად აქცია. ქვეყანას გაუჭირდა და ეს რეალობა დროზე ვერ დავინახეთ. გაჭირვებას ყველაზე ადრე ისინი მიხვდნენ, რომელთაც თავადაც ყველაფერი დაკარგეს — ლტოლვილები. მათმა უმრავლესობამ მაშინვე დაიწყო შრომა და დღეს უკვე მათ შორის უსახლკაროს იშვიათად შეხვდებით. წელს ოჩამჩირიდან მოსკოვში დევნილმა ნათესავმა დამპატიჟა ქორწილში. შეკოწიწებული ფულით წავედი ყოფილ საბჭოეთის დედაქალაქში. სუფრასთან თავი აფხაზეთში მეგონა, დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიიდან ძალიან ბევრი სტუმარი იყო. გამიკვირდა — თუ ამ ხალხს ასე ტკბილი ურთიერთობა აქვს, ომი ვიღას უნდა-მეთქი?

მოსკოვიდან ავტობუსით წამოვედი. შავებში ჩაცმული შუახნის კაცი დამემგზავრა. ბევრი რამ მიამბო. როგორ დაბომბეს მისი სახლი სოხუმში, როგორ დაეღუპა ცოლი და ორი ბიჭი... თვითონ თბილისში მოხვდა, უნდოდა, მაგრამ უკან ვეღარ დაბრუნდა — მეზობლებმა უთხრეს, შენი სახლიდან აღარაფერი დარჩაო...

წარმოიდგინეთ, რა ფასი ექნება ასეთი ადამიანისთვის სიცოცხლეს! — თავი ვერ მოიკლა, მაგრამ არც სიცოცხლე უღირდა... ამ უბედურებას ისიც დაემატა, რომ ოჯახის ერთი ფოტოც კი აღარ დარჩა — ხანდახან მესიზმრებიანო, — მითხრა, ვხედავ, ჩემი ოჯახია, მაგრამ სახეებს ვეღარ ვცნობ. ერთ ფოტოსურათში მთელ სიცოცხლეს მივცემდიო...

ტრაგედიიდან 2 წლის განმავლობაში ჩემი თანამგზავრი არაფერზე ფიქრობდა. ერთ დღეს კი შემთხვევით გაიცნო ყმაწვილი, რომელიც მისი შვილის დაბადების დღეს იყო დაბადებული... და მიზანიც გაუჩნდა — გადაწყვიტა ოჯახის წევრებისთვის დაბადების დღეები გადაეხადა, მაგრამ რით ეშოვა სახსრები...

გადაწყვიტა საათის მექანიზმი შეესწავლა...

ჯერ ენციკლოპედია გადაშალა და წაიკითხა, რომ პირველი საათი ქვიშისა იყო და ისტორიულ წყაროებში 578 წელს მოიხსენიება. შუა საუკუნეებში მექანიკური საათი შეუქმნიათ... მერე საათებს ისეთი მნიშვნელობა მიეცა, ქალაქებსაც კი გაუთქვეს სახელი — მაგალითად, პრაღის ციხესიმაგრე 1490 წელს სწორედ მთავარ ციხეზე მოთავსებული საათით გამხდარა ცნობილი.

ერთი სიტყვით, ჩემმა თანამგზავრმა ძალიან მალე შეისწავლა საქმე, ხელსაწყოებით ქალაქის ქუჩებში დაიწყო სიარული, მოსახლეობას მომსახურებას სთავაზობდა. გასამრჯელოდ 1 ლარს იღებდა.

თანდათან საქმე საინტერესო ხდებოდა. იშვიათი საათებიც ხვდებოდა, რომელთა შეკეთებას სერიოზული შრომა სჭირდებოდა და გასამრჯელოც, რა თქმა უნდა, მაღალი იყო... დღეს ამ კაცს 4 შეგირდი ჰყავს. ისინიც თავისი მასწავლებელივით ქალაქის ქუჩებში დადიან საათების შესაკეთებლად, რთული სამუშაო კი თავის ოსტატთან მიაქვთ. ამ საქმით მესაათეს თვეში 400 ლარი შემოსავალი აქვს. ზოგჯერ ისეთ სამუშაოს აიღებს, რომ ერთი საათის შეკეთებაში 100 ლარსაც უხდიან... აი, ასე ცხოვრობს, დაღუპული ცოლ-შვილის მოსაგონარ დღეებს მეგობრების ვიწრო წრეში აღნიშნავს და სახელოსნოს გახსნისთვისაც ემზადება. ხელი მოემართოს. დიდი ტრაგედიის მიუხედავად, მას ფარ-ხალი არ დაუყრია და მომავალში რამდენიმე ახალგაზრდას შეასწავლის საქმეს. მისი სიცოცხლეც უკვალოდ აღარ დაიკარგება.

ნიკო გორგი

ავეჯის გადაზიდვა
ქალაქში და იაფად
☎ 25-60-60

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 22 ივნისიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

აშშ დოლარი	2,2180
ევრო	2,1428
ინგლ. ფუნტი	3,3274
რუსული რუბლი	0,0704
თურქული ლირა (1.000.000)	1,4109

„ვლობალტრანსის" ფირმის
მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები
ძალიან იაფად
ფერები: თეთრი, ნაბლის ტექსტურით, მუქი მუხა...
ჩვენი პროფილი — 3 კამერიანია
მის: წერეთლის 141 მ. „დიდუბის" გვერდით
☎ 966-779; 61-32-37; 34-49-40; 899-51-51-09; 899-902-091

შპს „გეოკორი"

აწარმოებს
ბურღვით სამუშაოებს სასმელი და ტექნიკური წყლის მისაღებად
მის: აკურის ქ. №8 (საპორტის სასახლის უკან), ოთ. 118
ტ: 33-26-75; 38-24-02

Louise-all
ლუიზოლი
ქარბთმიანობისაგან განკურნება
სრულიად შესაძლებელია საფიხმო ჯხემით და ლოსიონით „ლუიზოლი". შედეგად თმა აh ამოდის.
უნივერსალური სახის კრემი ნებისმიერი კანისთვის (ნაოჭები, გამონაყარი, ლაქები).
თმის ცვენა შეგიჩერდებათ!
თმა გაგიხშირდებათ საფიხმო საშუალებებით და მასაჟით.
მის: ჭავჭავაძის გამზ. 20 — ტელ: 29-19-73
იოსებიძის ქ, №53 — ტელ: 37-38-13
კაბინეტი „ლუიზოლი" — 10-დან 19 სთ-მდე

თარაზულად:



5 საგანგებოდ გამოყოფილი ადგილი იშვიათ ცხოველთა და მცენარეთა მოსაშენებლად და დასაცავად

6 მხატვრის დაზგა

9 ნუშის ლიქიორი



10 საზაფხულო საწოლი

11 ფრანგული ექსვალუტა



15 სურ. ქ. კიშინიოვი (სახელმწიფო)



17 სასმელი

18 ერთ-ერთი სახელწოდება

19 ზაფხულობით დასასვენებელი ადგილი

20 მკვრივი ნაწილი ხის ქერქქვეშ

24 ქართული მონეტა

25 სამშენებლო მასალა

26 გზის საფარი



29 ინდიელთა ტომის — სემინოლების ლეგენდარული ბელადი

32 „ევროსედვის“ წლევანდელი მუსიკალური კონკურსის მასპინძელი ქალაქი

33 ქრისტიანული რელიგიის ერთ-ერთი საიდუმლოება



34 ფირმა



35 შენობის ზემოთა სამკუთხა ნაწილი

შვეულად:

1 კედელზე სატვის ტექნიკა

2 დროშა

3 საზეიმო ნამცხვარი

4 მოედნის შუაგული



5 ფოტოფირზე გადაღებული საგნის შებრუნებული გამოსახულება



7 ცნობილი რუსი მსახიობის, სმოკტუნოვსკის სახელი

8 სასიამოვნო სუნი

12 ნორმათა ეკონომიკური ან ტექნიკური მაჩვენებელი, რომლის შესაბამისადაც წარმოებს მუშაობა

13 სომნაბულიზმით დაავადებული ადამიანი

14 მოწყობილობა



16 ღორმუცელა



21 მეცნიერებათა ერთობლიობა ადამიანის დაავადების, მისი თავიდან აცილებისა და მკურნალობის შესახებ

22 კურკოვანი მცენარე, პოპულარული საწებლის მასალა

23 ამინდის წინასწარი განჭვრეტა



27 ნაზი გრძნობების გამოხატვა



28 ხის სასულე მუსიკალური საკრავი



30 დენთითა და ტყვიით დატენილი მასრა

31 დაგუბებული წყალი

კროსვორდი შეადგინა რამაზ ალანიამ

„ქვირის პალიტრა“ №24 კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 5. კაბინეტი; 6. დერეფანი; 9. გმირობა; 10. მსხალი; 11. არიელი; 15. „პოლაროიდი“; 17. გველი; 18. ქიმია; 19. ასფალტი; 20. ვიოლინო; 24. ზებრა; 25. ტკიპა; 26. ინტრიგანი; 29. ენგური; 32. ეპოპეა; 33. ტურიზმი; 34. ემბრიონი; 35. პრინცესა.

შვეულად: 1. ეიფელი; 2. ატამი; 3. დერბი; 4. აფთარი; 5. კონსერვი; 7. იზოლაცია; 8. არტერია; 12. მოდილიანი; 13. ოდეკოლონი; 14. გლისერი; 16. პიკნიკი; 21. მეჯინიბე; 22. ავიაცია; 23. ეპიდემია; 27. ერკერი; 28. შპრიცი; 30. ტურნე; 31. ძმარი.

ბინები

1,5-ოთახიანი ბინა წერეთელზე. ფასი $10.500. კორპ. № 9, I სად. III სართ. ტელ. 34-26-39.

იყიდება (ან იცვლება თბილისის ნებისმიერ რაიონში, შესაბამის ბინაზე), ახმეტაში, 4-სართულიანი სახლის პირველ სართულზე, 6-ოთახიანი, 280 კვმ, იზოლირებული, პრივატიზებული ბინა, ევრორემონტით, ჟალუზებით, რკინის კარით, ტელეფონით, სარდაფით. წყალი და დენი – მუდმივად. ბინაში მოქმედებს II კატეგორიის აფთიაქი. შესაძლებელია გადაფორმებაც. ტელ: 67-84-77. თამილა; 8-249 2-15-62 (ახმეტა) გოჩა; 899 51-91-38. გოჩა

ვთავაზობთ სამუშაოს

18-25 წლამდე გოგონებს ვთავაზობთ გამგზავრებას გერმანიასა და საფრანგეთში – 1 წლით, ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა ჯიბის ფულით (ხელფასით), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტელ: 95-64-18

გვაქვს 4 ვაკანსია. სათანამშრომლოდ მივიღებდით განათლებულ, რუსულის მცოდნე ადამიანებს. ვმუშაობთ მსოფლიოში. საუკეთესო თანამშრომლებს ეძლევათ შანსი საზღვარგარეთ მუშაობისა (კომპანიის ხარჯებით). გამომუშავება 200-400$ აშშ სტანდარტებით. მიმდინარეობს შერჩევა. იჩქარეთ! მის. მ. „დიდუბე", „სამთო ქიმიის ინსტიტუტი", I სართ. ოთახი 6. ტელ: 34-02-38; 899 90-54-78; მენეჯერი: ბ-ნი დიმიტრი

ამერიკა-იტალია-საფრანგეთის ერთობლივი საერთაშორისო კომპანია გთავაზობთ პრესტიჟულ საოფისე სამსახურს, მზარდი ანაზღაურებით. ხელფასი გამომუშავებით, თვეში – $300-500, აშშ სტანდარტებით. ვიწვევთ 17-40 წლამდე ასაკის ადამიანებს. მის: რუსთაველი, ბელინსკის №2, მე-4 სართ. ოთახი №415. ტელ: 93-38-46. ქეთი

გაიხსნა ახალი ოფისი. გვჭირდება განათლებული, ენერგიული ქალბატონები, გონებრივ სამუშაოზე, თავისუფალი გრაფიკით, შეთავსებით ძირითად სამუშაოსთან – მოძრავი, ასევე სახლიდან გაუსვლელად. გამომუშავება ძალიან მაღალია – კვირაში 100 ლარი. ტელ: 65-31-55; 899 50-68-25

მომსახურება

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია – 1 სთ – 10 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, მე-9 კორპ, VI სად, III სართ, ბინა 109. ტელ: 79-50-12; 899 90-44-93. ლიკა გიორგობიანი

„ფესვები", ყურადღება! კარგად გაკეთებული ეპილაცია ნამდვილად მოარჩენს ნაპარს და გაუხეშებულ თმას. მის უკვალოდ მორჩენას კი სჭირდება კარგი სპეციალისტი. 1 სთ – 12 ლარი. განსაზღვრულია ინდივიდუალური ნემსი. ეპილაციის შესწავლა – $200. მის: იოსებიძის 53, I სად, I სართ, ბინა 3. ტ: 37-71-66; 93-19-52; 899 168-168. ნინო ჭელიძე

ვაკეთებ ეპილაციას ერთჯერადი ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით. უკიდურესად გაუხეშებული თმიანობის შემთხვევაშიც კი განიკურნებით უმოკლეს ვადაში, ყოველგვარი შეშუპებისა და გაღიზიანების გარეშე. არ დაგეტყობათ არც ერთი ნანემსარი. მის: იოსებიძის ქ. №66. მე-2 სად. მე-8 სართ. ბინა 46. ტელ: 37-74-22. მანანა

ჭარბთმიანობის სამუდამოდ განკურნება უმოკლეს დროში და უკვალოდ. არ არსებობს მოურჩენელი თმა და ნებისმიერ შემთხვევაში, პირველივე სეანსზე ემორჩილება მკურნალობას. მოითხოვეთ გარანტია (თანხის დაბრუნებით). გააკეთეთ სწორი არჩევანი და სილამაზე გარანტირებულია! ტელ: 57-50-49; 899 91-46-36. მარიკა

ეპილაცია ვოლფრამის ერთჯერადი ნემსით, ანესთეზიით (ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე), 1 სთ – 6 ლარი; თმის მოცილება სხეულზე მცენარეული ნაყენით (გარანტიით), სახის გაწმენდა (კოსმეტიკური მასაჟის თანხლებით). წარბების კორექცია. საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი ნატო ყიფშიძე. მის: მ. „300 არაგველი", არამიანცის საავადმყოფოს ზედა კართან, ახმეტის ქ. №15. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტელ: 77-86-27

ექიმი-დერმატოლოგი მაია ფიფია მოგარჩენთ ჭარბთმიანობისგან ელექტროეპილაციით (მიხაილოვის აპარატით). სეანსების რაოდენობა – ერთიდან მაქსიმუმ სამამდე. დაცულია ასეპტიკა-ანტისეპტიკა. მოგაწვდით მსოფლიოში არსებულ უახლეს ინფორმაციას, ეპილაციის ყველა ტიპის შესახებ. მიღება წინასწარი ჩაწერით. ფასი 1 სთ – 10 ლარი. ტელ: 52-45-29

ცელულიტის დაშლა თანამედროვე აპარატურის გამოყენებით, მოკლე დროში, ხელმისაწვდომ ფასებში. ტელ: 39-27-35, 893-30-52-00

სილამაზის სალონი „მიმი": თმის მოდელური შეჭრა, კატალოგის მიხედვით – 5 ლარი, დავარცხნა – 5 ლარი, ქიმიური დახვევა-გასწორება, შეღებვა – 15 ლარი, სადღესასწაულო ვარცხნილობა – 15 ლარი; მანიკური, კოსმეტოლოგიური მომსახურება, მაკიაჟი. მის: მ. „რუსთაველთან", (ზემოთ), მიწისქვეშა გადასასვლელში, 10-19 სთ. ტ: 99-63-14

სილამაზისა და ჯანმრთელობის მსოფლიო ცენტრი გთავაზობთ მხოლოდ ნატურალური პროდუქციით სახის გაწმენდას, ლაქების, ნაოჭების მოშორებას; თმის მოვლის საშუალებებს. გახდომას შიმშილის გარეშე, თვეში 15 კგ-ს დაკლებით; სიმაღლეში ზრდას, 2-დან 20 წლამდე, 2-4 სმ-ის მომატებით. ტელ: 93-38-46; 93-57-50. ნინო

ვაწარმოებ ნებისმიერი ავეჯის რესტავრაციას, სამეულებზე შალითების შეცვლა-აღდგენა-განახლებას, მატრასების, სკამების აღდგენას. ვღებავ გერმანულ ტყავის სამეულებს. ტელ. 95-97-12. ვალერი

მივიღებ შეკვეთებს ნებისმიერ ავეჯზე, თქვენთვის სასურველი სტილისა და ფასების გათვალისწინებით. ტელ: 33-08-01

დიდი საზაფხულო ფასდაკლება! ფირმა „ხმელი წიფელი" დაგიმზადებთ ნებისმიერი სტილის ხის კარ-ფანჯარას და ნებისმიერ ხის ნაკეთობას, ბუნებრივად გამომშრალი ნებისმიერი მასალით, უმაღლესი ხარისხით (პასუხისმგებლობით), ჩვენივე მიტანით, დაყენებით, მინების ჩასმით. აგრეთვე ვამზადებთ ნებისმიერ რკინის ნაკეთობას. ტელ: 64-73-67; 899 10-94-65. ზურა

ვაკეთებ ნაბურღ-ნატენ ხიმინჯებს. დიამეტრი – 600-750 მმ. ტელ: 899 16-09-10

შეგისრულებთ ბრტყელი სახურავების საიზოლაციო სამუშაოებს, მინა-ქსოვილით, ტოლით, ჰიდროიზოლით, გარანტიით. ფასი შეთანხმებით – ფართის მიხედვით. ტელ: 64-31-72; 899 56-83-62. თეიმური

ტურისტული ფირმა „ქართი" გთავაზობთ ინდივიდუალურ და ჯგუფურ დასვენებას ქობულეთში, მაღალ დონეზე და კარგ პირობებში, ხელმისაწვდომ ფასებში, (10-15 დღე), 3-ჯერადი კვებით, ზღვასთან და პარკთან ახლოს, ექსკურსიით. აგრეთვე გთავაზობთ დასვენებას მახინჯაურსა და მწვანე კონცხზე. კმაყოფილები დარჩებით! მის: აღმაშენებლის №115, კაბ №20 (ეზოში). ტელ: 94-01-82; 95-83-18; 96-22-89; 899 90-67-52. ირინა ჯანაშია, ნონა თოდუა

მკურნალობა

პატივცემულო მამაკაცებო! ქრონიკული პროსტატიტის, ადენომის, ხშირი შარდვის, დაქვეითებული პოტენციის, ანთებების, უშვილობის პრობლემების მოგვარება, პროსტატის ჯირკვლის გაწმენდა ოპერაციული ჩარევის, უხერხული მასაჟებისა და ნემსების გარეშე – ძალზე ეფექტური, უნიკალური ბალახებით, ანონიმურობის სრული გარანტიით. ტელ: 96-62-58

ბავშვთა ასაკში ბრონქიტების, ბრონქიალური ასთმის, ტონზილიტის, რინიტის, ჰაიმორიტის, პოლიპოზის, ფრონტიტის, პნევმონიის, მიოკარდიტის, მიტრალური სარქვლის პროლაფსის, კუჭ-ნაწლავის სისტემის დაავადებების, დერმატიტების მაღალეფექტური მკურნალობა უახლესი და უმტკივნეული ტექნოლოგიებით. სამედიცინო ცენტრი „ლაზერი". მის: ბახტრიონის ქ. №18. ტელ: 53-63-05; 38-27-52

მუშაობას შეუდგა არატრადიციული მეთოდებით მკურნალობის სპეციალისტი, დიპლომირებული, ექსტრასენსორიკული და სენსორული დიაგნოსტიკის პირველი კატეგორიის ექსტრასენსი *ეველინა ლოლაძე*. მუშაობისას იგი მიმართავს დისტანციურ მკურნალობას თვალით (სუგესტია), ფსიქოთერაპიას, სამკურნალო ჰიპნოზს, ინდურ ჩაკრებს. ექსტრასენსი მკურნალობს შორ მანძილზეც. ვისაც გაწუხებთ თავის ტკივილები, შაკიკი, დეპრესია, ნევროზები, სამწვერა ნერვის ანთება, მხედველობისა და სმენის დაქვეითება, რადიკულიტი, იშიაზი, სიმსუქნე, უნებლიე შარდვა – მიმართეთ ეველინა ლოლაძეს. მიღება ყოველდღე, 11-17 სთ, შაბათ-კვირის გარდა. მის: ივ. ჯავახიშვილის (ყოფ. კალინინის) ქ. №45, შესასვლელი ეზოდან, II სართ. ტელ: 95-00-83

„სუ-ჯოკ" აკუპუნქტურის ცენტრი გთავაზობთ შემდეგი დაავადებების მკურნალობას: ნევროზული მდგომარეობა, დეპრესია, შიში, პოლიკისტოზი, ნებისმიერი ორგანოს კისტა, ფიბრომა, ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგია, სიმაღლეში ზრდა, კატარაქტა, გლაუკომა, კუჭის წყლული, ქოლეცისტიტი, კოლიტი, გულის მანკი. მის: ელბაქიძის ქ. 12ა. ტ. 92-39-44

თბილისში – მოსკოვის ფსიქიატრიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში, მეტყველების ცენტრში, 23-ე საავადმყოფოში კვალიფიცირებული ექიმ-ლოგოპედი, უახლესი მეთოდით, მოკლე დროში, ყველა ასაკში, მუშაობის საკმაო გამოცდილებით – აღმდგენი სათანადო აპარატებით, ჩინური ნემსებით, წერტილოვანი მასაჟებით და სხვა მეთოდებით აღგიდგენთ ხმისა და მეტყველების ყოველგვარ დარღვევას – ენაბორძიკობას, ენაჩლუნგობას, გონებრივ ჩამორჩენილობას, სახისა და ხელ-ფეხის პარეზს, ცერებრალურ დამბლას, სამშობიარო ტრავმას. მიღება წინასწარი სატელეფონო ჩაწერით: 899 55-05-75

ისრაელში შექმნილი ელექტრონული აპარატურის საშუალებით იკურნება გარანტიით სქოლიოზი, ნეკნთა კუზი, ოსტეოქონდროზი, ქრონიკული უძილობა, შაკიკი, წინამდებარე ჯირკვლის ადენომა, კიფოზი, ენურეზი, კარდიალგიები, ტკივილები ბეჭებს შორის, ბრონქიტი, დაავადების შემდეგ გამოწვეული უშვილობა. მკურნალი ანატოლი შავიძე. მის. ძმები გარიშვილების ქ. 18 (მ. „გურამიშვილთან"). ტელ: 61-65-03 (მიღება ყოველდღე, გარდა კვირისა)

პოლიკლინიკის დირექტორ ლომთათიძეს მოწვეული ჰყავს რუსეთისა და ისრაელის კლინიკაში ნამუშევარი მაღალკვალიფიციური ექიმები, რომლებიც მკურნალობენ: საჯდომი ნერვის ანთებას, მუხლისა და მენჯ-ბარძაყის ართროზს, ოსტეოქონდროზს, ასთმურ ბრონქიტს, სქოლიოზს, პარალიზებას, ყურებში შუილს, ნევროზს, ფრჩხილების სოკოს, ფრჩხილების ჩაზრდას, ტროფიკულ წყლულს, წითელ ქარს, ბუასილს, თმის ბუდობრივ ცვენას, არითმიას, სტენოკარდიას, მანკს, ინფარქტგადატანილ ავადმყოფებს; დაგაკლებინებთ წონაში. მკურნალობის კურსი 10-დღიანია. მის: აღმაშენებლის 113. კაბ. №17. ლომთათიძე. ტელ: 95-74-29

მეჭეჭების, პაპილომების, ხალების, ლაქების, კონდილომების და სხვა არასასურველი წარმონაქმნების სწრაფი, უსისხლო და უნაწიბურო მოცილება არაკონტაქტური მეთოდით, უახლესი CO_2 ლაზერით, მხოლოდ ერთი სეანსით, მაღალი კოსმეტიკური ეფექტით. მის: ბახტრიონის ქ. №18. სამკურნალო ცენტრი „ლაზერი". ტელ: 53-63-05; 38-27-52

ტრადიციული მეთოდებით მედიცინის მუშაკი ძაყვალა ცინცაძე, სამკურნალო მცენარეებისა და თეთრი მუმიოსგან ამზადებს მალამოებს, საფენებს და ხსნარებს. მკურნალობს: სახსრებს, ოსტეოქონდროზს (მარილებს), პოლიართრიტს, ართროზს, ბრონქიალურ ასთმას, დისკს, რადიკულიტს, სამწვერა ნერვის ანთებას, ფრონტიტს, ჰაიმორიტს (ჰაიმორიტი იკურნება 6-8 დღეში სრული გარანტიით). მის: ფიფიას (ყოფ. ვორონინის) ქ. №25, II სართ. („დინამოს" პირდაპირ). ტ: 34-04-06; 34-62-51 (მიღება ყოველდღე, შაბათის გარდა, 13-16 სთ)

ალერგია! ვმკურნალობთ ევროპაში მიღებული გერმანული და ფრანგული ალერგენებით: ბრონქული ასთმა, პოლინოზი, რინიტი, ჭინჭრის ციება, კვინკეს შეშუპება, ალერგიული დერმატიტი – სრული განკურნებით. საზღვარგარეთ მუშაობის გამოცდილებით, ექიმი ჯულიეტა პეტაშვილი. მის: რკინიგზის საავადმყოფო (ბაზრობასთან), V სართ. ალერგოლოგიური განყოფილება (11-14 სთ)

ვასწავლი

კომპიუტერის შესწავლა ინდივიდუალური მეთოდით. შესწავლება: Windows, Word, Excel; Inernet, E-mail, Outlook Express; Page Maker, Photoshop, Quark Express. სწრაფი ბეჭდვა; Web-საიტის შექმნა. მის: გაბაშვილის ქ. №7 (მ. „რუსთაველთან"), კ/თ „ქოლგის" უკან. ტელ: 98-80-23

კომპიუტერული სტუდია „დაჯი კომპიუტერი", გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტერიის, პროგრამირების ენების და უცხო ენების სწრაფშემსწავლელ კურსებზე, შესწავლის გარანტიითა და სწავლების დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ბარნოვის ქ. 1 („მაკდონალდსის" უკან). ტ: 98-44-20; 899 14-03-31

სასწავლო ცენტრი კომპანია „თემსო" აცხადებს მიღებას პროფესიული მომზადების კურსებზე. სპეციალობა: 1. მასაჟისტი (სამკურნალო, ჰიგიენური, ჩვილ ბავშვთა მასაჟი); 2. პარიკმახერი (ქალთა და მამაკაცთა ხელოსანი); 3. კოსმეტიკა (ეპილაცია, მასაჟი, მაკიაჟი, მალამოები); 4. ვიზაჟისტი; 5. პედიკიური, მანიკიური. კურსების დამთავრების შემდეგ გაიცემა ლიცენზირებული სერტიფიკატი. მის. აღმაშენებლის გამზ. №115ა. კაბ. №20 (ეზოში). ტელ: 94-01-82; 95-83-18 (სამსახური); 96-22-89 (ბინა.). კურსების ხელმძღვანელი ირინა ჯანაშია

ნაძალადევის კულტურის სასახლე აცხადებს მიღებას კოსმეტიკის კურსებზე, დაჩქარებული მეთოდით, შეღავათიან ფასად. შესწავლება: სახის კანის მკურნალობა, მასაჟი, ეპილაცია, გაწმენდა, კრემები (მკვებავი, დეკორატიული, სამკურნალო), ლოსიონები, რძეები, ნიღბები და სხვა. გაიცემა სერტიფიკატი. „ნაძალადევი", მ. „ვაგზლის მოედანი", დადიანის ქ. №26. ტ: 66-53-56; 893 33-09-66

გამოყენებითი გეოგრაფიის „კავკასიის ინსტიტუტი" აცხადებს მიღებას ქართულ და რუსულ სექტორზე, შემდეგ სპეციალობებზე: სოციალური და პოლიტიკური გეოგრაფია; ტურიზმი და მხარეთმცოდნეობა; გარემოს დაცვა; კადასტრის ტოპოგრაფიული მართვა; სამხედრო გეოგრაფია; სამხედრო ტოპოგრაფია. სწავლა ორსაფეხურიანია: ბაკალავრატი + მაგისტრატურა. გაძლიერებულად ისწავლება უცხო ენები და კომპიუტერი. წარმოებს გიდების მომზადების კურსებიც. მის: „აკადემქალაქი", მერაბ ალექსიძის ქ. №1. კორპ. 8. ოთახი №1. ტელ: 33-39-14; 33-26-84

თბილისის ეკონომიკურ-სამართლებრივი ინსტიტუტი და კოლეჯი აცხადებს მიღებას ქართული და რუსული სექტორების დასწრებული და დაუსწრებელი სწავლების შემდეგ ფაკულტეტებზე: 1. სამართალმცოდნეობა; 2. უცხო ენები; 3. ეკონომიკური. უმაღლესდამთავრებულები მიიღებიან მე-3 კურსზე. კოლეჯში ფუნქციონირებს იგივე ფაკულტეტები. ფასი 220-300 ლარი. გათვალისწინებულია შეღავათები. მის: თოფურიას №12 (ვაჟა-ფშაველას III და IV კვარტალებს შორის), 128-ე საშ. სკოლა. ტ: 32-82-60; 32-06- 97; 30-51-30 (საღამოს)

ქიული შარტავას სახელობის თბილისის ჰუმანიტარულ-ეკონომიკური ინსტიტუტი და მასთან არსებული კოლეჯი (ქართულ-რუსული სექტორები) აცხადებს მიღებას იურიდიულ, ეკონომიკურ, უცხო ენების, ჟურნალისტიკის, ფსიქოლოგიის, გამოყენებითი ხელოვნების, პედაგოგიკის, ხორცისა და რძის ტექნოლოგიების სპეციალობებზე. მეხუთე კურსზე სწავლა უფასოა. მის: კოსტავას №70, სასტ. „აჭარის" უკან, მ. „პოლიტექნიკური". ტელ: 33-25-89; 899 55-86-97; 899 15-00-46; 38-48-61; 78-23-85

თბილისის უნივერსიტეტი „გეორგია", ტრადიციულად, 1991 წლიდან გიწვევთ სასწავლებლად უმაღლესი განათლებისა და კოლეჯში სწავლის მსურველებს – სტომატოლოგიურ, ჰუმანიტარულ, იურიდიულ, საერთაშორისო ურთიერთობის, ეკონომიკის, ტურიზმის სპეციალობებზე. გადასახადში დიდი შეღავათებია. მის: თორნიკე ერისთავის ქ. №2 (მ. „დიდუბის" ზედა ამოსასვლელი). ტელ: 69-86-29; 69-84-53

იყიდება

სამზარეულო, თანამედროვე დიზაინით. ფასი 500 ლარი. ტელ: 33-08-01

მოტოციკლეტი „იავა-350", კარგ მდგომარეობაში. ფასი $250. ტელ: 53-67-62

ძველებური გერმანული ვიტრინკა-გორკა, ზედა მხარე სამმხრივი ბროლის მინებით, ქვედა მხარე 2-კარიანი დახურული. ფასი 200$. 5-სანთლიანი ჩეხური ჭაღი, ფაიფურის დეტალებით. ფასი 80 ლარი. ტ: 23-07-65

სმენის აპარატები, შეღავათიან ფასებში, სპეციალური ინდივიდუალური ყურის ჩასართით. აგრეთვე, ელექტრონული და მექანიკური წნევის აპარატები, გარანტიით. ტელ: 95-95-22 (15-19 სთ); 93-46-74 (20 სთ-ის შემდეგ)

„ლუიზოლი" – კბილის ფხვნილი და სავლები ლოსიონი – სწრაფად მოგიხსნით ღრძილების ნებისმიერ პრობლემას; გახდომა და ცელულიტის დაშლა შიმშილობის გარეშე, უვნებელი, სტაბილური შედეგით. მის: ჭავჭავაძის გამზ. №20. ტელ: 29-19-73; იოსებიძის ქ. №53. ტელ: 37-38-13. კაბინეტი „ლუიზოლი"

შევიძენ

თმას. მის: ცენტრ. რკინიგზის სადგური, II სართ. მაღაზია „ესთეტი". 12-17 სთ, დასვენება შაბათ-კვირას.

სხვადასხვა

სააქციო საზოგადოება კომერციული ბანკის „გამაბანკის" ფილიალ „ლარში" მიმდინარე ორგანიზაციულ ცვლილებებთან დაკავშირებით, ფილიალის კრედიტორები გამოცხადდნენ სათავო ოფისში, შემდეგ მისამართზე: თბილისი, აღმაშენებლის №89/24 („თბილქალაქპროექტის" შენობა), განცხადების გამოქვეყნებიდან 20 დღის ვადაში.

სს კ/ბ „გამაბანკის" დირექტორატი.
20 ივნისი, 2002 წელი

ხსოვნა

ავთანდილ (ჭონჭო) ჯანაშიას!



40 დღე გავიდა შენი წასვლიდან, 40 ტკივილიანი და ცრემლით სავსე დღე. მხოლოდ 48 წელი იცხოვრე ამქვეყნად, მაგრამ მოასწარი დაგეტოვებინა მართალი კაცის, ერთგული მეგობრის, ჩინებული მეუღლისა და მოსიყვარულე მამის სახელი.

შენი წასვლით დაცარიელდა ის დიდი და შეუცვლელი ადგილი, რომელიც გეკავა – როგორც შენს საკუთარ ოჯახში, ისე ნათესავებსა და მეგობრებში. ნდომა, წადილი, ჩანაფიქრი ერთმა ავბედითმა წუთმა დაამსხვრია, ცას შეატოვა აუხდენელი სურვილები და მიწის შვილი მიწად გაქცია.

ცრემლიანი თვალით შევყურებთ კარს და კვლავ გელით...
ღმერთმა ნათელი სასუფეველი დაგიმკვიდროს.

მეუღლე და შვილები

ჯიბო საბიაშვილს!

ჩემო საყვარელო! დღეს, 27 ივნისს, ჩვენი შეუღლების 15 წლისთავია, უშენოდ პირველად, სულში საშინელი ტკივილით. რა უაზროა უშენოდ სიცოცხლე.

უსაზღვროდ მიყვარხარ და მენატრები.

შენი პარი და გიორგი

ვალერი აბზიანიძის ხსოვნას!

წლები გადის და ტკივილი არ ცხრება. ჩვენი ოჯახის დიდი ტკივილი შენ ხარ, ვალერი. საოცრად გვაკლიხარ დღესაც. შენ ხომ საოცრად თბილი და კეთილი ბიჭი იყავი, რომელიც თანაბრად უნაწილებდი ყველას შენს სიყვარულს. 30 ივნისს – შენს დაბადების დღეს, კვლავ სიყვარულით და დიდი მონატრებით ველოდებით.

მშვიდად განისვენე შენს სასუფეველში.

შენი მშობლები და და

თამრიკო თედიაშვილის გახსენება



21 ივნისს შესრულდა ორმოცი დღე შენი გარდაცვალებიდან. ოჯახმა დაკარგა ერთგული მშრომელი მეუღლე, დედა და ბებია, სამსახურმა კი ერთგული, პატიოსანი, კვალიფიციური თანამშრომელი – თამრიკო თედიაშვილი. შენი დარდი და მწუხარება შენი საყვარელი შვილიშვილი ნიკალა იყო, რომელსაც ყოველ წუთს ახსენებდი.

და, უფალმა მიიყვანოს შენი სული პატარა ნიკალასთან და ერთად დარჩით მარადისობაში.

ასოციაცია „მონკავშირის" თანამშრომლები

ნიკალა ქიქინაძის გახსენება



25 ივნისს 70 წელი შევისრულდა. სიცარიელესა და დიდ ტკივილთან ერთად დაგვიტოვე კაცური კაცის სახელი და სიყვარული. ძალიან გვაკლიხარ.

შენი სახელი მუდმივი სევდით შეიცვალა და მაინც სიკვდილმა ვერ გაჯობა... შენი ნიკას (შვილიშვილის) ყოველ საქციელში ხარ გაცხადებული.

ვერაფერს შევცვლით. ნუგეშად ერთს ვიტოვებთ მხოლოდ: სანამ ერთი მოგვგონებელი გვყოლება, შენც ჩვენთან იქნები, მამა.

ვეცდებით, ვიცხოვროთ შენსავით ლამაზად და ვალმოხდილნი შევხვდეთ ღვთის საუფლოში.

მეუღლე ფენია, ზურაბ ქიქინაძე და როლანდ მდინარაძე ოჯახებით

მალხაზ თათულაშვილის მონატრება

24 ივნისს 48 წლის გახდებოდი.

პირველად ვხვდებით უშენოდ ამ დღეს. ცრემლსა და მწუხარებაში გავიდა ეს ორი თვე. თავზარდამცემი იყო ყველასათვის შენი სიკვდილი. ფრთები ჩამოტეხე შენს ძმებს და დას...

წახვედი და დაგვიტოვე უსაზღვრო სევდა – სიბერეგამწარებულ დედას, ცოლ-შვილს, ძმისშვილებს, ამხანაგებსა და ნათესავებს.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული და დაგიმკვიდროს სამუდამო სასუფეველი...

ნიკა ტარტარაშვილის გახსენება

ნიკა, შვილო, გაფრინდა მწარე, მეხის დამცემი ერთი წელი. შემზარავი იყო, შვილო, 29 ივნისი. ძალიან გვაკლიხარ და გვენატრები. ასე მგონია, მოხვალ და დამიძახებ – „დედა!".

ჩვენ ისღა დაგვრჩენია, მოვიდეთ შენს საფლავთან, აგინთოთ სანთლები და ვილოცოთ შენი სულის სადიდებლად. შენ მხოლოდ ათი წლის იყავი.

თვალცრემლიანი დედა, მამა, თათია, დეიდები, მარინა და ნანა მეუღლით

გენრი სიხარულიძის ხსოვნას!

ნაღვლიანი მოგონებებით სავსე ოთხმა წელიწადმა განვლო შენი გარდაცვალებიდან.

გენრი ბაბუ გარდაცვლილაო, – რომ მაცნობა ლაშამ სამსახურში, მეხის გავარდნასავით იყო ჩემთვის. სიცოცხლე გწყუროდა, ჯან-ღონით სავსე იყავი, მუშაობის დაწყება გსურდა, ვერ იტანდი უსაქმოდ ყოფნას, მაგრამ ბოროტი ადამიანების საქციელმა გული გაგიხეთქა.

არ იდარდო, გედეონიჩ! კახამ ყველა შენი ოცნება აასრულა. მშვიდად იძინე მარადიულ სასუფეველში. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ტანჯული სული.

შენი რძალი მაია

მარადისობა ჩემი – ანა ვახანია

შვილო ანა, შენ იყავი და შენ ხარ ჩემი ერთადერთი რწმენა, სიყვარული, იმედი და უდიდესი ტკივილი, მარადისობასთან შერწყმული. შენ იყავი ჩემი ერთა, ვისაც ჩემ შემდეგ ჩემი სათქმელი უნდა ეთქვა. რა ვიცოდი, მე უბედურმა, რომ წუთისოფელი შენთვის წამად იქცეოდა და ჩემთვის – წამებად.

და, აჰა, მოვიდა კიდევ ერთი 27 ივნისი – შენი ამქვეყნიური ცხოვრების ტრაგიკულად დასრულებისა და სამარადისო დაბადებისა. ჩემთვის კი, 27 ივნისი კიდევ ერთი ნაბიჯია შენთან საუკუნოდ შეყრისაკენ მიმავალ გზაზე.

და ასე დავდივარ, შვილო, შენს და და ჩემს მრავალტანჯულ სამშობლოში და ორად-ორი ამონარიდი მახსოვს მხოლოდ, ჩემი გამოუქვეყნებელი ლექსებიდან:

„როცა ვისვენებ, მაშინ ვიღლები,
როცა ვჩერდები, მაშინ ვძერდები,
თუ სადმე წამით გავირინდები,
სამშობლოს მერმისს ღმერთს ვევედრები."

და კიდევ მასთან

„ღმერთო დამსაჯა? – არა მგონია,
ცოდვა ამგვარი მე არ მქონია;
ჯვარს ეცვა ქრისტე და მე მგონია,
რომ ანაც ქრისტეს გზას გაჰყოლია!"

შენკენ მომავალი მურმან ვახანია

ზურა ალადაშვილის მონატრება



თბილისს კიდევ ერთი კარგი ბიჭი მოაკლდა. 40 დღის წინ ბრმა შემთხვევამ, უგულობამ და ამ ბილწი დროის ქართველთა შორის მოძალებულმა გაუტანლობამ ემსხვერპლა ჩვენი ზურა – ალალი, კეთილი, მოსიყვარულე ვაჟკაცი, ნიჭიერი, ნამდვილი პროფესიონალი იურისტი... მხოლოდ 25 წლის იყო. ბევრი ვერაფერი მოასწრო. არადა, როგორი სიყვარული შეეძლო, როგორი ერთგულება ამ მთასავით ბიჭს, სიყვარულით ყველა ალადას რომ ვეძახდით. ახლა რით ვანუგეშოთ მისი მშობლები, და, ახლობლები, მისი უამრავი მეგობარი... კვირას მის საფლავთან კიდევ ერთხელ დავანთეთ სანთლები. კიდევ ერთხელ შევთხოვეთ უფალს სასუფეველი დაუმკვიდროს ზურას ნათელ სულს. ჩვენს მოგონებებში კი ყოველთვის იცოცხლებს ალადას ხსოვნა...



შვილები ჯემალ, ლევან, ემილე, ია ტყეშელაშვილები, რძლები ჟუჟუნა, მაგული, ლიანა, ირინა, მანანა, სიძეები ვალერი, ბერიკა, შვილიშვილები გოჩა, ირმა, ლია, ლერი, ვლადიმერი, ეკა, ავთო, ნათია, ბესიკი, შვილთაშვილები თამარი, ქეთევანი, თინათინი, მარიამი, ანი, მეგლუდი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვერა ხურციძე-ტყეშელაშვილისა

დაკრძალვა: შაბათს, 29 ივნისს, 15 საათზე
მისამართი: ვანის რ-ნი, სოფელი ბზვანი.

„კვირის პალიტრის" რედაქცია თანაუგრძნობს ჟურნალ „გზის" რედაქტორს, ბატონ *გოჩა ტყეშელაშვილს*, ბებიის

ვერა ხურციძე-ტყეშელაშვილის

გარდაცვალების გამო.

მეუღლე ლიდია ქელეხნოვა, შვილი მამუკა გამყრელიძე, შვილიშვილები რუსუდან, თამარ გამყრელიძეები, შვილთაშვილი სანდრო ნიკოლაიშვილი, რძალი ნინო ჯორჯაძე, სიძეები მელენტი (ჯუბა) ყურაშვილი, ვახტანგ ნიკოლაიშვილი; ირა ქელეხნოვა, გივი ჩოხელი; მძახლები ნარგიზა ჭყონია-ჯორჯაძე, დავით, ნაილი ნიკოლაიშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გივი გალაქტიონის ძე გამყრელიძე

პანაშვიდი: 23-24 ივნისს, 16 საათზე;
დაკრძალვა: 25 ივნისს, 15 საათზე;
მისამართი: ტაშკენტის ქ. №18.

„კვირის პალიტრის" რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს ჩვენს პატარა ავტორს, *მერაბიკო კვიტაშვილს*, დიდი ბებიის

ქეთო ნიჟარაძე-კვიტაშვილის

გარდაცვალების გამო.

დუმბაძეების ოჯახი თანაგრძნობას უცხადებს *მერაბ და თემურ კვიტაშვილების ოჯახებს*, დედის

ქეთო ნიჟარაძე-კვიტაშვილის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ცენტრალური ინსტიტუტის თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სკოლამდელი აღზრდის ღვაწლმოსილი მუშაკი

ელისაბედ (ლიზა) ხარიტონის ასული სუხუნი

და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.

დედა სოფიო მარიდაშვილი, მეუღლე მანანა სახლთხუციშვილი, შვილები გიგა, თამაზ, სანდრო, სოფო, რუსუდან, და ნანა, სიძე სიმონ მაჭავარიანი, რძალი სოფიო ქეშმაძე, შვილიშვილები გიორგი, ლუკა, დისშვილები ვახტანგ, სოფიკო მაჭავარიანები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გიორგი (გივი) გიორგის ძე კირეულიშვილი

პანაშვიდი: 25, 26 ივნისს, 17 სთ;
გამოსვენება: 27 ივნისს, 14 სთ. ალ. ყაზბეგის გამზ. № 14;
დაკრძალვა: სოფ. მარტყოფში.

დაგვლიოთ თუ არა წყალი?

— ამ ბოლო დროს წყალს აქვს უცნაური გემო და სუნი. რა ფაქტორითაა განპირობებული ეს მოვლენა და შეიძლება თუ არა მსგავსი წყლის მოხმარება.

ნ. ბურჯანაძე

კითხვაზე პასუხობს **გურამ სოსელია**, ტექნიკური უნივერსიტეტის წყლის რესურსების გამოყენების, წყალმომარაგებისა და წყალანირების (კანალიზაცია) კათედრის დოცენტი

— სასმელი წყალი უნდა იყოს გამჭვირვალე, უფერო, უსუნო, უგემო, სიმღვრივე არ უნდა აღემატებოდეს 2 მგ-ს ლიტრზე. სასურველია, რომ სასმელი წყლის ტემპერატურა იყოს 7-12 გრადუსი ცელსიუსის ფარგლებში, თუმცა წყალმომარაგების წყაროს წყლის ტემპერატურა ხშირად 25 გრადუს ცელსიუსს აღწევს, სიმღვრივე კი, მით უმეტეს ზედაპირული წყლებისა, ძალზე მაღალია. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სიხისტეს, რაც განპირობებულია წყალში კალციუმის და მაგნიუმის მარილების არსებობით. თუმცა, მაღალი სიხისტის წყალი (გარკვეულ დონემდე) არ არის მავნებელი ჯანმრთელობისთვის და არ აუარესებს მის გემოვნებით თვისებებს. ამონიუმის შენაერთები წყალში ძალზე არასასურველ მოვლენას წარმოადგენს, რადგან იგი მიუთითებს ფეკალური (კანალიზაციის) წყლების დაბინძურებაზე (წყალი უნდა იყოს ნეიტრალური რეაქციის).

თბილისში სასმელი წყლის ხარისხი ძირითადად საკმაოდ მაღალია. დედაქალაქის წყალმომარაგება არაგვის და თბილისის ზღვის ხარჯზე ხდება. არაგვის ხეობაში მოქმედი 5 სათავე ნაგებობაა — ნატახტარის, ბულაჩაურის, საგურამოს, ჭოპორტის და მუხრანის. თბილისის ზღვა მარაგდება ივრის წყლით, რომელსაც ემატება წყალი არაგვის ხეობიდან.

წყლის ხარისხის შესანარჩუნებლად და სხვადასხვა ბაქტერიული ჩხირებისაგან დასაცავად დაახლოებით თვეში 42 ტონა ნარჩი-ქლორის იხარჯება. სასმელი წყლის დაბინძურების რისკი საკმაოდ მაღალია თუ მიწისქვეშა წყალგაყვანილობის სისტემა მწყობრში არ არის, დარღვეულია შეერთებები, იმ შემთხვევაში, თუ წყალსადენი მილი დაიცალა წყლისგან, ამ ტერიტორიაზე მყოფი მიწისქვეშა წყლების მოხვედრის ალბათობა მეტად დიდია, რადგანაც დაზიანებულია წყალგაყვანილობის სისტემა. წყლის მოწოდების განახლებისას უკვე ჩნდება საშიშროება მისი დაბინძურებისა. ბაქტერიების მომრავლების რისკის თავიდან ასაცილებლად, ზამთარ-ზაფხულ მკაცრად უნდა იყოს დაცული წყალში ნარჩი-ქლორის დადგენილი რაოდენობა, დიდ საშიშროებას წარმოადგენს კანალიზაციის და წყალსადენი მილის ერთ თხრილში მოქცევა. ამიტომ სამშენებლო წესები და ნორმები ზუსტად უნდა იყოს დაცული. წყალსადენი მილი უნდა გადიოდეს უფრო მაღლა, ვიდრე კანალიზაციის მილი.

რაც შეეხება გემოსა და სუნს, შესაძლოა იგი განპირობებულია წყალსადენში წყალმცენარეების არსებობით, რაც დაჭაობების საწინდარია. წყალმცენარის წარმოშობა წყალში ჟანგბადის ნაკლებობითაა განპირობებული. სწორედ ამ პროცესს მოჰყვება სუნი, ფერის შეცვლა, წყლის ამღვრევა, რაც თავისთავად აკნინებს წყლის ხარისხს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს ეკოლოგიურ პრობლემებზე, ანუ უფრო მკაცრად უნდა იყოს დაცული არაგვის ხეობის და თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორია დაბინძურებისგან.

საიდან მოდიან ბაგრატიონები?

— გთხოვთ, მოგვაწოდოთ ცნობები საქართველოს სამეფო გვარებზე. როდის ჩნდება საქართველოს ისტორიაში პირველად გვარი ბაგრატიონი და როგორია მისი წარმოშობის ისტორია, ვინ იყო პირველი ბაგრატოვანი მეფე და ა.შ. წინასწარ გიხდით მადლობას.

ნ. გელაშვილი

კითხვაზე პასუხობს **ჯაბა სამუშია**, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

ისტორიოგრაფიაში არ არსებობს საერთო აზრი ბაგრატიონთა წარმოშობასთან დაკავშირებით. ქართული, ბიზანტიური და სომხური წერილობითი წყაროების მიხედვით ბაგრატიონები ბიბლიური მეფეების იესე-დავით-სოლომონის შთამომავლებად ითვლებიან. ვახტანგ V-ს ბაგრატიონთა „ნათესაობის წიგნში“ ქართველი ხალხი განხილული ჰყავს როგორც ბიბლიური ნოეს შვილის — იაფეტის შთამომავალნი, ხოლო ბაგრატიონები ნოეს უფროსი შვილის — სემისაგან მომდინარედ მიაჩნია. X საუკუნის ქართველი ისტორიკოსი სუმბათ დავითის ძე მოგვითხრობს, რომ დავით წინასწარმეტყველის შთამომავალს სოლომონს 7 ვაჟი ჰყოლია, რომელთაგან 3 სომხეთში დამკვიდრებულა, ხოლო 4 ქართლში. გადმოცემით, სწორედ ამ უკანასკნელთაგან იღებს სათავეს ქართველი ბაგრატიონები.



ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებობს მოსაზრება, რომ ბაგრატიონები წარმოშობით ქართული პროვინციიდან — სპერიდან ყოფილან და ჭან-ლაზთა ტომს ეკუთვნოდნენ.

მკვლევართა ნაწილს კი მიაჩნიათ, რომ ბაგრატიონები ქართლის მეფეთა ფარნავაზიანთა დინასტიის განშტოებას წარმოადგენდნენ. სომეხი მეცნიერების აზრით, ქართველი ბაგრატიონები, სომეხი ბაგრატუნების განშტოებას ეკუთვნოდნენ.

ასეთი აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, ბოლო პერიოდში, უფრო მეტ მომხრეს იძენს ბაგრატიონთა საგვარეულოს ბიბლიური წარმოშობის იდეა.

საქართველოში პირველი ბაგრატიონები V საუკუნიდან ჩანან. დასაწყისში ბაგრატიონები ქართლის ერისთავები იყვნენ. ტაო-კლარჯეთის სამეფოს ჩამოყალიბების შემდეგ (V-X ს.ს.) ბაგრატიონები უკვე სამეფო დინასტიაა. X საუკუნეში ბაგრატიონთა საგვარეულო ორ ძირითად შტოდ ჩამოყალიბდა — ტაოსა და კლარჯეთის ბაგრატიონებად. ერთიანი საქართველოს მეფეები ტაოს შტოს ეკუთვნოდნენ. ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა აღზევება V ს.-ის ბოლოს მოხდა, ამ შტოს ფუძემდებლის, აშოტ ქართველთა კურაპალატის დროს. კლარჯეთის შტო X საუკუნეში ამოწყდა.

XV ს.-ის ნახევარში საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგ ბაგრატიონთა საგვარეულო ძირითადად სამ შტოდ დაიყო — ქართლის, კახეთისა და იმერეთის ბაგრატიონებად. ამასთანავე არსებობდა ბაგრატიონთა საგვარეულოს სხვა განშტოებებიც, რომლებიც დავითიშვილების, გოჩაშვილების გვარს ატარებდნენ.

ბაგრატიონთა საგვარეულო მსოფლიოს უძველეს სამეფო საგვარეულოთა რიცხვს ეკუთვნის. დღეისათვის ამ გვარის შთამომავლები ცხოვრობენ საქართველოში, რუსეთში, საფრანგეთში, იტალიაში, ესპანეთში.

1995 წელს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია -ის კურთხევით დაფუძნდა საზოგადოება „ბაგრატოვანთა სახლი“.

ნუ მოტყუვდებით კომპიუტერის შეძენისას...

— გაზეთში გამოქვეყნებული განცხადებით ვიყიდე კომპიუტერი. გამყიდველმა მითხრა, რომ პენტიუმ III-აო, მაგრამ მეგობარი მარწმუნებს, რომ ეს სელერონ-850-ია. თუ შეიძლება ამიხსნათ, რა განსხვავებაა პენტიუმსა და სელერონს შორის.

სოსო მგელაძე

კითხვაზე პასუხობს კომპიუტერული ცენტრის წარმომადგენელი



თავდაპირველად თუ არ გვიწყენთ, დავიწყებთ რჩევით. როდესაც გადაწყვეტთ სხვადასხვა ტექნიკური აპარატურის შეძენას, უმჯობესია მოისმინოთ კომპეტენტური, ნეიტრალური რჩევა. გაერკვიოთ ტექნიკის ხარისხსა თუ წარმოების ვადებში და ა.შ. ახლა კი რაც შეეხება უშუალოდ თქვენს კითხვას. პენტიუმ -ს და სელერონს ერთი და იგივე ფირმა „ინტელი“ აწარმოებს, თუმცა პენტიუმ სჯობია სელერონ-850-ს. ამდენად, ფასშიც დიდი განსხვავებაა.

თავად პროცესორი ხასიათდება მრავალი მახასიათებელი ნიშნით. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია განმასხვავებელი ნიშნები. ეს არის: 1) პროცესორის სიხშირე; 2) ინტეგრირებული აქვს თუ არა (დამონტაჟებულია თუ არა) „კეშ“ მეხსიერება, რომელიც კილობაიტებში იზომება; 3) აქვს თუ არა შიდა პროცესორი, რომელიც განსაზღვრავს მის სწრაფად მუშაობას ანუ ოპერაციების სწრაფ შესრულებას. პენტიუმ -ს — 133 მეგაჰერცი სიხშირე აქვს, ხოლო სელერონ-850-ს — 100 მეგაჰერცი, ანუ მისი მუშაობის სისწრაფე გაცილებით ნაკლებია.

ჯერჯერობით სელერონ 850-ის პროცესორს ნებისმიერი პროგრამული უზრუნველყოფის მხარდაჭერა შეუძლია. ერთადერთი საგრძნობი სირთულე შეიძლება მათემატიკური ამოცანების ამოხსნისას შეგექმნათ.

საერთოდ კი, ბრძად ნუ ენდობით გამყიდველს, შეძლებისდაგვარად თავად შეამოწმეთ თქვენ მიერ ნაყიდი აპარატურა. კომპიუტერის ჩართვისას მონიტორზე, შავ ფონზე გამოდის მინაწერი, რომელზეც მითითებულია პროცესორის სიხშირე და ტიპი (ანუ პენტიუმია თუ სელერონი).

როდის დაიწყეს კონსერვის დამზადება?

— სად და როდის დაიწყეს პირველად მსოფლიოში კონსერვების დამზადება.

ნინო ახალკაცი

— კონსერვი ლათინური სიტყვაა და შენახვას ნიშნავს. სხვადასხვა ფორმისა და ზომის, ასევე სხვადასხვა მასალის სპეციალურ ქილებში თუ ყუთებში ათავსებენ მცენარეული და ცხოველური წარმოშობის დამუშავებულ საკვებ პროდუქტებს, რომელიც განკუთვნილია დიდხანს შესანახად.

ამ გამოგონებისთვის კაცობრიობა საფრანგეთის რევოლუციის მადლიერი უნდა იყოს. იმ წლებში ჯარი ფაქტობრივად შიმშილობდა, სულ უბრალო მიზეზის გამო — საკვები პროდუქტი სწრაფად ფუჭდებოდა. ამიტომ 1795 წელს საფრანგეთში გამოცხადდა კონკურსი, რომელიც პროდუქტის ხანგრძლივი დროით შენახვას ისახავდა მიზნად. დაწესდა პრემია 12 ათასი ფრანკის ოდენობით. ეს თანხა, სახელმწიფო პრემია და კაცობრიობის „კეთილისმყოფელის“ საპატიო წოდება 14 წლის შემდგომ მიიღო პარიზელმა მზარეულმა ნიკოლა ფრანსუა აპერმა.

რკინისა და კალისაგან დამზადებული პირველი კონსერვის ქილა ინგლისელ პიტერ დიურანის სახელს უკავშირდება (1810 წელი). 1812 წელს ქალაქ ბერმონდში (ინგლისი) დაარსდა პირველი საკონსერვო საწარმო...

მე-19 საუკუნის ბოლომდე კონსერვების დამზადება ხელით ხდებოდა. 1890 წელს კი გამოიგონეს მანქანა-დანადგარი, რომელიც თუნუქის ქილას ორმაგი ნაწიბურით ხუფავდა.

1960 წლიდან კონსერვის ქილების დასამზადებლად გამოიყენეს ალუმინი, რომელიც უკეთ ინახავს საკვებს.

ლეიკოზი და ზღვა

— მყავს ორი მცირეწლოვანი შვილი. ზაფხულობით ვისვენებთ ზღვაზე. ძალზე მაშინებს მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა, რადგან როგორც გავიგე, საგრძნობლად მოიმატა ლეიკოზით დაავადებულ ბავშვთა რიცხვმა. რას მირჩევთ, წავიყვანო თუ არა ბავშვები ზღვაზე?

დ. გოგოჭური

ამ სახის შეკითხვები რედაქციაში მრავლად მოდის. მით უმეტეს ახლა, როცა ზღვაზე დასვენების სეზონი დგება.

კითხვაზე პასუხობს **ასმათ შენგელაია**, პროფესორი, ბავშვთა ონკო-ჰემატოლოგიური ცენტრის კლინიკური განყოფილების ხელმძღვანელი



— ლეიკემია ეს არის სისხლბადი სისტემის სიმსივნე — ნეოპლაზმა. საზოგადოება მას „სისხლის გათეთრების“ სახელწოდებით იცნობს. დაავადების გამომწვევი კონკრეტული მიზეზი ცნობილი არ არის. მის განვითარებას მრავალი ფაქტორი უწყობს ხელს. გენეტიკური, ვირუსული, გარემო ფაქტორები, ორგანიზმის იმუნური სტატუსის მდგომარეობა. აქვე აღვნიშნავთ, რომ ყოველი ჩვენგანის ორგანიზმში ხდება მუტაცია და წარმოიშობა სიმსივნური უჯრედების გარკვეული რაოდენობა, თუმცა ჩვენი ორგანიზმი, იმუნიტეტი ახდენს ამ კლონის ელიმინაციას (განდევნას). თუ ბავშვის ორგანიზმი დასუსტებულია, არა აქვს ნორმალური იმუნური სისტემა და დათრგუნვილია მისი დაცვითი ძალები, დაავადების რისკი დიდია.

რაც შეეხება სიხშირეს, ასი ათასი ბავშვიდან ავადდება ყოველი 5 ბავშვი. ბოლო წლების განმავლობაში დაავადებულთა რიცხვი საგრძნობლად არც გაზრდილა და არც შემცირებულა. გაზაფხულზე ლეიკემიის გამოვლენის შემთხვევები მატულობს, რაც უკავშირდება ბავშვის იმუნური სტატუსის ცვლილებას. დაავადების გამოვლენა ბავშვებში ძირითადად 4-5 წლის ასაკში ხდება. სარწმუნო მაჩვენებელი სხვადასხვა რეგიონში ლეიკემიის სიხშირის შესახებ არ არსებობს.

კლინიკური ნიშნები მეტად არასპეციფიკურია. მშობლებმა და მკურნალმა პედიატრმა ყურადღება უნდა გაამახვილონ შემდეგ ფაქტორებზე: ბავშვს, რომელიც ხშირი მოავადება, სისხლის ანალიზში აღენიშნება ცვლილებები, გადიდებული აქვს ლიმფური კვანძები, ახასიათებს ხშირი სისხლდენა, სახსრების ტკივილი, სისუსტე, ადვილად დაღლა. ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინებით უნდა ჩაუტარდეს ჰემატოლოგის კონსულტაცია ლეიკემიის გამოსარიცხად.

ახლა კი რაც შეეხება კონკრეტულ კითხვას:

როგორც პედიატრი ონკო-ჰემატოლოგი, არ ვურჩევ დედებს სამ წლამდე ბავშვის ზღვაზე დასასვენებლად წაყვანას. იმ თვალსაზრისით, რომ ბავშვმა არ უნდა მიიღოს იმ რაოდენობით მზის აბაზანა, რისი უფლებაც შესაძლოა მოზრდილმა ადამიანმა მისცეს საკუთარ თავს. ანუ ინტენსიური ყოფნა თაკარა მზეზე არ შეიძლება, ვინაიდან დადასტურებულია, რომ ზღვაზე რადიაციული ფონი მომატებულია. ხოლო სამ წლამდე ბავშვის ორგანიზმი ლაბილურია, არ არის ბოლომდე ჩამოყალიბებული მისი იმუნური სისტემა და სწორედ ამიტომ, მისი ორგანიზმის დატვირთვა არ არის სასურველი.

სამი წლიდან ბავშვი შეგიძლიათ წაიყვანოთ ზღვაზე. თუმცა, ისევ და ისევ მოარიდოთ მცხუნვარე მზეს. შეუზღუდოთ მზის აბაზანების ხანგრძლივობა. აბანაოთ დილას და საღამოს. ზაფხულში 11-დან 18 საათამდე ბავშვი, ისე როგორც მოზრდილი, მზეზე არ უნდა იმყოფებოდეს. ეს ფაქტორი გასათვალისწინებელია, როგორც ზღვაზე დასვენებისას, ისე ქალაქშიაც. გაითვალისწინეთ ისიც, რომ ზღვაზე დასვენების პერიოდი არ უნდა იყოს ხანგრძლივი.

სიტყვა «რობოტი» ტრამვაიში დაიბადა

— მართალია, თითქოს სიტყვა „რობოტი“ რომელიღაც მწერალ-ფანტასტმა მოიგონა?

ნინი ჭელიძე

— სიტყვა „რობოტი“ ჩეხმა მწერალმა კარელ ჩაპეკმა მოიგონა. პირველად ეს სიტყვა მის ფანტასტიკურ ნაწარმოებში „R.U.R.“-ში გამოჩნდა 1920 წელს. თუმცა არსებობს ვერსია, რომლის თანახმად, სიტყვა „რობოტი“ ჩაპეკის ძმამ, მხატვარმა იოზეფმა მოიგონა.

თავად ჩაპეკი ასე იგონებს: „სიტყვა „რობოტი“ ტრამვაიში დაიბადა. ისეთი ჭედვა იყო, რომ ძლივს ვსუნთქავდი. ხალხი მექანიკურად ადიჩამოდიოდა, ადამიანებს აღარ ჰგავდნენ. მაშინ დავიწყე ფიქრი სიტყვაზე, რომელიც მომუშავე, მაგრამ არამოაზროვნე ადამიანს აღნიშნავდა. ასე გაჩნდა სიტყვა „რობოტი“.

რუბრიკა მოამზადა რუსუდან ყორღოლიანმა

წინაპართა რჩევა

ღილი. თუ შავმა კატამ გადაგირბინათ, ღილს მოჰკიდეთ ხელი, ყველაფერი წესრიგში იქნება.

საპონი ჯიბეში დაგიცავთ ავი თვალისაგან.

ლურსმანი ჩააჭედეთ კედელში, თან იფიქრეთ იმაზე, რაც გაწუხებთ და გულში თქვით: „როგორც რკინა უჩინარდება კედელში, ასევე გაქრეს და გაუჩინარდეს წუხილი ჩემი“.

ნემსი, მაკრატელი, დანა და მისთ. არავის აჩუქოთ, ჩხუბი იცის. ავი თვალისაგან ოჯახის დასაცავად ჩაარჭვეთ კარებში დანა ან ნემსი მახვილი ბოლოთი ისე, რომ გარეთ იყურებოდეს. მაკრატელი გახსნილი არ დატოვოთ, ჩხუბი იცის. ახალფეხადგმულ ბავშვს დანა გაუტარეთ ღაჯებში — მოსალოდნელ ხიფათებს ააშორებს.

სარკე შემოსასვლელი კარის პირდაპირ დადგით ან დაკიდეთ. პატარა სარკე მედალიონივით ჩამოიკიდეთ ყელზე — ყველა ხიფათს აირეკლავს და აგაშორებს. თუ

სარკე გატყდა, ნამტვრევები ჩაფალით მიწაში. ნაჩუქარი სარკე ყოველი შემთხვევისათვის ნაკურთხი წყლით გაწმინდეთ.

წითელი ცხვირსახოცი ან წინდა მოაბით სკამის ფეხს და დაკარგულ ნივთს იპოვით.

სახლის კარი. გადააბიჯეთ ზღურბლს, გულში ჩაითქვით სურვილი, უკან გადმოაბიჯეთ და მიხურეთ კარები. სურვილი შეგისრულდებათ.

ნლო №24

უკვდავების გაცვლები

მრავალი საუკუნის განმავლობაში ადამიანი ოცნებობს უკვდავებაზე, ამიტომ ვერავითარი აღთქმა საიქიო ცხოვრებისა, ვერ ათქმევინებს უარს იმ ელექსირის ძიებაზე, რომელიც ამქვეყნიური ცხოვრებით ტკბობას გაუხანგრძლივებს.

მიუხედავად იმისა, რომ უკვდავების ელექსირი თქმულება-ლეგენდებში დარჩა, არსებობს სისტემები სიცოცხლის გახანგრძლივებისა.

სიცოცხლის გახანგრძლივებას ხელს უწყობს:

— ლოცვა ჭამის წინ.

— გემოს ენერგიის სწორად გამოყენება. საამისოდ, ყოველდღე, არანაკლებ 15 წუთისა, უნდა მოხდეს ყურადღების კონცენტრაცია ენის წვერზე. სწორი კონცენტრაციის შემთხვევაში დიდი რაოდენობით გამოიყოფა მოტკბო გემოს ნერწყვი. ეს ჩვევა საგრძნობლად შეამცირებს საკვების რაციონს, დაგაკმაყოფილებთ სულ უბრალო საკვებიც კი და მოგცემთ საშუალებას, დიდი ხნის განმავლობაში გაძლოთ უჭმელი, იშიმშილოთ.

— სიცილის მედიტაცია. საამისოდ, გაღვიძებიდან რამდენიმე წუთის შემდეგ, ჯერ კიდევ ლოგინში მწოლიარემ დაიწყეთ სიცილი. ეს კარგი განწყობილების საწინდარია მთელი დღის განმავლობაში.

ტაინაია ვლასტ №11

ჩვენ გვწერენ

სიყვარული და სიზმარი

ოთხშაბათ ღამეს უცნაური სიზმარი ვნახე: თითქოს ჩემთან, წვეულებაზე იყო გუგა, ყმაწვილი, რომელიც ძალიან მომწონდა. ნაშუაღამევს ყველანი წავიდ-წამოვიდნენ. მხიარულად დავემშვიდობეთ ერთმანეთს. გუგა სულ ბოლო გავიდა. კარებში იდგა და თბილად მიღიმოდა. რატომღაც ძალიან ახლოს მივედი, სუნთქვას ვგრძნობდი. უცებ ავლაპარაკდი — დარჩი რა, გუგა, გეხვეწები... ძალიან მიყვარხარ-მეთქი: გუგას გაეღიმა, თვალები აუწყლიანდა, ფრთხილად მომკიდა ხელი და ოთახში შემოვიდა. მერე დატრიალდა, ერთად ავალაგეთ სუფრა, დავაწკრიალეთ იქაურობა. განთიადი მოტანებული იყო, გუგამ მაგნიტოფონი ჩართო. ცეკვა დავიწყეთ. თან უმიზ-

ეზოდ ვიცინოდით. ანაზდად გული შემეკუმშა. გუგას ფეხზე დავხედე. მარცხენა ტერფი არ ჰქონდა. ამ შიშმა გამომაღვიძა.

რამდენიმე დღის შემდეგ ამბავი მომიტანეს — სწორედ იმ ღამეს გუგას სამსახურს ყაჩაღები დასხმიან თავს. ამტყდარა სროლა. გუგასაც მოხვედრია რამდენიმე ტყვია. მარცხენა ტერფი ისე დაჩეჩქვია, რომ მოუკვეთიათ. ბევრი სისხლის დაკარგვის გამო მთელი ღამე სიკვდილ-სიცოცხლის შუა ყოფილა. განთიადისას კი გორს მოსულა და საწოლში ისე წამომჯდარა, თითქოს არაფერი მომხდარიყო. განცვიფრებული ექიმებისთვის უთქვამს, — ისეთი მშვენიერი სიზმარი ვნახე, უსათუოდ გამოვჯანმრთელდებიო.

...ერთი თვის შემდეგ ჩემს ოთახში კოჭლობით შემოვიდა გუგა.

ნანა მარლანია

სამედიცინო ცენტრი "მედი"

ულტრაბგერითი ლიპოსაქცია

▼სხეულის ნებისმიერ მონაკვეთზე
▼უმტკივნეულოდ
▼საუკეთესო შედეგებით

25-02-02
93-89-75
ალ. ყაზბეგის გამზ. №1

ოპერატორი გია გვარამია

მს ამბავი ჩემს ახლობელს რომ არ შემთხვეოდათ, არც მიამბოდით...

ამბავი, რომელიც ახლა უნდა გიამბოთ, ჩემს ძალიან ახლობელ ადამიანს რომ არ გადახდენოდა თავს, იქნებ არ დამეჯერებინა და მით უმეტეს, მკითხველისთვის მისი მოყოლის სურვილი არ გამიჩნდებოდა. მაგრამ წინასწარმეტყველება სრულად ახდა და ამ ცოტა ხნის წინ შემზარავი ტრაგედიაც დატრიალდა, რამაც ც. და შ. ბ.-ძეების ოჯახი საბოლოოდ გაანადგურა და გატეხა წელში...

წინასწარმეტყველება კი შორეულ 60-იან წლებში მოხდა, მაშინ, როცა დედინაცვლის ნების საწინააღმდეგოდ 24 წლის შ. ბ.-ძემ შეყვარებული შეირთო ცოლად.

დედინაცვალი ბიჭს ცუდად არ ექცეოდა. 9 წლიდან ზრდიდა უდედოდ დარჩენილს და არც ღვიძლ შვილებში გამოურჩევია. უმცროსმა ძმებმა კარგა ხანს არც იცოდნენ, რომ შ. მათი ნახევარძმა იყო.

დედინაცვალი დაბეჯითებით ვერც ამბობდა, რას უწუნებდა მშვენიერ ც.-ს. აიხირა — გული მიგრძნობს, ეგ გოგო უბედური ფეხით შემოვა ჩვენს ოჯახშიო, რაც დამაჯერებელ არგუმენტად ვერ გამოდგება შეყვარებული ბიჭისთვის.

ბედნიერებას რომ ელოდნენ, მაშინ დაიწყო ჟსიამოვნებები.

ც.-ს უგუნებობა დაეწყო, თავის ტკივილები დასჩემდა და რაც ყველაზე უცნაურია, სადილად რომ დასხდებოდნენ, ც. თავის წილ ულუფაში აუცილებლად დახვეულ თმას აღმოაჩენდა. მაღაზიიდან მოტანილ პურშიც კი, ც.-ს ნაჭერში ნახავდნენ თმას, რაც, ბუნებრივია, გოგოს მადას უკარგავდა და ვერაფერს ჭამდა. თავიდან ახირებად ჩაუთვლეს. მერე, თვალდათვალ რომ დაწა და ლამის ხელიდან გამოეცალათ, ჯერ ექიმებში ატარეს, ფსიქიატრამდეც მიაღწიეს, მაგრამ...

როგორ ჩაეთვალათ ახირებად, როცა თმის ბურთებს სხვებიც ხედავდნენ მის თეფშში...

ისევ დედამ უშველა, რომელსაც ქმრის სანათესაოში ჰყავდა მკითხავი და წინასწარმეტყველი.

ც. მასთან მიიყვანეს...

ახლა ვერც ც. იხსენებს და ვერც მე გეტყვით, როგორ და რანაირად მოხდა წინასწარმეტყველება, მაგრამ მისი შინაარსი დაახლოებით ასეთი იყო:

ჯადო ახლობელმა გააკეთა, რომ შ.-ს ბედი არ გახსნოდა და მისი შვილები არ დაბადებულიყვნენ, რათა მემკვიდრეობაში კონკურენცია არ გაეწიათ თავისი ბიძაშვილებისთვის...

მაგრამ, რადგან ბედი მაინც გაეხსნა, ახლა ქალის მოსაკლავადაა გაკეთებული ჯადო — ის უნდა მოკვდეს და იქნებ ასეც ჯობდეს, რადგან რამდენ ვაჟსაც გააჩენს, ყველა დაეღუპებაო!..

იქვე 89 წლის კატო ბებოს შეუთავაზებია — მე ვიზრუნებ, რომ ც.-ს სიცოცხლე შევუნარჩუნო, შერყეულ ჯანმრთელობასაც აღვუდგენ ლოცვებით, მაგრამ... ბავშვების გადარჩენა ჩემს ძალას აღემატება, მათი მომავალი, უბრალოდ არ არსებობსო!..

მეტი რა გზა ჰქონდათ და ენდნენ კატო ბებოს.

ც. მალე მართლაც უკეთ გახდა და 1970 წლის დასაწყისში ვაჟიც შეეძინა, რომელმაც... მხოლოდ სამი თვე იცოცხლა.

როცა მეორედ დაფეხმძიმდა, მაშინვე მიაკითხეს კატოს, შველა სთხოვეს. ქალმა ხელები გაასავსავა, — მეტი მართლა არაფერი შემიძლიაო!..

ისევ ღვთის იმედად დარჩნენ, არადა 1971 წლის ბოლოს დაბადებულმა ბიჭმაც ორიოდე თვე იცოცხლა მხოლოდ...

მესამე გოგონა დაიბადა.

გოგონაზე არ იყო ჯადო და არც რამე დამუქრებია მის სიცოცხლეს. დღეს ფატი მშვენიერი ქალბატონია, რომელიც ასევე ორ გოგონას ზრდის და არც სურს ვაჟიშვილი: — ვიცი, რომ ჯადო სამ თაობაზეა და ჩემს შვილიშვილებშიც რომ გაჩნდეს ვაჟი, ვერც ის იცოცხლებსო...

ესეც მოხუცი კატოსაგან იციან.

ც-მ კი ბოლო ბიჭი 1976 წელს გააჩინა. მაშინვე წინასწარმეტყველს მიადგნენ, მუხლებში ჩაუვარდნენ, — გვიშველე რამე, უნაკლო ბავშვია, ბოროტ ძალას რატომ უნდა შეეწიროსო?!.

კატომ აღიარა: შავ მაგიას არ ვუპირისპირდები, აღთქმა მაქვს დადებული, მაგრამ თქვენმა საცოდაობამ ისე შემაწუხა, ჯანდაბას, ჩემი თავიო და რიტუალისთვის საჭირო ატრიბუტების მოტანა სთხოვა. თან გააფრთხილა: — თუ ყველაფერი გამომივიდა, ამ ჯადოს გამკეთებელს საშინელი თავის ტკივილი დაეწყება, რამაც შეიძლება თვითმკვლელობამდეც მიიყვანოს. თქვენს პატარებსაც თავზე აქვთ ჯადო, ამისგან იღუპებოდნენო!..

...სამ თვეში დედინაცვალმა ჩამოიხრჩო თავი — მოულოდნელად დაწყებულ თავის ტკივილს ვერ გაუძლო, თუმცა ის კი უგრძნია, რომ მის ჯადოს ვიღაც ძლიერი და სუფთა დაუპირისპირდა...

თვითმკვლელობამდე ორიოდე დღით ადრე გერი და რძალი დაწყევლა, — თქვენი ვაჟი მაინც ვერ იცოცხლებს, ჩემს ბიჭებს შემცილებელი არასოდეს ეყოლებათ. არც საიქიოდან მოგასვენებთო!..

სანამ თავად არ გაამჟღავნა თავი, მანამდე არც უკადრებიათ ეჭვი გამოეთქვათ, რომ დედინაცვალი იყო ჯადოქარი, ის ქალი, რომელიც შ.-ს ღვიძლ შვილებში არ არჩევდა...

ოლონდ ძე შერჩენოდა და შ.-მ მამისეული ეზო-კარი დატოვა, ძაფიც არ წამოუღია. ჯერ ცოლის ნათესავებს შეეკედლა, შემდეგ ქალაქში გადასახლდა...

1979 წელს კატო გარდაიცვალა.

სიკვდილამდე ორიოდე თვით ადრე ცოლქმარი დაიბარა, — სამწუხაროდ, ბოლომდე ვერ გავხსენი ჯადო, თქვენს შვილს ისევ ჩაკეტილი აქვს მომავალი. ისიც თავის ტკივილით უნდა მოკვდეს. ერთადერთი ხსნა ლოცვასა და ეკლესიაშია. ბავშვი ტაძარში წაიყვანეთ და მის საერო ცხოვრებაზე ნურც იოცნებებთო!..

პატარა ნოდარიკო მართლაც ეკლესიაში გაიზარდა. ბერად შედგომასაც აპირებდა, რომ... საშინელი თავის ტკივილი დაეწყო. ექიმები ბევრს ეცადნენ, დაედგინათ ავადმყოფობის მიზეზი, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. ბოლოს, ოპერაცია გადაუწყვიტეს...

გაუკეთეს კიდეც, მაგრამ, სამწუხაროდ, საოპერაციო ოთახიდან ცოცხალი ვერ გამოიყვანეს...

რადგან კატო ბებო დიდი ხნის გარდაცვლილი იყო, სხვა ნათელმხილველს სთხოვეს დახმარება, მაგრამ მან უარი თქვა, — ჯადო ძველია, თან მისმა გამკეთებელმა თავი მოიკლა. ცხადია, საიქიოში არ მიიღეს, ამიტომ მისი გაბოროტებული სული ცასა და დედამიწას შორის დაძრწის, შეიძლება ქალიშვილიც გაგიუბედუროთო...

სხვათა შორის, შ.-ს ერთი ნახევარძმა ავარიაში მოხვდა და ინვალიდის ეტლს მიეჯაჭვა. მას შ. და ც. უვლიან. მეორე... ცისფერი აღმოჩნდა და საზღვარგარეთ წავიდა... როგორც ჩანს, დედის ჯადომ არც მათ დააყარა სიკეთე.

სოფლელები უპატრონოდ დარჩენილ დაწყევლილ სახლ-კარს შორიახლოსაც არ ეკარებიან და რომ ეხვეწო, იქიდან გამოტანილ ოქროსაც კი არ ახლებენ ხელს...

ინგა ჯაყელი

„საბალღო-სალაღო“ გვერდის პასუხები

I. **რეგუსი**
ავი ძაღლი არც თვითონ ჭამს, არც სხვას აჭმევსო.

II. თაგვი.

ამბავი ყვავების სევდიანი სიმღერისა...

ქალაქში, სამსართულიანი სახლის მახლობლად, ყვავებმა ერთ მაღალ ხეზე დაიდეს ბინა. წყნარად, უხმაუროდ ცხოვრობდნენ: ჩხაოდნენ, მაგრამ არ ჩხუბობდნენ, არავის ერჩოდნენ.

მოულოდნელად ერთ-ერთი მათგანი მანქანამ გაიტანა. საბრალო, გზაზე ეგდო. შემდეგ მეორე ყვავმა გადაათრია მახლობელ სახლამდე. რამდენიმე დღე არ მოშორებია დაღუპულს, გულისწამღებად დასჩხაოდა თავზე... მობინადრეებს მისი ცოდვით ცრემლი ერეოდათ.

ერთ დილას შენიშნეს, მგლოვიარე ყვავი ხის კენწეროზე, პირდაპირ ბუდის თავზე ეკიდა...

თვითმხილველები ირწმუნებოდნენ, ყვავს თავი მავთულის მარყუჟში ჰქონდა გაყოფილიო — თავი ჩამოეხრჩო.

მართლაც, რითია დაქვრივებული ყვავი ნაკლები გედზე, რომელიც პარტნიორის დაკარგვით დამწუხრებული მიფრინავს მაღლა, ძალიან მაღლა და იქიდან ფრთებდაკეცილი ენარცხება მიწას...

პრიროდა ი ჟიზნ №6

მისი უკანასკნელი „პანჩი“

ამაოდ ჩაიარა ეგვიპტელი ბიზნესმენის, მოჰამედ ალ ფაიედის მცდელობამ, ბრიტანეთის არისტოკრატიის სრულუფლებიანი წევრი გამხდარიყო. პირველად ბრიტანელებმა ცხვირი აუბზუეს 1985 წელს, როცა ცნობილ მაღაზიათა ქსელი ჩაიგდო ხელთ და მისი ტრადიციული ინტერიერი გადააკეთა — უცხოელია და იმიტომ მოიქცა ასე, პატივი არ სცა ჩვენს ტრადიციებსო. როდესაც მისმა ვაჟმა, დოდიმ, პრინცესა დაიანასთან დაახლოება დაიწყო, იმედი მიეცა, მაგრამ ეს ამბავი ტრაგიკულად დამთავრდა...

ალ ფაიედმა მომხდარი უბედურება სამეფო ოჯახს დააბრალა. ამის გამო მას ყველამ ზურგი აქცია. ბოლოს, იფიქრა, ინგლისური ელიტის კარი გამეღება, თუ ტრადიციულ ბრიტანულ სატირულ ჟურნალ „პანჩის“ (რუსული „პეტრუშკას“ მსგავსია) ვიყიდიო და ჩანაფიქრი 1996 წელს განახორციელა კიდეც. მაგრამ აქაც ხელი მოეცარა — ჟურნალმა თანდათან დაკარგა მყიდველი და დაიხურა...

შესაძლოა ამის მიზეზი ალ ფაიედის არასწორი პოლიტიკა იყო. მან ჟურნალს მიმართულება შეუცვალა — დაიწყო ელიტის ყოფის სატირულად გადმოცემა, ჟურნალისტური გამოძიებების ბეჭდვა. ჟურნალის „გარდაცვალებასთან“ ერთად კი ეგვიპტელი ბიზნესმენის ბოლო იმედიც გარდაიცვალა, რომელიც ბრიტანეთის მმართველი კლასის წევრობის მოპოვებას გულისხმობდა.

ნიუზუიქი

მარგოხელა გოლიათი ანუ უნიკალური ფოტო

მუჰამედ ალი — მსოფლიოს უდიდესი მოკრივე, 60-70-იანი წლების კერპი. იგი იღვწოდა ზანგების ემანსიპაციისა და უფლებებისთვის. 1984 წელს, როცა ცნობილი ფოტოგრაფი ფოლკერ ჰინცი ლეგენდად აღიარებული მოჰამედ ალის ლოს-ანჯელესში შეხვდა, მოკრივე პარკინსონით იყო დაავადებული. მისი კარიერა ფინიშს უახლოვდებოდა და რინგზე ბოლო გამოსვლისთვის ემზადებოდა. მაშინ 42 წლის ალიმ ფოტოგრაფს მის გვერდით მუდმივად ყოფნის ნება დართო. ჰინცი დიდ მოკრივეს ყველგან თან ახლდა — ვარჯიშებზე, რინგსა თუ დარბაზებში, შინაც. სწორედ იმ დროს გადაიღო ფოტოგრაფმა შთამბეჭდავი, მელანქოლიური ფოტოების მთელი სერია, სადაც, მიუხედავად დიდებისა და გარშემომყოფთა თაყვანისცემისა, ნათლად ჩანს გოლიათის მარტოსულობა და მიუსაფრობა. ფოტოზე, რომელსაც გთავაზობთ და რომელიც პირველად ქვეყნდება, ალი თავის გოგონასთან, ლეილასთან არის გამოსახული.

შტერნი

ოკლაჰომაში ჩაინგრა ხიდი

ოკლაჰომაში ჩაინგრა მდ. არკანზასზე აგებული 600-მეტრიანი ხიდი. ეს გამოიწვია იმან, რომ 150-მეტრიანი ბარჟა დაეჯახა ხიდის საყრდენ სექციას, რომელიც ჰაერში ავარდა და მდინარეში ჩაეშვა. ხიდი 20 წლის წინ ააგეს და ნავარაუდევი იყო, რომ 75 წელს გაძლებდა. კატასტროფის შემდეგ 18 მეტრის სიმაღლიდან ერთიმეორის მიყოლებით გადაეშვნენ მდინარეში ხიდზე მიმავალი მანქანები. დაიღუპა 17 ადამიანი. ამერიკაში მსგავსი კატასტროფა იშვიათი როდია. უკანასკნელი ანალოგიური ტრაგედია შარშან სექტემბერში მოხდა ტეხასში. მაშინაც ბარჟა შეეჯახა ხიდის საყრდენს, რამაც 8 კაცი იმსხვერპლა. ყველაზე დიდი კატასტროფა კი 1967 წელს მოხდა მდინარე ოჰაიოზე. მაშინ 46 ადამიანი დაიღუპა.

ვაშინგტონ პოსტი

ბატკუა შესწყდა შმტ ესეთ თეატრში ხელყუნტშ

ერთ სამხრეთაფრიკელ ქურდს, რომ სცოდნოდა, რა ელოდა, ახლოსაც არ გაეკარებოდა იმ ავადსახსენებელ ბინას.

დაღამდა თუ არა, ქურდი იოლად შეიპარა შეგულებულ ბინაში — სახლის პატრონი შინ არც ეგულებოდა. ჰოდა, საქმესაც აუჩქარებლად შეუდგა — ნება-ნება ალაგებდა ნივთებს ჩანთაში. უეცრად ოთახი განათდა და წინ ერთი გალეული ქალი აესვეტა. არაფრად ჩაუგდია, თვითონ ერთი ახმახი ვინმე იყო და ჩურჩულით წაუსისინა: ხმა არ ამოიღო, თორემ მიგახრჩობო... სიტყვა დამთავრებული არ ჰქონდა, ყბაში ისე ამოჰკრა ქალმა ფეხი, რომ იატაკზე მოადინა ზღართანი. ტკივილისა და ბრაზისგან აღმუვლებული წამოვარდა და ქალს ეცა ისე, რომ არც დაჰკვირვებია, რა ჰქონდა ქალს ხელთ...

რომ გამოერკვა, რეანიმაციაში იწვა მრავლობითი მოტეხილობით. თურმე საბრალო, კარატეს მეორე დანის მფლობელის, მარიეტ ფურიეს ბინაში შეპარულა. ეს მესამე ქურდი ყოფილა მისგან რეანიმაციაში გაგზავნილი.

ეხო პლანეტი №22

როგორი სახის კოცნისთვის შეიძლება დაგინგრიონ თავ-ყბა

ბოლო დროს მამაკაცებს ძალიან მოსწონთ კოცნის პროცესი. სულ იმას ფიქრობენ, როგორ მისწვდნენ ერთმანეთს ტუჩებით. დღეში რამდენჯერაც შეხვდებიან, იმდენჯერვე ჩაეკონებიან ერთურთს. რა საზიზღრობაა... სპეციალისტებმა უკვე გამოყვეს მამაკაცური კოცნის ნ სახეობა.

პირველია **მამაშვილური კოცნა**. კოცნის ინიციატორი, დიდი ხელით იჭერს პარტნიორის კეფას, როგორც ბავშვისას და კოცნის ტუჩის კუთხეში.

მეორეს ჰქვია **დათვური კოცნა**. ის რუსებს მიაწერეს და აუცილებლად იხსენებენ ისტორიულ მომენტებს, როცა ბრეჟნევმა კინაღამ გაგუდა კარტერი სამიტის დროს, რომელიც ვენაში ჩატარდა 70-იან წლებში.

მესამე — **გულთბილი** — კოცნის ყველაზე გავრცელებული სახე, როცა პარტნიორს იდაყვებზე ეხები, ოდნავ იზიდავ შენკენ და ლოყაზე კოცნი. ამას შესანიშნავად აკეთებს პრინცი ჩარლზი.

მეოთხე სახეობა არის — **ტუჩების წუწნა,** რომელიც ძალიან უყვართ ფეხბურთელებს, როცა თამაშს იგებენ და ბურთს შეაგდებენ ბადეში. ხანდახან მათი ქცევა ზღვარს სცილდება და მაყურებელს აოგნებს.

მაგრამ, რატომღაც ყველაზე პროვოკაციულად ითვლება, თითქოსდა **ჰაეროვანი კოცნა**. მის გამო შეიძლება თავ-ყბაც დაგალეწონ. იმიტომ, რომ ამ სახის კოცნა გავრცელებულია მოდელიერებსა და ჰომოსექსუალებს შორის...

გარდიანი №23

ძაღლი ძაღლს გაიყვანს...

ესპანეთის სასამართლომ განიხილა ერთი ოჯახის გაყრის საქმე. დავა ქონების გაყოფაზე არ ყოფილა, იგი თანაბრად განაწილდა ყოფილ ცოლ-ქმარს შორის, გრიფონის ჯიშის პაწია ძაღლის გაყოფა კი გაჭირდა. ცოლი ირწმუნებოდა, ძაღლი მე ვიყიდე და ჩემთან უნდა დარჩესო. ქმარი კი ამბობდა, — გრიფონს მე უფრო ვუყვარვარო.

ქალაქ ელ კამპელოს მოსამართლემ ასე გადაწყვიტა: ორშაბათიდან პარასკევამდე ძაღლი იქნებოდა ცოლთან, უქმე დღეებში კი — ქმართან.

სასამართლოს ადვოკატი ხოსე ლუის გონსალესი კმაყოფილი დარჩა სასამართლოს გადაწყვეტილებით: „დაცულია ცხოველთა უფლებები, დადასტურებულია, რომ ცხოველი უბრალო ნივთი არ არის, “ — ამაყად განაცხადა მან.

მირ ნოვოსტეი №23

ფარდობითობის თეორია სწორი არ ყოფილა



მეცნიერები ეჭვობენ და აპირებენ ექსპერიმენტის ჩატარებას, რათა უარყონ ან საბოლოოდ უღაპარაკოდ გაიზიარონ აინშტაინის თეორიის სიზუსტე. ეს მოხდება რომელიმე კოსმოსური ექსპედიციისას. მონაწილეებმა უნდა გამოსცადონ ალბერტ აინშტაინის ერთ-ერთი მთავარი პოსტულატი — დიდი სისწრაფით მოძრავ ობიექტებზე დროის მსვლელობის შენელება. ცდებს ჩაატარებენ ზეზუსტ სპეციალურ ატომურ საათებზე, რომელსაც ორბიტაზე მიიტანენ. კვლევის ინიციატორები არ გამორიცხავენ, რომ შესაძლოა ექსპერიმენტი სენსაციური აღმოჩნდეს და ძირფესვიანად შეცვალოს ფიზიკოსების შეხედულება სივრცისა და დროის სტრუქტურის შესახებ.

ვერსია №22

ჟურნალ „კარუსელის“ საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის“



შენიშვნები: უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამოქებულ უჯრებში ბერძენი ტრაგიკოსის, ესქილეს სიტყვებს ამოიკითხავთ.



დ. ზაქარია ფალიაშვილის ოპერა; **ა**. რგოლისებური მარჯნის კუნძული, რომლის შუაგულშიც მოთავსებულია ლაგუნა; **ი**. კავკასიონის უმაღლესი წერტილი; **ს**. ჰოლანდიელი ფილოსოფოსი; **ვ**. ქალის პირბადე; **ე**. კუნძული, რომელზეც პირველად გადაასახლეს ნაპოლეონი; **ნ**. რა ერქვა სემის, ქამისა და იაფეტის მამას; **ე**. მცენარე, რომლის ფესვებსაც საღდგომო კვერცხების შესაღებად იყენებენ; **კ**. ხელზე მოვაჭრე ძველ თბილისში, რომელიც გამოირჩეოდა ჩაცმულობითა და მოსწრებული სიტყვა-პასუხით; **ვ**. ინგლისელი მწერალი ქალი, „კრაზანას“ ავტორი; **ი**. ის, რაც გამოთქმის თანახმად ყველაზე ბოლოს კვდება; **რ**. განვითარებული მრეწველობით განთქმული მხარე გერმანიაში; **ი**. უწყინარი ხასიათის დამცინავი დამოკიდებულება რაიმესადმი; **ს**. საქართველოს ერთ-ერთი კუთხე; **პ**. ლომების ოჯახი; **ა**. იანვრის ძველი ქართული სახელწოდება; **ლ**. ქალაქი გერმანიაში; **ი**. მტაცებელი ცხოველი კატისებრთა ოჯახიდან; **ტ**. ხე, რომელზეც გამოთქმის თანახმად ის კაცი ზის, რომელიც არაფრის ბაიბურში არ არის; **რ**. ფრანგი კომიკოსი; **ი**. სუფთა მოგება ძიუდოში; **ს**. სტალინის ერთ-ერთი ფსევდონიმი; **ფ**. ასე უწოდებდნენ ფაშისტურ გერმანიაში ნაცისტების მეთაურს — ჰიტლერს; **ე**. საქონლის შეზიდვის ან გაზიდვის აკრძალვა რომელიმე სახელმწიფოში; **რ**. აკინძული და ყდაში ჩასმული საწერი ფურცლები; **ე**. ბანზე, შუაცეცხლის თავზე ამოჭრილი ადგილი; **ბ**. კეისრის მეგობარი, შემდგომში მისი ერთ-ერთი მკვლელი; **შ**. სომხური წარმოშობის ამერიკელი მომღერალი ქალი; **ი**. ჰომეროსის პოემა.

ᲒᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ:

გ. გუდაური; **ა**. ავაზა; **მ**. მაზანდა; **ო**. ოლოლო; **ი**. იაგო; **წ**. წავი; **ე**. ეშაფოტი; **რ**. რადა; **ე**. ელიოზი; **კ**. კიდმანი; **ვ**. ვაიმარი; **ი**. იაშინი; **რ**. რეესტრი; **ი**. იამბიკო; **ს**. სკოტი; **პ**. პასტორი; **ა**. აზატი; **ლ**. ლივრეა; **ი**. იმამი; **ტ**. ტალინი; **რ**. რეიგანი; **ა**. ავაზაკი.

გამოქებულ უჯრებში იკითხება: დაზოგვა დიდი შემოსავალია.

ჯინა დევისი მსოფლიოს ინტელექტუალთა 2%-ში შედის...

სკოლის დამთავრებისას ჯინა დევისმა სკოლის ალბომში ჩაწერა: „ჰოლივუდში მივემგზავრები, რათა ვარსკვლავი გავხდე!“ როცა ბოსტონის უნივერსიტეტის სამსახიობო ფაკულტეტის ერთ-ერთმა ლექტორმა უთხრა სტუდენტებს, — სტატისტიკის თანახმად 100-დან მხოლოდ 10 სტუდენტი გახდებოდა შემდგომში მსახიობი, ჯინამ დაუფიქრებლად განაცხადა, — მერე რა. მე უსათუოდ მოვხვდები იმ ბედნიერთა ათეულშიო. არც მაშინ გრძნობდა თავს დამცირებულად, როცა ადგილობრივ სუპერმარკეტში მოლარედ მუშაობისას თავის მდიდარ თანაკლასელებს ემსახურებოდა. „მერე რა, ისინი ჩვეულებრივ გოგონებად დარჩებიან, მე კი მთელი ქვეყანა გამიცნობსო“, — ამბობდა. მას ჰქონდა ამის თქმის საბაბი — საუკეთესო მოსწავლე იყო კლასში, ხოლო შემდეგ საუკეთესო სტუდენტი კურსზე. ტესტირების შედეგების თანახმად, რომელიც სკოლის ფსიქოლოგებმა ჩაატარეს, მისი ინტელექტუალური განვითარების კოეფიციენტი 150 ქულის ტოლი აღმოჩნდა. ეს დონე აქვს პლანეტის მოსახლეობის მხოლოდ 2%-ს. გარდა ამისა, ჯინა შესანიშნავად მღეროდა, ცეკვავდა და შესანიშნავად უკრავდა პიანინოსა და ორგანზე. მეგობრებთან ერთად თეატრალური დასი ჩამოაყალიბა. როცა მშობლებს სტუმრები ჰყავდათ, ყოველთვის აცხადებდნენ, რომ „დესერტად“ ექნებოდათ ახალი სპექტაკლი ჯინას მონაწილეობით... მოხდა ისე, რომ ყოველთვის მოღიმარმა და თავის თავში დარწმუნებულმა ჯინამ პირველად იგრძნო თავი უბედურად — შეუყვარდა თანაკლასელი. ყველაფერი შესანიშნავად იქნებოდა, რომ არა მისი სიმაღლე — 17 წლისა 183 სმ იყო და მისი რჩეული მხრებამდე ძლივს სწვდებოდა. მათი პირველი შეხვედრა ფიასკოთი დასრულდა — ვაჟს ჯინას კოცნა მოუნდა, მაგრამ ვერაფრით მისწვდა. ისინი მაშინვე დაშორდნენ ერთმანეთს. გოგონა დათრგუნვილი დარჩა. მალე მოსწავლეთა გაცვლის წესით სტოკჰოლმში მოხვდა და შვებით ამოისუნთქა — მისი სიმაღლე იქ საშუალოდ ითვლებოდა, რამაც საბოლოოდ დაუბრუნა შერყეული თავმოყვარეობა. მას შემდეგ ის აღარასოდეს აქცევდა ყურადღებას თავისზე დაბალ მამაკაცებს. გამონაკლისი არ იყო მისი პირველი ქმარი რიჩარდ ემოლოც, მაგრამ მათ მხოლოდ ერთი წელი შეძლეს ერთად ცხოვრება.

ჰოლივუდში ჩასვლისთანავე ჯინამ სასწრაფოდ იპოვა თავისი შესაფერისი, ყოველ შემთხვევაში, სიმაღლით მაინც, პარტნიორი — მსახიობი ჯეფ გოლდბერგი და თამაშ-თამაშში გაჰყვა კიდეც ცოლად. მალე დაიწყო „ტელმა და ლუიზას“ გადაღება. ამ ფილმმა ჯინას უფრო მეტი დიდება მოუტანა, ვიდრე „შემთხვევითმა ტურისტმა“, რომელმაც „ოსკაროსანი“ გახადა. გადაღებების დროს გააბა მან რომანი საზოგადოებისთვის ჯერ კიდევ უცნობ ბრედ პიტთან და განქორწინებამაც არ დააყოვნა... თუმცა ინტელექტუალ ჯინას მალე მოსწყინდა ბრედ პიტთან, — იქნებ დასაწყისისთვის ორი წიგნი მაინც წაიკითხოო, — დაარიგა და ღიმილით გაუჩინარდა ახალი თავგადასავლების საძებნელად.

ახალი რომანის გმირი ჯინამ ძალიან რომანტიკულად გაიცნო. აგენტმა დაურეკა — ახალგაზრდა პერსპექტიული რეჟისორი ეძებს მსახიობსო. დევისი წავიდა საქმიან შეხვედრაზე. ახალგაზრდა რეჟისორი რენი ჰარლინი, რომელიც ახალი ჩასული იყო კალიფორნიაში შორეული ფინეთიდან, გააოგნა ჯინამ. ნამდვილი ქალღმერთი ეგონა. ჯინა კი მოხიბლა რენის ცისფერმა თვალებმა. მათი ქორწილი მთელ ჰოლივუდს დიდხანს ახსოვდა. ჯვრისწერაზე პატარძალი მივიდა სატვირთო მანქანით, ხოლო სიძე შვეულმფრენით. ქორწილი მიგდებულ ღვინის ქარხანაში გადაიხადეს. თითქოს რენი და ჯინა ერთმანეთისთვის იყვნენ შექმნილები. ოცნებობდნენ გენიალური ფილმის ერთად გადაღებაზე. მაგრამ ამაოდ... ზედიზედ, მესამე წარუმატებელი ფილმის შემდეგ ჯინას სამსახიობო კარიერა პრაქტიკულად დაღმართზე მიექანებოდა, რასაც ქმარს ვერ აპატიებდა და როცა ყველაფერთან ერთად, რენის ასისტენტმა განაცხადა, რომ რენისგან შვილს ველი და ამას სასამართლოზეც დავამტკიცებო, არავის გაკვირვებია, ჯინამ მაშინვე განქორწინება რომ მოითხოვა...

ჯინა დევისმა სამ „ბოევიკში“ ითამაშა და ისე დაოსტატდა ურთულეს ტრიუკებში, რომ ტოლს არ უდებდა პროფესიონალ სპორტსმენებს. როდესაც 1996 წლის ოლიმპიურ თამაშებზე მისმა თანამემამულემ, ჯასტინ ჰიუშმა მშვილდოსნობაში ჩემპიონობა მოიპოვა, ჯინამ გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, თავადაც ესინჯა ძალა — ისე დაოსტატებულიყო, რომ 2000 წლის ოლიმპიადაში მიეღო მონაწილეობა. ამას ხელი იმანაც შეუწყო, რომ რენიმ ქორწილში მშვილდ-ისარი მიართვა...

ჯინა სულითა და გულით შეუდგა ვარჯიშს, მაგრამ, სამწუხაროდ, ხელი მოეცარა — ამინდმა უღალატა...

ნიუ-ჯერსის შტატში, სადაც ოლიმპიადის შესარჩევი ტური მიმდინარეობდა, კოკისპირულად წვიმდა და ახალბედა სპორტსმენის ნასროლი ყველა ისარი მიზანს ასცდა...

თუმცა, ერთი მაინც მოხვდა მიზანს — „სიყვარულის ისრით“ დაიჭრა 27 წლის მოხდენილი ირანელი ნეიროქირურგი რეზა ჯარაჰი.

შარშან ჯინა და რეზა დაქორწინდნენ.

46 წლის ქალღმერთმა პირობა შეასრულა — რამდენიმე კვირის წინ ქალიშვილი აჩუქა მეუღლეს...

7 დღე №18

მოზაიკა.მოზაიკა.მოზაიკა.მოზაიკა.

უორენ ბიტი: ათასზე მეტი საყვარელი მყავდა...

ჰოლივუდში ხმა გავრცელდა — მექალთანე უორენ ბიტს იმ ქალთა ნუსხა შეუდგენია, რომლებთანაც რომანი თუ წუთიერი გატაცება აკავშირებდა. თურმე სიას დროდადრო გადახედავს და რომანის დეტალებს დიდი სიამოვნებით იხსენებსო.

ერთობ მბრძანებლური ბუნების ქალბატონის, მსახიობ ანეტ ბენინგის ცოლად შერთვის შემდეგ უორენი ვერ ბედავს თვალის განზე გაპარებას. ამბობენ, ამ ხნის მანძილზე მხოლოდ ერთხელ უღალატა ცოლს მოდელ სტეფანი სეიმურთანო.

უორენ ბიტის სატრფოთა ნუსხაში არიან მსახიობები, მოდელები, მომღერლები და ჩვეულებრივი მოკვდავნი, რომელთა საერთო რაოდენობამ 1000-ს გადააჭარბა. ბიტის საყვარლებს შორის უნდა აღინიშნოს: ნატალი ვუდი, ლიზ ტეილორი, მიშელ პფაიფერი, მელანი გრიფიტი, შერი, ბარბრა სტრაიზანდი, ბიანკა ჯაგერი, იზაბელ აჯანი...

ღმერთმანი, დიდებული მეხსიერება ჰქონია მსახიობს!

მკ ბულვარი №21

კაცი მორწმუნე და ცოლის მრთგზელი

სხივიანი ცისფერი თვალები, მუქი თმა, ნავარჯიშები სხეული და ისეთი მზერა, ადამიანს რომ დაამუნჯებს. **ჯიმ კევისელი** იმ მამაკაცთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებზეც ამბობენ, უარს ვერც ერთი ქალი ვერ ეტყვისო. მას კი არც ერთი ქალი არ უნდა. „Angel Eyes“-ში, სასიყვარულო სცენის გადაღებისას ჯიმმა ჯენიფერ ლოპესს სთხოვა, მკერდი დაიფარეო. მამაკაც რეპორტიორებს ეს მეტად უცნაურად მიაჩნდათ, ვიდრე მსახიობმა არ აუხსნა — ერთადერთი მკერდი, რომელიც მაღელვებს და რომელსაც მინდა შევეხო, ჩემი ცოლისააო.

ვაშინგტონელ მსახიობზე ამბობენ, — რომის პაპზე დიდი კათოლიკეაო და ეს მართლაც ასეა. მას შემდეგ, რაც ცოლად ინგლისური ენის მასწავლებელი შეირთო, კევისელმა კამერის წინ სექსზე სასტიკი უარი თქვა.

ახლო მომავალში 33 წლის ჯიმ კევისელს მაყურებელი ერთდროულად ორ ფილმში იხილავს. თრილერში „High Cvimes“ იგი ბნელი წარსულის მქონე ადამიანს თამაშობს, ხოლო „გრაფ მონტე-კრისტოში“ კი — ედმონდ დანტესს. ეს ალექსანდრე დიუმას ცნობილი ნაწარმოების მეცამეტე ეკრანიზაციაა. წინასწარ ძნელია იმის თქმა, იქნება თუ არა იგი „გრაფი მონტე-კრისტოს“ საუკეთესო ეკრანიზაცია, მაგრამ კევისელი ნამდვილად დამაჯერებლად განასახიერებს გულუბრყვილო მეზღვაურის გულცივ გრაფად გარდაქმნის პროცესს. დანტესი ოცწლიანი განშორების შემდეგ კვლავ ხვდება თავის დიდ სიყვარულს (დაგმარა დომინჩიკი) და ქალი მას წასჩურჩულებს ერთადერთ წინადადებას, რომელიც შეიძლება კევისელსაც ვუთხრათ: „ღმერთი ყველგან არის, მათ შორის კოცნაშიც“.

მკ ბულვარი №21

ნიკოლსონს ქორწინების ინსტიტუტი არ მოსწონს

ჰოლივუდის ცნობილი მსახიობი ჯეკ ნიკოლსონი თავისი ცხოვრების სტილს ასე ამართლებს: „ნამდვილი სულელი უნდა იყოს კაცი, რომ ერთადერთ ქალს მიუძღვნას თავი. რომელმა კრეტინმა მოიგონა საქორწინო რიტუალი, ცოლის ერთგულება?“

ამ გაუხედნავი ულაყის მორჯულება ვერც ერთმა ქალმა ვერ შეძლო. ჯეკის ერთ-ერთმა ბოლო საყვარელმა 30 წლის მსახიობმა ლარა ფლინმა იმით მოინადირა მისი გული, რომ ჯეკივით თავისუფლებისმოყვარეა, სიტყვასაც არ ძრავს ქორწინებაზე, მხოლოდ სრული თავისუფლება სურს...

ჰოდა, მშვენიერი ლარაც წარამარა ღალატობს ბებერ საყვარელს. ეს უკანასკნელი კი ამ ამბავს პრესით იგებს და ცოფდება.

მკ ბულვარი №21

ჟიშველი მადონა — 30 დოლარად

ყველა მულტიმილიონერმა თავისი ბიზნესი წვრილმანით დაიწყო. კერძოდ, ახლახან საზოგადოებამ შეიტყო, როგორ შეაგროვა თავისი 300-მილიონიანი ქონება მადონამ. 20 წლის საკმაოდ ამბიციური გოგონა, რომელმაც არ იცოდა, რა გაეკეთებინა დიდ ქალაქში, რაღაც 30 დოლარად შიშველი იდგა ფოტოგრაფ მარტინ შრაიბერტის აპარატის წინ. ახლა ამ ფასად ბილეთსაც ვერ იყიდით მის კონცერტზე.

1979 წელს მადონამ ნიუ-იორკის ფოტოგრაფების კოლეჯში დაიწყო მუშაობა. 1979 წლის 12 თებერვალს მშვიდი, მორცხვი გოგონა პირველად შემოვიდა ჩემს სტუდიაში, — იხსენებს მარტინი, — ის გახდა ჩემი ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი მოდელი, თუმცა ჩემს გარშემო ბევრი შესანიშნავი ქალიშვილი იყო. მაშინვე მივხვდი, რომ ის ყველაფერს მხოლოდ ფულისთვის აკეთებდა, რადგან აშკარად არ მოსწონდა თავისი სამუშაო.

ახლახან მარტინმა გამოაქვეყნა უნიკალური ფოტოები თავის ახალ ალბომში „შიშველი მადონა 1979 წელს“. იმ შორეულ წარსულში ვარსკვლავი ისე იყო აღფრთოვანებული ფოტოგრაფის ხელოვნებით, რომ დაუფიქრებლად მოაწერა ხელი კონტრაქტს, რომლის თანახმადაც ფოტოხელოვანს უფლება ეძლეოდა გამოექვეყნებინა მისი ფოტოსურათები. დღეს მადონა ძალიან ნანობს, რომ მაშინ ასეთი სულელური ნაბიჯი გადადგა.

გარდიანი

ილბალმა იცის, ვის როდის მიუკაკუნოს...



ასეთი ბედნიერი ფინალი იშვიათად შეგხვდებათ ყველაზე მშვენიერ ფილმებშიც კი. მთელი 9 წლის მანძილზე **ჯონ ფორსაიტი** და **ლინდა ევანსი** კინოკამერის წინ ცოლ-ქმარს თამაშობდნენ ტელესერიალში „დინასტია“. თავიდან ფილმში ფორსაიტი ნავთობის მაგნატი ბლეიკ ქერინგსტონი იყო, ლინდა ევანსი — მისი მომხიბვლელი მდივანი ქრისთლ ჯენინგი. და აი, მათ სინამდვილეშიც ბედი ერთმანეთს დაუკავშირეს.

ჯონი 50 წლის მანძილზე თავს უბედნიერეს ადამიანად გრძნობდა თავის მშვენიერ მეუღლესთან, ჯულიასთან. 90-იანი წლების დასაწყისში მან რანჩო შეიძინა ლოს-ანჯელესის მახლობლად, სადაც ცოლ-ქმარი სიბერის დღეების მშვიდად გატარებას აპირებდა. მოულოდნელად ჯულიას ინსულტი დაემართა. რა არ იღონა ჯონმა ცოლის გადასარჩენად, მაგრამ ვერაფერი უშველა — ჯულია 1994 წელს, 74 წლის ასაკში გარდაიცვალა. 50 წლის ბედნიერი ქორწინება დასრულდა...

ჯონი დარდმა მოიცვა, მაგრამ მის გვერდით აღმოჩნდა ლინდა ევანსი, რომელიც, როგორც შეეძლო, ამშვიდებდა ქვრივს, ერთად ჩნდებოდნენ ფესტივალებსა და კინოპრემიერებზე. ისინი მხოლოდ საუკეთესო მეგობრები იყვნენ. ლინდას იმ პერიოდში დიდი რომანი ჰქონდა ბერძენ კომპოზიტორთან — იან ხრიზომალისთან და ჯონი სულითა და გულით თანაუგრძნობდა. 1998 წელს ხრიზომალისმა 10 წლის სიყვარულს ხაზი გადაუსვა... და აი, დადგა ჯონის ჯერი, დაემშვიდებინა მეგობარი.

სიყვარული მათ მხოლოდ შარშან შემოდგომაზე ეწვიათ — ლინდასადმი მიძღვნილი ტელეგადაცემის დროს. ჯონი წამყვანი იყო და ევანსს პრემია გადასცა. შოუს შემდეგ სავახშმოდ წავიდნენ რესტორანში. აი, იქ დაიწყო ყველაფერი.

— ჩვენი მზერა ერთმანეთს შეხვდა. მან ხელზე ხელი დამადო. ამჯერად რაღაც სხვანაირად და მაშინ მე მასში დავინახე არა მარტო მეგობარი, არამედ მამაკაცი, — ასე აღწერს იმ საღამოს თავად ლინდა.

ჯონს მიაჩნია, რომ ლინდა მსოფლიოში ყველაზე მომხიბვლელი და მიმზიდველი ქალია.

ახლა ისინი ჯონის რანჩოში ცხოვრობენ. ლინდა წერს წიგნს ჯანმრთელობაზე, ჯონი კი ცხენების მოშენებას მისდევს. ბედნიერება არასოდეს არის დაგვიანებული, ის ყოველთვის დროულად მოდის ჩვენთან.

მკ ბულვარი №18

ფოტო ამოცნობისთვის

მცირე ტექსტით

მართალი ბრძანდებით!

„კვირის პალიტრის“ №22-ის რუბრიკაში, „ფოტო ამოცნობისთვის“ სწორედ ქართული კინოს მშვენება, ულამაზესი მანდილოსანი ნატო ვაჩნაძე გახლავთ. მადლობას ვუხდით მათ, ვინც მონაწილეობა მიიღო ამოცნობაში.

სწორი პასუხებით გამოგზავნეს: ნაზი იანტბელიძემ, ცისანა გიაშვილმა, მარინა ზარნაძემ, თეა საღირაშვილმა, რეზო ღარიბაშვილმა (თბილისი), ნ. აროშვილმა, ჯონდო გვასალიამ (რუსთავი), თეა სვანაძემ (ქუთაისი).

აზიური «სამართალი»

იტალიის შემდეგ მსაჯებმა მსპანეთი „ჩაიბრეს“

ოთხად ოთხი მატჩიც და მსოფლიოს ახალი ჩემპიონი ეყოლება, დასრულდება პლანეტის XV საფეხბურთო პირველობა, ყველაზე სენსაციური, ყველაზე სკანდალური და ალბათ ყველაზე უსახურიც იმ ჩემპიონატთა შორის, რაც კი აქამდე გამართულა. რატომ არის აზიური მუნდიალი ყველაზე სენსაციური, ვფიქრობთ კომენტარს არ საჭიროებს. რაც შეეხება სკანდალებს, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ფეხბურთის განვითარებასთან ერთად, სულ უფრო ქვეითდება მსაჯობის დონე. ის, რაც ეგვიპტელმა არბიტრმა მოიმოქმედა კორეა-ესპანეთის მეოთხედფინალურ შეხვედრაში, (სხვა მატჩებზე რომ აღარაფერი ვთქვათ), ყოველგვარ ნორმას სცილდება. გასაგებია, რომ მასპინძლები ყველა მუნდიალზე სარგებლობენ მსაჯების გარკვეული სიმპათიებით, მაგრამ ორი სრულიად უმიზეზოდ ჩაუთვლელი გოლი მეტისმეტია. ახლა უკვე ცხადზე ცხადია, რომ მასპინძლთა ამბიციებს შეეწირა ორი ისეთი გუნდი, რომელიც ნებისმიერი რანგის ტურნირს ამშვენებს — ესპანეთი და იტალია. ამას დაუმატეთ ისიც, რომ ჯგუფში ჩარჩნენ არგენტინა, საფრანგეთი და პორტუგალია და ამით რაც გამოვიდა, სახეზეა — კორეა-იაპონიაში უკვე გამართული 60 შეხვედრიდან არც ერთი არ ყოფილა ისეთი, მსოფლიო ჩემპიონატის მშვენება რომ ვუწოდოთ, არადა ასეთი მატჩები მრავლად იყო წინა მუნდიალზე, (კიდევ უფრო ადრე ხომ იყო და იყო). გაიხსენეთ თუნდაც საფრანგეთი-იტალიის დიდებული მეოთხედფინალი, არგენტინა-ინგლისი, ბრაზილია-ჰოლანდია, ჰოლანდია-არგენტინა. ასეთი თამაშების გამოა მსოფლიოს საფეხბურთო

ჩემპიონატი უპირველესი სპორტული ტურნირი. საყოველთაოდ მიღებული და ყბადაღებული ფრაზა — „ყველამ ისწავლა ფეხბურთის თამაში“, ნეიტრალური გულშემატკივრისთვის, რომელიც ფეხბურთში უპირველესად სანახაობას აფასებს, დიდი ვერაფერი ნუგეშია. მსოფლიოს რვა საუკეთესო გუნდს შორის თურქეთის, სენეგალის, კორეის და აშშ-ის მოხვედრამ ჩემპიონატს ხიბლი ვერ შესძინა და ეს კიდევ ყველაზე რბილად ნათქვამია. იმედი ვიქონიოთ, რომ იქნებ ფინალმა მაინც დაამშვენოს აზიური მუნდიალი (ნახევარფინალებში ამის პერსპექტივა ნაკლებად ჩანს). მიუხედავად იმისა, რომ არაერთხელ დავრწმუნდით, რომ პროგნოზების კეთება ტყუილად გარჯაა, მაინც ვიწინასწარმეტყველოთ, რომ ფინალში ბრაზილიას გერმანია დაუპირისპირდება — ორი უდიდესი საფეხბურთო ტრადიციის მქონე ქვეყანა, მსოფლიოს სამგზის და ოთხგზის ჩემპიონი, ორი აბსოლუტურად განსხვავებული საფეხბურთო სკოლა, გუნდები, რომლებიც რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, მსოფლიო ჩემპიონატებზე ჯერ ერთმანეთს არც შეხვედრიან. დაბოლოს, მარადიული კითხვა: ევროპა თუ სამხრეთ ამერიკა? თუმცა, ეშმაკს არ სძინავს და ვინ იცის, იქნებ ჩუმად ხითხითებს კიდეც — აზია, ბატონებო, აზია...

მერვედფინალები

15-18 ივნისი

გერმანია-პარაგვაი 1:0
ინგლისი-დანია 3:0
შვედეთი-სენეგალი 1:1 (1:2 დ.დ.)
ესპანეთი-ირლანდია 4:3 (პენ) ძ.დ. 1:1
მექსიკა-აშშ 0:2
ბრაზილია-ბელგია 2:0
იაპონია-თურქეთი 0:1
კორეა-იტალია 1:1 (2:1 დ.დ.)

მეოთხედფინალები

21-22 ივნისი

ბრაზილია-ინგლისი 2:1
გერმანია-აშშ 1:0
კორეა-ესპანეთი 5:3 (პენ) ძ.დ. 0:0
თურქეთი-სენეგალი 1:0 (ძ.დ. 0:0)

ნახევარფინალები

25 ივნისი

კორეა-გერმანია

26 ივნისი

ბრაზილია-თურქეთი

მატჩი III ადგილისთვის

29 ივნისი

ფინალი

30 ივნისი

ქართველთა მეჯოქეები გაირკვა

პარასკევს შვეიცარიის ქალაქ ჟენევაში, სასტუმრო „ნოვა ჰილტონის“ საპრესკონფერენციო დარბაზში, ჩემპიონთა ლიგისა და უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპის შეხვედრების კენჭისყრა გაიმართა.

ქუთაისის „ტორპედო“ წილისყრის შედეგად ჩემპიონთა ლიგის პირველ ეტაპზე ფარერის კუნძულების ჩემპიონს „ბ-36“-ს შეხვდება 17 და 24 ივნისს, გამარჯვების შემთხვევაში კი, 31 ივნისსა და 7 აგვისტოს პრაღის „სპარტას“ ეთამაშება, რაც ჩვენებურებს ლიგაში მოხვედრას ძალზედ გაურთულებს.

თბილისის „დინამოს“, უეფას თასზე, ოთხი შესაძლო მეტოქიდან (მინსკის „დინამო“, ერევნის „სპარტაკი“, „შემროკ როვერსი“ და „ტალინი“), ესტონური კლუბი არგუნა კენჭისყრამ. თბილისის „ლოკომოტივი“ უეფას თასზე გამოსვლას დანიის ვიცე-ჩემპიონ „კოპენჰაგენთან“ დაიწყებს, რომელმაც შარშან „ტორპედო“ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპიდან გამოაგდო. უეფას თასზე შეხვედრები 15 და 29 აგვისტოს გაიმართება.

საქართველო და მსოფლიო ჩემპიონატი

თუნდაც ერთი წამით თუ წარმოგიდგენიათ მსოფლიო ჩემპიონატებში ერთ დროს მონაწილე ქართველ ფეხბურთელთა ამჟამინდელი განცდები? ალბათ შესცქერიან ტელევიზორს ხურცილავა, ძოძუაშვილი, სულაქველიძე, ჩივაძე, შენგელია და სხვები და იხსენებენ, რა კვალი დაუტოვებიათ მსოფლიო საფეხბურთო ისტორიაში...

...საბჭოეთის ნაკრებს ორჯერ ქართველი კაპიტანი ჰყავდა — ხურცილავა და ჩივაძე, რომლებსაც რუსები დღესაც უდიდესი სიყვარულით იხსენებენ.

...1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე, სადაც ბრაზილიის, იტალიის და გერმანიის ნაკრებებში უამრავი ვარსკვლავი ბრწყინავდა, კახი ასათიანი დაასახელეს — როგორც ყველაზე ტექნიკური და გონიერი ნახევარმცველი.

საერთოდ, საბჭოთა ნაკრების წამყვან ძალას, ძირითადად, რუსებსა და უკრაინელებთან ერთად, ქართველებიც წარმოადგენდნენ: მესხი, მეტრეველი, სიჭინავა, ნოდია და ა.შ.

1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე საბჭოელებთან შეხვედრის შემდეგ, ბრაზილიის ნაკრების ლიდერმა, ზიკომ იკითხა — მაღალი, ულვაშიანი ნახევარმცველი რატომ არ გყავთო? სამხრეთამერიკელი ვარსკვლავი დავით ყიფიანს გულისხმობდა, რომლის წინააღმდეგაც ერთი წლით ადრე სამშობლოში „ბოტაფოგოს“ შემადგენლობაში ითამაშა და მათდა გასაოცრად, ქართველებმა მატჩი ფრედ 2:2 დაამთავრეს. ყიფიანიც იქიდან დაამახსოვრდა, თანაც ბრაზილიურმა ჟურნალმა „გლობომ“ ქართველი ნახევარმცველი, ზიკოსა და პლატინის შემდეგ, მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშეებში მესამე ნომრად დაასახელა.

... 1981 წელს თბილისის „დინამომ“ მადრიდის ოთხთა ტურნირში მეორე ადგილი დაიკავა. მიუნხენის „ბაიერნთან“ მოგებული მატჩის შემდეგ (2:1), ახალკაცის შეგირდები ფინალში „რეალთანაც“ 2:1-ით დაწინაურდნენ, მაგრამ ჯერ ყიფიანი დაგვიმტვრიეს, 75-ე წუთზე კი მსაჯმა მასპინძლებისთვის პენალტი გამოიგონა, შემდეგ ბურთი თამაშგარედან ჩაუთვალა სამეფო კლუბს და, ფაქტობრივად, „რეალს“ გამარჯვება აჩუქა.

ამის მიუხედავად, ტურნირის ბომბარდირი და საუკეთესო ფეხბურთელი ვოვა გუცაევი გახდა. „რეალის“ მაშინდელი მწვრთნელი ბორა მილუტინოვიჩი აწრიალდა და ქართული გუნდის ხელმძღვანელობას გარიგება შესთავაზა: ორივე თავდამსხმელს ხუანიტოსა და სანტილიანას თქვენს გუცაევში გაგიცვლითო. კომუნისტებს რა ვუთხარი, თორემ „დინამოს“ თავდამსხმელის სახელს დღეს ევროპაში გაცილებით დიდი ფასი ექნებოდა.

ამ ყველაფერს 17-20 წლის ბიჭები რომ წაიკითხავენ, კიდევ ერთ ქართულ ლეგენდად მონათლავენ... ამიტომ მათთვის უფრო გასაგებ თემებზეც ვისაუბროთ — ანუ მსოფლიო ჩემპიონატთან ქართული ფეხბურთის დღევანდელ „ნაცნობობაზე“.

...დიდხანს ვიმედოვნებდით, რომ ყიფიანი-ძოძუაშვილის გადადგომის შემდეგ უმწვრთნელოდ დარჩენილ საქართველოს ეროვნულ გუნდს მერაბ ჟორდანია სერბ სპეციალისტს, ბორა მილუტინოვიჩს დაუნიშნავდა გზამკვლევად. შოთა არველაძემაც დაგვაიმედა, — მილუტინოვიჩმა თავად მითხრა, თქვენს გუნდს სიამოვნებით გავწვრთნიო. მაგრამ მილუტინოვიჩმა ჩინეთის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გაიყვანა და, ბუნებრივია, ჩვენი და სერბი სუპერმწვრთნელის გზებიც გაიყარა. მართალია, მისმა ფეხბურთელებმა ამჯერად სენსაცია ვერ მოახდინეს, მაგრამ ჩინელებისგან მეტი არც იყო მოსალოდნელი — მათ მილუტინოვიჩი კი არა, ამქვეყნად ვერც ერთი მწვრთნელი ვერ უშველიდა.

...დმანისელი ბერძენი ომარ თეთრაძე საბჭოეთის დაშლის შემდეგ რუსეთში გადაბარგდა და ამ ქვეყნის ეროვნული ნაკრების ფორმა მოირგო. თუმცა, ესეც იძულებითი ნაბიჯი გახლდათ — თეთრაძე, რომელიც თავისუფალ დროს „ჩემო თბილის-ქალაქოს“ უსმენდა, ყოველდღე ელოდა თბილისიდან ზარს, მაგრამ უშედეგოდ. მეტიც, როდესაც მოსკოვის „დინამოს“ მაშინდელი წევრი კახა ცხადაძე ნაკრებში მიიწვიეს, ომარი არც გახსენებიათ — აქაოდა, უმაგისოდაც როგორმე გავძლებთ, ბოლოს და ბოლოს, ქართველიც არ არისო (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ომარი ბერძენია და მისი ნამდვილი გვარია ოსიპოვი).

ახლა რუსებმაც ხელი ჰკრეს თეთრაძეს და იაპონია-კორეის ჩემპიონატზე გასამგზავრებლად მომზადებული, თითქმის ტრაპიდან ჩამოსვეს. ეტყობა, ომარს საბერძნეთში თამაშმა ცუდი სამსახური გაუწია: იგი „პაოკში“ თამაშის პარალელურად, საბერძნეთის არმიის ჯარისკაცი იყო. მართალია, ნაწილის უფროსი სულ ფეხბურთზე ესაუბრებოდა და ყაზარმაშიც არ აჩერებდა, მაგრამ როგორც ომარი ამბობს, ყოველდღე 40 კმ-ის გავლა ძალიან ღლიდა, ძილიც აკლდა და ვეღარც ნორმალურად ვარჯიშს ახერხებდა. „ალანიაში“ დაბრუნებულმა თეთრაძემ ფორმა ვერ აღიდგინა და რუსეთის გუნდის თამაშებსაც ტელევიზიით ადევნებს თვალს. როგორც ამბობენ, არ არის გამორიცხული, თეთრაძემ „ალანია“ დატოვოს და გაზაევთან, მოსკოვის ცსკა-ში გადავიდეს.

...მსოფლიო ჩემპიონატის მომსახურე მსაჯთა წინასწარ განაცხადში ქართველი ლაინსმენი, 31 წლის ლევან მიქელაძეც დასახელდა და ჩვენც იმედი გაგვიჩნდა, რომ მსოფლიო ჩემპიონატი უქართველებოდ მაინც არ ჩაივლიდა. მით უფრო, რომ ლევანს უკვე ოთხჯერ უმსაჯია იუნიორთა და ახალგაზრდათა ევროპის ჩემპიონატებზე, მათგან ორჯერ — ნახევარფინალშიც. თუმცა, ფიფა-უეფაში ლობს მოკლებულ ჩვენებურ ლაინსმენს

ომარ თეთრაძე

ინგლისური ენის არასაკმარისი ცოდნა ტურნირის მიღმა დატოვების მიზეზად მოუდეს და თანაც დაჰპირდნენ — 2004 წელს, პორტუგალიაში, ევროპის ჩემპიონატზე აუცილებლად გაგიშვებთო.

...ტურნირის უსუსტეს გუნდში — საუდის არაბეთის ნაკრებში რევაზ ძოძუაშვილის „ალიტიჰადში“ გაწვრთნილი თავდამსხმელი ალ ჰასან ალ იალი ირიცხება. გახსოვთ ალბათ, რომ 2000 წლის დამდეგს, სულ რაღაც სამი თვის მანძილზე, ბატონი რევაზი ამ არაბულ ქვეყანაში ვოვა გუცაევთან ერთად მუშაობდა და თან მცველი ლევან სილაგაძე და თავდამსხმელი არმაზ ჯელაძე იახლა, თუმცა დიდხანს ვერ გაძლო იქაური აუტანელი სიცხეების გამო. ამას თან დაერთო დღე-ღამის არევა — სიცხეების გამო ღამით უწევდათ ვარჯიში და ისიც ხანმოკლე შესვენებებით. მუსლიმანი ფეხბურთელები, როგორც კი ლოცვის დრო მოუწევდათ, თამაშს წყვეტდნენ. ამიტომ ქართველები საუდეთს გაეცალნენ.

მსოფლიო ჩემპიონატთან დაკავშირებული კიდევ ერთი, ყველაზე მნიშვნელოვანი სიახლე კი რატომღაც, დღემდე ჩვენთვის უცნობი იყო: თბილისის „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი ივო შუშაკი ხორვატიის ტელევიზიას ჩემპიონატის კომენტატორად რომ მოევლინა — ეს ვიცოდით, თუმცა აქამდე უცნობი იყო შუშაკის კორეა-იაპონიაში გამგზავრების უმთავრესი მიზეზი — იგი ხორვატიის ნაკრების კონსულტანტად მიიწვიეს და „დინამოსაც“ კიდევ ერთ მუნდიალგამოვლილი დაუბრუნდება. თურქეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი შენოლ გიუნეში 1994-97 წლებში „ტრაბზონპორს“ ავარჯიშებდა და მისი ხელქვეითები, ტყუპი არველაძეები, ჯამარაული, ნემსაძე, შელია და ბერაძე იყვნენ. შოთა არველაძეს გიუნეშთან დღემდე შემორჩა თბილი ურთიერთობები. სხვათა შორის, გიუნეში ჯამარაულს რატომღაც არც ისე კარგი თვალით უყურებდა და თავისიანებს წინ აყენებდა, რომლებთანაც ოდესღაც თავად თამაშობდა...

ლაშა დუმბაძე

საჭადრაკო კლუბი

„კვირის პალიტრა“ აქვეყნებს საჭადრაკო ამოცანებს, მათი ამოხსნისათვის საჭადრაკო დაფა არ არის აუცილებელი.

შავების დაშამათება არ უნდა გაგიჭირდეთ (თუ, რა თქმა უნდა, მოინდომებთ). წინა ამოცანის ამოხსნა: 1. ♖b1-h1!

თეორები იწყებენ და აკეთებენ შამათს სულ სამ სვლაში.



სიახლე მკითხველის პრემია სიახლე

ეს თქვენი გაზეთია და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტებს ამიერიდან თქვენ მიანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო (თქვენთვის ყველაზე საინტერესო) სტატია. იმ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — 50 ლარს გადასცემს. გამარჯვებული ჟურნალისტის ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ.

№24 (298) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგის თემას — „შოუმენი“ — 630 მკითხველი გამოეხმაურა. ჩამოთვლილი იყო რვა თანამედროვე ქართველი შოუმენი. კითხვას — **„შოუბიზნესის ამ წარმომადგენელთაგან რომელი იმსახურებს თქვენს სიმპათიას ყველაზე მეტად?“** — 258-მა ქალმა და 368 მამაკაცმა უპასუხა (4 ბარათი არასწორად იყო შევსებული).

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, მკითხველი ყველაზე კეთილგანწყობილია დუტა სხირტლაძის მიმართ — **6,60** საშუალო ქულით დუტა შოუდან „ვის უნდა ოცი ათასი“ პირველ ადგილზეა. მკითხველთა 45-მა შეაფასა იგი მაქსიმალური — 8 ქულით. შემდეგ ადგილზე მერაბ სეფაშვილია, საშუალო ქულაა 6,22. რესპონდენტთა 29 აცხადებს, რომ მათ სიმპათიას ყველაზე მეტად სეფაშვილი იმსახურებს. უნდა აღინიშნოს, რომ დუტამაც და მერაბმაც ზუსტად ერთნაირი რაოდენობის მინიმალური ქულები (1,12) დაიმსახურეს.

უკვე საკმაოდ ცნობილი „უცნობი“ მესამე ადგილზეა საშუალო ქულით 5,91. რესპონდენტთა 16-მა დაუწერა მას მაქსიმალური — 8 ქულა.

თემურ თათარაშვილსა და დათო ხუჯაძეს რეიტინგში საერთო ის აქვთ, რომ ორივემ მკითხველთა ზუსტად ერთნაირი რაოდენობისაგან (2,73) მიიღო მაქსიმალური შეფასება.

სულ ბოლო ადგილზე სტეფანეა, თუმცა, მინიმალური ქულების სიმრავლის მიხედვით მალხაზ ქვრივიშვილმა (38,4) უკან ჩამოიტოვა იგი (33,9).

30 წლამდე ასაკის მკითხველებთან შოუმენთა პირველი სამეული ასეთია: 1. დუტა, 2. უცნობი, 3. მერაბ სეფაშვილი;

50 წელს გადაცილებულ რესპონდენტებთან — 1. დუტა, 2. მერაბ სეფაშვილი, 3. უცნობი.

მამაკაცებთან სერგი გვარჯალაძე წინ უსწრებს თემურ თათარაშვილს; მათთან ქართული ტელესერიალის გმირი — მალხაზ ქვრივიშვილი სულ ბოლო ადგილზეა.

ქალებთან კი ცოტა სხვაგვარი სურათია — სუსტი სქესის წარმომადგენლების ფავორიტები არიან: 1. მერაბ სეფაშვილი, 2. დუტა, 3. უცნობი. მათთან, ისევე, როგორც ძირითად რეიტინგში, ბოლო ადგილზე სტეფანეა.

საპრიზოს ზუსტად ერთი ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებული 14 წლის თბილისელი **თინიკო ახალაია**.

გამარჯვებულს ვულოცავთ და პრიზის — 100 ლარის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 26 ივნისს, 17 საათზე.

№25 (299) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„კვირის პალიტრა“ თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

100 ლარი

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება **„კვირის პალიტრის“** მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ *მკითხველის შეფასებაში*.

№25 (299) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი შედეგების ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში ჩაგდეთ ოთხშაბათის, 26 ივნისის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 27 ივნისის 13 საათამდე.

© თბილისი

თემა №25 (299) — სატელევიზიო რეკლამა

თქვენი აზრით, რომელია ყველაზე ეფექტური სატელევიზიო რეკლამა (ჩამოთვლილთაგან)? დაუწერეთ მას **8** ქულა, მომდევნოს — 7 და ა.შ. 1-მდე.

№25(299) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

№	რეკლამა	ქულა
1	**შაქარი პუმატი** — (ზვიად)	
2	**მაგთი GSM** — (...მუდამ ჩემთან რომ არ იყოს...)	
3	**სანტე** — (უცნობი - გოგოლა კალანდაძე)	
4	**ბიგ ბაბოლი**	
5	**ჯეოსელი** — ისარგებლეთ სმოყანი შეტყობინებით (გიგი სახარულიძე)	
6	**MBG** — ნაბიჯი წარმატებისაკენ	
7	**სპრაიტი** (იყაყი ის, რაც ხარ...)	
8	**კანარგო** — (გოგოლა კალანდაძე — მალხაზ ქვრივიშვილი)	

მკითხველის შეტყობინება

დაასახელეთ ივნისის თვის ადამიანი საქართველოში

✓ _____

მკითხველის პრემია

დაასახელეთ ნომრის საუკეთესო სტატია

✓ _____

თქვენი სახელი, გვარი _____

ქალაქი (რაიონი) _____

ასაკი _____ ტელეფონი _____

„კვირის პალიტრის“ ყუთებში ვიზიტებულ დროზე გვიან შეთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს

მკითხველის შეტყობინების შედეგები

საყვარელი ქართული ტელეგადაცემა

1.	ვის უნდა ოცი ათასი (რუსთავი 2)	29,6%
2.	კურიერი (რუსთავი 2)	11,6%
3.	ვიამგეთ თქვენზე (I არხი)	7,0%
4.	მეალობანია (I არხი)	4,9%
5.	60 წუთი (რუსთავი 2)	4,2%
6.	ფორტუნა (I არხი)	3,4%
7.	ტოროლა (I სტერეო)	3,0%
8-9.	ჩვენი ეზო (რუსთავი 2)	2,1%
8-9.	კომუნიკატორი (რუსთავი 2)	2,1%
10-12.	ძილის წინ (I არხი)	1,5%
10-12.	რა? სად? როდის? (IX არხი)	1,5%
10-12	ისტორიანი (I არხი)	1,5%

მიუხედავად იმისა, რომ „ვის უნდა ოცი ათასი“ „საზაფხულო არდადეგებზეა“, მკითხველის რეიტინგს მაინც სათავეში უდგას. როგორც ჩანს, რესპონდენტთა სიყვარულს იმსახურებს გადაცემა „ფორტუნაც“, ამჟამად ისიც „შვებულებაშია“, მაგრამ რეიტინგის მეექვსე ადგილს მართლაც ღირსეულად ფლობს.

საყვარელი ტელეგადაცემის დასახელება მხოლოდ ორ მკითხველს (0,4%) გაუჭირდა, ოთხმა რესპონდენტმა (0,8%) კი განაცხადა, რომ არც ერთი ქართული ტელეგადაცემა არ მოსწონს.

მკითხველის რეიტინგში 526 რესპონდენტი მონაწილეობდა.

© · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა ·

გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოებს. გთხოვთ, პასუხები გამოგვგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე ორიგინალური პასუხები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.

რას დაარქმევდით?

_____

_____

_____

_____

_____

თქვენი სახელი, გვარი _____

ქალაქი (რაიონი) _____

ვალერი ხაბურძანია, კობა ნარჩემაშვილი

ზ.ზ. — ბოლო წლებში ჩვენი შედეგიდან გამომდინარე, საფეხბურთო ელიტის თავში ვიდექით. დღეიდან კი აი ამ ადგილებში გადავინაცვლებთ.

გ. ინწკირველი, თბილისი

ზიზუს „ბოლო ზარი“.

ვასო ნახუცრიშვილი, ბრეთი

მსაჯი — ეგეთები კი იცოდე, არ გამოგივა ზიდან! ხომ არ გგონია, შენსავით მეცა ვარ პარიზიდან?

ლადო მაღრაძე, თბილისი

— წაი, აწი, კუტა სახლში!

არველოდი წინწავა, ზუგდიდი;
ზურაბ მარშანია, თბილისი

— ჩემო ზიზუ, რა გაწუხებს, შე კაცო, ცოტა შეგხვდა ტოტალიზატორებიდან წილი?!

დავით ხიზანიშვილი, თბილისი

ზინედინ ზიდანი

წინა ნომერში გამოქვეყნებულ „ფოტოპალიგრას“ 139 მკითხველი გამოეხმაურა, მაღლობას ვუხდით მათ. ვაქვეყნებთ რამდენიმე ორიგინალურ პასუხს.

გარდაიცვალა საფრანგეთის ნაკრები შვილი — როჟე ლემერი

შვილიშვილი — ზინედინ ზიდანი

ძმები — არგენტინის, პორტუგალიის, იტალიის ნაკრებები.

პანაშვიდი 28, 29 ივნისს, დაკრძალვა 30 ივნისს. გამოსვენება „სტად დე ფრანსის“ სტადიონიდან 16.30 სთ-ზე.

უავტორო

— ეხ, ზინედინ, ზინედინ, საკუთარი უკანალი გაქვს მისახედი, შენ კი მსაჯის უკანალს აფარებ ხელს.

ლ. წკრიალაშვილი, თბილისი

„ტოტალიზატორთა აღმაშენებელი“

ქეთი, თბილისი

ზ.ზ. — ო, ღმერთო, სად დავემალო გულშემატკივართ, ვაი სირცხვილო!

არბიტრი — საქართველოში წადი, ზინედინ, მოგიტაცებენ და ისე დაგმალავენ, ეშმაკიც ვერ გიპოვის.

ზურა ქართველიშვილი, თბილისი

მსაჯი — რა არი, ბიჭო, ღიპი დაიდე?

ზ.ზ. — ღიპი კი არა, იმდენი მაგინეს, მგონი ფეხმძიმედ ვარ!

კ.ო., ბოდბე (სიღნაღი)

ფოტო გაწყობისთვის

— ლამაზია... მრცხვენია... რაც ცრუბავხობდი...

25/VI საღამო მთვარე

მაგნიტური დღეებია:
24/VI — 11-დან — 13 სთ-მდე
28/VI — 23სთ-დან 29/VI 01 სთ-მდე

წინა სკანვორდის პასუხები



ქართულ წამალ „სალხინოს“ გამოაქვს ჩირქი ნებისმიერი რბილი ქსოვილიდან

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები, როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი, გამონადენი, ტკივილი წელის, გავის ძვლის, ფირკმლების არეში, შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია, მიიღეთ წამალი „სალხინო“ და მოგიხსნით ამ პრობლემებს. „სალხინო“ აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

„სალხინო“ გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), პეპატიტი, გასტრიტი, ნეფრიტი, გინგივიტი, სტომატიტი, ბრონქიტი და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. „სალხინო“ აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი „სალხინო“ კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს — მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ „სალხინოს“ თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ და რეგისტრირებულია, მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია. იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.



წელის სიარულე ნაბიჯდგმულის შეგრძნებაში
რეპარტუარ-შინაარსის ავტორი
ნაღვრის დენება
საქმეანელი დაზღვევა
ცოდნის შეძენასთან
უძილობები
... და ვფრინავ
ყველაზე ბანარა ჩიტი
რუსული პოტენციალი
პიტერ შველის კინოგმირი
ასტროლოგიის სამშობლო ადგილი
მიკრო-რგანიზმი
თმის სალეშაური
დღეში ორჯერ მიღებული
...ვეხვეწე ულვაშები... რასაც არა
მაგნიტური ფენომენის ქალი
პაპას გაჩაქულაძის ხმა
ბუფეტის სასაზღვრო
ალმ-ის კოსმონავტი კლიმის სამყაროში
სამი წერტილი ადამიანზე
ლოკონოვანი გარსის ანთება
იაპონელი დიპლომატი
სწრაფად აღმავალი შული
თან
გარეული ფრინველი
ხუმარა, კლოუნი
ჩუქურთმიანი ქვა ბრილიანტი
ქარხნის შიგნითასი
უძირო თუთიყუში
ლუბნელი შოკირება მოკაზმე ...
ეპი-ს ფოკუსირებული მოჭიდება-კილოვანი
საგზაო ნიშანი
რომ-ჯგუფ კიტის ლიდერი
გამოშვებული შიგნით
...რუსთაველი-2-ის ნათესავი
შრანგი იპარებიდნისში
წამლის ფაქი ფირმა
ხანგრძლივი სწავლება
დაუსაზე სანარი
დროის დიდი მონაკვეთი
შავის ცოლების ეკუმენტობა
შეალგასა რამან ალახაის
სისუფთავის დაცვა
2
ერთ-ერთი შეგრძნება
აესტრიის დედაქალაქი
ბაილანდის ქირიმული მისახლეობა
სამ ის მხარე თანხმობით
რუსი
ალპინისტი მთაში
პანთიული

უკრაღრეკა! «კვირის პალიტრა» სამუშაოდ იწვევს პროფესიონალ ჟურნალისტებს

განაცხადებზე მობრძანდით რედაქციაში შუთმაბათს, 27 ივნისს, 16 საათზე მისამართი: აკურის ქ. №. 8. (სპორტის სასახლის უკან)

წარმოადგინეთ თქვენი ნაშუშევრები

* * *

ექიმს ფეხქვეშ გაუგდია პაციენტი და გამეტებით უპარტყუნებს:

— მე ვარ არა, გიჟი და გადარეული?.. ახლა გიჩვენებ, ვინ არის გადარეული!..

* * *

— რა ჰქვია შენს ძაღლს?

— პუკ-პუკი...

— რა კარგად მოგიფიქრებია... პირის გაღებაც არ დაგჭირდება დასაძახებლად...

„კვირის პალიტრის“ უფასო განცხადების ქვითრით შემოსული განცხადებები გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ დამატებაში — გაზეთში „სიტყვა და საქმე“ (აქ განთავსებული განცხადება „კვირის პალიტრაზე“ არანაკლებ ეფექტიანია).

„კვირის პალიტრაში“ კი, ქვეყნდება მხოლოდ ფასიანი განცხადების ქვითრით შემოსული განცხადებები. ქვითრები იყიდება საგაზეთო ჯიხურებში (ფასი 4 ლარი — 20 სიტყვა).

რაიონებში არსებული „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები იცლება ოთხშაბათობით 10 საათიდან. ახმეტასა და დედოფლისწყაროში ყუთები დაიცლება ყოველი თვის ბოლო ხუთშაბათის 10 სთ.-დან. ბოლნისში თვის III კვირის ოთხშაბათს 12 სთ-დან. ქინვალსა და ლუშეთში – თვის III კვირის ოთხშაბათს.

ყურადღება: „კვირის პალიტრის“ (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©

კუმანიტარულ-ტექნიკური ინსტიტუტი

(სტუ სპეც. ფაკულტეტი)

აცხადებს მიღებას 2002-2003 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

1. ა) სამართალმცოდნეობა
   (ქართული და რუსული სექტორი)
   ბ) საერთაშორისო ეკონომიკური სამართალი.
2. ა) საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები (ქართული და რუსული სექტორი)
   ბ) საბანკო საქმე
   გ) საბაჟო-საგადასახადო საქმე (წარმოების და მომსახურების კონტროლი და ზედამხედველობა)
   დ) ეკონომიკური დიპლომატია.
3. მთარგმნელობითი საქმიანობა:
   ა) ინგლისური ენა
   (ქართული და რუსული სექტორი)
   ბ) გერმანული ენა
   გ) ფრანგული ენა.
4. ჟურნალისტიკა
   ა) ჟურნალისტიკა
   ბ) ინტერნეტ-ჟურნალისტიკა
   გ) რეპორტიორი
   (ტელე-რადიო ჟურნალისტიკა)
   დ) საზოგადოებრივი ურთიერთობები
   (ქართული და რუსული სექტორი)

სწავლა ფასიანია. ჩარიცხვა წარმოებს გამოცდა-ტესტირების საფუძველზე. აბიტურიენტებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: 1. ატესტატი; 2. 4 ფოტოსურათი – 3X4; 3. პირადობის მოწმობა; 4. მიწერის მოწმობა (დედანი ასლთან ერთად). საბუთების მიღება 1 ივლისიდან, შაბათ-კვირის გარდა 10-15 სთ-მდე.

მისამართი: თბილისი, მერაბ კოსტავას 77, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის VIII სასწავლო კორპუსი, II სართული. ☎ 36-34-34; 36-60-78

ცირამა „ბერძული“

ბრტყელი და თუნუქის სახურავების, საძირკვლების და აუზების პიდროსაიზოლაციო სამუშაოები ადგილობრივი და უცხოური მასალებით, რესპუბლიკის ზერიზორიაზე. გარანტია 10 წელი.

წერეთლის გამზ. №55, ბინა №53

☎ 96-06-00; 35-15-05; 899-50-06-50

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებას.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმობეჭდილი მასალების ფაქტების ობიექტურობის სიზუსტეზე. ფრთხილად სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

[R] ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი

მთ. რედაქტორის მოადგილეები: ნუცა დუმბაძე, ბიორგი თევდორაშვილი

სარედაქციო კოლეგია

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ.: რედაქცია: 33-39-54
რეკლამა, ფაქსი: 33-50-32; 98-74-44
palitra@access.sanet.ge
www.opentext.ge/kvirispalitra
სარეგისტრაციო ნომერი 1518
„კვირის პალიტრა“ © 2002
დაბეჭდილია შპს „ბიზნეს პრინტში“
გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „ლელოში“